

ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის 100 წლისთავს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული გიგლიოთაკა

## საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები

ტომი XIV

### ნოე ჭორდანია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე  
(1918 წლის 24 ივნისი – 1921 წლის 18 მარტი)

ოფიციალური დოკუმენტები,  
სიტყვები და გამოსვლები

თბილისი 2018



ძლევნად თავისუფალ სამშობლოს (26 მაისის სახსოვრედი)

მოქალაქენო, სამშობლო აღსდგა მჯდომარეობის მოვილობაზ 26 მაისს!

9736940  
80-100036



საქართველოს დაცულისტური კიბები. გვერბის 1919 წ. ნოტის 12.



საქართველო  
2013/03/23

ଶୁଣି ପାଦମାର୍ଗରେ  
(କିମ୍ବା ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କରେ)

୩୧୬୦ ଅନ୍ତର୍ଗତ

መስጠት, 1919 ዓ.

UDC (უაკ)342.511 (479.22)+929 (479.22)

ს-323

ჟ-841

სერიის “საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“

იდეის ავტორები: ემზარ ჯგერენაია  
დორის ფოგლი

მთავარი რედაქტორი: შტეპან ჯონსი

რედაქტორი: ემზარ ჯგერენაია

შემდგენლები: ლილი საყვარელიძე  
ეთერ შუბითიძე

დაკაბადონება: შალვა პაპალაშვილი

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლებისა დეპარტამენტის გამომცემლობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების თანამშრომლები.

**რედაქტორის შენიშვნა:** გამოცემაში შესულია ნოე უორდანიას საჯარო გამოსვლები, წერილები, მიმართვები და უურნალ-გაზეთების კორესპონდენტების მიერ გადმოცემული მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე.

ISSN 1987-5576

ISBN 978-9941-27-717-7

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპრჩევი

დამოუკიდებელი საქართველო. დღესასწაული .....	13
დამოუკიდებელი საქართველო. დღესასწაული. იანვრის 14-ს სხდომა .....	16
ნოე უორდანიას სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. 1918 წ. 26 მაისი .....	20
მთავრობის თავმჯდომარის მისალმება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს .....	24
საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო ევგენი გეგეჭკორის დეპეშა.....	25
დღეს ქართველი ერი ზეიმობს, რადგანაც 1921 წ. იანვრის 27-ს დაგვირგვინდა ჩევნი რესპუბლიკა მისი იურიდიულად ცნობით. დიდი დღესასწაული .....	28
დიდი დღესასწაული საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო. მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა .....	35
სადღესასწაულო ბანკეტი საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო .....	36
<b>სიტყვები და გამოსვლები</b>	
დამფუძნებელი კრება. ნოე უორდანიას სიტყვა. 30 დეკემბერი.....	43
დამფუძნებელი კრება. 6. უორდანიას საპასუხო სიტყვა.	
31 დეკემბრის სხდომა. .....	51
ნოე უორდანიას მოხსენება პარტიულ თათბირზე. 25 მარტი, 1920 წ. 60	
მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ნოე უორდანიას სიტყვა. 30 აპრილი... 74	
ევროპის სოციალისტური დელეგაცია ტფილისში .....	79
მუშათა დეპუტატების საბჭოს საზოგადოებრივი სხდომა .....	80
სახალხო სახლში ნოე უორდანიას სიტყვა.....	83
ეკონომიური თათბირი. ნოე უორდანიას მოხსენება .....	87
6. უორდანიას მოხსენება სახალხო გვარდიის მეორე ყრილობაზე .... 100	
მთავრობის თავმჯდომარე 6. უორდანიას სიტყვა. 1-ლი დეკემბრის სხდომა .....	116
გვარდიის დღე ტფილისში.....	134
დეპუტატის შეუვალობის საკითხი დამფუძნებელ კრებაში.	
მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ უორდანიას სიტყვა. დამფუძნებელი კრება დეკემბრის 24 სხდომა .....	137

<b>დამფუძნებელ კრებაში.</b> მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა.	
სამშაბათი, იანვრის 18 სხდომა .....	143
<b>პარტიული დისციპლინა.</b> ნოე ჟორდანიას მოხსენება. სოც. დემ.	
პარტიის კონფერენციის 19 იანვრის სხდომაზე .....	147
<b>საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია.</b>	
ნოე ჟორდანიას სიტყვა. 20 იანვრის დილის სხდომა .....	157
ნოე ჟორდანიას სიტყვა. წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 17 იანვრის სხდომაზე .....	161
<b>საბჭოთა სომხეთის თავდასხმა საქართველოზე. თებერვლის 15-ის სხდომა .....</b>	174
<b>პოლემიკა</b>	
<b>საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა.....</b>	181
საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა. 16 ივნისის სხდომა .....	187
<b>განცხადებები</b>	
<b>დამფუძნებელი კრება.</b> მთავრობის თავმჯდომარის პ. ნ. ჟორდანიას განცხადება. ახალი სამინისტროები. ქრისტეშობისთვის 30-ის საღამოს სხდომა .....	197
ნოე ჟორდანიას განცხადება – „დაიკარგა ანდრეიკას დატოვებული ძალლი“ .....	200
კაბინეტის კრიზისის გარშემო. მთავრობა მიდის მთელი შემადგენლობით.....	201
დამფუძნებელი კრება. მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას განცხადება. 3 დეკემბრის სხდომა.....	202
საქართველო და გერმანია.....	204
მთავრობის თავმჯდომარის განცხადება .....	206
<b>მიმართვები, მოწოდებები, დეპეშები</b>	
მთავრობის მიმართვა საქართველოს ყველა ქალაქებს, ერობებს და თემებს .....	209
მიწის ძვრის შედეგი გორში. მთავრობის მიმართვა .....	210
მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება .....	211
მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება .....	213
ნოე ჟორდანიას მოწოდება .....	214
მთავრობის თავმჯდომარისაგან .....	215
ბ. ჟორდანიას დეპეშა პარიზის კონფერენციას .....	216
სამუსლიმანო საქართველოში. მეჯლისის სხდომა .....	217

ნ. უორდანიას დეპეშა გრ. ურატაძეს .....	219
<b>ცერილები</b>	
დამფუძნებელი კრება. მთავრობის თავმჯდომარის წერილი.	
9 ივლისის სხდომა .....	223
გელათის გარშემო.....	224
კათალიკოზის წერილი ბ. მთავრობის თავმჯდომარეს.....	227
<b>სხვადასხვა</b>	
სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება.....	235
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მილოცვა .....	236
თავდაცვის ფონდი.....	237
პირთა საძიებელი.....	243
გეოგრაფიული საძიებელი .....	248
საგნობრივი საძიებელი .....	251



სადღესასწაულო ღონისძიებები  
საქართველოს დამოუკიდებლობის  
აღიარებასთან დაკავშირებით



# დამოუკიდებელი საქართველო

## დღესასწაული

დაახლოვებით დილის 11 ნახ. საათზე თფილისის გაზეთის რედაქციებმა მიიღეს ცნობა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოსა და ადერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

არ გასულა რამოდენიმე წუთიც, – თფილისის ყველა ქუჩები შეიმოსა ნაციონალური და წითელ დროშებით; ქუჩებში დაიწყო თავისუფალი დემონსტრაციები.

გვარდიისა და ჯარის ნაწილები დროშებითა და მუსიკით გაემართენ სასახლისაკენ. დაახლოვებით 12 საათზე რუსთაველის პროსპექტით გაიარა მასწავლებელთა ყრილობის მთელმა შემადგენლობამ, რომელსაც თან ახლდა სახალხო განათლების მინისტრი თავისი ამხანაგებით და დამფუძნებელი კრების წევრები. მთავრობის დაწესებულებათა შენობასთან მანიფესტაციას უერთდება სამხედრო მინისტრი.

სასახლემდე მანიფესტაციას აუარებელი ხალხი შეუერთდა. მანიფესტანტებმა დაიჭირეს მთელი მოედანი სასახლის წინ. სასახლის აივანზე გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი, რომელსაც ხალხი „ვაშა“-ს და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით ხვდება.

მინისტრი მოკლე სიტყვით მიულოცავს ხალხს ბრწყინვალე დღესასწაულს. მის შემდეგ სიტყვას ამბობენ სამხედრო მინისტრი და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე.

ხალხი დაუსრულებელ ტაშის ცემითა და ხმამაღლა ძახილით ითხოვს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ნ. ჟორდანიას გამოსვლას. შინაგან საქმეთა მინისტრი, ნ. ბ. რამიშვილი აცხადებს, რომ ნოე ავათაა და არ ძალუძს ილაპარაკოს. ხალხი ამან არ დააწყნარა და კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმა: „გამოვიდეს და დაგვენახოს მაინც!“ გამოჩნდება ნოე ჟორდანია მთავრობის კაბინეტის აივანზე და ულოცავს მანიფესტანტებს მოპოვებულ დამოუკიდებლობას. მთავრობის თავმჯდომარეს დაუსრულებელი ოვაციები გაუმართეს.

სასახლიდან მანიფესტანტები გაემართენ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს, მ. რ ოლივერ უორდროპისა და ამერიკის წარმომადგენლის, პოლკოვნიკ ჰასკელის ბინებისაკენ.

დღის 3 საათზე რუსთაველის პროსპექტისაკენ იწყეს დენა თფილისის ყოველ კუთხიდან მუშებმა, გვარდიისა და ჯარის ნაწილებმა და მრავალ ათას მოქალაქეებმა.

შეიარაღებული ნაწილები რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეზე ჩამწკრივდენ. ქუჩის შუა გულში თავი მოეყარათ სხვა და სხვა რაიონის მუშებს დროშებით და ორკესტრით. როგორც ჯარის ნაწილებმა, აგრეთვე გვარდიელებმა ცერემონიალის მარშით გაიარეს სასახლის წინ, სადაც იდგენ მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრები.

სასახლის აივანზე გამოჩდა ნ. ნ. უორდანია, რომელსაც დიდის აღტაცებით ეგებება ყველა. ესალმებიან აგრეთვე ოლივერ უორდროპს, რომელიც ნ. უორდანიას გვერდით მოთავსდა. მთავრობის თავმჯდომარე მუშებს მიმართავს სიტყვით და ამბობს, რომ დღევანდელი დღე არის საქართველოს დემოკრატიის საზეიმო დღე და მისი მუშათა კლასის პოლიტიკის გამარჯვება. ეს პოლიტიკა თავიდანვე, ამ სამი წლის წინათ, თქვენ მიერ შეთვისებული და მოწონებული იყო. მისი შედეგებით შეგვიძლიან განვსაჯოთ, თუ რამდენათ მიზან შეწონილი იყო იგი. თქვენ მიერ რჩეულმა გზამ მიგვახწევინა, რომ დღეს ასეთი ზეიმია. მე გისურვებთ თქვენ შემდეგ შიაც განგეგრძოთ ამ გზით სიარული და ამ გზიდან არ გადაგახვევიოთ არავითარმა გარეშე ძალამ და უმთავრესად იმ ძალამ, რომელიც მხოლოდ ანადგურებს და არაფერს კი არ ქმნის. ნ. უორდანია თავის სიტყვის დასასრულს უსურვებს მათ, რომ უკანასკნელ შესაძლებლობამდის დაიცვან თავიანთ მიერ არჩეული სწორი გზა. ნ. უორდანიას სიტყვა ხანგძლივ ოვაციებს იწვევს.

შემდეგ ლაპარაკობს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველი ერის საუკუნებრივ სურვილებს ფრთა შეესხა, საქართველოს ხალხი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის გზას დაადგა და ამ ჩვენ სურვილებს და ზრახვებს ერთგული დამცველი გაუჩინდა ოლივერ უორდროპის სახით, რომლის ოცდა ათის წლის შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდა. (მუშები, ჯარისკაცები და გვარდიელები „ვაშას“ ძახილით მიესალმებიან უორდროპს. უორდროპი ქართულ ენაზე

უპასუხებს: „გაუმარჯოს საქართველოს!“ შემდეგ ამისა მუშებს ესალმება მხურვალე სიტყვით ისიდორე რამიშვილი.

მთელ საღამოს ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო. სასახლე და საზოგადოებრივ დაწესებულებანი გაჩირალდნებული იყო. ქალაქის განაპირა უბნებსაც საზეიმო ელფერი ჰქონდა: მანიფესტანტები მუსიკით და სიმღერით რიგ რიგობით უორდრობის, ჰასკელის, მინისტრების ბინაზე მიდიოდნენ და ულოცავდნენ. მანიფესტაციები ღამის ათ საათამდე გაგრძელდა. ღამე დიდი ბანკეტი გაიმართა ქართულ კლუბში. საზეიმო ოპერა დადგეს სახელმწიფო თეატრში. ზეიმი აქა იქ დილამდის გაგრძელდა.

## დამოუკიდებელი საქართველო

### დღესასწაული

#### იანვრის 14-ს სხდომა

იანვრის 14-ს, ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით, მოხდა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ინგლისის წარმომადგენელი ოლივერ უორდროპი, საფრანგეთის მისის წარმომადგენელი, იტალიის წარმომადგენელი გაბბა, წარმომადგენელი მისიერბისა: საბერძნეთის, პოლონეთის, ფინლანდიის, ლიტვის, უკრაინის, ადერბაიჯანის და სომხეთის. სხდომას დაესწრენ აგრეთვე ბევრი სტუმრები და დიდალი გარეშე საზოგადოება.

#### მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჭორდანიას სიტყვა

ნოე ჟორდანიას გამოსვლას მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით ხვდება.

„მოქალაქენ! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მიულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხის გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამავლოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუმს არავითარ ძალ-ლონებს.

და ეს დიადი ისტორიული მოვლენა მოახდინა ერთმა გარემოებამ: საქართველოს ხალხის ერთსულოვანმა გამოსვლამ და ერთი აზრის, ერთი დროშის ქვეშ ერთხმად თავის მოყრამ.

საქართველო ამ ასი წლის წინად დასცა ფეოდალურმა განხეთქილებამ, საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ.

საქართველო დაცემის დროს არ არსებობდა, როგორც ერთი მთელი, ჭირში და ლხინში განუყრელი. მეფეებმა ვერ შექმნეს ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველო დღეს – აღდგენის დროს წარმოადგენს ერთ ორგანიულათ შეეფებულ სხეულს, ჭირში და ლხინში განუყრელს. დემოკრატიამ შექმნა ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველოს დაცემით დაეცა ტახტი, დაეცა ფეოდალთა უფლება.

საქართველოს აღდგენით აღსდგა ხალხი, დამტკიცდა დემოკრატიის უფლება.

ხალხმა დაიბრუნა ის, რაც დაკარგა მეფეებმა – თავისუფლება და შექმნა ხალხის სახელმწიფო, ხალხის წყობილება, ხალხის მმართველობა.

ასეთია, ბატონებო, ახალი საქართველო და ის წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებათ. წარვსდექით არა მოწყალეობისათვის, არამედ უფლებისათვის (ხანგრძლივი ტაში) და მათ გვითხეს: – რაა, რომ მოგაქვთ? ჩვენ უპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა; მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის ყურეში. ჩვენ არ ვართ სამანდატო, სააპეკუნო ხალხი; ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები). და ეს ჩვენ დავასაბუთეთ არა სიტყვით, არა კეთილი სურვილებით, არამედ საქმით, სახელმწიფოს შეუწყვეტელი შენებით.

და ეს ჩვენი სიტყვა და საქმე პირველ ყოვლისა იწამა ევროპის მუშათა დემოკრატიამ და ლიუცერნში გამოგვაცხადა დამოუკიდებელ საქართველოთ (ტაში). და აი ეხლა, რამოდენიმე თვის შემდეგ, ეს იწამა მმართველმა კლასებმაც და ის დაადასტურა პარიზის კონფერენციამ. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპის ხალხთა შორის არ მომხდარა ისეთი შეთანხმება, როგორიც მოხდა საქართველოს შესახებ.

იქ ლიუცერნში თავი მოიყარა მუშებმა, აქ პარიზში თავი მოიყარა სახელმწიფოებმა, ჩვენს შესახებ ერთი ენით ალაპარაკდა ყველა კლასი, პარტია, ერები.

აქ არის დიდი ბრიტანია – სამშობლო კულტურის, დიდი წარმოების და თავისუფალი მრეწველობისა.

აქ არის საფრანგეთი – სამშობლო დიდი რევოლუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა.

აქ არის შეერთებული შტატები – სამშობლო დიადი დემოკ-  
რატიისა და პოლიტიკური შემოქმედებისა.

აქ არის მშვენიერი იტალია – ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახ-  
ალი ცივილიზაციისა, ისეთი ცხელი მზით და მკვირცხლი ხალხით,  
როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხია. აი, ამათ ჩვენი გაწვდილი  
ხელი მეგობრულათ ჩამოგვართვეს და ახლად შობილი სახელმწი-  
ფოს მიმრქმელის როლი იტვირთეს.

ბატონებო! გვაქვს საფუძველი სიამაყისა. მოხდა იშვიათი  
ამბავი. მთელმა ევროპამ, განურჩევლათ პარტიისა და კლასისა,  
ერთხმათ გვითხრა: კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს  
შენი მობრძანება! და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა  
გავამართლოთ საქმით – გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი.

და ამას გავამართლებთ, თუ ჩვენ შემდეგ შიაც ვაწარმოებთ იმ  
პოლიტიკას, რომელსაც ვაწარმოებდით დღემდე; თუ ჩვენ არ გა-  
დავსცდებით იმ გზას, რომელზედაც ვიდოდით დღევანდლამდის.

ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები. ჩვენ  
გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არ-  
ჩეულ გზიდან არ გადაგვაცდინონ. თქვენ იცით, რომ ჩვენ საომ-  
არი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ გადაჭრით  
უარი უთხარით. ჩვენი პასუხი წაკითხული გექნებათ.

რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავში-  
რი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი  
გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისი-  
ნი ახალ მოკავშირებს ეძებენ.

დასავლეთი და აღმოსავლეთი – აი ეს კითხვაა ჩვენს ნინაშე  
დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და  
ვირჩევთ დასავლეთს და თუ ბალშევიკები აღმოსავლეთს ებლაუ-  
ჭებინა, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე  
და ცნობაზე.

როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც  
გაიყარენ. ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკ-  
ენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან – იმპერიალისტებს ემხრობითო.  
ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპე-  
რიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს (ხანგრძლივი ტაში).

ბატონებო, ნუ დაგავიწყდებათ მეცნიერების ანბანი, ნუ დავა-  
ნებებთ ვინმეს ფრაზებით გაგვაყრუოს და დავთარი დაგვიბნიოს.  
ხოლო ანბანია ის, რომ მუშა ხალხი მთელს თავის იმედს ამყარებს

კულტურაზე და არა ბარბაროსობაზე. ის მემკვიდრეა კაპიტალისტური წყობილების და არა აზიური კარჩაკეტილობის. ის სიმდიდრე, რაც მან შექმნა იმპერიალისტების ხელმძღვანელობით, უნდა გადავიდეს მის სრულ განკარგულებაში. ის სავსებით სდგას ევროპის წარმოების და იდეების ნიადაგზე. და აი ჩვენ, ბატონებო, გვეზიდებიან ბარბაროსობისაკენ. არა, ჩვენ იქით ვერ წავალთ, თუნდაც ეს მეტად მარცხნით იყოს წასასვლელი. პირიქით, ჩვენ უნდა შევსძახოთ საბჭოთა რუსეთს: დაბრუნდით უკან, ევროპისაკენ, შეითვისეთ დემოკრატია, გახდით ევროპიელი ერი!

ბატონებო, პოლიტიკა განიზომება მისი შედეგებით. საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს მიერ არჩეულ გეზს თავიდანვე მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

მან გადაგვარჩინა ფრონტიდან გამოქცეული ჯარების აკლებას.  
მან გვიხსნა ოსმალთა დაპყრობისაგან.

მან აგვაცდინა შინაური ხოცვა-ულეტა და ანარქია.

მან შეგვინარჩუნა რევოლუციის ყველა მონაპოვარი.

მან აგვაშორა საგარეო ავანტიურები, მოგვცა მეზობელ ერთა კავშირი.

მან შეგვიყვანა საერთაშორისო ოჯახში.

ამ ნაცად გზას ჩვენ ვერ გადაუხვევთ და მის დასაცავად მომხდურთ იარაღით შევებრძოლებით.

ჩვენ დავიცავთ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს: „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ლარიბად არ ვიხსენიებით“.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას!“ (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

# ლო ზორდანის სიჟვა, წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს

1918 წ. 26 მაისი

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრალიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შესაძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხისა, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქარტებილისგან დაიფაროს თავისი თავი.

და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში! (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისი არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავათ და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისთვისაც, რომელიც მოსახლეობენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში. მეტსაც ვიტყვი: ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეშეც, აგრეთვე სხვების დასაცავად.

ეს დიდი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძათ დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტია იმისა, რომ დღე-

ვანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრევილება-შეუსაბამოს ხოლმე თავისი ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენს გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკიცნეულობას და წყენას.

და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს სხვა და სხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდად იხსენიებდეს ქართველ ერს!?

ეს არის იმის თავდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს ვიქტორით მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი ჩვენს გარეშე-ეს არის სომხობა.

ძეველს ანდერძს დღევანდელი ქართველობა გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პპოვებს ჩვენში, რომელსაც პპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობილებაში ვიყოთ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან, მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვპარონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (მხურვალე ტაში).

ამასთანავე ეს დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა იქნება უფრო მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც, და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ, წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვა და სხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლება მოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა – ქართველობა.

ეს ერნი, შეერთებული ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან. და ამით ნარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე დაღუპულს სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).

ამ რიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, – სახელმწიფო კავშირი, – რომელიც საერთო ძალ-ლონე შეკრებილი, მთლიანი წარდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს (ტაში).

აი მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე, შესაძლებელია კვალად მობრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს. ამით დამყარდება ამიერ-კავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ეხლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისათვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით.

ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

## საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპები

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეოთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისე-თი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ რა თავის ძალ-ლონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით თავს იდვეს საკუთარი საქმეების გაძლოლა და ბატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შესაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი

ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვი-თარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერ-თაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლუ-რი განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზ-ღვრებში თანასწორად უზრუნველჲყოფს ყველა მოქალაქის სამო-ქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარე-ბის თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლო-ბით და დროებით მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

## მთავრობის თავმჯდომარის მისალეგა საქართველოს შეიარაღებულ ქალებს

მოგილოცავთ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს!

თქვენ ხართ ამ დამოუკიდებლობის მთავარი დარაჯი და მისთვის თავდადებული მებრძოლი.

თქვენ გიყურებთ მთელი საქართველო. მთელი ჩვენი დემოკრატია მოელის თქვენგან საქართველოს საზღვრების დღესაც ისე მედგრად დაცვას, როგორც წინად დაგიცავთ.

დღევანდელი დღე უმთავრესად თქვენი დღეა.

თქვენი ღვიძლიშვილია და დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველი განურჩევლად ხარისხისა, შეასრულებთ თქვენს სამხედრო მოვალეობას და ამავე დროს ჩვენთან ერთად იდღესასწაულებთ ამ დიდებულ დღეს.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს 26 მაისს!

მთავრობის თავმჯდომარე  
ნოე ჟორდანია

# საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო

## ეპიზოდი გაგება და გამო

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება

ამ ყამად ევროპაში მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა რადიო-დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად (დე იურე) სცნო საქართველოს რესპუბლიკა.

დამფუძნებელ კრებაში

**30 იანვარს დამფუძნებელი კრების მორიგი სხდომა გაიხსნა ნაშვადევის 1 საათზე.**

დღის წესრიგშია კონსტიტუციის განხილვა. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი მოხსენებას აკეთებს კონსტიტუციის მე-7 თავის (ფინანსების) შესახებ. სხდომა ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. მოხსენება დაახლოვებით 40 წუთი გაგრძელდა.

ამ დროს დამფუძნებელი კრების კულუარებში უკვე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ეს-ეს არის იტალიის მისიის წარმომადგენელმა მთავრობის თავმჯდომარეს – ნ. უორდანიას ევ. გეგეჭკორის მიერ გამოგზავნილი რადიო-დეპეშა გადასცა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ იურიდიულად ცნობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა განცხადებისთვის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანიას.

## მთავრობის თავმჯდომარის ნო 1 ზორდანიას სიტყვა

მოქალაქენო! მომეცით ნება, მოგილოცოთ ის ამბავი, რომელიც ეხლა მივიღეთ: ჩვენ გვატყობინებს ევგენი გეგეჭკორი იტალიის მისიის საშუალებით, რომ ამ თვის 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველო იურიდიულად.

ამ აქტით იშვა ახალი სახელმწიფო კაცობრიობის წიაღში. ეს ახალი სახელმწიფო არის ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ აქამდის თვითონ ვთვლიდით ჩვენს თავს სახელმწიფოდ, ჩვენ თავს თვითონ ვაღიარებდით სუვერენულ და დამოუკიდებელ ერთეულად. ამიერიდან კი ამ ჩვენს აზრს, ამ ჩვენს დებულებას, რომელიც ჩვენ ვაღიარეთ ამ სამი წლის წინად, დასთანხმდენ მონიავე სახელმწიფოები და ჩვენ შევედით საკაცობრიო ოჯახში, როგორც სრულ-წლოვანი და სრულუფლებიანი სახელმწიფო სრულუფლებიან სახელმწიფოთა შორის.

ჩვენ ამიერიდან არ გვეშინია არავითარი საფრთხის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოს ცნობა არის აქტი არა წუთიერი, არამედ არის აქტი მუდმივი.

თქვენ იცით, რომ ბელგია იქმნა დაპყრობილი, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ბელგია, როგორც სახელმწიფო, არ იქმნება აღდგენილი. ამ ჩვენ გართულებულ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ეს ჩვენი იურიდიული ცნობა უდრის დახმარებას. და აი, უნდა უძღვნა საღამი და გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთაც აი ახლა, ამ აქტით, ჩვენ ხელი გამოვიწოდეს და ჩვენ მდგომარეობაში აგვამაღლეს.

ვუძღვნი მადლობას ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს. აგრეთვე მადლობა უნდა ვუძღვნა ამ სახელმწიფოთა აქაურ წარმომადგენლებს, რომელთაც, ჩვენ ვიცით, დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და აქედან ამ აქტის სასარგებლოდ აწვდიდნენ იქ ცნობებს და ერთნაირად ეწეოდენ პროპაგანდას თავის ოფიციალურ წრეებში. ამ საქმეში მიიღეს მონაწილეობა აქ მყოფმა პოლკ. სტოქსმა, შევალიერ და იტალიის მისიამ. დღეიდან ჩვენ გვმართებს, რასაკვირველია, უფრო მეტი და გაორკეცებული მუშაობა, სიმაგრე და ერთი ფრონტის შექმნა ყოველგვარ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ, და ეხლა კიდევ უფრო გვმართებს დავაჩეროთ ჩვენი მუშაობა აი აქ, დღეს წარმოებული და მივიღოთ რაც შეიძლება ადრე კონსტიტუციონური სახეც. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ დღეიდან შეგვიძლია უფრო გულდამშვიდებით, უფრო მუყაითად ვიშრომოთ და მოვუწოდოთ ყოველ ჩვენ თანამშრომელთ, ყველა იმათ, ვინც აქტიურად იღებს მონაწილეობას ჩვენ სახელმწიფოს აშენებაში და აგრეთვე მთელ ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოსადმი ნდობა და მისი ყველა სახელმწიფოების მიერ აღიარება, როგორც სრუ-

ლუფლებიან სახელმწიფოსი, გავამართლოთ ჩვენი მუშაობით და  
ჩვენი სიმტკიცით (ტაში და ოვაციები).

საქართველოს რესპუბლიკა. – 1921. – 1 თებერვალი. – № 23 . – გვ. 2  
საქართველო. – 1921. – თებერვლის 1. – № 23. – გვ. 2.

# დღეს ძართველი ერი ზეიმობს, რადგანაც 1921 წ. იანვრის 27-ს დაგვირგვინდა ჩვენი რესპუბ- ლიკა მისი იურიდიულად ცნობით

## ფილი დღესასწაული

### საზეიმო დღე

ამა წლის 27-ს დაგვირგვინდა საქართველოს რესპუბლიკა. ამ დღიდან ითვლება ის ნამდვილ სახელმწიფოდ: გაიმარჯვება ჩვენი მთავრობის სწორმა ბრძნულმა პოლიტიკამ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ის მუდამ სამართლიანი, დემოკრატიული გზით ვიდოდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროს და აი, კიდევაც მიაღწია მთავრობის საქმიანობამ სასურველ ნაყოფს: საქართველოს რესპუბლიკა ამიერიდან არის სწორ უფლებიანი წევრი ევროპის დემოკრატიის საერთაშორისო ოჯახისა. ეს ფაქტი მას ამაღლებს, ძლევამოსილებას მატებს, უზრუნველჰყოფს მის მომავალს.

ბევრი შრომა და ღვაწლი დასჭირდა მთავრობას ამ გამარჯვების მოსაპოვებლად, რადგანაც გამარჯვება მეტად ცუდ და დამაბრკოლებელ პირობებში უხდებოდა მას – ევროპაში მუშაობის წარმოება ჩვენი საგარეო პოლიტიკის საბოლოო გასამარჯვებლად, გარშემორტყმული სხვადასხვა ჯურის მტრებით, რომლებსაც თავიანთ მუხანათური თავდასხმით არევ-დარევა შეჰქონდათ ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ამ მხრივ მეტად აფერხებდენ საქმეს. ყალბი ინფორმაციით თუ სხვა რომელიმე დაბალ ხარისხოვანი საშუალებით ისინი ცდილობდენ ჩვენი რესპუბლიკისთვის სახელი გაეტეხათ, დაემცირებინათ ის ქვეყნის თვალში. მაგრამ ევროპის დემოკრატია, მისი საკუთრესო წარმომადგენლები თვითონ გაეცნენ ჩვენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, საკუთარის თვალით ნახეს ჩვენი დემოკრატიის და მის ნდობით აღჭურვილი მთავრობის ნაამაგარ-ნამოღვაწარი და დარწმუნდენ, რომ საქართველო ღირსია დამოუკიდებლად არსებობისა; რომ მას შესწევს უნარი თავისივე თავის საკუთარი ძალლონით მოვლა-პატრონობისა. მიუხედავად რაოდენიმეჯერ ჩვენში გართულებულ

პოლიტიკურ მომენტისა, მთავრობას ოდნავათაც არ შეუნელებია საზღვარგარეთ მუშაობა მოპოვებულ გამარჯვებისათვის.

იწყება სრულიად ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში – ხანა გამარჯვების და ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცისა, რომელსაც ვერ შეარყევს ის უხეში ძალა, რომელიც დღეს ჩვენს საზღვრებს მოსდგომია და ლამობს ჩვენი რესპუბლიკის გაპარტიანებას. ჩვენ ეს ძალა დღეს მით უმეტეს არ გვაშინებს, რადგანაც ჩვენს მხარეზეა უფრო ძლიერი ძალა, ევროპის დემოკრატიის სახით. საქართველოს დემოკრატიის, მისი მთავრობის ენერგია ამიერიდან სავსებით მოხმარდება ჩვენი შინაური საქმეების მოწესრიგებას, შინაფრონტის განმტკიცებას, და რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი, იმდენათ სუსტი და უშედეგო იქნება მტრების იერიშები. და ჩვენც, ამ გამარჯვების სადღესასწაულო დღეს შინაურ სიმტკიცე-სიმაგრისაკენ მოუწოდებთ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო შვილთ.

ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიული წეს-წყობილების საპოლონდ განმტკიცება, სახელმწიფოს ეკონომიურად გამოჯანსაღება, თავდაცვისათვის დაუღალავი საქმიანობა – აი, რა უნდა შეადგენდეს ამიერიდან ჩვენი ზრუნვის უმთავრეს საგანს.

და ჩვენ ამ საერთო, ეროვნული ზეიმის დღეს სრულ იმედს და რწმენას გამოვსთქვამთ, რომ ქართველი ერი შინაურ ცხოვრება-შიაც მოიპოვებს პრიუნვილე გამარჯვებას.

8-

## სადღესასწაულო ცერემონიალი

კვირას, **6** თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის აღსანიშნავათ მომწყობი კომისია აცხადებს შემდეგ წესრიგს:

11 საათზე იკრიბებიან რუსთაველის პროს. ჯარი, გვარდია, მუშ. პროფეს. კავშ. პოლიტიკ. და კულტურული ორგანიზ. შევარდენი, მოწაფეები. ყველა ამათაგანს თავიანთ ადგილს მიუჩინევს განსაკუთრებული ხელმძღვანელები. სრულ 12 საათზე მთავრობა იღებს უცხოელ მისიებისაგან მოლოცვებს სასახლეში. შესავალი სამხრეთით.

პირველ საათზე მთავრობის თავმჯდომარე იღებს აღლუმს და ესალმება ხალხს. ცერემონიალით გავლილი ჯარი, გვარდია,

შევარდენი და მწკრივი ახალგაზრდობისა შემოუვლიან თავი-სუფლების მოედნით პუშკინის ქუჩით ლორის-მელიქოვისაზე, დაიჭერენ ადგილს ჩრდილოეთის ნომრების გასწვრივ მუზეუმის შესახვევში, კოლოუბნის, ქვაშვეთის და ბარიატინსკის ქუჩებზე. ამის შემდეგ იწყება მიტინგები დამფუძნებელი კრების წინ და რუსთაველის პროსპექტზე სპეციალურად ამისათვის გამართული ტრიბუნებიდან.

სიტყვის მსურველები წინდანინ უნდა ჩაეწერონ მომწყობ კომისიაში მუშათა პროფ. კავშირის სეკრეტარიატის მდივანთან.

სალამოს სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრებში გაიმართება საზეიმო უფასო წარმოდგენები. ბილეთები განაწილებული იქნება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა პროფ. კავშირის და პოლიტიკურ ორგანიზაციების საშუალებით.

ქალაქი გაჩირალდნებული იქნება. მოქალაქეებმა უნდა მორთონ თავისი სახლები ეროვნული და წითელი დროშებით, ხალიჩებით და გირლიანდებით.

8 საათიდან თავისუფლების მოედანზე, თვითმმართველობის შენობის აივანზე ამართული იქნება ეკრანი, საიდანაც აჩვენებენ კინემატოგრაფიულ სურათებს: საქართველოს დამოუკიდებლობას, სახალხო გვარდიის დღესასწაულს და ბათომში საქართველოს ჯარების შესვლას.

საერთო წესრიგს იცავს მილიცია. ხელმძღვანელობას უწევს, ადგილებს აწესრიგებს სპეციალური ხელმძღვანელები, კომისიის მიერ დანიშნულნი, რომელთაც ნიშნები ექნებათ კლავზე.

საერთო ხელმძღვანელობა ცერემონიისა და კისრებული აქვს მოურავს, ბ. ჩხიკვიშვილს.

## მუშათა პავშირების მონაცილეობა დღესასწაულზე

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა, მიიღოს თებერვლის 6-ს დღესასწაულის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობა. არჩეულია საგანგებო კომისია – მელაძისა, დობორჯგინიძისა და ჩხენკველის შემადგენლობით. კომისიას ევალება მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მსვლელობის დროს.

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ 2 თებერვლის სხდომაზე დაადგინა, მისცეს წინადადება საფაპრიკო კომიტეტებს, აუხსნან

მუშებს 6 თებერვლის დღესასწაულის ისტორიული მნიშვნელობა  
და მიიღონ თავის თავზე მუშების მსვლელობის ხელმძღვანელობა.

### **მთავრობის თავმჯდომარესთან მილოცვის მიღების დრო**

კვირას, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს სასახლეში მილოცვას უცხოელ წარმომადგენელთაგან – საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის გამო (შესავალი სამხრეთ კარებიდან).

Dimanche, le 6 février, à midi, le Président du Gouvernement recevra au Palais les félicitations des représentants étrangers à l'occasion de la reconnaissance de juré de la République de Géorgie (entrée du sud).

Въ воскресенье, 6 февраля, въ 12 часовъ дня, Предсѣдатель Правительства будетъ принимать во дворцъ поздравленія отъ иностранныхъ представителей по случаю признанія де юре Республики Грузія.

### **საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების გამო**

#### **მისალმებანი მთავრობას**

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოსულია შემდეგი მისალმებელი დეპეშები:

სამუსულმანო საქართველოს მეჯლისი მიესალმება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და ულოცავს მას დიად დე-სასწაულს. მეჯლისი თავისი მხრით მიიღებს ზომებს და იმუშავებს ეროვნული მთლიანობის განმტკიცებისათვის.

გორიდან – თავდაცვის განყოფილების ადგილობრივ გამგეობისაგან; თიონეთიდან – თიონეთის ერობის გამგეობის თავმჯდომარისაგან; დუშეთიდან – სოც.-ფედ. და სოც.-დემ. პარტიიების კომიტეტებისაგან; გორიდან – გორის ვაჟთა გიმაზიის ინსპექტორისაგან; ახალციხიდან – სახალხო ყრილობის თავმჯდომარისაგან; ვორონცოვკიდან, ახალენაკიდან – სახალხო ყრილობისაგან; ქუთაისიდან – ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან;

ბათომიდან – სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგეობისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფ. კავშირისაგან; გორიდან – სოც. დემ. ორგანიზაციების ყრილობის თავმჯდომარისაგან; სალოლლიდან – რაზმის უფროსიდან; ახალსენაკიდან – ადგილობრივ თვითმართველობისაგან; სილნალიდან – სახა-ალხო ყრილობისაგან; ყარაიაზიდან, ფოთიდან – სოც. დემ. კომიტეტიდან; სოხუმიდან – კომისარიატის თავმჯდომარისა-გან; ბათომიდან – სოც.-ფედ. პარტიის კომიტეტისაგან; ახალქა-ლაქიდან – სახალხო ყრილობის თავმჯდომარისაგან; დუშეთიდან – ქალაქის თვითმართველობისაგან; არტაანიდან, ონიდან, ხანაინ-იდან და მანგლისიდან – სამხედრო ნაწილებისაგან; აბაშიდან – ერობისაგან; ტფილისიდან – ჯავშნოსას ავტომობილებისა და ტანკების დივიზიონის უფროსისაგან; ართვინიდან, სილნალიდან, ყაზბეგიდან, სალოლლიდან, ცხინვალიდან, ნატანებიდან, ტფილი-სიდან, ნაოლალევიდან, უდედან და სხვა ადგილებიდან.

### **საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცენზა და მისი ეკონომიკური პერსპექტივები**

ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრმა საქარ-თველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: საქართველოს იურიდიულად ცნობას ჩვენი ეკონო-მიური მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ძირითად საფუძველს – დასავლეთ ევროპის კაპიტალისა, ტეხნიკებისა და სპეციალისტების შემოყვანას ყოველთვის ელობებოდა წინ ჩვენი იურიდიულათ არ ცნობა.

დასავლეთ კაპიტალის წარმომადგენლებს, რომელთაც სურ-დათ დაეჭირათ ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობა, არ ქონდათ კიდევ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ იკისრებდა იმ წაბიჯების პასუხისმგებლობას, რომელსაც გადადგამდა მხოლოდ ფაქტიურად აღიარებული მთავრობა. ამიტომ ბევრს, რომლებ-საც აინტერესებდათ საქართველო და რომლებიც იცნობდენ ჩვენ ქვეყანას, აშინებდა საკითხი: როგორ დასკვნამდე მივლიან დიდი სახელმწიფოები ბოლოს და ბოლოს საქართველოს ცნობის საკითხის შესახებ. ჩვენ გვცნობდენ ისეთ პირათ, რომელსაც ენდობოდენ თამასუქზე ხელის მოწერის გაკეთებას, მაგრამ ასეთი ხელის მოწ-

ერის უფლება არ გვქონდა. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შემდეგ კი ჩვენ არა მარტო არსებითად, არამედ ფორმალურადაც ისეთ კონტრ-აგენტათ ვხდებით, რომელიც აკმაყოფილებს უფლების ყველა მოთხოვნილებას. მაგრამ საქართველოს იურიდიულად ცნობას აქვს მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიურ უფლებრივ დამოუკიდებულების თვალსაზრისით, მას აქვს მნიშვნელობა აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ ხასიათის საჯარო, უფლებრივ დამოუკიდებულების დაჭერის თვალსაზრისით. ამდენ ხანს, მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებებს და ტრადიციულ შეთანხმებებს ჩვენ უახლოეს მეზობლებთან ვდებდით. ამიერიდან კი ჩვენ ასეთი ხელშეკრულებებით უნდა შევეკრათ აზისა და ევროპის ყველა სახელმწიფოებს.

სხვათა შორის, ამჟამად არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს იმისთვის, რომ საქართველოც ჩარიცხონ საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში, ვინაიდან კავშირის ბიურო, რომელიც დაგვპირდა კავშირში ჩარიცხვას, ერთად ერთ დაბრკოლებას ხედავდა იმაში, რომ ჩვენ არ ვიყავით იურიდიულად აღიარებული. ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით მოწყობილი დამოუკიდებულება კი თავის მხრით არის საფუძველი იმისათვის, რომ ეკონომიური ურთიერთობა წესიერ ნიადაგზე დადგეს. ეკონომიურ მისის ევროპაში ყოფნის დროს რომ ეცნო უმაღლეს საპჭოს ჩვენი დამოუკიდებულება იურიდიულად, ჩვენ უეჭველად მეტი შედეგებით დავბრუნდებოდით უკან. ჩვენი ის კონტრ-აგენტები, რომლებიც ჩვენ ხელშეკრულებებით შეგვერუნ და მხოლოდ ფაქტიურად გვცნობდენ, ღრმად იყვენ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი დიდ სახელმწიფოების მიმართ დაკმაყოფილებული იქნებოდა. პრაქტიკული მუშაობა ახლა მათთან უფლებრივის მხრით უფრო ხელსაყრელ პირობებში იწყება.

ეს კი უეჭველია, უფრო გააძლიერებს ფინანსიური და სამრეწველო წრის წარმომადგენლების მხრით სურვილს საქართველოსთან მტკიცე ეკონომიურ კავშირის დაჭერისას. ჩვენი მორიგი მიზანი ამჟამად არის საკუთარი ფულის სისტემის შექმნა. მართალია, თითქოს საერთო ეკონომიური პირობები არ არის ამისათვის ხელსაყრელი, მაგრამ ამ მეტად ძნელი საქმის განსახორციელებლად ჩვენ გვაქ შემუშავებული განსაზღვრული გეგმა და რეალური პერსპექტივები. ხარჯების შესამცირებლად ჩვენ ყოველგვარ

ზომას ვიღებთ. კერძოთ, ჩვენ დიდათ შევამოვლეთ ის ხარჯები, რომელიც ჩვენ საგარეო წარმომადგენლობას სჭირდება. ზოგი-ერთ ქვეყნებში, კავშირის დასაჭერად, ჩვენ უნდა დავკმაყოფილ-დეთ საკონსულოების დაარსებით. ამისათვის კი უნდა გამოვი-ყენოთ ადგილობრივად მცხოვრები ჩვენი მოქალაქები. საერთოდ, – სთქვა დასასრულ მინისტრმა, – საქართველოს დამოუკიდებლო-ბის აღიარების ფაქტიდან ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის გამომდინარეობს მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე შედეგები. გარდა ამისა, რესპუბლიკის იურიდიულად ცნობისაგან გამომ-დინარე, უფლებით სარგებლობა დამოკიდებულია კონკრეტიულ მოვლენებისა და ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებისაგან.

### დღესასწაული გათომში

ბათომშა საქართველოს იურიდიულად ცნობა იანვრის 30-ს შეიტყო. მიუხედავად ძლიერი წვიმებისა და გლახა დარისა, ქუჩებს და მოედნებს მოეფინენ სამხედრო ნაწილები ორკესტრე-ბით. გამოვიდა ქუჩებში ქალაქის მცხოვრებლებიც. სამხიარულო ცნობა მთელმა ქალაქმა იდლესასწაულა. საღამოს „გროტესტში“ წარმოდგენის დროს საზოგადოებამ და არტისტებმა საქართვე-ლოს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს – გრ. გიორგაძეს ოვაციები გაუმართეს.

იანვრის 31-ს მუშათა სასახლის წინ ჯარისა და გვარდის აღ-ლუმი გაიმართა. მიუხედავათ ძლიერი წვიმისა, ფილიდანვე მუ-შათა სასახლისაკენ დიდალმა საზოგადოებამ იწყო დენა. დღის პირველ საათზე მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა გრ. გიორგაძემ, დამფ. კრების წევრმა აკ. ჩხენკელმა, სიმაგრის შტაბის უფროსმა, გენ. წულუკიძემ და სხვებმა მიიღეს აღლუმი. დამფ. კრების სახელით ხალხსა და ჯარს მიესალმა აკ. ჩხენკელი. ამ დღეს სავაჭრო დაწესებულებები (შკოლები და სხვა დაწესე-ბულებები) დახურული იყო.

## დიდი დღესასწაული საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა

პირველად ხალხს დღესასწაული მიუღლოცა ნ. უორდანიამ, რომლის გამოსვლას მხურვალე და და ერთსულოვანი ტაშით შეხვდა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, მის სიტყვებს ფარავდა ტაში და ვაშას ძახილი. სხვათა შორის სთქვა: „ჩვენი სახელმწიფო აღიარებულ იქმნა რუსეთის მიერ, შემდეგ ის იცვნეს ევროპის სოციალ-ისტურმა კონგრესებმა და შემდეგ ევროპის სახელმწიფოებმა; აქედან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენს საქმეში ყველანი შეერთდნენ. ცხადია, ჩვენ მივდიოდით სწორი გზით, არ გაგვიკეთებია ისეთი შეცდომები, რომელსაც შეეძლო საფრთხეში ჩაგდება ჩვენი სახელმწიფოსი. აი ამ ნაყოფს ჩვენი მუშაობისა, ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს. მოგილოცავთ ამ დღესასწაულს და გისურვებთ არ გადასცდენოდეთ იმ სწორ გზას, რომლითაც დღემდე მივდიოდით. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას, გაუმარჯოს მუშა ხალხს. (კვლავ ტაში და ვაშას ძახილი)

## სადღესასწაულო ბანკეტი საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო

სადღესასწაულო ბანკეტზე, რომელიც გაიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროში მოკავშირეთა საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო წარმოითქვა შემდეგი სიტყვა:

**მთავრობის თავმჯდომარის ნ. უორდანიას სიტყვა**

მთელი საქართველო დღესასწაულობს საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას და საერთაშორისო ოჯახში სწორუფლებიანათ შესვლას. ქართველი ერი ამ აქტს ელოდა სამ წელიწადს, ელოდა როგორც დამსახურებულს თავისი წარსულით და თავისი აზმოთი. ქართველობა არ არის გუშინდელი, ახლად დაბადებული ერი, ერი მიუჩვეველი სახელმწიფოებრივობას და პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორი ათასი წელიწადი. მან გასძლო ამ აზისს შესავალში ხალხთა გადასახლების და შეხლა-შემოხლის შარა გზაზე და დაიცვა თავისი კულტურა, თავისი თვით არსებობა. ბოლოს ის თავის ნებით შეუერთდა რუსეთს, რომლის საფარველს ქვეშ მან განაგრძო თავისი კულტურული მუშაობა და პოლიტიკური წინ მსვლელობა. ბოლოს საქართველო თავისი ნებით გამოეყო რუსეთს, რუსეთისავე თანხმობით და ამით აღადგინეს იმ ასი წლის გაწყვეტილი სახელმწიფოებრივი არსებობა. დღვანდელ საქართველოს ასულდგმულებს ორი პოლიტიკური დედა აზრი. მან თავის დროშას დაანერა ორი მცნება: უფლება ერის, უფლება მშრომელის და ოქვენ გუშინდელ მანიფესტაციაში დაინახეთ ამ ორი პრინციპის ემბლემა – ხალხის ხელში ეს დროშა, ეს დროშა – მუშების და ნაციის და ჩვენ ხალხს გადაწყვეტილი აქვს ნაციის თვით არსებობას დაეხმაროს და მოაწყოს მშრომელთა საუკეთესო ცხოვრება. ამ გზაზე ჩვენ მოვდივართ არა განმარტოვებულათ, არა საკუთარ ძალ-ღონით, არამედ ევროპასთან ერთად და ევროპის დახმარებით. ჩვენ არ გვინდა ჩვენი სიზანტით ევროპას ჩამოვრჩეთ, მარა არც გვინდა, რომ საეგებიო ნახტომებით მოვინ-

დომოთ ევროპას წინ გავასწროთ. ამ ჩვენ ურთი-ერთობას ორივე მხარე მოვიგებთ. ჩვენ ევროპის კულტურის საქმიანობით და გა-მოცდილებით, ევროპა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით, ჩვენი გზით აზის ხალხებთან ურთიერთობის დამყარებით. 27 იანვრის აქტი საქართველოს ევროპას უკავშირებს და მათი მჭიდრო ურთიერთობის საძირკველს ყრის. ამ აქტში გამოიხატა წებისყოფა, როგორც ევროპის მართველი წრეებისა, ისე მისი ოპოზიციურათ განწყობილი დემოკრატიისა.

საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ მის კითხვაში შეერთდა ევროპა განურჩევლათ პარტიისა, კლასისა და რწმენისა. და აი ნება მომეცით დავლიო სადღეგრძელო ამ ჩვენი დიდებული იშვიათი წათლიებისა, დავლიო სადეღგრძელო აქ წარმოდგენილი დიდ სახელმწიფოთა ხალხთა და მთავრობათა, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, გერმანიის.

მე ვსვამ აგრეთვე სადღეგრძელოს ჩვენ წინ დაბადებულთა სახელმწიფოს, პოლონეთს, ამ აღმოსავლეთის საფრანგეთის და ფინეთის – ამ ჩრდილოეთ პოლონეთის; მე ვსავამ ჩვენთან ერთად დაბადებული დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოთა – ესტონიის, ლატვიის და ლიტვიის სადღეგრძელოს და უკანასკნელათ მე მინდა განსაკუთრებით დავლიო სადღეგრძელო ჩვენ მეზობელ ერთა და სახელმწიფოთა, რომელთანაც კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარებას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ, – სადღეგრძელო რუსეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, სომხეთის და ადერბეიჯანის. მე უსურვებ ყველას – გამთიშველი წარსული, მწარე წარსული დავინწყებულ იქნას და ხალხთა ერთობა, სოლიდარობა და კავშირი კვლავ აღდგენილ იქნას კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

**ბ. შევალიე** (საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში და უმაღლესი კომისარი კავკასიაში).

აუდელვებლათ ვერ ვუპასუხებ მე ბ-ნ თავმჯდომარის სიტყვას, საქართველოს განთავისუფლებისათვის საფრანგეთმა გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთება შეეძლო.

საფრანგეთი სულით და გულით ულოცავს საქართველოს ხალხს, მთავრობას და რესპუბლიკის თავმჯდომარეს. აქ მე ვხედავ ყველა ხალხის წარმომადგენლებს. ამ ხალხთა შორის ერთნი საფრთხეში გამობრძმედილი მეომრები არიან. მეორენი კი ყოფილნი, ან დღევანდელი მტრები, მაგრამ აქ ამ წუთში, ყველა ამ

წარმომადგენელებს აერთებს ერთი გრძნობა, გრძნობა მშვიდობი-ანებისა და შერიგებისა. ჩვენ თავს ვადგივართ საქართველოს აკ-ვანს და მე უსურვებ, რომ საქართველო თავის აღორძინების პირველ დღეს თავის გარშემო ხედავდეს მხოლოდ მომლიმარ სახეებს. ჩვენმა დიდმა პოეტმა ვიქტორ პიუგომ სთქვა: როდესაც ბავშვი გაჩნდება ოჯახში თავნი დაიხრებიან, გულნი გაიხსნებიან ბავშვის მისალებადო. ბატონებო, გავხსნათ ჩვენი გულები, დავხაროთ თავები, რომ ხალხთა ოჯახში მივიღოთ ახალგაზრდა, ახლად შობილი ან უკვედ ახლად აღორძინებული ჩვენი და.

დღეს მე აქ არ ვაწარმოებ პოლიტიკას. ჩემს სიტყვების უკან არ იმალება არავითარი საიდუმლო განზრახვა, არავითარი საიდუმლო აზრი. უდიდესი გულწრფელობით ვისურვებ, რომ ახლად აღორძინებულ საქართველოს გარშემო სუფევდეს „ქვეყანა-სა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, რაც საფუძველია საერთაშორისო აყვავებისა, კეთილდღეობის.

ვინაიდან მე წილათ მხვდა უპირატესობა აქ დამსწრე ერთათ ერთ ქალთან ჯდომისა, ნება მომეციო მივესალმო მისი სახით აქ დამსწრე ყველა ეროვნებათა ყველა ქალებს და ვისურვო რათა მათ შორიდან მოუძღვნან საქართველოს არა მარტო თავიანთი სურვილები, არამედ – ძლიერი მისნრაფებანი მშვიდობიანობისა. დიდის კმაყოფილებით ვუსმენდი მე ღრმად პატივცემულ რესპუბლიკის თავმჯდომარის მტკიცებას, რომ საქართველოს სურს დაამყაროს მშრომელთა კეთილდღეობა ეროვნული თვითარსებობის საფუძველზე.

ჩვენს დროში არ არსებობს სხვა საფუძველი, რომელზედაც შესაძლებელი იყოს სოციალური პროგრესის დამყარება. და ჩვენ საქართველოსთან ერთად სულით და გულით ვუსურვებთ, რომ მან თავის თავის გადარჩენასთან ერთად გადარჩინოს საქართველოს მშრომელებიც.

მე ვსვამ სადღეგრძელოს საქართველოს, მისი თავმჯდომარის, მინისტრების და კერძოთ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებლის, კ. საბახტარაშვილის. ჩემს სიტყვებს მე ვუერთებ ჩემს წინამოადგილე და მეგობარი – დე მარტელის გრძნობას. მე ვსვამ ბ-ნ ევ. გეგეჭკორის სადღეგრძელოს, რომელიც ამდენი ხანია ნაყოფიერად მუშაობს თავისი ქვეყნის სასარგებლოთ. დასასრულ მე გთხოვთ თქვენ საქართველოს აღორძინების დღესასწაულის დროს მოიგონოთ ყველა ის პირნი, რომლებმაც

მთელი თავისი ცხოვრება შესწირეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს, მსოფლიოს თავისუფლებასა, სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა. – 1921. – 13 თებერვალი. – № 3 – გვ. 1, 2.  
საქართველო. – 1921. – თებერვლის 15. – № 35 – გვ. 3.



სიტყვები და გამოსვლები



## დამუშავებელი პრეზენტაცია

ნორ ჟორდანიას სიტყვა

### 30 დეკემბერი

მოქალაქენო! ამას წინად თქვენ ამ ტრიბუნიდან გამოგეცხა-  
დათ, რომ მთავრობამ დააარსა ახალი სამინისტრო. ეს არის  
სამინისტრო მომარაგებისა. მე მინდა დღეს ვსთქვა, რომ ამ ახალ  
მინისტრს კიდევ მოემატა ორი მინისტრი. მაგრამ სანამ ამ კითხ-  
ვაზე გადავიდოდე და მოგახსენებდეთ ვრცლად, მე მინდა ორი-  
ოდე სიტყვით გაგაცნოთ ის მოტივები, თუ რისთვის დავაარსეთ  
მომარაგების სამინისტრო. ამ სამინისტროს დაარსება თავ-  
ისთავად ნიშნავს და გულისხმობს იმას, რომ მთავრობა თვითონ  
ჩაება აღებ-მიცემობის საქმეში, ე. ი. ჩვენ შევიქენით იძულებულ-  
ნი, გამოვსულიყავით ბაზარზე და ვიყიდოთ და გავყიდოთ ისე,  
როგორც ამას სჩადის რომელიმე ვაჭარი. ეს, რასაკვირველია, არ  
არის ჩვენს მიერ, ასე ვსთქვათ, მოგონილი ან და ვისიმე უინი ან  
ფანტაზია. ეს მდგომარეობა არის გამონვეული სრულიად ობი-  
ექტურ მიზეზებისაგან და ეს მიზეზები დღეს მოქმედებენ არა  
მარტო ჩვენში, არამედ ყველგან, მთელ მსოფლიოში. საქმე იმაში  
არის, რომ დღეს არა მარტო ჩვენს ახალს რესპუბლიკაში, არამედ  
მოწინავე ქვეყნებში, მდიდარ ქვეყნებში არის ჩამოვარდნილი  
დიდი ეკონომიური კრიზისი და ამ კრიზისის, ასე ვსთქვათ, ძირი  
ანუ მთავარი მიზეზი გახლავთ სულ უბრალო რამ: ეს ის, რომ  
დღეს კაცობრიობა ხარჯავს მეტს, ვინემ მას აქვს შემოსავალი,  
მაშასადამე, ამ შემოსავალს და გასავალს შუა არის დარღვეული  
წონასწორობა. თავის თავად ცხადია, რომ აქედან გამომდინარე-  
ობს ის ეკონომიური კრიზისი, ანუ ისეთი მდგომარეობა, როდე-  
საც ხალხს არ ძალუძს თავის ნაშრომით, თავის შემოსავლით  
თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. მიზეზები ასეთი მდ-  
გომარეობისა გამომდინარეობენ, რასაკვირველია, თქვენ იცით  
და ყველამ იცის ეს, უკანასკნელ მსოფლიო ომიდან. ომმა ისე  
გაანადგურა ძველი საწარმოვო ძალები, რომ ახალი მოთხოვ-

ნილებანი ახლად დაპრუნებულ საზოგადოებას ომის სფეროდან მშვიდობიანობის სფეროში ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია და ვერ მოუსწრია, რომ აღადგინოს ძველი ნორმალური ეკონომიური კალაპოტი; და ვინაიდან ასეთი არის მდგომარეობა, ვინაიდან ბაზარზე საქონელი მოდის ნაკლები, ვინემ ეს არის საჭირო საზოგადოებისათვის, თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ყოველნაირი კერძო კაპიტალი, რომელიც გამოდის ამ ბაზარზე, ვაჭრობის კაპიტალიდან იქცევა სპეცულიაციის კაპიტალად. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ დღეს სპეცულიაცია არის, ეს ნიშნავს იმას, რომ ვაჭარი, მრეწველი, როგორი პატიოსანი კაციც გინდა იყოს ის, როდესაც ის მიღის ბაზარზე და საქონელს იძენს, იმდენი მთხოვნელები ესევა, რომ ის სწერს ფასს, სწევს ორჯერ, სამჯერ, ასჯერ, და ათასჯერაც რომ ასწიოს, მაინც არის მყიდველი და იმიტომ, რასაკვირველია, ის ხდება სპეცულიანტად. ის რომ არ გახდეს სპეცულიანტი, ვთქვათ ვინმე გამოვიდა პირი ძველი პატიოსნებისა, ე. ი. ძველი ვაჭარი, რომელიც ამბობს, არ ავწევ ფასებს და გავყიდო ცოტაოდენი მოგებით; მაგრამ თქვენ დამერწმუნებით, რომ ის კონკურენციის ძალით იქნება სრულიად განადგურებული ორ-სამ თვეში, და ეს სპეცულიაციის კაპიტალი, რომელიც ბატონობს დღეს ბაზარზე, იქნება მაინც გაბატონებული. ასეთ ობიექტურ მდგომარეობაში, როდესაც ასეთ მდგომარეობაში არის ბაზარი, თუ სპეცულიანტებს დავანებეთ სრულიად ბურთი და მოედანი, თავის თავად ცხადია, რომ მთელი ხალხი შეიქნება საწველ ფურად და ამ კაპიტალის მსხვერპლად. ამიტომ ვამბობ, რომ სახელმწიფო უნდა გამოვიდეს, უნდა გაერიოს ამ საქმეში და თითონ დაიწყოს აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, და ერთგვარი კონკურენცია გაუწიოს, ერთგვარი კალაპოტი შეუქმნას თვით სპეცულიატიურ კაპიტალსაც, და ამავე დროს სახელმწიფო ივაჭრებს და საქმეს აწარმოებს ხალხის ინტერესების თანახმად. ამნაირად, სახელმწიფოს მიერ დღეს ვაჭრობის დაწყება ნიშნავს სპეცულიატიურ კაპიტალის ერთგვარ აღაგმვას და მის სათანადო კალაპოტში ჩაყენებას. და უნდა ვსთქვათ, რომ ასეთს ვაჭრობას დღეს მისდევს არა მარტო ჩვენი სახელმწიფო, არამედ ისეთი სახელმწიფოებიც, რომელნიც მუდამ ქადაგებდენ ვაჭრობის თავისისუფლებას და არასოდეს არ ქონდათ აზრათ, რომ ვაჭრობაში ჩაერეოდენ. აი, ბატონებო, ეს არის, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ დავაარსეთ ჩვენ

მომარაგების სამინისტრო. ეს სამინისტრო ჩვენ შევუერთეთ შრომის სამინისტროს. ეს იწვევს ერთნაირ პროტესტს, ამბობენ – სად მომარაგების სამინისტრო და სად შრომის სამინისტრო. უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის სამინისტროს და მომარაგების სამინისტროს შორის არის მეტად მჭიდრო კავშირი. თქვენ იცით, რომ დღეს, ამ სპეცულიაციის ხანაში, თუ ვინმე არის გაჭირვებული, უპირველეს ყოვლისა, არის მუშათა კლასი და სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი. რაც შეეხება სხვა კლასებს, ისინი, რასაკვირველია, იმდენათ არ არიან გაჭირვებული და შეუძლიათ თავისი მოთხოვნილება იოლათ დაიკმაყოფილონ. მაშასადამე, შრომის წარმომადგენელი, მშრომელი ხალხი, აი ეს კლასი, რომელიც ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიქონიოთ სახეში და მისი მოთხოვნილება სახელმწიფოს მიერ დაკმაყოფილებული უნდა იქნეს, და ვინაიდან შრომის სამინისტრო არის ამ კლასის სამინისტრო, მისს ინტერესებს იცავს, ეს კლასი არის მის გარშემო თავმოყრილი. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ის საქონელი, სურსათი, მანუფაქტურა და სხვა, რასაც იყიდის სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავიდეს ამ კლასის ხელში და ამ კლასს უნდა გაუზანილდეს. ეს უნდა მოხდეს შრომის სამინისტროს საშუალებით, ვინაიდან ამ სამინისტროში არიან ამ კლასიდან გამოყოფილი ხალხი და ისინი თავის მოძმეთ უფრო კარგათ გაუნანილებენ, ვიდრე სხვები.

აი, ასეთი არის ჩვენი მოტივები ამ სამინისტროს დაარსებისა. ამასთან, უნდა განვაცხადო, რომ მთავრობამ შემოიყვანა თავის წრეში ორი ახალი მინისტრი იმ დროს, როდესაც ეს დღევანდელი კაბინეტი სდგებოდა. მაშინ, როგორც იცით, ორი დიდი სამინისტრო ერთ პირს ჩავაბარეთ. ეს ორი დიდი სამინისტრო გახლდათ – შინაგანი და სამხედრო სამინისტროები. მაგრამ ჩვენ ჩავაბარეთ ერთი პირობით: ვთხოვთ საშინაო მინისტრს, რომ მას ეტვირთა სამხედრო სამინისტროც და ცხოვრებაში გაეტარებინა სამხედრო რეორგანიზაცია. შემდეგ ამისა შინაგან საქმეთა მინისტრს შეეძლო სავსებით მისცემოდა თავის სამინისტროს. უნდა ვთქვათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს დავალება ჩინებულად შეასრულა: მოახდინა ის რეორგანიზაცია, რომელიც თქვენ ყველამ იცით. ჩვენ ეხლა გვაქვს მჭიდრო, მტკიცე საფუძველი მხედრობისა და იმედი გვაქვს, რომ ამ საფუძველზე აღდგება და აშენდება მტკიცე და მამაცი ჯარი. აგრეთვე ამავე დროს მოხდა ჩვენი გვარდიის და

ჯარის უფრო მჭიდრო დაკავშირება და ხელიხელ გაყრილი მათი ერთად სიარული. აი, ეს არის მთავარი საქმე. ჩვენ დავაკისრეთ შინაგან საქმეთა მინისტრს – ნ. რამიშვილს. მან ეს შეასრულა და ეხლა უბრუნდება სავსებით თავის სამინისტროს. ჩვენ ამაზე ვიმს-ჯელეთ და სამხედრო მინისტრათ მოვიწვიეთ გრიგოლ ლორთქი-ფანისე (ი. მაჭავარიანი: გენერალია თუ რა არის?). უნდა მოგახ-სენოთ, რომ სამხედრო მინისტრისათვის აუცილებლად არ არის საჭირო, რომ ის იყოს მხედარი, ბრძოლის ველზე. მაგრამ როცა მინისტრი აწარმოებს ერთნაირ პოლიტიკას, ნუ სწუხართ გენ-ერლებზე, იწუხეთ იმაზე, რომ ის გენერლები იყვნენ კარგები იქ, სადაც ეს საჭირო არის (ასათიანი: იქაც კარგი გენერლები გავგ-ზავნეთ). მე მგონია, რომ ასათიანმა უნდა იცოდეს ის ამბავი, რომ საფრანგეთში დიდი ხანია სამხედრო მინისტრად არ არიან სამხ-ედრო პირები. უეჭველია, ასათიანმა ეს იცის, მაგრამ ამას ივიწ-ყებს აქ, დამფუძნებელ კრებაში (ვეშაპელი: პარლამენტის სამხე-დორ კომისიაში მუშაობის სტაჟი აქვს?).

რაც შეეხება მეორე მინისტრს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ იუსტიციის სამინისტრო გადავაციიეთ ცალკე სამინისტროთ. ჩვენ ეს სამინისტრო წინეთ დავუქვემდებარეთ გარეშე საქმეთა მინის-ტრს. მართალია, რომ ამ სამინისტროს სენატის დაარსებით შრომა რამოდენიმეთ მოაკლდა, ე. ი. მოსამართლეთ ნიშნავს სენატი, მა-გრამ მეორეს მხრით, ამ სამინისტროს შრომა მეტათ გართულდა. საქმე იმაში არის, რომ ჩვენს ახალ წყობილებაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი სამოქალაქო კანონ-მდებლობა. ეს 10-15 ტომი, რომელიც იყო ძველ არხაიულ რუსეთ-ში, ჩვენში არსებობს. ეს კი სრულებით არ შეეფერება ჩვენს დღე-ვანდელ მდგომარეობას, და ამიტომ პირველი აუცილებლობა და მთავრობის ვალდებულება არის, რომ ეს ძველი კანონები სრული-ათ იქნეს განხილული და ჩვენი დღევანდელი წყობილების თა-ნახმათ იქნეს შემუშავებული და თქვენს წინაშე წარმოდგენილი. არის დიდი სამუშაო; ამას დიდი ენერგია სჭირია და სწორეთ ასე-თი პირი ჩვენ მოვაწვიეთ. ეს არის ენერგიის პატრონი და მცოდნე რაუდენ არსენიძე (ტაში). ამნაირათ, დღეს ჩვენ გვყავს 8 მინის-ტრი, თითქმის თვითეულ უწყებას ჰყავს თავისი საკუთარი პა-ტრონი და მომვლელი (გვაზავი: რასაკვირველია, ეს საჭირო იყო). უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ასეთი დადგენილება გამოგვქონდა, სახეში გვქონდა არა მარტო ის, რაზედაც მე მოგახსენეთ, არამედ

გვქონდა სახეში, ასე ვსთქვათ, ჩვენი მომავალი პოლიტიკური პერსპექტივებიც. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ხახაში, რომ თვითეული მინისტრი, თვითეული მოხელე, თვითეული მოქალაქე უნდა იყოს თავის პოსტზე, უნდა იყოს დარაჯათ რესპუბლიკის ინტერესებისა, რომ ამით მოსალოდნელი პოლიტიკური თუ სამხედრო, ასე ვთქვათ, გამწვავებანი თავიდან ავიცდინოთ. თქვენ იცით, რომ ერთი ასეთი გამწვავება შეიძლება სულ ახლო მომავალში მოგვევლინოს ჩრდილოეთიდან. თავის-თავათ ცხადია, რომ როცა ბალშევიკები დაამარცხებენ დენიკინს, ისინი ჩვენს საზღვრებზედ არ გაჩერდებიან (კედია: მართალია!). თუ ეს მართალია, შეიძლება არც იყოს მართალი, მაგრამ ჩვენც მაინც უნდა ვიქონიოთ ეს სახე-ში და ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა ამის მიხედვით მოვაწყოთ. აქ უეჭველია, როლს ითამაშებს ის, რომ გვეყოლება სამხედრო ძალა – ერთის მხრივ, და მთელი საქართველო მეორეს მხრივ იქნება ერთსულოვნად გამოსული. ე. ი. შინაგანი სიმტკიცე და მაგარი ფრონტი – აი, ეს იქნება საშვალება, რომ მოსალოდნელ საფრთხეს თავი დავახნიოთ. ამიტომ მთავრობას აქვს სახეში, მოქმედება კიდევ უფრო გააძლიეროს: მართვა-გამგეობა, მხედრობა, გვარდია და შინაური წესრიგი მტკიცეთ დაიცვას და ვფიქრობ, დარწმუნებულიც ვარ ამაში, როცა ყველა ეს იქნება შესრულებული, ყველა იქნება თავის პოსტზე, ჩვენ ყოველნაირ საფრთხისაგან გამოვალთ გამარჯვებულნი (ტაში).

ად. ასათიანი (ნ. დ.). სამინისტროების დაარსების ასეთი წესი სავსებით ეწინააღმდეგება პარლამენტარიზმს. არ შეიძლება ასე ერთპაშათ სამინისტროს დაარსება და ისიც საკანონმდებლო ორგანოს დაუდასტურებლათ. არა მარტო ეს ახლათ დაარსებული სამინისტრო (მომარაგების), არამედ ყველა მომარაგების ორგანიზაციები არა ლეგალურათ არსებობდენ. ორატორი ეხება მომარაგების სამმართველოს და ამბობს: იქ საქმე ძალიან ცუდათ იყო დაყენებული. ანგარიშის წარმოება არ ხდებოდა სწორად, მთელს ორგანიზაციას მხოლოდ ერთი ბუხპალტერი ჰყავდა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენს მთავრობას არ ქონია და არც ახლა აქვს სამეურნეო, საეკონომიკ საქმეში რაიმე გარკვეული პოლიტიკა, გეგმა. სწორედ ამ უგეგმობით აიხსნება ის არევ-დარევა, რომელიც ჩვენს ეკონომიურ-ფინანსიურ ცხოვრებაში არის გამეფებული. ჩვენში ეკონომიურ საქმეს განაგებენ უცხოელები, შრეიდერი და

სხვ. შრეიდერი ძალიან საეჭვო პიროვნებაა, ის მოსკოვში მოღვაწეობდა. იქ ვექილთა საბჭომ გამორიცხა თავისი წრიდან, შემდეგ ადესაში საქმიანობდა. იქ სამართალში მიუციათ. ბოლოს ჩვენს რესპუბლიკაში შემოვიდა, ჩამოიტანა ჩაი. აქ მას მაღალი თანამდებობა შესთავაზეს და დღემდე მსახურობს (ჟორდანია: ის გადაყენებულია). ასე საქმის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. მომარაგების სამინისტრომ უნდა შექმნას პასუხის მგებელი შტატი, სახელმწიფო ქონება უნდა მოვლილ იქნეს ისე, როგორც ეს ძველი რეჟიმის დროს იყო. ყოველმა მოხელემ უნდა იცოდეს, რომ მას დაკანონებულ წესების დარღვევისათვის სასტიკი სასჯელი მოელის. სამინისტროში ყველა მწარმოებელს და ვაჭარს ერთნაირი წესით უნდა იღებდენ და არ უნდა იყოს ზოგიერთისთვის უპირატესობა. რაც შეეხება ეკონომიურ პოლიტიკას, ამის შესახებ ჩვენ აქ შემოვიტანეთ წინადადება, მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო ის წინადადება ჯერაც არ განხილულა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ კერძო ინიციატივას ფართო გზა მიეცეს.

გრ. გიორგაძე (ს. დ.) აღნიშნავს ასათიანის მიერ საკითხის დაწვრილმანებას და ამბობს: ბ-ნმა ასათიანმა საკითხი მეტად დააწვრილმანა და მთავარი საკითხი დაჩრდილა. მე ვეცდები შევაჩირო თქვენი ყურადღება მთავარ საკითხზე და მასთან კვალ და კვალ ვუპასუხო ბ-ნ ასათიანს. თუ ჩვენს განვლილ ცხოვრების ისტორიას გადავავლებთ თვალს, დაინახავთ, რომ იქ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ერთი რომელიმე მხარე: ან საგარეო, ან სამხედრო, ან-და სხვ. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ მთელს ჩვენს ყურადღებას იპყრობს შინაური გამაგრება, შინაური ცხოვრების განმტკიცება. ასეთ ხანაში ის შრომის განაწილება, რომელიც მთავრობის თავმჯდომარებ მოგახსენათ, სრულიად ბუნებრივია და მიზანშეწონილი (გვაზავა: ეს დიდი ხანია, საჭირო იყო). ის ორგანიზაცია, ბ. გვაზავა, რომელიც ცხოვრებას გაუსწრებს, არ იქნება ცხოველი და ვერ იხეირებს: ის ან ჩამორჩება, ან მოკვდება; ხოლო ცხოვრების კარნახით გადადგმული ნაბიჯი – აი, სწორი და მიზანშეწონილი მოქმედება.

უმთავრესი საკითხი ამ უამათ სასურსათო საკითხია. სასურსათო პოლიტიკა მოითხოვდა მის ცალკე გამოყოფას. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ობიექტურმა პირობებმა აიძულა ჩარეოდა და სააღებმიცემო საქმეში. ამ ჩარევის წინააღმდეგ აქ არაფერი

თქმულა და ვერც იტყვიან. სახელმწიფო იმიტომ ერევა აღებ-მიც-ემობის საქმეში, რომ მას ნორმალური მსვლელობა მისცეს. ვერძო ინიციატივა და საზოგადოებრივი ინიციატივა ერთად უნდა მიღ-იოდეს ხალხის კეთილდღეობის ინტერესების მიხედვით.

აქ ბ. ასათიანმა ახსენა, რომ თქვენ მიდიხართ ეკონომიური შა-ბლონით – რასაც გერმანიაში და რუსეთში მოიმოქმედებენ, თქვენ ის კარგი გგონიათ და ჩვენში გადმოგაქვთო. მე მგონია, რომ ეს შაბლონი არ არის – ეს ნაცადი გზაა, და ამ გზით სიარული უფრო ნაყოფიერი იქნება ხალხისათვის, ვინემ იმ გზით, რომელსაც თქვენ გვირჩევთ, ბ-ნო ასათიანო.

რაც შეეხება იუსტიციის და სამხედრო სამინისტროების დაარსებას, ეს გამოწვეულია შრომის განაწილებით. ამას საფუძ-ვლად უდევს შრომის განაწილება და მას უნდა მიექცეს განსა-კუთრებული ყურადღება.

აქ წამოიძახეს, რომ სამხედრო მინისტრი მაინცა და მაინც მხედარი უნდა იყოსო.

ეს ასე არ არის. სამხედრო სამინისტროს სათავეში უნდა უდგეს პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს ტეხნიკურ ძალებს და ორივენი ერთად განამტკიცებენ ჩვენს მხედრობას და დაიცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას. მთავრობა მთელი თავისი მოღვაწეობის დროს ერთ რამეს მიაქცევდა დიდ ყურადღებას: ეს იყო შინაური ცხოვრების განმტკიცება, შექმნა ისეთი საერთაშორისო პირობების, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს დამოუკიდებლობას და შექმნიდა კეთილ მეზობლურ განწყობილებას მეზობელ სახელმწიფოებთან. აი ეს იყო მთავრობის მთავარი სამოქმედო ხაზი და ჩვენი ფრაქცია სავსებით იზიარებს ამ ხაზს, სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და მხარს უჭერს მის ასეთ პოლიტიკას. მაგრამ მე უნდა დავძინო ერთი რამ: მთავრობამ ღირსეულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ ესევე არ ითქმის სახელმწიფოს მოხელეებზე. ამ მხრივ საჭიროა დიდი მუშაობა და ჩვენ გვვონია, რომ მთავრობის თავმჯდომარე უნდა აღიჭურვოს განსაკუთრებული უფლებებით მართვა-გამგეობის და კანონიერების დაცვის საქმეში. დასასრულ ორატორი ამბობს: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ხელიდან არ გაუშვებს იმ დროშას, რომელსაც აწერია: „საქართველოს დამოუკიდებლობა“, და რომელიც მას გადასცა დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს მიიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, როცა

სავსებით განმტკიცებული იქნება როგორც დამოუკიდებლობა, ისე შინაური ცხოვრება (ტაში).

ლ. შენგელია (ს. რ.): მთავრობის თავმჯდომარეს არ ქონდა ფორმალურათ უფლება, რომ სამინისტროები დაეარსებინა. იმ რეზოლუციაში, რომლითაც დამტუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარეს, ნ. უორდანიას კაბინეტის შედგენა მიანდო, ნათქვამი იყო, რომ მას აქვს უფლება მთავრობა შეადგინოსო. ეს უფლება მან მოიხმარა, და ახლა კი რა უფლების ძალით დააარსა სამინისტროები, ჩვენ არ ვიციოთ.

მთავრობის დეკლარაციაში მაშინ, როცა ახალი მთავრობა ჩვენს წინაშე წარმოსდგა, აღნიშნული იყო, რომ დაცულ იქნება თავისუფლება პრესის, სიტყვის, კრების და სხვა. სინამდვილეში კი სულ სხვა მოხდა: არც ერთი ეს არ არის დაცული.

რაც შეეხება ბიუჯეტს, აგერ 10 თვეა დამფუძნებელი კრება მუშაობს და ბიუჯეტი დღემდე არ განუხილავს მას. ფული უსისტემოთ იხარჯება, და ნაწილობრივ ამით აიხსნება ის ეკონომიური და ფინანსიური არევ-დარევა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში. არც საგარეო საქმეებში გადადგმულა გადამჭრელი და საღი ნაბიჯები. მთელი მისი მუშაობა თფილი და ნაზი წოტების წერაში გამოიხატა. ასე რომ ყველა სფეროში კრიზისია. ამ კრიზისიდან ერთად ერთი გამოსავალი არის შრომის კოლექტივიზაციის გზა. თუ ჩვენ გაბატონებული ვართ პოლიტიკურათ, ეკონომიურათაც უნდა გავბატონდეთ. ორში ერთი: ან გარკვეული კერძო ინიციატივა, ან საზოგადოებრივი კოლექტიური წარმოება. სოც. დემოკრატების მსოფლმხედველობა, რომ ბურუჟუზია დააგროვებს სიმდიდრეს და ის ჩვენ უნდა გავინაწილოთ, — ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია. დღეს ისეთი სოც. დემოკრატებიც კი, როგორიც პააზე, კაუციკი, პილფერდინგი და სხვ., არ უარყოფენ იმას, რომ საჭიროა წარმოების კოლექტივიზაცია (არსენიდე ადგილიდან: ტყუილია! ისმის ხმები: ეს ცილისწამებაა კაუცკზე). ამ რიგათ, ეს რეორგანიზაცია არაფერს არ გვიქადის, ეს არის ძველი სიმღერა, რომელიც არავის არ დააკმაყოფილებს.

სიგვიანის გამო კამათის გაგრძელება გადაიდო მეორე დღისათვის.

ერთობა. — 1920. — 3 იანვარი. — № 2. — გვ. 2  
საქართველოს რესპუბლიკა. — 1920. — 3 იანვარი. — № 2. — გვ. 2  
საქართველო. — 1920. — იანვრის 1. — № 1. — გვ. 2-3

## დაგვიუპნებელი პრეზა

### 6. ქორდანიას საპასუხო სიტყვა

#### 31 დეკემბრის სხდომა

მოქალაქენო, იმ შენიშვნებში, რომელითაც ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრეს ზოგიერთმა ორატორებმა, მე ავირჩიე რამოდენ-იმე მუხლი, ისეთი მუხლები, რომელთაც აქვთ საერთოდ პოლი-ტიკური მნიშვნელობა და მინდა ამ მუხლების შესახებ ვილაპა-რაკო. ეკონომიკურ კითხვებზე აქ უკვე ილაპარაკა ბ. ავალიანმა და კიდევ წინათ მეორე საკითხზე ილაპარაკა მომარაგების მინ-ისტრის ამხანაგმა.

აქ, უპირველეს ყოვლისა, მიაქციეს ყურადღება თვით ამ კაბი-ნეტის გადაჯგუფებას, ამ მინისტრების შეფასებას და სოქვეს: აქ რაღაცა ამბავია, რაღაცა საიდუმლოებაა, თორემ რატომ ეხლა მოაგონდათ, რომ სამი კაცი ახლა დანიშნეს მინისტრებათო. მე მგონია, რომ საიდუმლო არაფერი არ არის იმისთვის, ვინც საერ-თოდ ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ ურთიერთობას და ანგა-რიშს უწევს ცხოვრებას. ჩვენ არასოდეს არ გვქონია პრინციპიად, რომ 5, 10 თუ ოცი ყოფილიყო მინისტრი. ასეთი პრინციპით ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობთ; ეს არის კითხვა მიზანშეწო-ნილების, პრაქტიკული მოთხოვნილებისა, და არა პრინციპისა. თქვენ იცით, რომ ლოიდ-ჯორჯმა 12 მინისტრის მაგივრად აიყვა-ნა 20 მინისტრი. ეს იქ მოულოდნელი არ ყოფილა და არ წაურთმე-ვიათ ლოიდ-ჯორჯისათვის უფლებები, რომ მას 12 მინისტრის მა-გივრად 20 აეყვანა. ამის გამო მის წინააღმდეგ არც ერთ ჯგუფს, პარტიას, არაფერი უთქვამს. ეს იქნებოდა სადაცო მაშინ, რომ ამით იცვლებოდეს პოლიტიკა. აქ მართლა შეიცვალა თუ არა ჩვე-ნი პოლიტიკა? აქ ზოგიერთმა ორატორებმა დიდი პოლიტიკური დებატები გამართეს, თითქოს ახალი კაბინეტი გამოცხადდა და უნდა გააკეთოს რაღაც ახალი რამ. ჩვენი პოლიტიკა სრულებით არ შეცვლილა, მაშასადამე, პრინციპი რჩება ის, რაც იცით და გვა-ქვს. მხოლოდ ეს მინისტრების აყვანა და კაბინეტის ცვლილება და

გადაჯგუფება არის პრაქტიკული კითხვა და პრაქტიკული საჭ-იროებისაგან გამომდინარეობს. აქ ბ-ნი ვეშაპელი შეეხო ამ კითხ-ვას და მოიხსენია მინისტრის პირადობა. უნდა ვსთქვათ აქ ყველას საგულისხმიეროთ, რომ ამ ტრიბუნიდან არ უნდა იყოს სხვისი სი-ტყვა დამახინჯებული. ეს შეიძლება საგაზეთო პოლემიკაში, მა-გრამ აქ კი დაუშვებელია. აქ იწერება ყოველი სიტყვა და ამიტომ ყველას, ვისაც სურს ჩემი სიტყვის შესახებ ლაპარაკი, შეუძლია მოითხოვოს სტენოგრამა და წაიკითხოს. აქ მე არ მითქვამს, რომ სამხედრო მინისტრმა ყველაფერი გააკეთა-მეთქი; მე ვთქვი, რომ საფუძველი ჩაყრილია და ამ საფუძველზე უნდა აშენდეს მაგარი, მტკიცე და მამაცი ჯარი. ასე რომ, ახალ მინისტრს საპატიო საქმე და დიდი ალაგი აბარია და მაშასადამე, მის მხნეობაზეა დამოკ-იდებული ჩვენი იმედები. ჩვენ ვიწვევთ მინისტრს და ვიცით, რომ ის ამ მოვალეობას აასრულებს.

არც ის მითქვამს, რომ ახალი მინისტრი იმისთვის არის მოწვეული, რომ მან კოდიფიკაცია მოახდინოს. მე არა ვარ იურის-ტი, მაგრამ ვიცი მაინც, რომ კოდიფიკაცია ნიშნავს არსებული კანონების აწყობას. აქ კი ლაპარაკი არის ახალ სამოქალაქო კანონების გამოცემაზე, რომელიც შეეფერება ჩვენს დემოკრატი-ულ რესპუბლიკას. ამ სამოქალაქო კანონებშია საქმე. ვინც იცის ცხოვრების ამბავი, ვინც შორიდან მაინც უყურებს ძირითად კითხ-ვებს, სწორედ სამოქალაქო დებულება არის ძირითადი

და ამ დიდი საჭიროების საქმისათვის მოწვეული მინისტრი არსენიდე არის თავის ალაგას.

აქ ერთმა ორატორმა, შენგელაიამ, დააყენა კითხვა ფორმალ-ურად: აქვს თუ არა მთავრობის თავმჯდომარეს უფლება, რომ თა-ვისი უფლებით მოახდინოს ეს მინისტრების გადაჯგუფება. უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრით, ფორმალურად, სწორედ რომ ვერაფერი სანუგეშო მდგომარეობაში არის შენგელაია. არავითარი ფორმა, არავითარი კანონი სამინისტროს და მინისტრების შესახებ არ არ-სებობს (ლ. შენგელაია: მით უარესი!). ეს სხვა საქმე არის, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც არის (შენგელაია: ფორმულა?). ფორმულაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, სწერია, რომ თავმჯ-დომარემ მთავრობა შეადგინოსო და არა ის, თუ 5 ან 10 მინის-ტრი მოიწვიოს; და ვინაიდან მე ვთქვი, რომ არავითარი ფორმა გარდა იმისა, რაც შემოვიდეთ, არ არსებობს და ამას მოგახსენ-ებთ, მიიღებთ ამას თუ არა, ეს დამფუძნებელი კრების საქმეა.

მაშასადამე, არ არის რაიმე ფორმალური დარღვევა. უნდა გითხ-რათ, რომ მთავრობისათვის, მინისტრებისათვის, არა გვაქვს არ-ავითარი დებულება. ის ძელი დებულება, რომელიც არსებობს რუსეთში და რომლითაც სარგებლობა შეიძლებოდა, ჩვენში დიდი ხანია გაუქმებულია. პირველი ტომი კანონებისა გაუქმებულია და არავითარი ტომი არა გვაქვს და თავის თავად ცხადია ვლაპარა-კობთ იმაზე, რაც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ: ეს არის ჩვენი კანონი, ჩვენი ტომი. უეჭველია, როდესაც შემდეგ იქნება კონსტი-ტუცია მიღებული, რასაკვირველია, ისიც იქნება, თუ რამდენი პირისაგან შესდგებოდეს მთავრობა და რამდენი სამინისტროები იქნება, მაგრამ დღეს არ არის. ამიტომ ბ. შენგელაიას შეკითხვა არის სრულიად უბრალო. აი, სწორედ ის რეზოლუცია, რომე-ლიც იქნება დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, აი, ეს არის ჩვენი ფორმალური მხარე, ეს არის ჩვენი კანონი და მაშასადამე, სხვა კანონი არც გვქონია და არცა გვაქვს (ლ. შენგელაია: ფორ-მულაში ნათქვამი იყო – მთავრობის შედგენა მიენდოს). ბ-ნო შენგელაია, მე ეს მოგახსენეთ და სწორედ მაკვირვებს, რომ არ დაგიგდიათ ყური. დიახ, მთავრობის თავმჯდომარემ უნდა მთავ-რობა შეადგინოსო, იყო ნათქვამი ფორმულაში, და მე კიდევაც შევადგინე მთავრობა; რასაკვირველია, სამინისტროებიც მქონდა და მინისტრებიც მყავდა.

აქ სამინისტროს დაარსების დასაბუთება ზოგიერთებმა დამინუნეს. აქ ბ. ღლონტმა სთქვა, რომ რა ახალი ამბავი არის, სპეცულიატიური კანონის არსებობა, ეს დიდი ხანია არსებობს, ძელი ამბავია და აქამდე სად იყავით, დღემდი უნდა დაგეარსე-ბინათო. უნდა ვსთქვა, რომ მართალია. არის იმნაირი პოლიტიკა, როცა ამბობენ, რომ ეს ყველაფერი წინათ ყოფილაო. აი, „ური-ელ აკოსტაში“ ერთი მოხუცი იტყვის ხოლმე – ეს ყოფილა დიდი ხანია. ჩვენ ვამბობთ, რომ რაც დღეს არის, ეს არის ცხოვრების მოთხოვნილებისა, ამას ცხოვრება აყენებს დღიურ წესრიგში და ამას უნდა გავუნიოთ ანგარიში. მე ვამბობ: დღიურ წესრიგ-ში ეხლა სდგას ეს კითხვა მთელი თავისი სიმწვავით, როგორც არ იდგა არც რევოლუციის პირველ დღეებში, არც ომიანობის დროს. თქვენ იცით, რომ ომიანობის დროს არ ყოფილა ის ეკონო-მიური სიმწვავე, როგორც არის დღეს. მაშინ პური შაური ღირდა, ახლა კი 10 მან. და მეტიც. საქმე იმაშია, რომ ომიანობის დროს იყო ნამუშევარი ბევრი თაობისა, ეს იყო დაგროვილი და ამას 10-

20 მილიონი სჭამდა და სვამდა. და შემდეგ, როცა ეს გამოილია და არაფერი არ გაკეთებულა გარდა ომისა და ამ ჯარისკაცებს არც მოუმკიათ და არც უთხსიათ, ეხლა ყველა დაგროვილი გამოილია. ეს ეკონომიური სიმწვავე ეხლა იჩენს თავს იმიტომ, რომ ეხლა არის დალეული წინანდელი თაობის მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ამიტომ თავის თავად ცხადია, რომ იმ დროს არ ყოფილა ეს სიმწვავე, რომ ჩვენ სამინისტრო დაგვეარსებინა (დლონტი: წინათ არ არსებობდა?). მართალია, მომარაგების სამინისტრო იყო დაარსებული კერძნსკის დროს, მაგრამ ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ჯარისთვის მიგვეწოდებინა ის პური, რომელიც ყველგან იყიდებოდა და რომ ჯარს უკეთ მიწოდებოდა ეს პური, იყო დაარსებული ეს სამინისტრო. ამ უამათ კი სპეცულიატიურ კაპიტალს მიეცა ფართო ასპარეზი და ამ ასპარეზზე ჩვენც უნდა გამოვიდეთ და ამ კაპიტალს უნდა შევებრძოლოთ. აქ ამბობენ, რომ რა შუაშია აქ შრომის სამინისტროვო, ის თავისთვის უნდა იყოსო. ეს რასაკვირველია, არ არის პრინციპიალური კითხვა, ეს არის, ასე ვსტკათ, ერთგვარი პრაქტიკული მოსაზრება: სად სჯობდა, რომელ სამინისტროში უფრო მოხერხდებოდა მომარაგების სამინისტროს მოქცევა. და ვინაიდან მე ვთქვი, რომ შრომის პოლიტიკა არ შეიძლება ისე გავატაროთ, როგორც წინათ, როდესაც უფრო იაფი იყო სასმელ-საჭმელი, შრომის პოლიტიკას უნდა ვამყარებდეთ არა ცარიელ სიტყვებზე, არამედ ხალხს უნდა მოუტანოთ ის, რაც მას სჭირია, ოორემ რამდენიც არ უნდა ელაპარაკოთ ლამაზი სიტყვები და უთხრათ: „არ ვარგა გაფიცვები, ერთი და მეორე, ამით თუ არაფერს მოუტანთ, ცარიელი სიტყვები ვერავის დააგმაყოფილებს“. ჯერ კიდევ ამ მომარაგების სამინისტროს დაარსებამდე 50 მილიონი მანეთი გამოვიდეთ და მივეცით შრომის სამინისტროს და აი, ამ ფულით მუშებისათვის მას უნდა ეყიდნა საჭირო სურსათ-სანოვაგე ისე, რომ სანამ ჩვენ სამინისტროს დავაარსებდით, უკვე ავიღეთ ეს ალლო, შრომის სამინისტრომ უკვე დაიწყო მოქმედება. ჩვენ ეს ფაქტი დავადასტურეთ და მას მივეცით ერთნაირი იურიდიული აზრი, სანქცია (ისმის ხმა: „ცუდი აზრია“!). ჩვენ ვსჯით იმისდა მიხედვით, თუ რანაირ პირობებში გვაყენებს ცხოვრება და რანაირ მოთხოვნილებებს გვიყენებს. თქვენ გვითხარით, შეეფერება თუ არა ეს მოთხოვნილება იმ პასუხს, რომელიც თქვენ მოგახსენეთ. გარდა ამისა, უნდა გითხრათ, რომ თუმცა მინისტრი ვარ, მაგრამ ძალიან დიდი წარმოდგენა არა მაქვს იმაზე,

როცა სურსათს ანაწილებენ ჩინოვნიკები. აი, სწორედ შრომის სამინისტროში არიან არა ჩინოვნიკები, არამედ საუკეთესო წარმომადგენლები ისეთი კოოპერატურებისა, რომელიც მუშათა კოოპერატივებში მუშაობენ და იმათ ხელში არის ეს საქმე. მაშასადამე, აქ არის პრაქტიკული გამოცდილება...

(დლონტი: „ალორძინებაში“ რა ხდება?) – ეს მე არ ვიცი. გუშინ და დღეს იმიტომ ვართ აქ, რომ სამინისტროს ამბები ვიცით, და უნდა მოგახსენოთ, რომ „ალორძინებაში“ ცუდი ამბავი მოხდა, ეს სამინისტროს არ გაეყარება.

აქ ჩვენ გვითხრეს, რომ რა პოლიტიკაა ის, როცა ერობას, თემს, ქალაქს – სუუველას თავისი პოლიტიკა აქვს. მართალი ვსთქვათ, ეს კრიტიკა, შენიშვნა რამოდენიმეთ მართალია. იმას ჩვენც ვებრძვით, რომ თვითეულ ერობას არ ქონდეს სადარაჯოები გაკეთებული და ძველებურ ფეოდალური დროის მსგავსად არ ქონდეს საბაჟოები. მაგრამ თქვენ არ მიგვითითებთ იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა შევებრძოლოთ. მაგ., როცა თქვენ აირჩიეთ მთავრობის თავმჯდომარე, მიეცით მას რაიმე უფლება? არავითარი ძალა-უფლება მისთვის არ მიგინიჭებიათ. მთავრობის თავმჯდომარისათვის და მინისტრებისათვის არ მიგიციათ ის უფლებები, რომ ამ პირებმა ასეთი მოვლენის წინააღმდეგ მიიღონ რაიმე ზომები (შენგელაია: სასამართლო?). თქვენ იცით, რომ სანამ სასამართლოში საქმე გათავდება, მანამ ბევრი რამე დაინგრევა. სამი ინსტანცია არის და სანამ ამ ინსტანციებს გაივლიდეს, ეს კითხვა მოწონებული იქნება: მანამ საქმე ან დაინგრევა, ან აშენდება (ა. ასათიანი: განა თქვენ არ ბრძანებთ, რომ საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც მთავრობას მოხელეები არ ყავსო). დიახ, მოხელეები არ ყავს ცენტრალურ მთავრობას. გთხოვთ, ნუ შეაკეთებთ იმას, რაც მე ვსთქვი. მე ვსთქვი, რომ ცენტრალურ მთავრობას პერიფერიებში თავისი მოხელეები არ ჰყავს-თქმ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს იქ არ ყავდეს მოხელეები – იქ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები; ხოლო დამოკიდებულება ერობათა და ცენტრალურ მთავრობას შორის ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ეს დიდი კითხვა არის, მაგრამ სანამ ეს ჩამოყალიბდებოდეს, მანამ ჩვენ არა გვაქვს ძალა, რომ მოხელეთა უკანონობას შევებრძოლებით. მე პარტიულ ყრილობაზედაც ვსთქვი, რომ ჩვენში მეტად ძნელი გახდა დაცვა კანონიერებისა, იმიტომ რომ არავის სურს მოთავსდეს კანონის

ფარგლებში, არამც თუ მოხელეს, არამედ უბრალო მოქალაქესაც. იმას უნდა აღზრდა, უნდა დისციპლინა. ამისთვის საჭირო არის მაგარი ხელი და ეს ხელი თუ გვექნება, მაშინ ჩვენ მოვახერხებთ კანონიერების დაცვას.

ყოველ შემთხვევაში, როცა აფასებთ მთავრობის პოლიტიკას, უნდა შეაფასოთ ის არა განყენებულად, არამედ იმის ნაყოფის და გვარად. მე შემიძლია ვთქვა ერთი რამ: რომ ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც არის ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში, გაცილებით უარესია, ვინემ ჩვენი სახელმწიფოსი. იქ, სადაც პური ყოველთვის აუარებელი იყო, განიცადეს საშინელი სიძვირე. მაგ., როსტოკი. იქაც უფრო ძვირია პური, ვინემ ჩვენში. აიღოთ, თუ გნებავთ, ბათუმი და ბაქო: იქაც უფრო ძვირია, ვინემ აქ. შედარებით სხვა სახელმწიფოებთან, ჩვენ რაღაცას ვახერხებთ და ეს უნდა უკვირდეს ადამიანს. კაცო, ეს რა ხდება, რომ იმისდა მიუხედავად, რომ იქ ფული არის, აქ კი ბონი, ცხოვრება იქ უფრო ძვირია, ვიდრე აქ (ლლონტი: ვინ გააკეთა ეს? სპ. კედია: რაშია სეკრეტი?). ეს სასწაული არ არის. ეს არის საღი პოლიტიკის ნაყოფი. საღ პოლიტიკას პურის მოტანაც შეუძლია. და იმ პოლიტიკას რომ გავყვეთ, რომელზედაც შენგელაია ლაპარაკობდა, მაშინ აქ პური კი არა, ქვა-ქვაზე არ დარჩება. აი, ბატონებო, თქვენ გახსოვთ, რა ილაპარაკა შენგელაიამ: „ჩვენში არც თავისუფლებაა, არც არაფერი; კაპიტალისტური პოლიტიკის მომხრენი ვართ, და სხვ.“ არ ვიცი, თუ ჩვენში არ არის თავისუფლება, მაშინ სად არის? უეჭველია, არ არის თავისუფლება იმათვის, ვინც ანგრევს რკინის გზებს, ცემა ჩვენს გვარდიას, კომისარიატს და სხვა, ვინც აწყობს ასეთ შეიარაღებულ გამოსვლებს. თუ ბ. შენგელაიას სურს ამათ მივცეთ თავისუფლება, მაშინ თავისუფლება უნდა მივცეთ იმათაც, ვინც ქურდობს და კაცს კლავს. ეს ნიშნავს თავისუფლებას? ასეთი თავისუფლება ჩვენ არ გვწამს და ამას რამოდენიმედ აქვს გავლენა იმაზე, რომ ჩვენში შედარებით პური იაფია.

აქ სთქვეს: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ – ეს ნიშნავს ცოტა რევოლუციისაკენ, ცოტა ბურჟუაზიისაკენო. მე ვიცი ერთი პარტია, რომელიც ფიქრობდა: ცოტა რევოლუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენო, და ამით დაიქცა რუსეთი. ეს არის რუსეთის სოც.-რევოლუციონერთა პარტია (გობერია: ჩხეიძე და წერეთელი ხომ იქ იყვნენ?). იყვნენ, მაგრამ იმათ გვერდთ ედგნენ ესერე-

ბი, რომელნიც ეუბნებოდნენ, რომ ყველა ქალაქებში ესერები ვართ; მხოლოდ ესერები ნიშნავს ამას: ცოტა რევოლიუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენ, და ამან დაანგრია რუსეთი. ჩვენ ვიდექით და ვდგევართ რევოლიუციის ნიადაგზე და თქვენ დამისახელეთ რომელიმე რევოლიუციონური მთავრობა ან პარტია, რომელმაც მოახერხა გატარება თავის ქვეყანაში ისეთი რეფორმების, რომელიც აქ მოვახდინეთ. დამისახელეთ ამისთანა მთავრობა და მაშინ თქვენ მართალი იქნებით, მაგრამ თქვენ ამისთანა მაგალითს ვერ მოიყვანთ (სპ. კედია: რევოლიუცია ხომ ფოსტით მივიღეთ?) ფოსტით მიღებულსაც, ბ-ნო სპირიდონ, მოვლა უნდა. აი, მე ვამბობ, რომ შენგელაიას პოლიტიკას ჩვენ ვერ ვაწარმოებთ და ვინაიდან ამ პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ, ამიტომ რასაკვირველია, არის ის, რომ სხვათა შორის აქ ცხოვრება უფრო იაფი არის, ვიდრე იმ მოსკოვში, საითკენაც შენგელაია იყურება (გობეჩია: ვეzetებ, ვეzetებ). ბ. ვეzetებ, ვეzetებ, მაგრამ ჭკუაც ხომ უნდა! (სპ. კედია: დღის ვეzetებ, ვეzetებ...)

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა გახდავთ შემდეგი: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპიდან ვერაფერს დიდს ვერ მივიღებთ, შეიძლება სრულებითაც არაფერი მივიღოთ (შენგელაია: აზიადან?). აზიაში ასათიანი იყურება და იმას კითხეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ მიწა-წყალმა მეტი ნაყოფი მოგვიტანოს. ეს არის ჩვენი უაღრესი მიზანი, რომ ჩვენში ყველა მიწა ყოველნაირი საშუალებით იქნეს გამოყენებული; რომ ჩვენ ასე თუ ისე დავაგროვოთ და დავამზადოთ ის სურსათი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. სწორედ ეს არის ერთნაირი პრაქტიკული დღევანდელი მიზანი და ჩვენ თუ ამას მივაქციეთ ყურადღება და თუ ამისთვის ერთგვარი თანხაც გავიღეთ, მე მგონია, ამ მიზანს მივაღწევთ. აქ ორი მაზრა ისეთია, რომ იქ პური დავთესოთ; მარტო ის პური ეყოფა მთელს საქართველოს (ვეშაპელი: ამ ზამთრისთვის?). ამ ზამთრისათვის არის ის, რომ დღეს გამოვითხოვთ 250 მილიონი მან. და ამაზე არის აშენებული ის გეგმა, რომელიც შემუშავებული აქვს შრომის სამინისტროს. თავის თავად ცხადია, რომ თუ ისეთი იდეალი დავისახეთ, როგორც ასათიანს ქონია – სპარსეთი, მაშინ უნდა ვქნათ ის, რაც იქ არის: პარლამენტი დავითხოვოთ, რკინის გზები მოვშალოთ, ლიტერატურა არ იყოს, ტელეფონი მოვშალოთ, ე. ი. ჩავვარდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით 100 ნლის წინათ და

შეიძლება ერთი ნატეხი პურის, ან მჭადის, ან ნესვით და საზამთროთ ვირჩინოთ თავი. მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთნაირი კულტურა და მოთხოვნილებები და ვინაიდან ჩვენ ვართ კულტურულ ხალხთა შორის, არ გვინდა უკან დაბრუნება! (კედია: არც სპარსეთის ბრინჯი გაინდა?) ჩვენ სპარსეთის ბრინჯისათვის ხელს ვერ ავიღებთ, ვერც რკინის გზებზე და ვერც ჩვენს კულტურაზე.

აი, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის ის, რომ იმ კულტურულ და ცივილიზაციის დონეზე შევაჩიროთ, რომელზედაც დღეს ვართ: თუ წინ არ წავალთ, უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. აი, ამისთვის არის საჭირო მთელი მომარაგება და ამაზე არის, ბატონებო, აგებული მთელი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება, რომ ამ კულტურულ და ცივილიზაციის გზიდან არ გადავიდეთ. შეიძლება ვინმეს აჩქარებოდეს, მაგრამ ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ აჩქარებული კვიცი ხრამში გადავარდებაო (ვე-შაპელი: დედას რომ გაუსწრებს, არა?) დიახ. (ვე-შაპელი: დედა თქვენა ხართ?) ამიტომ ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი მთავრობა, შეიძლება არ იყოს აჩქარებული პოლიტიკა, მაგრამ არც დაყოვნებით, არც აჩქარებით. მაგონდება ერთი ინგლისელის თქმულება: ნელა, მაგრამ მალე... ნელა, მაგრამ არა უკან, არამედ, სადაც დავდგით ფეხი, უნდა წავიდეთ წინ, და თუ წინ არა, უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. ასეთი სიარულით მივალთ იმ საფეხურამდე, რომელსაც ქვინ ჩვენი საბოლოო მიზანი (ასათიანი: სოციალიზმი!) დიახ, ასეთი სიარულით, მაგრამ ისე აჩქარებით, როგორც სურს ზოგიერთებს, ვერ მივალთ ამ მიზანამდე. და ის რევოლუცია, რომელზედაც შენგელაია ამბობდა, პერმანენტული რევოლუციიდან გადაიქცევა პერმანენტულ შიმშილად. სოციალიზმი კი შიმშილს არ ნიშნავს. თქვენ თუ გგონიათ, რომ ბალშევიზმი სოციალიზმია, მაშინ სცდებით. ეს სრულებით არ არის სოციალიზმი. სოციალიზმი ის არის, რომ არ იქნება გაჭირვება. (ვინ შექმნის ამ სიმდიდრეს, ბურჟუაზია?) ხალხმა უნდა შექმნას. უნდა ვსთქვათ, რომ ბურჟუაზია ვერ შექმნის. მაგრამ თუ მარქსიზმი იცით, უნდა იცოდეთ, რომ მუშა ხალხი არის მემკვიდრე ბურჟუაზისა.

ამ გზაზე ვდგავართ ჩვენ და არ ვფიქრობთ, რომ ჩვენში სხვა რომელიმე კლასი, გარდა მუშათა კლასისა და დემოკრატიულად განწყობილი გლეხობისა, შექმნას ეკონომიური სიმდიდრე. მე ვამბობ, რომ ეს გზა არის ის გზა, რომელიც არჩეული აქვს დემოკრა-

ტიას – რეფორმების გზა და ასეთი სიარულით წინ მედგრად – ეს გზა არის არსებითად მისაღები ნაყოფიერი გზა. ამას მოსდევს მთელი ჩვენი დემოკრატია და ამას უნდა მისდევდეს დამფუძნებელი კრებაც. (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).

## რეზოლუცია

მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ, დამფუძნებელი კრება იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. უცხადებს მას სრულ ნდობას და ადგენს: სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში.

ერთობა. – 1920. – 6 იანვარი. – № 4. – გვ. 2.  
კამათი იხ. ერთობა. – 1920. – 4 იანვარი. – № 3 – გვ. 2.

## ნოე ზორდანიას მოსენება პარტიულ თათბირზე

25 მარტი, 1920 წ.

ამხანაგებო! საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიას წილათ ხვდა იშვიათი ისტორიული როლი.

არა თუ იშვიათი, არამედ – ეს არის ერთად ერთი მაგალითი მთელს ისტორიაში. ასეთი როლი არამც თუ არ ჰქონია რომელიმე სოციალისტურ პარტიას, არამედ – ეს არ ჰქონია არც ერთ თანამედროვე პოლიტიკურ პარტიასაც კი. ეს როლი მდგომარეობს იმაში, რომ პარტიას მოუხდა არა მარტი დარღვევა ძველი პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობისა, არამედ – აშენება სრულიად ახალი სახელმწიფოსი, რომელიც პარტიის მოღვაწეობის ხანაში არ არსებობდა. და ამ ახალ სახელმწიფოს ფარგლებში მან უნდა მოაწყოს ახალი პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა. ეს როლი შეიცავს ორ გვარ საქმეს, ერთი არის აგება ახალი სახელმწიფოს დემოკრატიულ ნიადაგზე, მეორე ამ ახალ, წინათ არ არსებულ სახელმწიფოში, რომელსაც აქვს ახალი ფარგალი, – ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და ეროვნული. ჩვენი პარტია არა თუ თვითონ უნდა მოწყობილიყო, არამედ – უნდა მოეწყო მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ყველა წინანდელი რევოლუციები არღვევდნენ ძველ სახელმწიფო წყობილებას და შემდეგ ახალ წყობილებას აშენებდნენ. იმავე სახელმწიფოს ფარგლებში, რომელშიაც წინათ მუშაობდენ.

ამ დიდ და ძნელ მუშაობას 2 წელია რაც ჩვენი პარტია სანაქებოთ აწარმოებს. ამ მუშაობის გზაზე ჩვენ ბევრგვარი დაბრკოლება დაგვხვდა წინ, დაბრკოლება როგორც საგარეო, ისე საშინაო, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებისა, ჩვენ ყველგან გამოვედით გამარჯვებული.

რით აიხსნება ეს?

ეს აიხსნება ორი გარემოებით. ერთი იმით, რომ პარტიას ყოველ მომენტში ჰქონდა ნათელი პოლიტიკური წარმოდგენა. პარტია თან მისდევდა ყოველგვარ პოლიტიკური კონიუქტურის შეცვლას, ამას იგნებდა და სდგამდა შესაფერ ნაბიჯებს. ჩვენ

ყოველთვის ვსჭრიდით იმ კვანძს, რომელიც უნდა გაჭრილიყო. ეს გვიხსნიდა მოსალოდნელ საფრთხისაგან. რომ ყოველთვის ნათელი და სწორი პოლიტიკური წარმოდგენა არ გვქონოდა, მაშინ ჩვენ ვერ მოვიპოვებდით იმ გამარჯვებებს რომელიც მოვიპოვეთ.

მეორე მიზეზი ჩვენი გამარჯვებისა იყო ის, რომ ჩვენს პარტიაში იყო მტკიცე ერთობა. ჩვენი პარტია ამ ორი წლის განმავლობაში მუდამ გამოდიოდა როგორც ერთი კაცი. მიუხედავათ მისი სიმრავლისა ის ამოძრავდებოდა ერთიანათ და ამ საერთო მოძრაობაში არ იყო დისონანსი და განხეთქილება. და ვინაიდგან პარტია ასე ერთსულოვნათ მოქმედებდა, მან ხალხში მოიპოვა დიდი გავლენა და მთელი ხალხი ამ პარტიის მედროშეობას ცნობილობდა და ცნობილობს. თუ ეს მართალია, თუ ეს ორი გარემოება იყო მიზეზი ჩვენი გამარჯვებისა, მაშინ ჩვენ ეს კითხვები დღესაც უნდა დავსვათ: გვაქვს თუ არა ნათელი წარმოდგენა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტზე ერთის მხრით, და მეორე მხრით, ვართ თუ არა გამსჭვალული ერთი აზრით, ერთი გრძნობით; თუ ეს ასე არის, მაშინ ვერავითარი ძალა ჩვენ ვერ დაგვძლევს და ყოველგვარ საფრთხიდან გამარჯვებული გამოვალთ.

ამ ერთი კვირის წინეთ იყო ბათომის დემონსტრაცია, ეს იყო ერთნაირი ბათომის ეპოქეია. აქედან შეიძლება ვინმერ დაინახოს, რომ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური კვანძი არის ბათომის საკითხი. მაგრამ ეს არ არის მართალი.

ეს დემონსტრაცია ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ჩვენი ხალხის ერთობას ბათომის საკითხში, მაგრამ ამ გარემოებამ არავის არ უნდა დაუჩრდილოს სინამდვილე.

ბევრი იყო უკმაყოფილო იმით, რომ ბათომში არ შევედით და ამბობდენ: მთავრობამ ვერ შეასრულა მოვალეობა, ის გზიდან უკან წამოვიდაო, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გლახა ტაქტიკოსია ის, ვისაც მხოლოდ წინ წასვლა შეუძლია და უკან დაბრუნება კი არა. ტაქტიკის მოქნილობა იმაშია, რომ თავისი მოქმედება უნდა შეუფარდო ახალ პირობებს, დაგროვილ მდგომარეობას და ისე იმოქმედო და რადგანაც ახალი მდგომარეობა იყო შექმნილი, ჩვენ ბათომის საკითხს მეორე ხარისხოვანი აღაგი დავუთმეთ, როცა ბათუმისკენ მივდიოდით, ჩვენ იმ დროს ვგრძნობდით, რომ ჩრდილოეთიდან გვიახლოვდებოდა ფრონტი, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო ის. ახლა ეს ფრონტი უკვე ჩვენს საზღვრებთან არის.

დღეს პირველათაა, რომ ჩვენი და საბჭოთა რუსეთის საზ-

ღვარი ერთ ხაზზეა. მართალია, წინეთაც იყო ჩვენს საზღვრებთან საბჭოთა მთავრობა, როცა კავკავი ბალშევიკებს ეჭირათ, მაგრამ მაშინ კავკავის იქით იდგნენ მოხალისენი და მოხალისეების შემდეგ კი საბჭოთა რუსეთი. დღეს კი, მოხალისეთა ჯარი დაირღვა და ჩვენსა და ბალშევიკებს შორის არავინ არ სდგას. მოხალისეთა ჯარების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია, თუმცა ჩვენ მოხალისეებთან არ ვყოფილვართ აშკარა ომში, მაგრამ მუდამ კონფლიკტში ვიყავით. ჩვენ მათ არ ვსცნობდით, ისინი ჩვენ არ გვცნობდნენ და ამიტომ ჩვენი ჯარი იდგა მათ საწინააღმდეგო ფრონტზე. ამ მხრით ჩვენი სრულიად უარყოფილი დამოკიდებულება მოხალისეებთან ცნობილი იყო.

რა ნაირი იყო ჩვენი დამოკიდებულება ბალშევიკებთან?

ჩვენ მათ მოქმედებას არ ვიზიარებდით, მაგრამ ჩვენ დღიდან მათ მიერ ძალა-უფლების დაპყრობისა ვამბობდით, რომ ჩვენ ვართ წინააღმდეგი რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევის და როცა ევროპა მოხალისეებს ეხმარებოდა, ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით და ამ დახმარებაში არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია. და თუ ახლა სამოქალაქო ომი რუსეთში გათავდება, და საბჭოთა რუსეთს ნორმალურ განვითარების საშვალება მიეცემა – ეს ჩვენთვის სასიამოვნო და სამხიარულო მოვლენა იქნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა იქ შეუდგებიან ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგბას, მაშინ ბალშევიკები გააკეთებენ იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ. სხვანაირად ისინი ვერ მოიქცევიან, სხვა გზა მათ არა აქვთ, თუ კი, რასაკვირველია, მათ სურთ ძალა-უფლება შეინარჩუნონ!

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება ბალშევიკებთან, მოხალისეებთან და მათ შორის ატეხილ სამოქალაქო ომთან.

როგორია ბალშევიკების დამოკიდებულება ჩვენს მიმართ? პრინციპიალურად ბალშევიკები სცნობენ ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ პრაქტიკულათ დღევანდლამდის მათი დამოკიდებულება ჩვენთან ისეთია, როგორიც იყო მოხალისეების მხრივ, როგორც მოხალისენი არ გვცნობდნენ, არც ბალშევიკებს აქვთ სურვილი გვიცნონ. თქვენ, ალბათ, ადევნებდით თვალ-ყურს იმ ნოტებს, რომელთა გაცვლა მოხდა ჩვენსა და საბჭოთა მთავრობის შორის. თქვენ, ალბათ გაეცნობოდით ჩიჩერინის უკანასკნელ ნოტას. მთელი ტონი, წერის მანერა პოლემიკურია. აქედან სჩანს, რომ მათ, როგორც წინეთ არ სურდათ მენშევიკებთან მეგობრუ-

ლი კავშირი დაეკავებინათ, არც დღეს სურთ. ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ბალშევიკების ფრონტი ჩვენთვის დიდათ საშიშრო ფრონტია. თქვენ იცით, რომ როცა ბალშევიკები დენიკინს ებრძოდენ, არმიას მოუწოდებდენ შავი გენერლების, ძველი რუსეთის მოტრიფიალეთა წინააღმდეგ საბრძოლველათ, დღეს, როდესაც დენიკინი აღარ არსებობს, მათ ასეთი მოწოდება არ გამოადგებათ. მათ უნდა მონახონ სხვა ლოზუნგი და ეს ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთათ ერთი – ლოზუნგი დაპყრობის, აშკარა იმპერიალისტური. ნამდვილი რევოლუციონერები ამ ლოზუნგს არ აყვებიან, მაგრამ ბევრნია ასეთები? იქ სადაც პოლივანოვები სარდლობენ – ერთა უფლება დიდ საფრთხეშია. და თუ კიდეც ჩვენი საზღვრები დაუცველი დახვდათ, უეჭველია მის გადმოლახვას შეეცდებიან. უნდა ვიცოდეთ, რომ ბალშევიკები ანგარიშს უნევენ მხოლოდ ძალას. თუ ესტონეთთან მათ ზავი შეკრეს, ეს იმიტომ, რომ ესტონეთმა მათ საქმე გაუჭირა. ის თავის ტერიტორიაზე ხან იქით უშვებდა იუდენიჩის ჯარს, ხან აქეთ და აი ამ ფრონტის თავიდან მოსაშორებლათ ბალშევიკებმა ზავი შეკრეს ესტონეთთან, თუმცა იქ ბატონობს ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტია. ამიტომ უნდა ვსთქეათ გადაჭრით, რომ ბალშევიკები ჩვენ მაშინ გაგვიწევენ ანგარიშს და ზავს ჩამოაგდებენ, როცა დაინახავენ, რომ ჩვენს ხალხს არ სურს ისინი აქეთ გადმოვიდენ. თუ მათ დაინახეს, რომ საქართველოს დემოკრატია არც ისე წინააღმდეგია მათი აქეთ გადმოსვლის, მაშინ ისინი აქ შემოვლენ. მათ შეუძლია შემოსვლა ორი გზით: სოჭის და დარიალის. ამ ფრონტის, ამ კარების დაცვა ისე, რომ ყოველივე ხალისი აქვთ ავანტიურის და შემოსვლისა ბალშევიკებს წავართვით, აი ჩვენი მოვალეობა. დარიალი ბუნებრივათ ისეთი მიუვალი არის, რომ ცოტა ჩვენი ძალაც კი დივიზიებს დაამარცხებს, თუ კი ეს ძალა თავის მოვალეობას პირნათლათ შეასრულებს. ასეთივე მაგარია გაგრის კარები. თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ დამხმარე ძალა ზღვიდან მათ არ ეყოლებათ.

ასეთ ჰარმონიაში საბჭოთა-რუსეთი შეეცდება უფრო ადვილი გზა აირჩიოს. ასეთი გზა ბაქოზე მომავალი, თუ, რასაკვირველია, მთიელთა მთავრობა დარუბანდის კარებს მათ თავის ნებით გაუღებს.

სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ ადერბაიჯანი ამ ბოლო დროს ბათომის ირგვლივ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს. სანამ ის

ამაზე ხელს არ აიღებს და ამის აშკარა გარანტიას არ მოგვცემს, მანამდის ჩვენს შორის თანხმობა არ იქნება.

არც სამხრეთის საზღვარი გვაქვს უზრუნველყოფილი. ოლთისის რაიონში სერვერ-ბეგის რაზმები გროვდებიან და არტანიით ახალციხეში შემოჭრას ლამობენ. მათ, ალბათ, დაავიწყდათ ერთი ავანტიურა და ახლა ახალციხის მაზრას კიდევ ახალი უბედურება სურთ თავს დაატეხონ.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ სამი მხრით მოგველის კონფლიქტი.

ბათომის ოლქშიც ჩვენი მტრები ახმაურდენ, თუ წინათ ბათომის ოლქში ბრძოლა სწარმოებდა ამ ლოზუნგის გარშემო: ოსამლეთი თუ საქართველო, ეხლა კითხვა სდგას ამნაირად: ინგლისი თუ საქართველო. ოსმალეთს რომ არას მისცემენ, ეს უკვე ყველაზ იცის. ჯერ არ ვიცით დანამდვილებით, ვისი პოლიტიკაა ის პოლიტიკა, რომელიც აგიტაციას ეწევა ინგლისის სასარგებლოთ და ჩვენს წინააღმდეგ აჭარაში და რომ ამდენ ხანს ბათომის კითხვა ვერ გადაწყვიტეს – ეს მოწმობს იმას რომ მის გარშემო დიდი ინტერესებია დაგროვილი.

თქვენ იცით, რომ ძველათ, სანამ ინდოეთისკენ საზღვაო გზას მიაგნებდენ, მთელი მიმოსვლა და ურთიერთობა ინდოეთთან სწარმოებდა შავი ზღვით – სპარსეთის გზით.

ამიტომაც ამ გზაზე მდებარე სამცხე-საათაბაგოს ასეთი დიდი როლი უთამაშია ჩვენ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სწორეთ მაშინ ყვაოდა ეს მხარე მასთან ერთად მთელი საქართველო, მაშინ შეიქმნა ის ჩვენი ძველის პოლიტიკური აკვანი. როცა ოსმალეთმა ჩვენი ეს პროვინციები მოგზწყვიტა, მაშინ იძულებული გავხდით სახელმწიფოებრივ ცხოვრების ცენტრი ჩრდილოეთით გადმოგვეტანა, მაშინ დაგვეხშო გზა და ურთიერთობა მოწინავე ქვეყნებთან. დაიხშო ეს გზაც ინდოეთისაკენ. შეიძლება, ინგლისში ჰქონდეთ ეხლა აზრი – ალადგინონ ეს ძველი გზა ბათომ ყარსი-თავრიზი ინდოეთი. ვისაც ამის განხორციელება სურს, მას უნდა ეჭიროს ამ გზის თავი და ბოლო. აი ამიტომაც ის აგიტაცია, ეხლა რომ ბათუმის ოლქში სწარმოებს, – საქართველო თუ ინგლისი – შეიძლება იყოს ნაკარნახევი ამ წრეების მიერ და თუ ასეთი აზრი არ აქვთ, თუ საქმე ეხება მხოლოდ ადერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკურ ინტერესებს – ამ ინტერესებს მათ ბათომში საქართველოზე უკეთ ვინ უზრუნველყოფს?

აი ასეთია ჩვენი საგარეო მდგომარეობა და ის მომენტი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. აქ სიმძიმის ცენტრია ბალშევიკურ რუსეთთან დამოკიდებულება. ყველა სხვა გვედავება ამა თუ იმ პროვინციას, ამ თუ იმ მხარეს, ხოლო ბალშევიკური რუსეთი გვედავება ერთიანად ჩვენს არსებობას.

ასეთ მდგომარეობაში რა უნდა ჰქინას პარტიამ, რომ გადაარჩინოს ქვეყანა, როგორც გადაურჩენია ის უფრო უარეს პირობებში?

ამის გასარკვევად უნდა გადავიდეთ მეორე კითხვაზე: ვართ თუ არა შიგნით საკმაოდ ძლიერი, შეკავშირებული, მოქმედი? გვაქვს თუ არა საკმაო სიმტკიცე და ერთსულოვნება, რომ ხალხი ერთიანად ავამორქავოთ, მთელი ძალ-ღონე მოვაკრეფიოთ და ამით გამარჯვება უზრუნველყოთ?

უნდა ვთქვათ, ამხანაგებო, რომ ამ მხრით ყველაფერი თავის რიგზე არ არის. ჩვენი პარტიის მუშაობა ამ უკანასკნელ დროს მოდუნებულია და არც საკმაო ერთსულოვნებას აქვს ადგილი. ჩვენს შორის ხშირად სხვადასხვა ორგანოებში მომუშავე ამხანაგები მოქმედებენ ჩვენთან შეუთანხმებლათ და ხანდისხან ჩვენ წინააღმდეგაც. მაგალითად, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურების, ხაშურის რკინის გზელების და სხვა გაფიცვები. ასეთ გამოსვლებს აწყობენ ისევ ჩვენი ამხანაგები. ქუთაისში რომ იყოს ნამდვილი პარტიული ორგანიზაცია, იმ საქმის დამწყები პარტიიდან გაძევებული იქნებოდენ. ჩვენ ბალშევიკების შიში არა გვაქვს, ბალშევიკები შიგნით ვერაფერს დაგვაკლებენ, იგინი ჩვენ აგვრევენ მხოლოდ ჩვენივე ამხანაგების საშუალებით. უეჭველია ჩვენს პარტიაში მათ ყავთ შემოჩენილნი, რომელნიც შიგნიდან ცდილობენ ჩვენს დარღვევას. შეუძლებელი საქმეა, რომ პარტიამ ჯერ წამოაყენოს მთავრობა, დამფუძნებელი კრება და შემდეგ მათ წინააღმდეგ იმოქმედოს, მათ გაფიცვები მოუწყოს. არის მრავალი საშუალება ამ თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც უკეთესად მიაღწევს მიზანს; ყოველთვის შეიძლება მთავრობაში თუ დამფუძნებელი კრება და შემდეგ მათ ჯოხს გადაუჩინორკავთ და ფეხს დაუდებთ, ვერავითარი სახელმწიფოს აპარატი ვერ იმოქმედებს და სახელმწიფო დაინგრევა.

ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკური ცხოვრება ძლიერ გამზადებულია, რომ მუშა ხალხი განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის. ბევრ ამხანაგებს ჰგონია, რომ იმის მიზეზი მთავრობის ცუდი

პოლიტიკაა. ეს ამხანაგები ამბობენ: თქვენი საგარეო პოლიტიკა საუცხოვოა, თქვენი ეკონომიკური პოლიტიკა კი არ მოგვწონს, არ ვარგაო. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ გაფიცვებს ან ყობენ და გართულებას იწვევენ.

მეორე მხრით, თუ ეს მართალია, თუ ჩვენ ეკონომიკური პოლიტიკა არ გვივარგა, მაშინ არ გვცოდნია რა უნდა ვაკეთოთ – არც მთავრობას და არც დამფუძნებელ კრებას.

ვინაიდან შინაურ აღმშენებლობის ამ სფეროში ზოგიერთი კითხვები წინააღმდეგობას და გაუგებრობას იწვევს ჩვენი ამხანაგების შორის, მინდა ამაზე შევაჩერო თქვენი ყურადღება და აღვადგინო ერთი აზრი ამ შინაურ საქმეების შესახებ.

ეხლა, როცა ბალშევიკები მოგვიახლოვდენ, ბევრი ფიქრობს – ბალშევიკების შიშით მოგვცემენ რასაც მოვითხოვთ; შეიქმნა ერთნაირი მაქსიმალისტური ფსიქოლოგია ბალშევიზმის გავლენის ქვეშ. ბევრს უნდა იარაღად გამოიყენონ ჩვენს წინააღმდეგ ბალშევიკების მოახლოვება და გადაგვადგმევინოს მიუღებელი ნაბიჯები. მაგრამ, თუ ჩვენ გვექნება გარკვეული შეხედულება საშინაო მუშაობაში, მაშინ უნდა ვაკეთოთ ის, რაც საჭიროა, დავადგეთ მტკიცე გზას, ვებრძოლოთ ანარქიულ სულისკვეთებას და პოლიტიკას. ჩვენ, სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, დავიპყარით საქართველოში ძალა უფლება. დღეს მხოლოდ ორ ქვეყანას უდგას სათავეში რევოლუციონური პარტია – რუსეთს და საქართველოს. იქ ბალშევიზმია, აქ მენშევიზმი. და აი, აქ ჩვენ შეძლება გვაქვს ვუჩვენოთ ქვეყანას ჩვენი ტაქტიკა, გავამართოთ ის პრაქტიკაში, დავუჰირდაპიროთ ბალშევიზმს; აქ გამოჩნდება აშკარათ რომელი პოლიტიკა, ვისი მოქმედება უფრო შეეფერაბა სოციალიზმს – ჩვენი თუ ბალშევიკების.

ჩვენ დღეს ვსხვავდებით ბალშევიკებისაგან არა მარტო ტაქტიკით და პროგრამით, არამედ – საერთო ფილოსოფიური და ისტორიულ შეხედულებებითაც. ჩვენ ვდგევართ ისევ მარქსიზმის გზაზე, იგინი კი, სრულიად ჩამოშორდენ მარქსიზმს. ჩვენს შორის ეხლა ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ჩვენსა და სხვა პარტიებს შორის.

ჩვენ აქ, როგორც ვსთქვი, დავიპყარით პოლიტიკური ძალა-უფლება დემოკრატიული გზით, იქ, რუსეთში ბალშევიკებმა, დიქტატურის გზით, აი ჩვენი მთავარი განსხვავება. უეჭველია, რომ რევოლუციის დროს საჭიროა დიქტატურა, ეს ჩვენ გვქონ-

და, ჩვენში იყო მუშათა დეპუტატების საბჭო. აი, ამ საბჭოს არ-სებობის დროს ჩვენში იყო დიქტატურა, მაგრამ ეს იყო დროებით ძველი წყობილების დარღვევის დროს, როცა ერთ ჯგუფი ხალხ-ისა გამოხატავდა საერთო ინტერესებს. მაგრამ დიქტატურა მიუღებელია მაშინ, როცა ახალი ცხოვრებისა შევუდექით, რადგანაც ეს (აშენება) უნდა მოხდეს მთელი ხალხის მონაწილეობით და სურვილით. როგორც ხედავთ დიქტატურა მიუღებელია როგორც ნორმალური ფორმა მართველობისა, ამიტომ მუშათა საბჭოს ნებართვით, ჯერ მოვაწყვეთ პარლამენტი, შემდეგ მოვიწვიეთ დამფუძნებელი კრება, ამ რიგათ ჩვენ წმინდა დემოკრატიული გზით ჩაგვივარდა ძალა-უფლება.

რატომ აძლევენ ბალშევიკები დიქტატურას, ამ უმცირესობის სურვილს, უპირატესობას? რატომ ჩვენ ვაძლევთ უპირატესობას ხალხის უმრავლესობის სურვილს? აი ამაშია ჩაქსოვილი ჩვენი თეორიული განსხვავება. მათი აზრით, უმრავლესობას, თუ ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო, შეუძლია ახალი წყობილება დაამყაროს, თუნდაც ხალხი, უმრავლესობა, ამის წინააღმდეგ იყოს და რადგანაც მათ იციან, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მათი წინააღმდეგია, ისინი სწორედ ამიტომ გაურბიან ხალხის უმრავლესობის ნებისყოფის გამომხატველ ორგანოს და ცდილობენ ხიშტის საშვალებით უმრავლესობას თავზე მოახვიონ უმცირესობის სურვილი. ასეთი შეხედულების სარჩულია ძველი აზრი. ძველათ იყო მეცნიერებაში, მიმართულება, რომელიც ამბობდა, რომ, აზრი, გონიერა მართავს ქვეყანას და მაშასადამე, კარგი აზრის ქეთნე ჯგუფს შეუძლია მოხერხებულ დროს მთელ ხალხს თავს მოახვიოს თავისი აზრები და ამ აზრების თანახმათ მოაწყოს ცხოვრებაო. (რაციონალისტები, სოციალისტ-უტოპისტები, ბლანკისტები). ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ მატერიალურ პირობებს და მხოლოდ აზრის განვითარებით უნდოდათ ცხოვრების გადაბრუნება და ახალ ნიადაგზე მოწყობა. ამას ქადაგებდა იდეალიზმი. ეს იყო საფრანგეთში და გერმანიაში 40-იან წლებში და რუსეთში 80-იან წლებში. იდეალიზმი, როგორც ასეთი, სრულიად დაამარცხა მარქსიზმმა, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საკითხი დაუკავშირა მატერიალურ პირობებს და საკითხი მეცნიერულ ნიადაგზე დააყნა. აი, ის ძველი იდეალისტური წარმოდგენა ცხოვრებაზე შეითვისეს ბალშევიკების და ის გაპყავთ ცხოვრებაში.

მახსოვს, ერთხელ, 1905 წ. მე და ნოე რამიშვილმა ერთად დავსწერეთ ერთი სტატია და მოვათავსეთ უურნალ „სოციალ-დემოკრატში“, „მენშევიზმი თუ ბოლშევიზმის“ სათაურით. იქ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ბალშევიზმი არის ბლანკისტური და არა მარქსისტული მიმართულება. ეს იყო ერთნაირი ახალი აზრი, ვინაიდან ასეთი აზრი იმ ხანათ რუსეთში არ იყო გამოთქმული. ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ბალშევიკები შეუდგნენ აზრის პრაქტიკულად განხორციელებას, ჩვენი შეხედულება საჯაროთ გამართლდა.

ჩვენ კი, როგორც მარქსისტები ვფიქრობთ, რომ ხალხის ყოფა-ცხოვრების ისტორიულად შეცვლა არ არის დამოკიდებული რომელიმე პირზე, ან ჯგუფზე, თუნდაც ის რევოლუციონერიც იყოს, არამედ-ის სავსებით დამოკიდებულია მატერიალურ პირობებზე. ეს მატერიალური პირობები ჩაქსოვილია თვით ხალხში და მასში ბადებს ერთნაირ პოლიტიკურ და სოციალურ შემეცნებებს. ამიტომ, ჩვენ ვამბიობთ, რომ როცა სახალხო საქმეს აკეთებთ უნდა აკეთოთ ეს ხალხისავე საშუალებით ხოლო, რაც შეეხება რომელიმე წყობილების თავზე ძალათ მოხვევას, უნდა ითქვას გადაჭარბებით, რომ ეს ქვიშაზე აგებული შენობაა. რუსთის თვითმპყობელობა 300 წელს ახვევდა რუსის თვითმპყობელობას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოახვია. ამიტომ მე ვამბიობ, რომ ცხოვრების გარდაქმნა უნდა მოხდეს ისევე ამ ხალხის საშვალებით დემოკრატიული გზით.

ახლა მიუბრუნდეთ ჩვენს შინაურ მდგომარეობას. როგორც ვსთქვით, ჩვენ დავიძყარით პოლიტიკური ძალა-უფლება. ამის შეძენაში მონაწილეობას იღებდა ხალხის სხვადასხვა ელემენტები. ჩვენში მუშათა კლასი დიდ უმცირესობას წარმოადგენს. დიდ უმრავლესობას წარმოადგენს წვრილი გლეხები. საზოგადოების – ეს სტრუქტურა არ შეცვლილა რევოლუციის დროს, შეიძლება ახლა იცვლება, მაგრამ თუ გვინდა ჩვენ ის პოლიტიკური ძალა-უფლება, რომელიც ხელთა გვაქვს, ავამუშაოთ ჩვენი პროგრამა, აუცილებლათ უნდა შეუთანხმოთ ობიექტურ პირობებს, აუცილებლათ ანგარიში უნდა გავუნიოთ წვრილ მესაკუთრეებს, გლეხებს. ქალაქი დღეს ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახდენს, თუ ეს გლეხობას, სოფელს არ სურს. მოსკოვში დღეს შიმშილია, რადგანაც გლეხები პურს არ აძლევენ. თქვენ ალბათ წაიკითხავდით გაზეთებში, რომ გერმანიას საფრთხე მოელის, თუ ორ

კვირაში გლეხებმა პური არ მოაწოდეს ბერლინსო. სავსებით მართლდება მარქს-ენგელსის აზრი, რომ რევოლუცია მაშინ გაიძარჯვებს, თუ მას ემსრობა ხალხის დიდი უმრავლესობა. თუ ეს უმრავლესობა გემხრობათ, გამარჯვებული ხართ, თუ ამ უმრავლესობას გამოეთიშეთ, დამარცხებული ხართ. ჩვენი ტაქტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ არც ჩვენს პოგრამას გვაშოროს და არც ხალხი მოგვაშოროს. არც ოპორტიუნისტული და არც ბლანკისტური, ანაქრიული, – აი ჩვენი შეხედულება. ტაქტიკაზე.

და მე მგონია, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის ნამდვილი დემოკრატიული, სოციალისტური, და ის, რასაც ბალშევიკები აკეთებენ არის ბლანკისტური, ანარქისტული და არსებითად არა-სოციალისტური.

და თუ ჩვენი გზიდან გადავიხარეთ ან მარჯვნივ, ან მარცხნივ, მაშინ ჩვენ აქედან გავქრებით, ეს ნიშნავს ჩვენი პარტიის დარღვევას, ჩვენი პარტიის დარღვევა კი ფაქტიურად ნიშნავს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დარღვევას და ანარქის გამეფებას.

როგორია ჩვენი პროგრამა? ჩვენ და ბალშევიკებს რევოლუციამდე ერთხაირი პროგრამა გვქონდა, მაგრამ რევოლუციის დროს, მათ ეს პროგრამა გადააგდეს და ახალი დასწერეს; გაივლის დრო და ისინი ამ ახალსაც გადააგდებენ და მესამეს შესთხზავენ. ჩვენ პროგრამას ვწერდით სწორეთ რევოლუციისათვის, ის რევოლუციის შემდეგ უნდა აგვესრულებინა, ჩვენ ის პროგრამას არ გადავაგდეთ, ჩვენ მას ვანხორციელებთ.

ამ პროგრამის თანახმად ჩვენ ვახდენთ რეფორმებს. ბევრს ჰყონია, რომ რახან რეფორმების გზას ვადგივართ – რეფორმისტები ვართ. მაგრამ თუ ჩავუკირდებით ამ, რეფორმების შინაარსს და აზრს, თქვენ ნინაალმდეგში დარწმუნდებით, თუ რეფორმას ახდენთ იმ მიზნით, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა არ შესცვალოთ, მუშაობთ მხოლოდ იმისთვის, რომ არსებული წყობილება შეაკეთოთ და მით გაამაგროთ, მაშინ ეს მართლა რეფორმისტობაა.

მაგრამ თუ რეფორმას იმისთვის ახდენთ, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა ისე გადასხვაფეროთ, რომ ნიადაგი მოაზიადოთ ბურჟუაზიული წყობილებიდან სოციალისტურ საზოგადოებაში გადასასვლელათ, მაშინ ეს არ იქნება რეფორმისტობა.

სამწუხაროდ, დღეს ბევრ ჩვენგანს დაავიწყდა ყველა ძველი ნაწერები, დაავიწყდა წიგნების კითხვაც. აი მაგალ.., კ. კაუცკი თავის ერთ-ერთ წიგნში, რომელსაც სათაურათ აქვს „სოციალური რევოლუცია“, რას სწერს: „სოციალ რეფორმისტი სხვავდება სოციალისტთ რევოლუციონერისაგან არა სოციალური რეფორმების მომხრეობით, არამედ თავისი მიზნის მხოლოდ სოციალური რეფორმებით განსაზღვრით“. ე. ი. თუ თქვენ ამ რეფორმას იქით არსად მიბრძანდებით, მაშინ ეს არის ოპორტუნიზმი, მაშინ რეფორმა მიმართულია დღევანდელი წყობილების შენარჩუნები-საკენ. მაგრამ ხომ მარტო არსებული წყობილების შეკვეთების გზაზე არ ვდგევართ, ჩვენ გვსურს არსებული წყობილების შეკვეთება, მხოლოდ იმისათვის, რომ ეს გახდეს გზათ და ხიდათ სოციალიზმისაკენ.

როგორც იცით, ჩვენი პროგრამა ორი ნაწილისაგან შეს-დგება: პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. კაუცკი ამ წიგნში აყენებს საკითხს – რა უნდა აკეთოს პარტიამ, როცა მის ხელში იქნება სახელმწიფო ძალა უფლება? მისი აზრით, – პირველათ პარტიამ უნდა განახორციელოს პროგრამა-მინიმუმი, მოახ-დინოს სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია. ის სწერს: „პირ-ველ ყოვლისა, რასაკვირველია, პროლეტარიატი დაამთავრებს იმას, რაც ვერ დაამთავრა ბურჟუაზიამ. ის მოსპობს სავსებით ფეოდალიზმის ყველა ნაშთებს და განახორციელებს დემოკრატი-ულ პროგრამას, რასაც ერთხელ ბურჟუაზიაც იცავდა. როგორც ყველაზე უფრო დაბლა მდგომი კლასი, პროლეტარიატი არის ყველაზე უფრო დემოკრატიული კლასი. ის დაამყარებს საყველ-თაო საარჩევნო უფლებას, უზრუნველყოფს კავშირთა და ბეჭდ-ვის სრულ თავისუფლებას და სხ. ჩვენც სწორეთ ამ მუშაობას ვე-ნევით, ჩვენც ვილტვით სრული დემოკრატიზაციისაკენ. რა თქმა უნდა, ჯერ არ დაგვიმთავრებია ეს მუშაობა, ჯერ კიდევ სავსებით ვერ გავატარეთ დემოკრატიზაცია, სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო: დიდი ხანი არაა მას შემდეგ რაც ჩვენი პარტია თავისუფლათ ანხორციელებს თავის პროგრამას, ეს ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამფუძნებელმა კრებამ დიდი უმრავლესობა მოგვცა და მთავრობაში მხოლოდ ს. დ. პარტიის წარმომადგენ-ლები შევიდნენ.

კაუცკი გადადის შემდეგ პროგრამა მაქსიმუმზე. მისი აზრით სოციალიზმის განხორციელება წარმოადგენს თანდათანობით

როცესს, რომელიც 30-40 წელიწადს გასტანს. ჯერ უნდა მოხდეს სკოლის სისტემის გარდაქმნა, ამას მოყვება გადასახადების სისტემა, შემდეგ – უმუშევრობის აღმოფხვრა; მთავრობა მიიღოვის გააფართოვოს და გაამრავლოს სახელმწიფო და კომუნალურ საწარმოვო დაწესებულებები და მონოპოლიები (ჩვენ ამაზე წინ წავედით. სახელმწიფო და კომუნალურ ქონებას და მეურნეობას პირველსავე დღიდანვე ვაფართოებთ და ვადიდებთ). დაბოლოს სხვილი კაპიტალისტური წარმოების გამოსყიდვა, მისი სახელმწიფოს და კომუნების ხელში გადასვლა. კერძო წვრილი წარმოება კი თავისთავად გაქრება თანდათანობით.

ასეთი იყო მარქსისტების შეხედულება თავიდანვე: თანდათანობით განხორციელება სოციალიზმის და ეს პროცესი გასტანს არა ნაკლებ 30–40 წლისა. მაშასადამე ჩვენი შინაური ეკონომიკური პოლიტიკა სრულიად არ შორდება მარქსისტულ გზას.

უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც გვიძნელებს მუშაობას იმ ტემპით, რომელიც სასურველია ჩვენთვის. რევოლუცია შეიძლება ორი გზით მიდიოდეს, ორ განსხვავებულ პირობებში: 1) როცა წარმოება განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს და დიდხალი სიმდიდრეა დაგროვილი; 2) როცა წარმოება დაცემულია და წინად დაგროვილი ქონების დიდი ნაწილი განადგურებულია. ეს მეორე გარემოება ქმნის დიდ სიძნელეს სოციალიზმის განხორციელებისათვის და სწორეთ ასეთ სიძნელესთან გვაქვს ჩვენ საქმე, რადგანაც ჩვენი რევოლიუცია მოხდა საშინელ ომის შემდეგ, რომელმაც სრულიად დასცა წარმოება და გაანადგურა დაგროვილი სიმდიდრის დიდი წარილი. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა წარმოების გაძლიერებით დაწყება. ბალშევიკურ განაწილების სისტემას არაფერი საერთო არ აქვს სოციალიზმთან. რევოლიუცია, როგორც განაწილება, – ეს არის ანარქიული აზრი, ზარმაცი კაცის იდეოლოგია, ხოლო შრომაში აღზრდილი პროლეტარიატის იდეოლოგია არის სოციალიზმის წარმოების ზრდის და განვითარების გზით.

ჩვენს ხანაში, როცა ძველი წარმოება დაშლილია, საჭიროა ახალი წარმოების, ახალი აპარატის შექმნა, ჩვენც ასეთ წარმოებას ვაარსებთ. სახელმწიფო, ერობა, თემი, ქალაქი აარსებენ მრავალ ახალ საწარმოვო დაწესებულებებს, აფართოვებენ თავის მეურნეობას, ეწევიან აღებ-მიცემობას. აქ იგინი მისდევენ ხალხის საჭიროებას და ამ საჭიროების მიხედვით ქმნიან ახალ

საწარმვო დაწესებულებებს, ძველი, დანგრეულის ადგილას. კერძო კაპიტალი, რომელიც მხოლოდ მოგების მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ამას ვერ შეასრულებს. ახალი წარმოების შექმნა იძულებული ვართ ჩვენ ვიკისროთ.

ასეთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ, როცა ვაფართოვებთ სახელმწიფო და კომუნალურ წარმოებას, ვაწესებთ სახელმწიფო მონოპოლიებს, ვაგროვებთ სახელმწიფოს ხელში საექსპორტო საქონელს, ვაკისრებთ მას ვაჭრისა და საქონლის მიმწოდებლის როლს. ამით ერთი მხრით ჩვენ უუწევთ კონკურენციას კერძო კაპიტალს, მეორე მხრით – ვზრდით საერთო სიმდიდრეს, რომელიც აქამდე კერძო კაპიტალის ინიციატივით იქმნებოდა.

რომ ჩვენში წვრილი წარმოება არ ბატონობდეს, ჩვენში რომ იყოს მსხვილი წარმოება, მაშინ შეგვეძლებოდა მთელი წარმოება ხელში აგველო. მაგრამ ეს ასე არაა, და ამას უნდა დავუმატოთ, რომ ომმა ის მცირე რიცხოვანი მსხვილი წარმოებაც გაანადგურა, რაც წინეთ არსებობდა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ასპარეზი მივცეთ კერძო ინიციატივასაც, რადგან ასეთ სილარიბის ხანაში, მხოლოდ ყოველგვარი შესაძლებლობის ამუშავებით შევძლებთ წარმოების დაცემას ბოლო მოულოთ. კერძო ინიციატივა რომ მოეკლათ, წარმოება სრულიად გადაგვარდება და ხალხი აუტანელ გასაჭირები და შიმშილში ჩავარდება. ასევე დაგვლუპავს საზოგადო წარმოებაზე ხელის აღება. ეს ორი ტიპი წარმოებისა ერთი მეორეს ავსებს. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ მანამ, სანამ ჩვენში წარმოება აყვავდება, სანამ სიმდიდრე საკმაოთ დაგროვდება.

ხოლო როცა სახელმწიფო მოლონიერდება ეკონომიკურათ, როცა სახელმწიფოს კომუნების, ერთობების და ქალაქების ხელში იქნება დიდალი წარმოება, მეურნეობა, და თუ ამ დროს ევროპაც ამ გზას დაადგა, მაშინ კერძო კაპიტალსაც საზღვარი დაედება და გადავალთ სოციალისტურ მეურნეობაში. მაშასადამე, ჩვენ ვმუშაობთ არა იმისათვის, რომ ბურუუაზიული წყობილება გავამაგროთ, არამედ – ჩვენ ვმუშაობთ სოციალისტური სახელმწიფოს დაარსებისათვის.

უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ სოციალისტურ წყობილებას მანამ ვერ დავამყარებთ, სანამ ევროპაში არ იფეთქებს სოციალური რევოლუცია. ჩვენ თუ იქ მოვაწყვეთ საერთო, საზოგადო მეურნეობა, შევქმენით მისი ორგანოები და სხ. მაშინ მზათ

გვექნება წიადაგი სოციალიზმისათვის. აი ასეთია ის გეგმა და მიმართულება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. ეს აზრები და შეხედულება ადვილი მისახვედრი არ არის მასისათვის, რასაც ჩვენ ვამბობთ, ამას სჭირდება დიდი დრო, მოთმინებას. მოთმინებას კი არ ვაძლევთ „ობივატელურ“ მნიშვნელობას, არამედ – მოთმინებას სოციალიზმისათვის. ის, რაც დღეს მუშას უჭირს – სანოვაგე, ამას სახელმწიფო აწვდის იაფათ და ამაში ის ზარალობს მილიონებს. ამ ყოველ დღიურ სასურსათო პოლიტიკას ვაწარმოებთ და მას ვუერთებთ ჩვენ დიდ სოციალისტურ პოლიტიკას.

ჩვენს და რუსეთს შორის არის ის განსხვავება, რომ აქ დემოკრატიის მოწინავეებს მისდევენ ჩამორჩენილნი, იქ კი – პირიქით, მოწინავენი სავსებით გაირეკა ასპარეზიდან და ჩამორჩენილები გაბატონდენ პოლიტიკაში. თუ ჩვენშიაც ეს მოხდა, თუ ჩვენშიაც უვიცმა და განუვითარებელ ელემენტებმა დაამარცხა შეგნებული და შეკავშირებული მუშები, თუ მათ წალეკეს პროლეტარიატის ავანგარდი, ცხადია, პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონდება ანარქიული და უვიცი წრები და განმეორდება რუსეთის ისტორია – დემოკრატიას დაანგრევს ანარქია.

ამიტომ ჩვენი ვალია მთელი ეს მუშაობა არა თუ შევიგნოთ, არამედ – სხვებსაც შევაგნებინოთ. ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს ყველგან. ამ მუშაობის გაჩაღებაზე დამოკიდებული ჩვენი შინაგანი ერთობა, და ნათელი საშინაო და საგარეო პროგრამის გარშემო დარაზმვა. აი, ასეთი მუშაობით, შეგნებით და თავის დადებით შეუძლია ჩვენს პარტიას უმეთაუროს ხალხს ისე, როგორც ის დღემდე მეთაურობდა და ის გადაარჩინოს დღევანდელი ხიფათისაგან ისე, როგორც დღემდე კიდევ უფრო უარესი ხიფათისაგან გადაურჩენია (ტაში).

## მთავრობის თავმჯდომარე პ-ნ ნო 1 შორდანის სიტყვა

### დამფუძნებელი კრების 30 აპრილის სხდომა

მოქალაქენო, მაქვს პატივი მთავრობის სახელით მოგახსენოთ შემდეგი:

პოლიტიკური ღრუბლები ჩვენ ირგვლივ კიდევ აისვარა; საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თანდათან მუქარათ ხდება. ის ჩვენ დაგვიახლოვდა ჯერ ჩრდილოეთით, გვიახლოვდება სოჩის მიმართულებით, ხოლო ახლა კარზე მოგვადგა აღმოსავლეთით, ადერბეიჯანის საშუალებით.

პირველი გარემოება ჩვენში არ იწვევს არავითარ შიშს, დარიალის და გაგრის გადმოლახვა შეუძლებელია. სულ სხვაა ადერბეიჯანის მიმართულება, საიდანაც საზღვრები გაშლილია და ამიტომ მეც დღეს ამ მხრით მინდა მივაჭციო თქვენი ყურადღება.

27 ამ თვეს დილით, ადერბეიჯანის მთავრობამ გვამცნო ბალშევიკების ჯარი მოადგა ჩვენ საზღვრებსო, ჩვენი ჯარები მათ ებრძევიან და სამხედრო დახმარება აღმოგვიჩინეთო. მაშინვე შეიკრიბენ მინისტრები და ჩვენ დავსვით ასეთი წინასწარი კითხა: სურს ადერბეიჯანის ხალხს შეებრძოლოს ბალშევიკებს? მიიღებენ ამ ბრძოლაში ისინი მთავარ სიმძიმეს? ამ შემთხვევაში ჩვენ მივალე ვიქენებით დავეხმაროთ, მოვალე ვიქენებით არა მარტო ხელშეკრულების ძალით, არამედ პოლიტიკურად და მორალურადაც. და მართლაც ერის თვითგამორკვევა, მისი ნება-სურვილები ჩვენ მიგვაჩინია ერთად ერთ გადამჭრელ ფაქტორათ ერთა დამოკიდებულებისა და შეურყეველ საძირკვლათ საგარეო პოლიტიკისა. ამიტომ ჩვენ ვთქვით, თუ გარეშე ძალა ადერბეიჯანის ერის თვითგამორკვევას ემუქრება, თუ ის მის საზღვრებში ძალით შემოდის, ეს არის აღმაშფოთებელი დარღვევა ერის უფლების და ჩვენც მასთან ვიქენებით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხია მომხრე უცხო ძალის შემოყვანის, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გალაშქრება ერის უფლების შელახვა იქნებოდა ჩვენის მხრით და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დალუპვაც. აი ეს ჩვენი აზრი დაუყონებლივ ვაცნობეთ ბაქოში და შეუდეექით გა-

მორკვევას იქაური პოლიტიკური ატმოსფერისას. მაგრამ საათის პირველზე უკვე მივიღეთ ცნობა, რომ ბალშევიკები უკვე ხაჩმაზში მოვიდენ, ხოლო საღამოს შვიდ საათზე სადგურ საწნაითში, ბალაჯარის ახლო, ე. ი. ექვსი საათის განმავლობაში განვლეს ასი ვერსი. მაშინ კი გავიგეთ, რაშიაც იყო საქმე და ვთქვით: ბალშევიკები შედიან სწრაფი მატარებლებით, სრულიად უბრძოლველათ და მაშასადამე ადერბეიჯანის თანხმობით მოვიდენ სრულიად უმნიშვნელო ძალებით, ორი ჯავშნიანი მატარებლით, მათი უკან გარევა და მატარებელთა დატყვევება მცირე ძალას შეეძლო, მარა ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბალშევიკების შემოსვლა უბრალო გასეირნებათ გადაიქცა.

ჩვენი ეჭვები, როგორც ხედავთ სავსებით გამართლდა.

რაზე იყო დაფუძნებული ჩვენი ეჭვები?

ეს იყო დაფუძნებული ორ გარემოებაზე: ჩემი აზრით, ბალშევიკური მოძრაობა არის უკან ჩამორჩენილი პოლიტიკურად განუვითარებელი ხალხის მოძრაობა. იქ, სადაც არ არის დემოკრატია, დემოკრატიული ორგანოები, მაშასადამე ხალხი თავის თავს არ მართავს, არ არის ჩაბმული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აი აქ ხალხი თავის შესწელს და შართველს მოელის ზევიდან გარეშედან, ალტურვილი მაგარი ხელით და მტკიცე ნებისყოფით. და თუ კიდევ ამას მიუმატებთ იმას, რომ აზერბეიჯანში რევოლუციის არც ერთი დიდი მონაპოვარი არ განხორციელებულა, იქ ჯერაც არ ჩამოურთმევიათ ხანებისთვის მიწები, და მთელი აგრარული ურთიერთობა სავსებით შენახულია, ადვილად წარმოიდგენთ ხალხის უკმაყოფილებას არსებული რეჟიმით და მის სურვილს ამ რეჟიმის გამოცვლისას, თუნდაც ავანტიურაში გადავარდნით. აი ამ გარემოებამ მოამზადა სოციალური ნიადაგი აზერბეიჯანში ბალშევიკური გადატრიალებისა. მარა ამას ზედ დაერთო მეორე არა ნაკლებ საყურადღებო მომენტი. ეს არის მომენტი ნაციონალური. და ამას აშვარად აღიარებს ბაქოს დღევანდელი მთავრობა თავის უკანასკნელ მოწოდებაში. ისინი აზერბეიჯანის წინადელ მთავრობას აცხადებენ ერის მოღალატეთ იმიტომ, რომ მას კავშირი ჰქონდა ანტანტასთან, ხოლო ანტანტამ დაამარცხა ოსმალეთი, დაჲყო ის და მაშასადამე ბაქოს კომუნისტების თვალში ეს ანტანტა აზერბეიჯანის მტერიც არის. ხოლო ვინაიდან მოსკოვის ბალშევიკებიც ანტანტის წინააღმდეგია, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იცნო ევროპამ, აქ შეერთდა

ინტერესები მოსკოვ-არზრუმისა და გააბა ქსელი რუსის კომუნისტების და ანატოლიის ნაციონალისტების შორის.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აზერბეიჯანის კომუნისტურ გადატრიალებაში ეს ნაციონალური მომენტი თამაშობდა უაღრეს როლს, როლს სოციალურ ხელქვეითისა. ეს სჩანს იქიდან, რომ მათ თავის მთავრობაში არ შეიყვანეს არც ერთი არა მუსულმანი და რომ მათ ჩვენის ცნობით, განზრახული აქვს პირველ ყოვლისა გაილაშქრონ სომხეთზე, ანატოლიის ჯარებთან შესაერთებლად.

ამნაირათ, ბაქოს ბალშევიკური გადატრიალება მიმართულია პირველ ყოვლისა ევროპის სახელმწიფოთა ოსმალეთიდან გასაძევებლათ. მეორდება ის, რაც მოხდა 1918 წ. მაშინ რუსის ბალშევიკებმა (ბრესტ-ლიტვოვსკი) და მუსავატმა შემოიყვანა ოსმალეთი ამიერ-კავკასიაში, ახლა კი მუსავატის როლს კისრულობს აზერბეიჯანის კომუნისტები. მაგრამ უკანასკნელთ დაავიზყდათ ერთი რამ – მუსავატმა შემოიყვანა გამარჯვებული ოსმალეთი, ხოლო კომუნისტებს კი შემოყავს დამარცხებული და დაშლილი ოსმალეთი და ესეც არა ოსმალეთის ნამდვილი მთავრობა, არამედ არზრუმის ნაციონალისტები. ასეთ პირობაში ბაქოს კომუნისტების თამაში წინდანინ დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს და ვათ თუ ოსმალეთის აღდგენის მაგიერ თვით აზერბეიჯანიც სამუდამოთ დაღუპონ.

როგორც ხედავთ, ადერბეიჯანის ბედი დღეს შეერთებულია ბალშევიკურ რუსეთთან და ქიამილ-ფაშის ოსმალებთან. ეს კომუნისტურ-ფაშური ქურქი ახასიათებს ბაქოს დღევანდელ მესვეურთ და მით ის თან ატარებს თავის დამარცხებას. ვწუხვართ, რომ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა ავანტიურაში ჩავარდა და უფსკრული-საკენ გაექანა. ამით ის ჩვენ დღეს გამოგვეთიშა, დავრჩით მარტო, მარა ბ-ბო, მარტოობა ყოველთვის არ წიშნავს დაუძლურებას. პირიქით მარტოთ დარჩენა ხანდახან ნიშნავს ძლიერებას. 1918 წ. ჩვენ გადავრჩით იმით, რომ ადერბეიჯანს დროზე გამოვეთიშეთ, ე. ი. მაშინ მარტოობამ გვიხსნა ოსმალეთის უღლისაგან და დღესაც იგივე ადერბეიჯანისაგან გამოთიშვა, მისი ავანტიურის უარისყოფა, ჩვენი საკუთარი გზის, საკუთარი პოლიტიკის შენარჩუნება და წარმოება ერთად-ერთი მხსნელია ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დემოკრატიის.

ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს

ჩვენი აზერბეიჯანათ გახდომას, ბალშევიკურ ოსმალურ იმპერიალიზმის საქართველოში გაპატონებას. აზერბეიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება – ეს თავისი ფალ და დემოკრატიულ საქართველოს სამუდამოთ დასამარებაა, ეს ევროპისაგან სამუდამოთ მოწყვეტაა და აზიის ფანატიკების ბრჭყალებში ჩავარდნაა.

ბალშევიზმის ჩვენში შემოქრა ნიშნავს უკან ჩამორჩენილი წყობილების მოწინავე ქვეყანაში შემოქრას, დემოკრატიის, ხალხის ბატონობის აღაგას ტირანიის გამეფებას.

ბოლშევიზმი აქ იზამს იმას, რასაც რუსეთში შვრება – გააუქმებს ერობებს, ქალაქთა თვითმართველობას, თემებს, მოსპობს ყველა თვითმართველ ორგანოებს სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას და მათ ალაგს განაწესებს ტერორისტების და წითელ არმიის ბატონობას. თავისუფალ შემოქმედების და მოძრაობის ადგილს დაიკავებს ხიშტი. ბოლშევიზმი გააუქმებს აგრარულ რეფორმას, მოსპობს მიწაზე კერძო საკუთრებას, რაც გამოიინვევს გლეხთა შორის შეტაკებას, სისხლის ღვრას და მით გაპხვევს მთელ ერს სამოქალაქო ომში. გარეკავს დამფუძნებელ კრებას და მის ალაგს დაასკუპებს ხუთიოდე კაცს, როგორც ეს დღეს ბაქოშია და ერს მოევლინება ბატონებათ. ერთი სიტყვით, ბოლშევიზმი ამოართმევს ქართველ ხალხს სულს, ამოგლეჯს ყოველივე იმას, რაც მან შექმნა, რაშიაც გამოხატა მისი შემოქმედებითი პოლიტიკური ნიჭი, დაეპატრონება ის უსულო გვამს და ბოლოს გადაუგდებს საჯიჯგნათ ან მოსკოვის რეაქციას ან ოსმალეთის ფაშას.

ბ-ბო, ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ჩვენ ვერ ვიქნებით ჩვენი ხალხის მოღალატე, ჩვენ ჩვენს სახელოვან პოსტზე მტკიცეთ, შეურყევლათ დავრჩებით. ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენთან არის მთელი ევროპა, განურჩევლათ პარტიისა და მიმართულებისა. ევროპა თუ აზია – დღეს ჩვენს ნინაშე კონკრეტიულად ისმის და ვიმეორებ დღეს კიდევ უფრო მაღლა, კიდევ უფრო მედგრათ იმას, რაც 14 იანვარს აქ ამ ტრიბუნიდან ვთქვი – ჩვენ ვირჩევთ ევროპას, ევროპის დემოკრატიას.

ბ-ბო, მთავრობა უკვე შეუდგა თავის დაცვის მოწყობას. მან დაარსა განსაკუთრებითი თავდაცვის საბჭო, გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა სარდალი, დააყენა აღმოსავლეთი საქართველო სამხედრო წესებზე, გამოითხოვა თავდაცვის ფონდი, მიიღო ყოველნაირი ნინასწარი ზომები. ჩვენ მზათ ვართ ბრძოლისათ-

ვის. ჩვენი ჯარი, ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი დემოკრატია ჩვენთან არის. ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას თუ რას ნიშნავს თავის დაცვა, დაცვა თავის საზღვრების, თავის წყობილების, თავის თავისუფლების. ბალშევიცები ჩვეულია მსუბუქ გამარჯვებას; პირველათ აქ, ჩვენ საზღვრებზე გაიგებენ თუ რას ნიშნავს მძიმე დამარცხება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი მათთან მოლაპარაკების, კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარების, მაგრამ ეს თუ არ მოისურვეს, თუ ჩვენ წმიდათა-წმიდას შეეხენ, თუ ჩვენ საზღვრებს დაემუქრენ, მაშინ ქართველი დემოკრატია დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ მან იცის სახელმწიფოს არა მარტო აშენება, არამედ მისი დაცვაც, აქვს ნიჭი არა მარტო პოლიტიკური შემოქმედების, არამედ უნარი ბრძოლისაც, მაშინ დადგება ის დრო, როცა გადაჭრით ვიტყვით: ჩვენ, თქვენ, მთელი ერი და რასაც საუკუნიებით ამბობდა ჩვენი ხალხი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

(ოვაციები და მხურვალე ტაში.)

# ევროპის სოციალისტური დელეგაცია ტფილისში

## ნ. ნ. ქორდანიას სიტყვა

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. უორდანიამ დელეგაციის წევ-  
რებს სადგურის ბაქანზე მისასალმებელი სიტყვით მიმართა.  
საქართველოს ხალხი, სთქვა მთავ. თავმჯდ. სიხარულით ეგბება  
ძვირფასს სტუმრებს, რომელთა წინაშე საქართველო მოვალეა  
იმითაც, რომ ისინი ლიუცერნსა და ამსტერდამში ახალგაზრ-  
და რესპუბლიკის დამოუკიდებლობას იცავდენ. საქართველოს  
მუშებს არ უღალატნია თავის დიდ მასწავლებელ მარქს, ენგელ-  
სის, ვანდერველდს და სხვებისათვის, როდესაც ყოფილ ამხანაგ  
ბოლშევიკების და საქარ. სოციალისტების გზა გაიყო – საქართ-  
ველოს სოციალისტები ჩამოცილდენ მათ და თავის იდეალების  
ერთგულებმა დამოუკიდებლად დაიწყეს საკუთარ ცხოვრების  
მოწყობა. ძნელია ბურუუაზიულ წესწყობილების პირობებში  
ახალი სახელმწიფოებრივობის შენება. ჩვენ აღმშენებლობაში  
მრავალი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ჩვენ შეურყევლად მივდივართ წინ  
და მომავალშიაც განვაგრძობთ წინსვლას ჩვენი იდეალების გან-  
სახორციელებლად. სალამი სოციალიზმის დიდ მასწავლებლებს,  
გაუმარჯოს ინტერნაციონალს და მის ბელადებს!

დელეგაციის წევრები მხურვალეთ მიესალმენ მთავრობის  
თავმჯდომარეს, მხურვალე მადლობა გადაუხადეს ასეთ შეხ-  
ვედრისათვის. დელეგაციის სახელით საპასუხო მისალმებით ემილ  
ვანდერველდე მიმართა.

## **მუშათა დეპუტატის. საპროც საზეიმო სხდომა**

სექტემბრის 15 საღამოს 7 საათზე სახალხო სახლის შენობის წინ თბილისის პროლეტარიატი შეიკრიბა. მუშათა სახლში მხოლოდ მანდატებით უშვებდენ. დარბაზი სავსეა ხალხით. დამსწრენი ინტერნაციონალს მღერიან, ესტრადა საუცხოოდ არის მორთული მცენარეებითა და ყვავილებით და აგრეთვე მარქსის, პლეხანოვის, კაუცკის, ვანდერველდეს, უორესის, უორდანიასა და წერეთელის სურათებით. დამჟ. კრების პრეზიდიუმს და მთავრობის წევრებს ადგილი ესტრადაზე უჭირავთ. სრულ 6 საათზე შუა დარბაზში ესტრადისკენ გაემართენ ვანდერველდე, რენოდელი, დებრიუკერი, ენგელსი, მარკე, გუისმანისი მეუღლეთა და ქალიშვილი, ქ-ნი სნოუდენი, მაკლონალდი და შოუ. დელეგაციის წევრები ესტრადაზე მაგიდის გარშემო სხედან, შუაში ზის 6. უორდანია. 7 საათის დასაწყისს მუშ. დეპუტატების თავმჯდომარე 6. უორდანია ხსნის სხდომას შემდეგის სიტყვით:

### **6. ზორდანის სიტყვა**

მუშათა დეპუტატთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, რომელშიაც მონაწილეობენ საქარხნო საფარიკო კომიტეტთა და პროფ. კავშ. წარმომადგენლები, გახსნილად ვაცხადებ. თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში დღევანდელი დღე ღირსშესანიშნავ დღეთ დარჩება. თბილისის პროლეტარიატი პირველად პხვდება პირისპირ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელთ. დღეს მუშებმა ქუჩებში მოისმინეს უშუამავლოდ ამ მუშათა ბელადების აზრები, ფიქრები და სიტყვები. ჩვენ მუშათა წარმომადგენლები შევიკრიბეთ, რათა ქუჩაში ნამოქმედარი და ნათქვამი აქ უფრო დალაგებულად გამოვხატოთ. მე გთხოვთ მიესალმოთ ჩვენს სტუმრებს (ახმაურებული ტაშის ცემა). (მისასალმებელი სიტყვები გაისმის). დღევანდელი მანიფესტაცია ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მასათა ერთსულოვნებას. ჩვენი მუშათა კლასი დღეს იმ გზას ადგია, რა გზასაც გუშინ ადგა. ბევრი ჩვენს ერთსულოვნებას ჩვენს ჩამორჩენილობით ხსნის, მაგრამ

დასავლეთ ქვეყნების მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ევროპის მუშათა კლასშიც ასეთი ერთსულოვნებაა. ბელგიის მუშათა მოძრაობაში არ იცის რაა უთანხმოება და ის მუშაობდა ერთი პარტიის დროშის ქვეშ. მას აქვს ერთი ტაქტიკა და ერთი სოციალისტური დოქტრინა. ჩვენ ვხედავთ აქ ამ დარბაზში ამ დოქტრინისა და ტაქტიკის შემქნელთ ვანდერველ-დეს, დებრიუკერს და ჰიუსმანსის (ახმაურებული ტაშის ცემა). თქვენ იცნობთ ვანდერველ-დეს. თქვენ ყველანი მისგან სწავლობთ, ის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტაქტიკის მქონეა. ამხანაგი დე-ბრიუკერი პარტიულ ორგანოს რედაქტორი და სულის ჩამ-დგმელია, ის ბელგიის არისტიდეა. მისი სიტყვა მის მოყვრებსა და მის მტრებსა სწამთ. ამხ. ჰიუსმანსი საუკეთესო ორგანიზატორია არა მარტო ბელგიის მუშათა კლასის, არამედ ინტერნაციონალისაც, რომლის მდივნად ის 15 წლის განმავლობაში იყო. მე აღვნიშნე ზემოდ, რომ ბელგიაში დაცულია მუშათა კლასის მთლიანობა, მაგრამ იტყვიან, ბელგია პატარა სახელწიფოა. ამ უამად ჩვენთანაა ინგლისის ხალხისა და მუშათა პარტიის წარმომადგენლები – შოუ, მაკდონალდი და სნოუდენი (ახმაურებული ტაშის ცემა). ხორციელდება კარლ მარქსის სიტყვები: ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიალურმა სახელმწიფომ უნდა შეჰქმნას ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც დაუდებს საფუძველს სოციალ-იზმსო, ეს სახელმწიფოა ინგლისი. ბევრს არ სჯეროდა, ამბობდნენ ინგლისის მუშებისათვის მიუღებელია სოციალიზმი, ისინი მხოლოდ ტრედუნიონისტები არიანო. ინგლისის მუშათა პარტია ძლიერ ძალას წარმოადგენს არა მარტო ინგლისისთვის, არამედ ევროპისათვისაც. ამაში მუშათა პარტია მაკდონალდს უნდა უმა-დლოდეს. ამ დიდ ძალას, ამ პარტიის ჰყავს თავისი ხელმძღვანელი და ბელადი შოუ, რომელიც კარგად იცნობს გარდა ინგლისის მუშათა მოძრ., ერთად ევროპის მუშათა მოძრაობასაც. ამხანაგი შოუ რუსეთში მყოფ დელეგაციის წევრადაც იყო და ის უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა იქიდან. აქ ჩვენს სტუმართა შორის არის ინგლისის მუშათა პარტიის უკიდურესი მემარცხენე ფრთის წევრი ამხ. სნოუდენი, რომელიც სამაგალითო ორგანიზატორია. ის მუშაობდა ინგლისის მუშა ქალებში და მოაწყო ინგლისა და ამერიკაში მუშა ქალთა 2000 მიტინგი. რაც ინგლისელ ქალის ენ-ერგიის მაჩვენებელია, სნოუდენი რუსეთში წავიდა იმ მიზნით, რათა თავის ქვეყნის მუშებისათვის ემცნო ის რაც კარგს ნახავ-

და საბჭოთა რუსეთში. მაგრამ ისიც როგორც შოუ უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა. აქ არიან ინგლისის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც ინგლისის მუშათა მოძრაობის სიძლიერის, ერთიანობის და ფიქრების გამომხატველნი არიან. საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ ამ საერთო იდეის უარყოფას. მათი წარმომადგენლები რენოდელი მემკვიდრეა ცნობილ ტრიბუნის ჟორესისა. ამს. რენოდელი დღეს უმცირესობის პარტიაშია, მაგრამ მწამს რომ ეს უმცირესობა უმრავლესობად გადაიქცევა. ამს. რენოდელმა პარტიას ასე დაუყენა საკითხი: ჩვენ, ან ჟორესის და ან ლენინის აზრები უნდა მივიღოთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი ჟორესის აზრებს გაყვება. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საფრანგეთში მუშათა კლასის გაერთიანება მოხდება, ისე როგორც სხვა ქვეყანაში მოწინააღმდეგეთა წყალობით, ანუ მისი ნაკლულევანებით. როდესაც ბოლშევიკური ექსპერიმენტები ტფილის მოუახლოვდა, ჩვენ ვიგრძენით, რომ ის სოციალიზმი არ იყო. ეს ექსპერიმენტები საფრანგეთს რომ მიუახლოვდება აქაც დარწმუნდებიან, რომ ბოლშევიზმს სოციალიზმთან არაფერი აქვს საერთო. ამიტომ საფრანგეთში ამ მოკლე ხანში ჩვენ დავინახავთ ისეთივე ერთსულოვან მუშათა პარტიას, როგორც არის ბელგიასა და ჩვენში. ჩვენი სტუმრები ჩვენი ამხანაგებია, რომ-ლებსაც ჩვენ მივყვებით საერთო გზაზე. ჩვენ კარგ პირობებში ვართ. ჩვენში ძალა-უფლება მუშათა კლასს აქვს ხელში და სოციალიზმის პრინციპებს ანხორციელებს. ეს იმით აიხსნება, რომ რევოლუცია ჩვენში უფრო გვიან მოხდა, ვიდრე დასავლეთში და ამან საშუალება მოგვცა აქამდი მოვსულიყავით. დარწმუნებული ვართ ჩვენი მთლიანობა არ დაირღვევა და იგი მაგალითი იქნება სხვა ქვეყნებისათვის.

## სახალხო სახლში ნოვ ჟორდანიას სიტყვა

სალამოს 5 საათზე ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოს, პროფ. კავშირთა გამგეობების და საქართვის კომიტეტების შეერთებული სხდომა.

ნოვ ჟორდანია გახსნილად აცხადებს რა სხდომას, ამბობს: დღევანდელი დღე ლირს შესანიშნავი დღეა თფილისის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში. დღეს პირველად თფილისის პროლეტარიატი პირისპირ შეხვდა ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელთ. დღეს თფილისის მუშებს შეძლება აქვთ პირდაპირ და უშუალოთ გაუზიარონ თავისი აზრი და გრძნობები დასავლეთ ევროპის ამხანაგებს.

მთელი დღის განმავლობაში თფილისის ხალხი ხმაურობით და სიხარულით ქუჩებში ეგებებოდა ძვირფას სტუმრებს ეხლა ჩვენი საუკეთესო წარმომადგენელნი ამ შეკავშირებულ მუშათა კლასისა, ლიდერები თფილისის პროლეტარიატისა, შევიკრიბენით აქ, რომ მივესალმოთ ძვირფას სტუმრებს (ხანგრძლივი ტაში ისმის „ვაშა“ და „გაუმარჯოს „ინტერნაციონალს“) ამხანაგებო, დღევანდელმა მანიფესტაციამ და დღევანდელმა აღფრთოვანებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა მუშათა კლასის მოძრაობის მთლიანობა და სოლიდარობა ჩვენში.

ჩვენ ვხედავთ, რომ თფილისის მუშები კიდევ მიდიან იმ გზით, რომლითაც ისინი მიდიოდნენ დღემდე.

ბევრი ამ მთლიანობას და სოლიდარობას ჩვენი ჩამორჩენით ხსნის, მაგრამ აქ დამსწრე ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ევროპა-შიაც არის მთლიანობა. აი ბელგიაში, რომელიც თავისი სივრცით ძლიერ ჰგავს პატარა საქართველოს, ჩვენ ამასვე ვხედავთ. თქვენ იცით, რომ ბელგიის მუშათა მოძრაობამ არ იცის განხეთქილება და ის მიმდინარეობს დემოკრატიის ერთ დროშის ქვეშ.

და დღეს ჩვენ აქ ვხედავთ ბელგიის მუშათა მოძრაობის შემქმნელებს, ხელმძღვანელებს და მამებს.

მათი სახელებია: ვანდერველდე, დე ბრიუკერი და გიუსმანი. (სხდომა ფეხზე ადგომით ოვაციებს უმართავს მათ).

თქვენ ყველანი კარგათ იცნობთ ვანდერველდეს. ჩვენ მისგან

გსწავლობდით. ის არის ბელგიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო თეორეტიკოსი და ტაქტიკოსი.

დე ბრიუკერს შეიძლება თქვენ ნაკლებ იცნობდეთ მას თვალ-საჩინო ადგილი უკავია ბელგიაში. ის ბელგიის არისტიდია, ის არის პარტიულ ორგანოს რედაქტორი, მის სიტყვებს უჯერიან მისი მტრები და მოყვარენიც.

გიუსმანსი საუკეთესო ორგანიზატორია არა მარტო ბელგიის მუშათა კლასისა, არამედ ინტერნაციონალისა, რომლის მდივნად იყო 15 წელიწადი. და ამ პირთა სახით ჩვენ ვესალმებით ბელ-გიის მუშათა მოძრაობას, ვესალმებით იდეათა და რევოლუციის მთლიანობას ამ მხარეში. მაგრამ ეს არის პატარა სახელმწიფო. ავილოთ ინგლისი, აქაც ჩვენ იმასვე დავინახავთ.

ინგლისის მუშათა კლასი თავის რიგში  $4^{1/4}$  მილიონ მუშას იტევს და მიუხედავათ ასეთი დიდი რიცხვისა მუშათა პარტიის მთლიანობა მაინც დღემდე შენახულია იქ.

დღეს ჩვენ ვესალმებით ამ დიდ ხალხთა წარმომადგენლებს და მუშათა კლასის ორგანიზატორებს.

მათი სახელებია: შოუ, მაკდონალდე და სნოუდენი (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

სრულდება კარლ მარქსის სიტყვები. ის ამბობდა, რომ ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიალურმა სახელმწიფომ უნდა შექმნას ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც საფუძველს ჩაუყრის სოციალიზმსო.

ასეთი მხარე აღმოჩნდა ინგლისი. ამის წინააღმდეგნი იყვნენ და უთითებდენ იმაზე, რომ ინგლისის მუშათა კლასი არ არის გა-ჟღენთილი სოციალიზმის სულით.

დიახ, ეს იყო წინეთ, მაგრამ ეს იყო თავის დროზე. ეხლა ინ-გლისის მუშები უკვე დადგენ სოციალიზმის გზაზე და ძლიერ ძალას წარმოადგენენ.

ამაში ინგლისის მუშები დიდათ დავალებულია ამს. მაკდონ-ალდისაგან, რომელმაც დააპარსა დამოუკიდებელ მუშათა პარტია, რომელიც პირველად დადგა სოციალიზმის გზაზე და თავ-ისთან გაიყოლია ინგლისის მთელი მუშათა კლასი. ამს. შოუ არის მუშა, ის არა მარტო თავის მხარის, არამედ მთელი ევროპის მუ-შათა მოძრაობის დიდი მცოდნეა. ამ მუშაში, რომელიც სათავეში უდგა 5 მილიონიან მუშათა ლაშქარს განხორციელებულია მთელი ინგლისის მუშათა მოძრაობის ძალა და მნიშვნელობა.

ამხ. შოუ იყო რუსეთში დელეგაციის წევრათ და იქიდან ის დაბრუნდა უარყოფითი შეხედულობით ბალშევიკების საქმეებზე.

ამხ. სნოუდენი ეკუთვნის მუშათა პარტიის მარცხენა ფრთას. ეს საუცხოვო ორატორი და ორგანიზატორია განსაკუთრებით მუშებში. ომის შემდეგ მოაწყო ინგლისში და ამერიკაში 2000-მდე მიტინგი, რაც დამახასიათებელია ინგლისელ ქალის ენერგიისა.

სნოუდენმა ინახულა საბჭოთა რუსეთი იმ მიზნით, რომ აღენიშნა ყველა ის კარგი მხარეები, რასაც მიაღწია საბჭოთა მთავრობამ, მაგრამ ისიც ისე როგორც შოუ უარყოფით დაბრუნდა იქედან, რის შემდეგ გამოსცა წიგნაკი „ბალშევიკურ რუსეთში“.

აი ეს პირებია ინგლისის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ძალა და ინგლისის მუშათა მოძრაობის მთლიანობის საუკეთესო გამომხატველნი.

აქვე არიან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი ამხ. რენოდელი, ენგელსი და მარკე.

რენოდელი არის შესანიშნავი ტრიბუნის უორესის მემკვიდრე. უორესის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი რენოდელმა დაიკავა და თუმცა ის უმცირესობის პარტიაშია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მალე იქნება უმრავლესობაში: ერთხელ რენოდელმა პარტიულ კრებაზე ასე დაათავა თავისი სიტყვა: ჩვენ ან უორესის აზრს უნდა გაცვალო და ან ლენინისაო, და მე დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი უორესის აზრს გაცვება.

ერთხელ ამხ. გიუსმანსმა ინტერვიუს დროს, რომელიც გამოქვეყნდა შვეიცარიის ერთ ერთ გაზეთში სხვათა შორის განაცხადა: პროლეტარიატის გაერთიანება უნდა მოხდეს ჩვენი მტრების წყალობითო. და მართლაც მას შემდეგ რაც ბალშევიკური ექსპერიმენტები თბილისს დაუახლოვდა საქარ. მუშ. კლასი ერთხელ კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ ბალშევიზმს სოციალიზმთან საერთო არაფერი ქონდა. და როცა ეს ექსპერიმენტები საფრანგეთს მიუახლოვდება, იქაც დარწმუნდებიან, რომ მას სოციალიზმთან საერთო არა აქვს რა. ამიტომ საფრანგეთშიც მახლობელ მომავალში თქვენ დაინახავთ ისეთივე ერთსულოვან პარტიას როგორიც არის ბელგიასა და ჩვენში.

თქვენ ხედავდით, ამხანაგებო, რომ ჩვენ ერთ დროშის ქვეშ მივდიოდით ჩვენს სტუმრებთან, არა, სტუმრებთან კი არა, მე ვიტყო-

დი – ჩვენი მეგობრებთან ამხანაგებთან ერთად საერთო გზაზე. მართალია ჩვენ უკეთეს პირობებში ვართ, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ დემოკრატიას არ განუცდია მეორე რევოლუცია. ჩვენში პირველსავე რევოლიუციონურ აფეთქების დროს მუშათა კლასმა ჩაიგდო ძალაუფლება და ის შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას, მხოლოდ იმ გზით, რომლითაც ჩვენ ახლა მივდივართ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ გზაზე დავრჩებით ბოლომდე და ჩვენი მთლიანობა და სწორი გზა წასაპაპავი მაგალითი იქნება სხვა ქვეყნებისათვის.

## 13 ოქტომბერს თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ამხ.

ნ. რამიშვილის თვემჯდომარეობით შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი, თფილისის კომიტეტები, დამფუ კრების ს. დ. ფრაქცია, თფილისის რაიონული კოლექტივები, მცირე კოლექტივები და პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელები. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. უორდანიამ, რომლის გამოსვლას დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა.

### ნოე ჟორდანიას მოხსენება:

ამხანაგებო! დღევანდელი ჩვენი საუბარი ეხება საქართველოს ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას. აღნიშნულ საკითხს მე შევეხები ზოგადათ, მოგახსენებთ ჩემს საერთო აზრს; ხოლო რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, ამაზე ილაპარაკებს ამხ. ნ. ხომერიკი.

ამ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისაკენ მივისწრაფითო. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული. ასე რომ, ამ სიტყვებს კიდეც შეეჩივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია. დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწვავეთ განიცდის ამ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე.

და აი დღეს ჩვენ წინ სდგება შემდეგი დილემა: ან უნდა გადავიჩეხოთ უფსკრულში, ე. ი. ჩვენ უნდა გავადიდოთ ხელფასი, მოვსჭრათ ახალი ბონები. ამით საქონელი ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდება, ცხოვრება აირევ-დაირევა და შესაძლებელია, ყველაფერი ეს დათავდეს სრული სახელმწიფოებრივი კრახით; ან და უნდა შევძლოთ ძველი მდგომარეობის აღდგენა, უკან დაპრუნება და მით დაძლეული გვექნება კატასტროფა.

რაში გამოიხატება კრიზისი?

ეს იხატება საქონლის, პირველ სახმარ საგნების საზღაპრო სიძვირეში. საქონლის გაძვირება იწვევს ხელფასის გადიდებას, რომ მუშა-მოსამსახურებს შეძლება მიეცეთ იყიდონ საჭირო საგნები. ჩვენ ვუმატებთ ხელფასს, მაგრამ გამოდის, რომ ამას არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს მუშა-მოსამსახურეებისათვის. ხელფასის გადიდება ვერ უსწრებს ფასების ზრდას ბაზარზე და მდგომარეობაც კიდევ უფრო უარესდება. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა.

როგორი მდგომარეობა იყო ომის წინ?

ომის წინ სულ სხვაგვარი მდგომარეობა იყო. საქონელი იაფი იყო, არსებობდა ერთგვარი უცვლელი ფასები, ერთნაირი იყო ჯამაგირებიც. ომის წინ იყო დამაგრებული ფინანსიური მდგომარეობა. დღეს კი მდგომარეობა სავსებით შებრუნებულია, ძველსა და ახალს შორის სრული კონტრასტია. დღევანდელი სურათი ანტიპოდია ომის, რაც ომამდე იყო.

ამბობენ, რომ ამის მიზეზია ომი.

ეს უეჭველია.

რას ნიშნავს ომი ეკონომიურათ?

პირველათ, ეს ნიშნავს ომას, რომ აუარებელი მუშა ხელი, მცხოვრებთა ყველაზე უფრო საღი ნაწილი გადის ბრძოლის ველზე; რომ ეს საღი ნაწილი აკლდება მეურნეობას, წარმოებას. მეორეთ, ეს ნიშნავს ომას, რომ ახალ ღირებულების შექმნის მაგივრათ ეს ჯანსაღი ნაწილი მცხოვრებლებისა სჭამს, ანადგურებს ომას, რაც უკვე შექმნილი იყო წინათ. მაშასადამე, ეკონომიურათ ომი ნიშნავს საზოგადოების შემოქმედებით ენერგიის შესუსტებას, შრომის ნაყოფიერების დაცემას.

რას ნიშნავს ომი ფინანსიურათ?

ეს ნიშნავს ომას, რომ ხალხი იძულებული ხდება დაფაროს ზედმეტი არაჩვეულებრივი ხარჯები. სახელმწიფო განიცდის დიდ დეფიციტს და იძულებულია დაფაროს იგი ვალის აღებით ან სხვა რომელიმე საშუალებით. ამრიგათ, იხარჯება აუარებელი შრომა სრულიათ უნაყოფოთ, არ მზადდება სამყოფი სიმდიდრე მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ომი ანადგურებს მატერიალურ სიმდიდრეს და ამასთანავე იწვევს საწარმოვო ძალთა დანგრევას. ასეთ გავლენას ახდენს საზოგადოთ ხალხის ცხოვრებაზე ყველა ომი, ანუ უეკონომიოთ

ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ხანგრძლივია, თუ მასში მრავალი ხალხია ჩაბმული ხანგრძლივათ, როგორც ახლახან განვლილი ომი გამოდგა.

აშვარაა, დღევანდელი მოვლენა, მძიმე ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის მოვლენა: ამას ქვეყნიური თუ არა, მთელი ევროპიული ხასიათი მაინც აქვს.

მაგრამ ერთნაირის სიმწვავით არ განიცდიან ამ საერთო ხასიათის ფაქტორის გავლენას ყველა სახელმწიფოები, რაც აიხსნება თვითეულის საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით.

სახელმწიფოების დავალიანებამ ომის დროს საერთო ხასიათის მიიღო. საფრანგეთს ვალათ აქვს აღებული ომისათვის 200 მილიარდი ფრანკი; არა ნაკლები ვალი აქვს ინგლისს, გერმანიას და სხვა სახელმწიფოებს.

ამ ჟამათ ეს სახელმწიფოები ეძებენ გზებს, თუ როგორ გამოვიდენ ომის მიერ შექმნილ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან. იმის გასაგებათ, თუ რა გზით ცდილობენ ისინი მდგომარეობის თავის დაღწევას, ჩვენთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ფინანსიური სისტემა, რომელიც შემოღებული ჰქონდათ ამ სახელმწიფოებს ომის წინ.

საერთოდ ფინანსიური სისტემა აგებულია ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ხოლო ამ უკანასკნელს განსაზღვრავს კაპიტალისტურ ქვეყანაში საქონლის წარმოება, ე. ი. ის, რომ იქნება სახმარი ნივთები გასაყიდათ.

საქონლის წარმოება თავის საკუთარ კანონებს ემორჩილება. რომ საქონელი გაიყიდოს, საჭიროა გზები, საიდანაც საქონელი გაიტანება; ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნება საქონლის განაღდება. საქონელს სცვლიან ფულზე იმ მიზნით, რათა ამ ფულით ისევ საქონელი იყიდონ. ამრიგათ, საბოლოოთ საქონელი იცვლება ისევ საქონელზე.

ძველათ საქონლის გაცვლა-გამოცვლის პრიმიტიული წესი იყო დამყარებული: სცვლიდენ საქონელს პირდაპირ საქონელზე. როდესაც ეს ტეხნიკურათ მოუხერხებელი გახდა, შემოიღეს ფული, რაც აადვილებდა სხენებულ ოპერაციას. პირველათ ფულათ ხმარობდენ ვერცხლის, შემდეგ ოქროს ვალიუტას. ბოლოს, ოქროს მაგივრობის გასაწევათ ყოველ დღიურ ურთიერთობაში

შემოღებული იქნა ქაღალდის ფული, რასაც, რასაკვირველია, საფუძვლათ ედო იმავე ოქრო-ვერცხლის უზრუნველყოფა.

რაზეა აგებული ეს სისტემა?

მარქსმა დაამტკიცა, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის შრომა. საქონელი იცვლება მეორე საქონელზე იმის მიხედვით, თუ რამდენი შრომაა განსახიერებული თვით ამ საქონელში. ერთ საქონელში, რომელიც მეორეზე იცვლება, იმდენი შრომა უნდა იყოს დახარჯული, რამდენიც ამ მეორეშია. მაშასადამე, საბოლოოთ იცვლება მხოლოდ შრომის რაოდენობა, რომელიც საქონელშია გამოხატული. ეხლა მაინც ყველასათვის აშვარაა ის გარემოება, რომ ბურუუაზიული ლიბერალები თავის დროზე სტყუოდენ, როდესაც ამტკიცებდენ, რომ ღირებულებას ქმნის კაპიტალიო. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ აუარებელი ფული ტრიალებს ბაზარზე, მაგრამ ეს საქმეს არას შველის, ფასი არ ეცემა; ის ვერ აადვილებს გაცვლა-გამოცვლას, ვერ ქმნის ღირებულებას, ვერ ამსუბუქებს კრიზისს. ცხადია, მხოლოდ შრომა ქმნის ღირებულებას.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ ფასი საქონლის და საქონლის გაცვლა-გამოცვლა მეორე საქონელზე იხატება ფულის სახით. ქაღალდის ფული თავისთავად არავის უნდა, იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მასში მხოლოდ გამოხატული უნდა იყოს საქონლის ღირებულება. ცხადია, სახელმწიფო მმიმე მდგომარეობაში ვარდება მაშინ, როდესაც ეცემა ფულის ღირებულება და მატულობს საქონლის ფასი. ნორმალური მდგომარეობის შესარჩენათ საჭიროა დაცული იყოს ერთგვარი პროპორცია ქაღალდის ფულსა და საქონელს შორის. თუ ფული მეტია, მაშინ ბაზარზე ხდება არევ-დარევა, იბადება სიძვირე, ფერხდება ეკონომიური ცხოვრება, ასევე შეფერხებულია ეკონომიური წონასწორობა მაშინაც, როცა ბაზარზე ცოტა ფული ტრიალებს.

მაშასადამე, ფინანსიური სისტემის მთავარი საზრუნავი საგანია ამ პროპორციის აღნიშნულ წონასწორობის დაცვა. საშუალო საუკუნის მიწურულში მთავრობები ამ პროპორციას არ დაგიდევდენ და ფულის გაფუჭებით თავის საქმეს იკეთებდენ. ამ გარემოებას შესაფერი ანგარიში გაუწიეს მოწინავე სახელმწიფოებში და მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ მთავრობას უნდა წაერთვას ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება. ეს იმიტომ, რომ მთავრობას ბევრი მოულოდნელი ხარჯები აქვს, რაც გან-

ისაზღვრება ხშირათ პოლიტიკურ მომენტით. მთავრობა ხშირად იძულებული ხდება არ გაუწიოს ანგარიში ქვეყნის ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას და თუ ამავე დროს მას ემისიის უფლება ექნა, შესაძლებელია ეს მდგომარეობა ერთიანად აირივ-დაირიოს. ამიტომ ემისიის უფლება წაართვეს მთავრობას და გადასცეს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც ერთგვარი კერძო დაწესებულების ხასიათი აქვს. ინგლისში ემისიის უფლება გადაცემული აქვს „ინგლისის ბანკის“. ასევე იყო საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან. ასე არ იყო მხოლოდ რუსეთში, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ ვიღაპარაკებ. ამ ბანკების მთავარი აქციონერები კერძო პირებია.

ამრიგათ, თუ მთავრობას ფული დასჭირდება, უნდა მიმართოს სახელმწიფო ბანკის. ინგლისის ბანკის საქმეა, მაგალითად, მისცემს ფულს ინგლისის მთავრობას თუ არა. ბანკი უმთავრესათ უყურებს არა პოლიტიკურ მომენტს, არამედ ეკონომიურს. მის მოსაზრებებს ფინანსისურ-ეკონომიური საფუძველი აქვს. ამით შესაძლებელი ხდება ფულსა და საქონელს შორის ამ პროპორციის დაცვა, რომელიც ასე საჭიროა ნორმალურ ცხოვრებისათვის.

აი, ასეთი ფინანსიური სისტემა არსებობდა ომამდე იქ დასახელებულ ქვეყნებში. თვითეული ქვეყნის სახელმწიფო ბანკი ცდილობდა არ დარღვეულიყო წონასწორობა საქონელსა და ფულის ტრიალს შორის. ასეთ დროს მოხდა ომი, რომელმაც, რასაკვირველია, გამოიწვია არაჩვეულებრივი ხარჯები. რა უნდა ექნათ აქ მათ მთავრობებს? რა უნდა ექნა, მაგ., ინგლისის მთავრობას?

ბანკი ვერ მისცემდა მას საჭირო ფულს. მაშასადამე, მას უნდა მიემართა სესხისთვის, ე. ი. ხარჯების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია იმ ფულით, რომელიც უკვე ბაზარზე იყო დაბანდებული. ეს იყო ერთად ერთი სწორი გზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ხარჯების დაფარვაც და ფინანსიური წონასწორობის შენარჩუნებაც. მთავრობა ასე მოიქცა, ასევე მოიქცენ სხვა მთავრობებიც (მომხსენებელს მოჰყავს 1916 წ. გაზ. „აზრში“ მოთავსებულ მისი წერილიდან ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სესხი იქნა აღებული სხვადასხვა მთავრობების მიერ). რომ მათ თავისი საომარი ხარჯები დაეფარათ არა სესხით, ე. ი. უკვე ხალხში დაბანდებული ფულის მთავრობების ხელში მოგროვებით, არამედ ახალი ფულის ბეჭდვით, მაშინ დაირღვევოდა წონასწო-

რობა ფულის და საქონლის რაოდენობას შორის – ფული გაიაფ-დებოდა, საქონელი გაძვირდებოდა და დაიწყებოდა ფინანსიურ კრიზისი.

რამოდენიმეთ განსაკუთრებული ხელსაყრელი მდგომარეობა დაიჭირა ომის დროს ინგლისმა. ინგლისის სამხედრო მინისტრმა კიტჩენერმა თავიდანვე განაცხადა, რომ ომი სამი წელი გაგრძელდება. ის შეცდა, რასაკვირველია: ომი გაცილებით გაგრძელდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ინგლისის ომი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ხანგრძლივი მოვლენა და იქ ამის შესაფერადაც იქნა გადადგმული ნაბიჯები: მან ჯერ მიმართა სესხს, რის შემდეგაც დააწესა ისეთი გადასახადები, რომლის შესახებაც ომის მთავარი გასავალი ბიუჯეტის წესით იფარებოდა.

ეს ერთათ ერთ ინგლისმა შესძლო, რის გამო დღეს სტერლინგები ასე მოგროვილ არის.

საფრანგეთში ომის დაწყებისას აუარებელი რუსული თამასუქები ტრიალებდა. ომმა საშინელი პანიკა გამოიწვია, რასაც მოჰყვა თამასუქების ფასის დაცემა, მისი დევალვაცია. მთავრობას არ აძლევდენ სესხს. მაშინ მან მიმართა სესხისთვის სახელმწიფო ბანკს, რომელსაც მთავრობამ შესთავაზა თავისი თამასუქები – 7 მილიარდისა და 300 მილ. მან. ლირებული. რა უნდა ექნა ბანკს?

მან გამოუშვა ახალი ქაღალდის ფული. ეს, რასაკვირველია, დასცემდა ფულის ფასს ბაზარზე. მაგრამ საფრანგეთის ხალხმა აქ გამოიჩინა არაჩეულებრივი დისციპლინობა: ხალხმა მიიღო ეს ქაღალდის ფული და სამაგიროთ ოქრო შეიტანა ბანკში. ამით, რასაკვირველია, ხელახლა შეიქნა რეალური ლირებულება ფულისა და ბაზარზედაც ამ ოპერაციას დიდი არევ-დარევა არ გამოუწვევია.

გერმანიაც თავიდანვე სესხის გზას დაადგა.

ამრიგათ, მოწინავე ქვეყნები თავიდანვე დაადგენ სესხის გზას, ე. ი. იმ გზას, რომელიც ყველაზე ნაკლებ არყევს ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას. ფულისა და საქონლის ტრიალის სფეროში ამ გზით დაცული იქნებოდა ხსენებული პროპორცია.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, მთავრობები, განსაკუთრებით დამარცხებულ ქვეყნების მთავრობები, რასაკვირველია, იძულებული შეიქნენ ქაღალდის

ფული გამოეშვათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამათ არ აძლევდენ სესხს.

ეხლა გადავხედოთ რუსეთს. აქაც ფულის გამოცემის, ემისი-ის უფლება სახელმწიფო ბანკს ჰქონდა. მაგრამ მოგეხსენებათ, ეს ბანკი ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური დაწესებულება იყო. იგი ყველაფერში მთავრობის განკარგულებებს ემორჩილებოდა, და შეიძლება იგი იმავე მთავრობის დაწესებულებათ ჩავთვალოთ. ამიტომ მთავრობის პირველ მოთხოვნილებისთანავე მან გა-მოუშვა ახალი ქაღალდის ფულები. არსებითად რუსეთის მთავ-რობას ომის დროს სხვა გზა არ გააჩნდა; იგი ვერსად ვერ იშვი-და სესხს, რომ ამით დაეკმაყოფილებია ომის მოთხოვნილებები.

რუსეთმა უნინ კიდევ ორჯერ მიმართა ასეთ საშუალებას – ყირიმისა და რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. მაშინ გამოცემუ-ლი იყო ეგრ. წ. ასსიგნაციები. მაგრამ ასსიგნაციების გამოშვე-ბას მაშინ ასეთი დამლუპველი შედეგები არ ჰქონებია, ვინაიდან ომს დიდხანს არ აწარმოებდა. ქაღალდის ფულს კურსი დაბალი ქონდა, ვინენ ვერცხლის ფულს. ამიტომ იმ დროს არჩევდენ ქაღ-ალდის მანეთს ვერცხლის მანეთიდან.

იაპონიასთან ომის დროს რუსეთმა მოახერხა სესხის აღე-ბა საფრანგეთში და ამით აისხნება ის გარემოება, რომ მაშინ რუსეთმა თავი დააღნია ფინანსიურ-ეკონომიურ არევ-დარევას. დღევანდელ ომის დროს რუსეთი, ცხადია, სესხს ვერსად ვერ იშვიიდა, ვინაიდან ყველა დიდი სახელმწიფოები ჩაბმული იყვენ ომში და თვით საჭიროებდენ სესხს და ამიტომ მან გამოსცა ახ-ალი ფულები (მომხსენებელს მოჰყავს ზემოთ დასახელებულ წერილებიდან შესაფერი ციფრები).

მაშასადამე, დეფიციტის დასაფარარავათ არსებობს ორი სა-შუალება: ერთი საშუალებაა სესხი, ასე ვთქვათ, ევროპიული სისტემა; მეორეა ფულის ბეჭდვა – რუსული სისტემა. ევროპამ მიმართა პირველ საშუალებას უმთავრესათ, რუსეთმა კი მეორეს უმთავრესათ.

ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ ფულის კურსი ჩვენში და ევროპაში ერთმანეთს არა ჰგავს. დღეს ყველაზე მაღლა ინ-გლისურ გირვანქების კურსია. გირვანქა სტერლინგი ომამდე ლირდა დაახლოვებით 27 ფრანკი; ეხლა ფასობს 47-50 ფრანკს, ე. ი, საფრანგეთის ფულის კურსი სტერლინგებთან შედარებით დაეცა 90-100%-ით. სულ სხვაა რუსეთში და ჩვენში: აქ კურსი დაეცა ათასი და ათი-ათასი პროცენტით.

ამრიგათ, თქვენ ხედავთ, რომ არსებობს ორი სისტემა: ერთი ამაგრებს კურსს და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, მეორე კი ანგრევს.

ამ უამათ ევროპაში ცდილობენ აღადგინონ მდგომარეობა, გააუმჯობესონ კურსი. რა საშუალებებს მიმართავენ ისინი ამ მიზნით?

ბელგია როდესაც თავის ქვეყანაში დაპრუნდა, მას იქ დახვდა  $4^{1/2}$  მილიარდი გერმანული მარკა. ბელგიამ გამოსცა 7 მილიარდი ფრანკი ფული იმ მიზნით, რათა გამოეცვალა გერმანული მარკები. მაშასადამე, დღეს იქ ტრიალებს 7 მილიარდი ფრანკი. ბელგია ცდილობს წარმოების განვითარების საშუალებით ფრანკების რაოდენობა ნორმალურ პირობების რაოდენობამდე დაიყვანოს, ე. ი. შეამციროს 2 მილიარდამდე. ასევე ცდილობენ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც ნორმალურ მდგომარეობის აღდგენას.

ახლა შევეხოთ საქართველოს მდგომარეობას.

ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი არ იყო. გვქონდა მხოლოდ რამოდენიმე მილიონი მანეთი. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ვალი; გვქონდა ის საქონელი, რომელიც ჩვენ დაგვრჩა რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე, პლიუსი იყო ჩვენთვის ის, რომ ვალი არ გვქონდა. მაგრამ დიდი მინუსი იყო ის, რომ ახალი სახელმწიფო ვიყავით, არ გვქონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი.

ჩვენ მოგვიხდა ომის წარმოება, გაგვიჩნდა აუარებელი ხარჯები. ჩვენ ვიცოდით, რომ ხარჯების დაფარვა უკეთესი იყო სესხით, მაგრამ ჩვენ ვერც უცხოეთში, ვერც ჩვენში სესხს ვერ ავიღებდით. მაშასადამე, იძულებული შევიქენით დავმდგარიყავით ემისიის გზაზე, გამოგვეშვა ფული, მიგვემართა რუსულ სისტემისათვის. ამით ჩვენ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდით, ვინემ საბჭოთა რუსეთი. უკანასკნელი მოწყვეტილია უცხოეთს, იგი გარშემორტყმულია ბლოკადით; ჩვენ კი ამ მხრით თავისუფალი ვართ. შემდეგ კი, როდესაც რუსეთს დამოკიდებულება ექნება უცხოეთთან, იგი უფრო ადვილად შესძლებს კურსის წონასწორობის აღდგენას, ვინაიდან მას ამისთვის აუარებელი ოქრო-ვერცხლი მოეპოვება. მთავრობამ იქ კერძო პირთ ჩამოართვა ეს სიმდიდრე.

ამრიგათ, ჩვენ შევდექით ემისიის გზაზე. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ჩვენი ფულის კურსი დიდათ დაეცა. მაგ., სტერლინგი 1918 წ. შემოდგომაზე ღირდა 40 მ., დღეს კი ის ღირს 4-5 ათასი მანეთი.

ასეთი ფატალური გავლენა არ ექნებოდა ემისიას, რომ ჩვენი წარმოება მაინც არ დაცემულიყო. სამზუხაროთ, ამ მხრივ მეტათ უნუგეშო მდგომარეობაა: შრომის ნაყოფიერება თითქმის სისტემატიურათ ეცემა და არავითარი წინსვლა არ ეტყობა. აი, ზოგიერთი ცნობები ამის საილუსტრაციოთ:

მთავარ სახელოსნოების „კოტელნი ცეხში“ 14 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების სურათს მივიღებთ:

14 წელში – 100%

16 – 82%

20 – 41%

„კუზნეჩინი ცეხში“:

14 წელში – 100%

16 – 131%

17 წელში – 94%

20 – 42%

„ვაგონის ცეხში“:

14 წელში – 100%

16 – 181%

17 – 91%

20 – 41%

„სპორნი ცეხში“:

14 წელში – 100%

20 – 86%

როგორც ხედავთ, შრომის ნაყოფიერება საგრძნობლათ დაცემულია. ერთად ერთი დარგი წარმოებისა, სადაც ნაყოფიერება არ შემცირებულა, პირიქით, უმატნია კიდეც, არის ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. აი, ციფრი:

18 წელს – 100%

19 – 123%

20 – 194% ე. ი. შრომის ნაყოფიერებას უმატნია 94%-ით.

თავის თავათ ცხადია, რომ ასეთ პირობებში ზემოთ დასახელებულ პროპორციის დაცვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ფულის ღირებულება დაეცა, საქონელი ბაზარზე საზღაპრო გაძვირდა.

წელს ბევრი მოვიდა ჩვენში პური, კარგი პირი უჩანს სიმინდის მოსავალსაც, მაგრამ ეს მაინც ვერ მოახდენს შესაჩენევ გავლენას ბაზრის წონასწორობის აღდგენაზე: პური ასე ძვირი იქნება, ვინაიდან სოფლელებისთვის საჭირო საქონელი-მანუფაქტურა და სხვა, უცხოეთიდან მოგვაქვს, და აქ კი მთელი თავის სიგრძე-სიგანით თავს იჩენს ჩვენი კურსის დაცემა.

უბედურება დღეს კიდევ იმაშია, რომ ჩვენი კაპიტალი დღეს წარმოებას არ ეტანება. ვაჭრობა დღეს, ამ უსაქონლობის დროს, დიდ მოგებას იძლევა; ვინც საქონელს მოიტანს, – ბაზარზე მონიპოლისტიც იგი ხდება. ამის გამო ჩვენში მოსული ყველა კაპიტალის მუშაობა დღეს მხოლოდ სპეცულიაციაში გამოიხატება და დადებითი ღირებულება არ იქნება.

ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ საჭიროა წარმოებას ხელი მოჰკიდონ ჩვენმა თვითმართველობებმა – ერობებმა და ქალაქებმა. ეს არ ნიშნავდა, რასაკვირველია, კერძო ინიციატივის ჩახშობას. ერობებმა და ქალაქებმა კი უმთავრეს ნაწილათ ეს ისე გაიგეს, რომ მათ მეტი არავინ არ უნდა აწარმოებდესო. ამას არ უნდა ექნეს ალაგი მომავალში.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა თვით მუშაობა თვითმართველობებმა მიაქციონ ყურადღება წარმოებას, შრომის ნაყოფიერებას თვალ-ყური ადევნონ, რათა არ იქნეს დაცემული ნაყოფიერება; ამ ორგანიზაციებმა თვითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშაობის კონტროლში.

მაშასადამე, ჩვენი უპირველესი მიზანი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების გაზრდა, საწარმოო ძალთა განვითარება, რასაც შედეგათ ის მოჰკვება, რომ აღდგენილი იქნება წონასწორობა ჩვენს იმპორტსა და ექსპორტს შორის, დამყარდება მტკიცე პროპორცია ფულსა და საქონელს შორის.

კატასტროფიდან თავის დასაღწევათ საჭიროა მიღებულ იქნეს მთელი რიგი ზომებისა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ჩვენ დაგვჩემდა ზედმეტი ხელგაშლილობა: იხარჯება აუარებელი სიმდიდრე, იმდენი, რამდენიც წინათ არ იხარჯებოდა; სამაგიეროთ, ღირებულება იქმნება ძლიერ ცოტა (ამ დროს შემოდის ამბ. კ. კაუცკი, რომელ-საც მთელი დარბაზი დაუსრულებელის ტაშის კვრით მიეგებება. მოკლეთ მიესალმება მას კრების სახელით თავმჯდომარე, ამბ. ნ. რამიშვილი. საპასუხო მისალმებას ამბობს მოკლეთვე ამბ. კ. კაუცკი, რის შემდეგ მომხსენებელი განაგრძობს).

საჭიროა ჩვეულებრივი გასავალი უდრიდეს შემოსავალს. თუ ეს არ არის, მაშინ შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა. ამ წონასწორობის დაცვა ჩვენი პირველი საგანია და აქ ჩვენ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება. უამისოთ ვერავითარი შემოსავალი სახელმწიფოს ვერ უშველის, ის მუდამ დეფიციტში იქნება.

ჩვენში ბევრი გაურბის შრომას: ანებებენ თავს სოფელს და მიდიან ქალაქებში ალაგის საძებრათ. „ალაგის ძებნამ“ ამ ბოლო დროს ფართო ხასიათი მიიღო. დიდდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურების შტატები, რაც ზედმეტ ხარჯს ითხოვს და გასავალს ადიდებს. დაწესებულებებში მეტათ გავრცელდა აგრეთვე ბოროტმოქმედება. ძნელი მოსანახი იქნა ისეთი პირი, რომელსაც რაიმე საქმის გაკეთება მიანდო და მან ცოტა მაინც არ „ჩამორჩეს“. ასეთ მოვლენებთან სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ეს ზომები გატარებულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დაწესებულებებში.

თქვენ იცით, რომ სახელმწიფოსა და მუნიციპალურ დაწესებულებებს, კომუნებს შორის ხშირათ გაუგებრობას აქვს ალაგი. კომუნები ხშირათ აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და ისეთ დადგენილებებს სცემენ, რაც ენინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიკულიარიზმი დემოკრატიზმის ფლაგით გაძლიერებულია ჩვენში და ის ანგრევს სახელმწიფოს მთლიანობას. ჩვენს პარტიაში ამაზე არ არის ნათელი წარმოდგენა. მაგ., „ახალი სხივი“ ერობათა საკუთარ საბაჟო პოლიტიკას ამართლებს მით, რომ მთავრობაც კეტავს მაზრებსო, ე. ი. მთავრობა და ერობა ერთნაირი უფლების არიან ამ საქმეში. ამას ნათლავენ დემოკრატიზმით. არის სამნაირი დემოკრატიზმი:

- 1) ანარქისტული დემოკრატიზმი;
- 2) წვრილ ბურჟუაზიული;
- 3) სოციალისტური, პროლეტარული დემოკრატიზმი. პირველ დემოკრატიზმს ყოველთვის ანარქისტები იცავდენ; ისინი აქ

ლოდიკაში რჩებოდენ, ვინაიდან ანარქისტებს სძაგთ ყოველგვარი სახელმწიფოებრივობა. მათი ლოზუნგია კომუნისტის, კომუნებში პიროვნებების აბსოლუტური თავისუფლება. წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი არის მეშჩანური კუთხური სივ-იწროვით და ჩამორჩენილობით გამოწვეული. წვრილი ბურჟუა არასოდეს არ იხედება თავის სამრევლოს იქით და ვერ დადგება ერის მთლიანობის საფუძველზე. მას არასოდეს არ აუშენებია სახელმწიფო და ვერც დღეს ააშენებს. ხოლო სოციალისტური, ანუ პროლეტარული დემოკრატიზმი არის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ფორმა ხალხის ორგანიზაციისა და მუშათა კლასიც ამ გზაზე სდგას. სახელმწიფოებრივ ნიადაგზე შეუძლია იდგეს მხოლოდ საზოგადოების ორ კლასს – პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას. სახელმწიფოებრივი მიზნები, რასაკვირველია, ამ ორ კლასს სხვა და სხვანაირად ესმით, მაგრამ ეს არ არის არსებითი მხარე. ცხადია, საზოგადოების სხვა კლასები ვერც დააფასებდენ სწორად ჩემ ბრძანებას და ყვირილი მორთეს: „დემოკრატიზმი“ განსაცდელშიაო. მხოლოდ „ერთობამ“ შესძლო დაეფასებია იგი სისწორით. განსაცდელშია არა სოციალისტური დემოკრატიზმი, არამედ მეშჩანური პარტიკულიარიზმი.

ჩვენ უნდა ერთხელ და სამუდამოდ თავი დავალწიოთ პარტიკულიარიზმს და დავდგეთ ნამდვილ დემოკრატიულ, პროლეტარულ ნიადაგზე. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. კომუნებსა და სახელმწიფოს შორის გარდაუვალი საზღვარი არ უნდა იყოს, დაცული უნდა იქნეს საერთო მთლიანობა, უფლება-თა განაწილების ფარგლებში.

ამნაირათ, ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მოითხოვს მრავალ ზომების მიღებას ერთდაიმავე დროს. აქ ტენდენცია, პრინციპი ერთი უნდა იყოს... ჩვენ სოციალისტები ვართ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ხშირათ ჩვენი მოქმედება იღებს ხოლმე წვრილ ბურჟუაზიულ სახეს, ფორმას, რაც აისახება გლეხური უმრავლესობით საქართველოში. ამას სასტიკათ უნდა შევებრძოლოთ ჩვენმა პარტიამ, რომელიც ჰქმნის, შექმნა უკვე სახელმწიფო, – ამ პარტიამ უუდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენს წინ წამოჭრილ საკითხს და გადასჭრას იგი. ამ წიადაგზე მოგვიხდება ყველაზე უფრო მკაცრი ბრძოლის წარმოება; ბრძოლა უნდა იქნეს მტკიცე, მუშაობა მეთოდიური

თუ აქედან გამოსავალ ეკონომიურს და ფინანსიურს ზომებს გამოვნახავთ და მას სასტიკათ გავატარებთ ცხოვრებაში, მაშინ ჩვენ შევსძლებთ კატასტროფის აცილებას, შევსძლებთ შიგნი-დან გავამაგროთ ჩვენი სახელმწიფო. და ამ მუშაობისათვის და თავდაცებისათვის პარტიამ უნდა მოუწოდოს მთელ ხალხს და თვითონ მასში ისეთივე მხურვალე მონაწილეობა მიიღოს, როგორსაც ის იღებდა და იღებს პოლიტიკურ აღმშენებლობაში.

ერთობა. — 1920. — 16 ოქტომბერი. — № 235. — გვ. 2.  
საქართველოს რესპუბლიკა. — 1920. — 15 ოქტომბერი. — № 233. — გვ. 3.  
საქართველო. — ღვინობისთვის 19. — 1920. — № 125. — გვ. 2.

## 6. ქორდანიას მოსევება

სახალხო გვარდის მოორა ყრილობაზე 26 ოქტომბერს

(სტენოგრაფიული ანგარიში)

ამხანაგებო! პირველ ყოვლისა ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენს პირველ სხდომაზე ვერ მოვედი შეუძლებლობის გამო და ვერ მოგილოცეთ. ეხლა მაინც მიიღეთ ჩემი სალამი და სურვილი, რომ ეს ყრილობა ისეთივე ნაყოფიერი იყოს, როგორც იყო თქვენი შარ-შანდელი ყრილობა.

ეხლა მომეცით ნება მოგახსენოთ აქ რამდენიმე სიტყვა შეს-ახებ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისა როგორც შიგნით, ისე გარედ. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა შიგნით ამ უამად ასე-თი არის: პოლიტიკურად ჩვენ ეხლა ვართ მეტად გამაგრებულნი ხალხში და საერთოდ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში.

ეხლა აღარ არის ის რყევა, ის პოლიტიკური ქანაობა, რო-მელიც ჩვენში იყო და რომელსაც განვიცდიდით ამ ერთი-ორი წლის წინედ. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ დღეს ქართ-ველმა ხალხმა პჰოვა თვისი ბუნებრივი პოლიტიკური კალაპოტი და დღეს ამ კალაპოტში თავსდება იგი, შიგნით მუშაობს და ვი-თარდება. შეიძლება ითქვას, რომ ერთად ერთი ქართველი ხალხია დღეს, რომელიც განთავისუფლდა ერთი სენისაგან – ეს სენი არის ბალშევიზმი.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბალშევიზმი ჩვენში დამარცხდა როგორც იდეიურად, ისე მორალურად, და საქართვე-ლოს დემოკრატია სრულიად განთავისუფლდა მის იდეებისაგან და გავლენისაგან. წინად ამ მოძღვრებას ჩვენში უფრო მეტი მიმ-დევარი ყავდა და უფრო ძლიერიც იყო, ვიდრე დღეს. ეს აიხსნება იმით, რომ წინედ ჩვენი ხალხი ამ მოძღვრებას იცნობდა შორიდან, ასე ვთქვათ, პროპაგანდით, წერით, ლაპარაკით, მაგრამ პრაქტი-კულად ის არ იცნობდა. თავის თავათ ცხადია, რომ ისეთი დიდი აზრი, როგორიც არის სოციალიზმის დღესვე შემოღება, კომუ-ნისტური იდეების დამყარება – ეს დადებითი და წარმტაცი აზ-

რია და ალბად, ვინც ამას გაიგონებს, ამ იდეას გაყვება. მაგრამ როდესაც ეს პრაქტიკულად დაინახეს, დარწმუნდენ, რომ ეს ასე არ იყო პრაქტიკიგაში, ცხოვრებაში და მაშინ სულ სხვა წარმოდგენა მიიღეს ბალშევიკების შესახებ.

უნდა ვთქვათ, რომ ბალშევიკების მოახლოვებამ ჩვენს საზღვრებთან დაგვნახვა ახლოს ბალშევიკების მოძღვრება პრაქტიკაში; და როცა ჩვენმა ხალხმა ბალშევიზმი დაინახა პრაქტიკაში, დაინახა მისი სიდუხჭირე, — იგი განიკურნა ამ სენისაგან. ასე რომ, ჩვენი დემოკრატიის ერთობა არ ყოფილა არას დროს ისეთი ძლიერი, როგორც ამ უამად. ეს ერთობა ჩვენ მოვიპოვეთ არა იმით, რომ უარვყავით ჩვენი რევოლუციონური ლოზუნგები ან ჩვენი საკუთარი მოძღვრება, არამედ სწორედ იმით, რომ ამ ჩვენი მოძღვრების და რევოლუციონური ლოზუნგების ნიადაგზე შედგა ჩვენი ხალხი და ამაზე ააგო ჩვენი დღევანდელი რევოლუციონური ერთობა. მართალია, ჩვენ გვისაყვედურებენ ერთის მხრით ბალშევიკები და მეორეს მხრით ფედერალისტები, რომლებიც დღეს ბალშევიკებს ეარშიყებიან, რომ ჩვენი ერის, დემოკრატიის ერთობა იქნა აღდგენილი არა რევოლუციონურ, არამედ ოპორტიუნისტულ საფუძველზე. მაგრამ მე მგონია, რომ ეს მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს. ჩვენი იდეური საფუძველი არის ის, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ და ვიცავთ ყველა მონაპოვარს, რომელიც მოგვცა დიდმა რევოლუციამ — არის ეს პოლიტიკურ-ეკონომიური, თუ სხ. აი, ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცედ ბოლომდე და ვერც ერთმა ტალღამ, ვერც მარცხნივ და ვერც მარჯვნივ, ვერ გადაგვისროლა იმ ოპორტიუნიზმისაკენ, რომელსაც ხანდისხან გვიკიუნებენ. გარდა ამისა, ჩვენ ვატარებდით მტკიცე სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკას. მართალია, არიან ჩვენს წრეშიაც, ხშირათ წაგვიკითხავს „სხივში“, რომ ეს სისტემა არ ვარგა, მაგრამ ჩვენ დღემდე სამაგიერო სისტემა არ დაგვინახავს. აი, ამ ნიადაგზე ვდგევართ ჩვენ და ვიდექით თავიდანვე, მაგრამ დღეს ჩვენთან ერთად დგას მთელი საქართველოს დემოკრატია.

მაშასადამე, ბალშევიზმის დამარცხება მოხდა იმით, რომ ჩვენში გაპატონებულია სოციალისტური დემოკრატია. მხოლოდ სოციალისტურ დემოკრატიას შეუძლიან დაამარცხოს ბალშევიზმი; მხოლოდ მას შეუძლიან, რომ მთელი ხალხი წაიყვანოს თავის გზით. ამგვარათ, იმ სენისაგან, რომელიც ჩვენი ხალხის აზროვნებას ღრღნიდა და რომელიც შეჭრილია მოწინავე ხალ-

ხის აზროვნებაშიაც, ჩვენ განვიკურნეთ და სრულიად ჯან-საღად გამოვედით. მაგრამ არის სხვა სენიც, რომელიც შეიძლება არა ნა-კლებ უარესი იყოს, ვიდრე დღემდე გვქონდა. ჩვენი მიზანია, რომ ამ სენისაგანაც განვთავისუფლდეთ. ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს. თქვენ გამოსულნი ხართ იარაღით ხელში, რომ დაიცვათ სახელმ-წიფო; თქვენ მიდისართ საზღვრებზე, რომ გარეშე მტერი არ შემო-ვიდეს, ჩვენი საზღვრები არ გადმოლახოს და ჩვენი სახელმწიფო არ დაანგრიოს. მაგრამ არის ვიდევ მტერი შინაგანი, რომელიც ანგრევს ამ სახელმწიფოს და ძირს უთხრის მას. ჩვენი მიზანი და მოვალეობა არის, რომ ამ სახელმწიფოს ძირის გამომთხრელებს შევებრძოლოთ. პირველ ყოვლისა, ეს ძირის მოთხრა სჩანს იმა-ში, რომ ჩვენს სახელმწიფოში მეტის-მეტად გაძლიერდა სახელ-მწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება. ის პასუხისმგებლობა, რომელიც ახასიათებს მაგარ სახელმწიფოს გუშაგთ და მოხელეთ, ჩვენს სახელმწიფოს მუშაკთა შორის სამწუხაროდ არ არის, სახელმწიფოს მოხელეთა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოხელეთა შორისაც. პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვამ დაბადა ის, რომ მათ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ მიაჩნიათ ისეთ ინტერესად, რომელსაც უნდა ემსახურონ. თუ იშოვეს დრო და გარემოება, ამ სახელმწიფოს ინტერესებს უვნებენ პირადი ინტერესებისათვის, და ის სახელმწიფო ქონება, რომელსაც ვაგროვებთ, ამის წყალო-ბით დღითი-დღე იფლანგება.

მაშასადამე, ეს ბრძოლა ამ ბოროტმოქმედებასთან არის ჩვენი დღევანდელი საამდროო საკითხი, და სანამ ჩვენ მას არ ამოვაგ-დებთ ძირ-ფესვიანად და სახელმწიფო მუშაობას არ ჩავაყენებთ სათანადო კალაპოტში, მანამ ჩვენი სახელწიფოს ძალა არ იქნე-ბა გამაგრებული და მისი ფინანსები მოწყობილი. ამ სენს ჩვენ აქამდე ვებრძოდით ძველი კანონებით, რომელნიც შემუშავებულ იყვნენ წინათ რუსეთში.

თქვენ მოგეხსენებათ, ჩვენ ეს კანონები არ გამოგვიცვლია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კანონები შემუშავებულია ნორ-მალურ დროისთვის, ისეთი მდგომარეობისთვის, როცა სახელმ-წიფო აგებულია, აქვს ასე თუ ისე ისეთი მტკიცე ტრადიცია და მის დასაცავათ საკმაო არის ეს კანონები, მაგრამ ჩვენში დღეს ასეთი ნორმალური მდგომარეობა არ არსებობს. ჩვენ ახლა ვქმ-ნით სახელმწიფოს, დღეს ჩვენში არაჩვეულებრივი მდგომარეობა

არის და ამიტომ ამ ბოროტებასთან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არაჩვეულებრივ კანონებით.

ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს გადათვალიერება ამ ძველი კანონმდებლობისა და შემუშავება ახლისა, რომელიც გაუნეს სასტიკ ბრძოლას ყველა იმას, ვინც მოქმედებს და მუშაობს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ (ტაში). ის კაცი, რომელმაც მოიპარა სამი მილიონი მანეთი და ციხეში ჩავაგდეთ, გამოდის მარტო რაღაც 20 ათასი მანეთის თავდებობით. ჩვენ ხშირათ ამაში ვამტყუნებთ გამომძიებლებს, მოსამართლეებს, მაგრამ ისინი ამბობენ: „ასე სწერია კანონში“-ო.

ამიტომ ვცდილობთ, რომ ეს ანომალია არ ხდებოდეს. თუ ვინმემ რამე დააშავა, ის უნდა იყოს ციხეში იქამდე, სანამ მისი საქმე სავსებით არ იქნება გამორკვეული. დღეს არა თუ მარტო ქურდები, არამედ აშკარად ყალბი ფულის მომჭრელებიც თავისუფლად დადიან და სეირნობენ ქუჩებში. ეს მოუთმენელია ჩვენი მდგომარეობისათვის და მე მგონია, ახლო მომავალში იქნება გამოცემული სრულიად ახალი კანონები და ჩვენ გვგონია, რომ ამ კანონებით და თქვენი დახმარებით ასეთი ხალხი საბოლოოდ ალაგმული იქნება. არის მეორე სენი, რომელიც ჩვენ ხელს გვიშლის, რომ ჩვენი სახელმწიფო დავაყენოთ მუშაობის ნიადაგზე. ერთი რამ ჩვენ უკვე შევიგენით და ვიცით, რომ სახელმწიფოს საგარეო ინტერესები არის ამავე დროს ჩვენი ინტერესები. ამიტომ არის, რომ გვარდია თავის სურვილით გამოდის და სისხლს ლვრის ფრონტებზე. მან იცის, რომ თუ სახელმწიფო მტერმა დაანგრია, ეს იქნება მათი დანგრევაც და აქ, რასაკვირველია, ინტერესი სახელმწიფოსი და მთელი ხალხისა ერთი და იგივე არის. მაგრამ არის მეორე ინტერესი – შედეგი სახელმწიფოს

ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობისა. აქ ჩვენ არ გვაქვს შეგნებული, რომ თვითეული ჩვენი მოქალაქის, თვითეული გლეხის და მუშის ინტერესს შეადგენს ის, რომ სახელმწიფო იყოს ძლიერი ფინანსიურად და ეკონომიურად. თუ სახელმწიფო ძლიერია, მაშინ ძლიერია თვითეული მოქალაქის ფინანსებიც, და აი სწორედ იმის შეგნება, რომ სახელმწიფოს ნივთიერი ინტერესი არის იმავე დროს კერძო პირის ნივთიერი ინტერესი, აკლია ჩვენს ხალხს; და ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ დღეს მეტად შერყეულ ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაში ვართ. ნათქვამი არის: „სულერთია, მგელს შევუჭამივარ, თუ მგლის ფერ ძალლსო“;

სულერთია, ბალშევიკები დაგვანგრევენ, თუ შიგნით დავინგრევით ეკონომიურად. მე მგონია, უფრო ადვილია იქ ფრონტებზე სახელმწიფოს დაცვა, ვიდრე დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურად და ფინანსიურად. მშველელი გარედან ჩვენ

არავინ არ გვყავს. ჩვენ ვართ ერთად-ერთი ჩვენი თავის მშველელი. ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა მონიავე დემოკრატიამ უნდა შეიგნოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ თუ სახელმწიფო წაპორძიკებული არის ფინანსების მხრივ, ეს ეხება მის ჯიბესაც, მის ნივთიერ მდგომარეობასაც. დღეს ასე თუ ისე მგონია, რომ ეს აზრი იკაფავს გზას; ეს შესამჩნევია მას შემდეგ მაინც, რაც ჩვენი ბონების კურსი უცებ დაეცა და როცა ასეთი საარაკო სიძვირე გამეფდა. დღეს, მაშასადამე, უფრო აშკარა არის ის, რომ როცა სახელმწიფოს ფინანსები იწევენ დაბლა, მაშინ სიძვირე იწევს მაღლა; ეს კი ეხება მთელ ხალხს. მაშასადამე, ხალხის ინტერესს შეადგენს ის, რომ სახელმწიფოს ფინანსები, სახელმწიფოს ფული, მისი კურსი იდგეს მაღლა და არ იყოს ისე დაბლა, როგორც არის დღეს.

აი, ასეთი შეგნება რომ იქნება ჩვენს ხალხში და სწორედ ამ შეგნების ნიადაგზე იქნება განმტკიცებული ჩვენი დემოკრატიის ერთობა, მაშინ ჩვენ მივიღებთ ბევრ რამეს: ჩვენ მივიღებთ იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო არ იქნება ისეთ ფინანსიურ კრიზისში, როგორშიც არის დღეს; მივიღებთ იმას, რომ ჩვენი ხალხი გადაიხდის გადასახადს, იტყვის, რომ ეს სახელმწიფო საქმე იგივე ჩემი საქმე არის და ამიტომ, თუ მე მას არ მივეცი საჭირო გადასახადი, თავისთავად ცხადია, ის ვერ იარსებებს, მისი ფინანსები დაინგრევა და ამით, რასაკვირველია, დაინგრევა ჩემი ფინანსებიც, ჩემი ოჯახური მდგომარეობაცო.

ერთხელ, მახსოვს, შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა, რომ შეერთებულ შტატებში იყოლიოს თავისი პოლიტიკური წარმომადგენელი. ამიტომ მან გამოითხოვა პარლამენტიდან 30 ათასი ფრანკი წლიურად. პარლამენტმა მისცა ეს, მაგრამ ხალხმა ამოიღო ხმა და საკითხი დასვეს რეფერენდუმზე. შვეიცარიის ხალხმა უარყო ეს დადგენილება იმიტომ, რომ 30 ათასი ფრანკი ძალიან ძვირი გამოდიოდა.

მართალია, ეს არ იყო დიდი ფული, მაგრამ რადგან ამ ფულს შვეიცარიელები თვითონ იხდიან, ისინი არ აძლევენ ნებას, დაიხ-არჯოს ის ფული, რომელიც ზედმეტია. ჩვენში კი, როგორც იცით,

30 ათასი კი არა, 30 მილიარდი რომ გავიღოთ, არავინ ხმას არ ამოიღებს, რადგან ჩვენს ხალხს ჰგონია, რომ ხალხი სხვა არის და მთავრობა სხვა არისო. ჩვენ რომ ეხლა ახალ ბონების ვძეჭდავთ, ეს ბონები სცემენ ქველ ბონების ფასს, იმ ბონებისას, რომელიც ხალხს უდევს ჯიბეში. ამიტომ საჭირო არის, რომ ახალი ბონები არ გამოიცეს. მაშასადამე, ისეთი მდგომარეობა უნდა იქნეს სახელმწიფოში, რომ ის ფული, რომელიც არყევს მთელ ჩვენს სახელმწიფოს ფინანსებს, ამ ფულის ბეჭდვა უნდა იყოს მოსპობილი და თვითონ ხალხმა შეინახოს თავისი თავი, თავისი მართველობა. რასაკვირველია, დემოკრატიულ სახელმწიფოს აგება უფრო ძნელია, ვიდრე არისტოკრატიულის ან და მონარქიულის. დემოკრატიული სახელმწიფო ნიშნავს დემოკრატიის თვითმართველობას, ესე იგი, მან უნდა გამოიღოს სახელმწიფოს ყველა ხარჯებიც. ეს ძნელი გასაგებია პოლიტიკურათ განუვითარებელი ხალხისათვის, და ვინაიდან ძნელი გასაგებია, ამიტომ ჩვენი ხალხი ფიქრობს ისე, როგორც წინად ფიქრობდა: „ჩვენ სხვა ვართ და მთავრობა სხვა არისო, და მისი საქმე ჩვენ არ გვეხებაო“. ჩვენთვის საჭირო არის, რომ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა იქნას გამაგრებული; საჭირო არის, რომ ჩვენმა ხალხმა, უპირველეს ყოვლისა, გამოიღოს გადასახადი. ეს არ კმარა. ჩვენ დღეს ისეთ ფინანსიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ან უნდა ვიშოვოთ სესხი, ან უნდა ისევ განვაგრძოთ ფულის ბეჭდვა. მაგრამ ფულის ბეჭდვის განგრძობა ნიშნავს ფულის კურსის დაცემას და ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის არევას. სესხს არ გვაძლევენ უცხოეთში; ისე რომ, ჩვენ ეს სესხი უნდა ვიშოვოთ შიგნით, და ეს გვაქვს სწორედ განზრახული. ჩვენში არის გამოცემული ცხრა მილიარდი ბონები, რომელიც ტრიალებს ხალხში. მას არ აქვს ერთი მეასედი და მეათასედი იმის ფასი, რაც მას უნდა ქონდეს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბონები ამოვიღოთ ხალხის ჯიბიდან და ისევ დავაბრუნოთ ხაზინაში, – აქედან ხელახლა გავუშვათ. სამაგიეროთ, ვინც მოგვცემს სესხს, მივცემთ პროცენტებს. ჩვენთვის, თავისთავად ცხადია, ადვილია გადახდა პროცენტებისა.

და შემდეგ, როცა ჩვენ ფინანსიურად მოვლონიერდებით, სახელმწიფო გამაგრდება, რასაკვირველია, ამ ფულს თანდათან დავუბრუნებთ ისევ პატრონს. ამნაირად, ჩვენ გვინდა შინაური სესხი მოვაწყოთ საქართველოს ტერიტორიაზე, უამისოდ არ არის ჩვენი ფინანსების ხსნა. მესამე კითხვა არის ის, რომ ჩვენში

დღეს საკმაოდ მოიპოვება პური, სიმინდი. მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენს მუშებს, ჩვენს მოსამსახურეებს ეს პური და სიმინდის ფქვილი აკლიათ და ვერ მიგვიწვდია ხელსაყრელ ფასებში. მიზეზი ის არის, რომ პურის მომყვანნი მას არ ყიდიან; ხოლო ვინაიდან უცხოეთიდან მისი მიღება შეუძლებელი არის, და რომც იყოს შესაძლებელი, ამას უნდა აუარებელი ფულები. ვინაიდან ჩვენი ბონების კურსი დაცემულია, აუცილებელია ჩვენთვის, რომ ხალხმა სახელმწიფოს მისცეს შესაფერის ფასებით საჭირო ხორბლეულობა. აი, ეხლა მაგალითად, მთელს იმერეთში უკვე არის დაწყებული სიმინდის ტეხა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თემების, ერობების საშუალებით ამ ხალხს გამოვართვათ ათი პროცენტი მათი სიმინდის მოსავლისა ჩვენგან დაწესებულ ფასებში, ხოლო დანარჩენ 90%-ს ის გაყიდის ისე, როგორც მას უნდა.

მაშასადამე, სიმინდის კომპანია იქნება დაწყებული და თუ ეს კომპანია ვერ დავასრულეთ, როგორც გვსურს, ჩვენ დავრჩებით უპუროთ და უფქვილოთ. რას ნიშნავს ეს, თქვენც იცით. მაშასადამე, ხალხი რომ იყოს იმდენად შეგნებული, რომ სთქვას, რომ მისი და სახელმწიფოს ინტერესები ერთნაირი არის, ამ კითხვაზე ლაპარაკი აქ საჭირო არ იქნებოდა და ეს თავის თავად მოგვარდებოდა, მაგრამ დღეს ეს, სამწუხაროდ, ასე არ არის. პირიქით, გლეხი ხელს უჭერს, ერთგვარი წინააღმდეგი არის ქალაქისა. ის ანგრევს ბალშევიკურ წყობილებას რუსეთში იმით, რომ იქ გლეხი არ სცნობს ქალაქს. აქ ჩვენში, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. აქ რამდენი ხანია უცხოვრობთ შინაურ პურით გლეხებზე ძალა დაუტანებლათ. მაგრამ თუ განვითარდა ის აზრი, რომ სოფელი ქალაქის მოწინააღმდეგე უნდა იყოსო, ჩავვარდებით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც არის დღეს რუსეთი – ესე იგი, იძულებული ვიქებით ან შიმშილით მოვკვდეთ, ან ეგზეკუციას მივმართოთ. მაგრამ თუ იქნება სათანადო იდეური ზომები მიღებული, თუ ამხანაგები დატრიალდებიან ხალხში და გააცნობენ მას, რომ სახელმწიფოს და მისი ინტერესები ერთნაირი არის, არავითარი განსაკუთრებული ზომები არ დაგვჭირდება, რომ ხალხმა საჭირო სანოვაგე მოგვცეს. გარდა ამისა, გვჭირია ერთი რამ – ის, რომ ჩვენში შრომის ნაყოფიერება იყოს ასე თუ ისე გადიდებული.

ჩვენ შემოვიღეთ 8 საათიანი სამუშაო დღე, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ეს 8 საათი უეჭველად იმუშავოს იმ კაცმა, რომელსაც ეს აქვს დავალებული. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. არის 8 საათის

სამუშაო დღე, მაგრამ მუშა მეტ შემთხვევაში არა 8 საათი, არა ამედ 5 საათი მუშაობს, და ეს უეჭველია, დამოკიდებულია თვით მუშებზე.

მონინავე მუშები ამ საქმეში უნდა ჩაებნენ, უნდა იფიქრონ, რომ ის, რასაც ის აკეთებს, არის საქმე სახელმწიფოსი და ამავე დროს – თავისი.

და როდესაც ეს ერთი და იგივეობა ორივე ინტერესის შეგნებული იქნება, თავისთავად ცხადია, არ იქნება ის, რაც არის დღეს ხალხში. ერთმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იყო მთელი ჯგუფი მუშებისა, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე დღეში ორი-სამი საათი არ უმუშავიათ. ეს ანგრევს სახელმწიფოს ისე, როგორც სხვა სენი, რომელზედაც მე მიგითითეთ და ეს სენი ძირიანად უნდა ამოგდებული იყოს. მაშასადამე, თუ ჩვენი შინაური, პოლიტიკური მდგომარეობა არის მაგარი, თუ ჩვენს დემოკრატიას აქვს უკვე პოლიტიკური ერთობა, სამაგიეროდ ასე-თივე სიმაგრე ეკონომიური და ფინანსიური არა გვაქვს.

ასეთი სიმაგრის შექმნა კი დამოკიდებული არის ჩვენს ხალხზე და მე ვფიქრობ, რომ გვარდია ამ საქმეში შეასრულებს დიდ როლს. გვარდია, რომელსაც მთელ რესპუბლიკაში აქვს მოწყობილი დიდი ორგანიზაციები, მისი მოვალეობა უნდა იყოს არა მარტო თოვფი და იარაღი, არამედ უნდა იყოს ის, რომ იდეური გავლენა მოახდინოს ხალხზე და ეს აზრები და იდეები შეაგნებინოს.

ახლა მე გადავალ საგარეო მდგომარეობაზე. ჩვენი საგარეო მდგომარეობა რასაკვირველია ჩვენ ხელში არ არის. თუ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ჩვენზე და მისი გამოსწორება შეგვიძლია ჩვენი შრომითა და მოქმედებით, – სამაგიეროთ საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია საერთაშორისო სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაზე, და აქ შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ: ეს განწყობილება ნათლად წარმოვიდგინოთ, სწორედ შევიგნოთ, და ამ საერთო მდგომარეობაში ჩვენ ჩვენი მართალი და საკუთარი პოზიცია მოვნახოთ. ასე თუ ისე ჩვენი საგარეო პოლიტიკის აზრი იმაშია, რომ ამ საერთო დახლართულ დროში ნათელი წარმოდგენა არ დავკარგოთ და არ გადავიხაროთ იქ, სადაც ჩვენი ადგილი არ არის, არ დავკარგოთ ჩვენი შესაფერი პოზიცია. აი ამიტომ მე მინდა გაგაცნოთ ის დახლართული ურთიერთობა, რომელიც დღეს არსებობს, და ასეთ ურთიერთობაში ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია.

თქვენ იცით, რომ დღეს ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი ქვეყანა: ერთი ევროპა და მეორე ბალშევიკური რუსეთი და რამდენიმედ ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები. აյ ბალშევიკური რუსეთი გამოდის როგორც მეთაური აზიის აჯანყებისა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა. რას ნიშნავს ეს? უნდა ვსტკვა, რომ ბალშევიზმი უპირველეს ყოვლისა, არის წმინდა რუსული რევოლუციონური მოძრაობა, და მიმართულება, შიგნით აფერადებული, სწორედ რუსული „ობშჩინური“, ერთნაირი მუშიკური იდეებით.

იმდენად, რამდენად ეს რევოლუციონური მოძრაობა არის, უეჭველად, პროგრესულიცაა. ამით ისინი წააგავენ იმ რევოლუციონერთ, რომელნიც არსებობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ე. ი. იაკობინელებს.

უეჭველია, სიდამპლე და სისაძაგლე იმდენად იყო რუსეთში დაგროვილი, იმდენათ ღრმა იყო ძველი რეჟიმის ძირი, რომ მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ისეთი დიდი მოძრაობა, როგორიც არის ბალშევიკური. ეს მოძრაობა არის ნამდვილი ღვიძლი შვილი რუსეთის მდგომარეობისა. რამდენად მან ძველი ნაშთი სავსებით ამოაგდო და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, იმდენად ბალშევიკური მოძრაობა პროგრესიულია (ხმები: მართალია). მაგრამ ამ ბალშევიზმა თავისივე როლი, ეს დიადი საქმე, შეასუსტა იმით, რომ მას მიაკერა ისეთი იდეები, რომელიც განუხორციელებელია რუსეთის ფარგლებში, ეს ეგრეთ წოდებული კომუნისტური იდეები.

ამიტომ ბალშევიზმი არის ორი სული – ერთი დადებითი, პროგრესიული, – მეორე სრულიად უარყოფითი, უტობიური, რომლის განხორციელება შეუძლებელია და ეს განუხორციელებელი უტობია ასუსტებს იმას, რაც მასში არის დადებითი.

ახლა, რა მოძრაობა არის აზიის მოძრაობა?

უეჭველია, აზიის მოძრაობაც არის რევოლუციონური, ე. ი. მას უნდოდა თავისი თავის განთავისუფლება იმპერიალისტების ბატონობისაგან, – შეექმნა თავისი საკუთარი სახელმწიფო და თავისი თავის ბატონ პატრონი ყოფილიყო.

მაგრამ ამ მოძრაობაშიაც არის ორი მხარე: იმდენად, რამდენათაც ეს მოძრაობა ღებულობს ნაციონალურ ფორმას – ის არის მოძრაობა რევოლუციონური და პროგრესიული, – მაგრამ იმდენად, რამდენადაც იგი ღებულობს რელიგიურ პანისლამისტურ

ფორმას, — ეს მოძრაობა არის რეაქციონური, ვინაიდან არ არის ერის ბატონობა, არამედ ერთი რელიგია უპირდაპირდება მეორე რელიგიას. და უნდა ვსთქვა, რომ დღევანდელ აზიურ მოძრაობაში, რომელსაც ბალშევიკები მეთაურობენ, სჭარბობს რელიგიური, პანისლამისტური მოძრაობა და ამიტომ ეს რეაქციონური მოძრაობა არის.

მაჰმადიანებმა იციან რევოლიუციონურ-ნაციონალური მოძრაობა. მაგალითად, არაბებმა დააარსეს თავისი სახელმწიფო, სპარსეთში იყო და დღესაც არის რევოლიუციონურ-ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ არც სპარსელებს და არც არაბებს არა ჰქონიათ პანისლამისტური შემეცნება, ე. ი. მაჰმადიანობა ერთი სახელმწიფო უნდა იყოს და დაუპირდაპირდეს ქრისტიანობას. ასეთი აზრი არ არის სპარსეთში, ეს აზრი უმთავრესად თურქების, ოსმალეთის აზრია და რამდენადაც ეს აზრი ვითარდება და ასეთ სამოსელით და დროშით გამოდის, უეჭველია, ასეთი მოძრაობა, უარყოფითი არის.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ქემალ-ფაშის პარლამენტში ორი მიმდინარეობა იყო, — ერთი ნაციონალური, მეორე პანისლამისტური, საბოლოოდ ნაციონალური დამარცხდა და ნაციონალისტი დეპუტატები გარეკას და დარჩნენ პანისლამისტები. და აი, ამისთანა პანისლამისტებთან კავშირი და საქმე აქვთ ბალშევიკებს.

ყოველ შემთხვევაში, როცა დღეს ევროპას ეპირდაპირება ერთის მხრივ ბალშევიზმი რუსეთის სახით და მეორეს მხრით აზია, მას იგი ეპირდაპირება იდეურად, ე. ი. ეპირდაპირება იმ მხრივო, რომ უარს ყოფს ევროპის მატერიალურ-პოლიტიკურ კულტურას. ისინი უარს ყოფენ დემოკრატიზმს და ცდილობენ, რომ შეიარაღებულ ძალით, თავისუფლების ერთნაირი მოსპობით დაამყარონ თავისი იდეები თავის სახელმწიფოში. ეს უარისყოფა დემოკრატიზმისა და თავისუფლებისა არის ნიშანდობლივი თვისება ბალშევიზმისა. ამაში ერთნაირად ეთანხმებიან ერთმანეთს ბალშევიკურ რუსეთის და აღმოსავლეთის აზიურ სახელმწიფოების დესპოტიზმიური ტრადიციები. ბალშევიზმი — ეს ძველი დესპოტიზმის ახალ ფორმებში აღდგენაა და ამით იგი ხატავს ნათლად აზიის სულის კვეთებას.

აი, ასეთი შერეული მოძრაობის, ასე ვთქვათ, ამაღგამას, ასეთი შეერთება უარყოფითი და დადებითი თვისებებით აშინებს ევ-

როპას და იგი იღებს ყოველ ზომას, რომ ამ მოძრაობას ისეთი ბარი-ერი გაუკეთოს, რომ აქედან იქით არ გადავიდეს. რატომ აშინებს? დღეს არის ორი ევროპა: ერთი გამარჯვებული და მეორე დამ-არცხებული. დამარცხებული ევროპა ცდილობს, რასაკვირველია, რომ ეს დამარცხება შეამსუბუქის. დამარცხებული გერმანია და ავსტრია ცდილობენ გამოვიდნენ იმ მდგომარეობიდან, რომელ-შიაც არიან. პირიქით, გამარჯვებული ინგლისი, საფრანგეთი და სხვები ცდილობენ შეინარჩუნონ თვისი მდგომარეობა და ცხოვრებაში გაატარონ ვერსალის ხელშეკრულება. ამიტომ, ეს დამარცხებული სახელმწიფოები რუსეთისა და აზიის მოძრაობას უყურებენ როგორც ერთნაირ თავის სასარგებლო მოძრაობას, მაგ. თუ ინდოეთში ინგლისი დამარცხდება და ეგვიპტე აღარ ექნება, ან და საფრანგეთი აზიაში დამარცხდება, ამას უყურებენ როგორც თავისთვის ხელსაყრელ მოვლენას და ამიტომ ამ მოძრაობას ისე მტრულად არ უცქერიან, როგორც ინგლისი და საფრანგეთი.

ერთმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ გერმანიაში, რეა-ქციონერმა, ვილჰელმის მარჯვენა ხელმა – ლიუდენდორფმა სთქვა, რომ ჩვენი ხსნა ბალშევიზმია, ე. ი. ბალშევიკები დაარღვევენ ანტიანტას და თუ ის დაირღვა, დაირღვევა ვერსალის ზავიც.

მეორე გარემოება არის ის, – რომ დღეს მთელ ევროპაში გამწვავებულია კლასთა ბრძოლა. აი ამ კლასების ბრძოლაში ერთის მხრით სდგას იმპერიალისტური მთავრობები და მეორეს მხრით პროლეტარიატი. აი, ამათ შორის იჭრება ბალშევიზმი – ეს ერთნაირი რევოლუციონური მოძრაობა, და ამიტომ ამ კლასთა ბრძოლას ამწვავებს, ახალი ფორმები შეაქვს. ეს გარემოება კიდევ უფრო აშინებს ამ იმპერიალისტურ მთავრობებს და სახელმწიფოებს. მაგრამ, გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ამ ბალშევიზმის შექრა ევროპის მუშათა მოძრაობაში არამც თუ აძლიერებს ამ მოძრაობას, არამედ ასუსტებს. იქ, სადაც ის შეიჭრა, მოძრაობა ყველგან დასუსტდა. იქ, სადაც ბალშევიკები არ არიან, ან მცირე არიან, მეტად დიდია მუშათა მოძრაობა და აქვს ფართო ხასიათი. მაგ. ინგლისში არას დროს არ ყოფილა მუშათა პარტია ისეთი ძლიერი, როგორც დღეს, რადგან იქ ბალშევიზმი მეტად სუსტია. პირიქით – საფრანგეთში ბალშევიკური მიმართულება არის ძლიერი, მაგრამ ამასთანავე მუშათა პარტია ისეთი სუსტია, როგორც არასოდეს. ეს იმიტომ არის, რომ მუშათა მოძრაობა არის იმდენათ ძლიერი, რამდენადაც მას მხარს უჭერს არა პროლეტა-

რული ელემენტებიც. საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება მოხდეს რევოლუცია ისე, თუ მისი მომხრე არ არის ხალხის ურთავლესობა. იქ კი, საფრანგეთში და გერმანიაში, ის ხალხი, რომელიც მუშებს უჭერდა მხარს ბალშევიზმის შიშით, მიემხრო ბურჟუაზიულ პარტიებს, ისე, რომ ბალშევიკურმა პროპაგანდამ ისეთი როლი ითამაშა, რომ აუარებელი ხალხი ჩამოაშორა სოციალიზმს და გადარეკა მოწინააღმდეგე ბანაკში.

ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ თვით სოციალისტებში აც ამ იდეამ შეიტანა დიდი განხეთქილება. შეუძლებელია ბალშევიკური ინტერნაციონალი იმიტომ, რომ ინტერნაციონალი არის სხვადასხვა ერთა მუშების ერთ უღელში გაბმა. ბალშევიზმი კი წმინდა ნაციონალური, წმინდა რუსული მოვლენაა, ამიტომ შეუძლებელია, რომ მან შეართოს ფართო მასა დასავლეთ ევროპისა და სხვა სახელმწიფოებისა.

ამიტომ ეს ბალშევიკური მეთოდი შედის ევროპაში არა როგორც ფართო სოციალისტური მოძრაობა, არამედ როგორც სექტა და ეს ჰყოფს სოციალისტებს ჯგუფებად. აი, მაგ. გერმანიაში თვით სპარტაკელთა შორის არის ორი ჯგუფი, და მათ შორის ბრძოლაა. ეხლა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია სამად გაიყო. გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობა მეტად ძლიერი და მძლავრი იყო, ეხლა ის წვრიმალდება. აშკარაა, როცა სოციალისტური პარტიები ჯგუფებად იყოფიან, სუსტდება ენერგია პროლეტარიატისა.

აი, ასეთია საერთო მდგომარეობა პოლიტიკური და სოციალური შინაარსით – რუსეთში, აზიაში და ევროპაში.

ეხლა სად უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ასეთ მდგომარეობაში? ჩვენი პოზიცია ერთად ერთია: ჩვენ ვიცავთ ნეიტრალობას. რატომ? ხანდისხან ნეიტრალობა ნიშნავს უხასიათობას, გაუბედაობას, ლაჩრობას. არის ეს? ეს არ არის აქ. აქ ნეიტრალობა გამოწვეული არის წმინდა პრინციპიალური მოსაზრებით. ჩვენ არც ერთ მოპირდაპირეს არ ვუჭერთ მხარს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის ჩვენი იდეების მატარებელი. ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლიან სთქვას, რომ ის არც იმპერიალისტურია და არც ბალშევიკური, არის ჩვენი სახელმწიფო, ჩვენ არც იმპერიალისტები და არც ბალშევიკები არა ვართ; ჩვენ ვართ სოციალისტები და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვიქენებით ვერც იმპერიალისტების და ვერც კომუნისტების ბანაკში. აი,

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცავთ საკუთარ პოლიტიკას, ნეიტრალურ მდგომარეობას. ეს ორი წელიწადია, თუ მეტი, ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცედ. ჩვენ ყოველი მხრიდან გვეპატი-ჟებოდენ ხან იმპერიალისტები და ხან ბალშევიკები, მაგრამ ჩვენი პოზიციოდან დღემდე არ გამოვედით და არც გამოვალთ, იმიტომ, რომ არც ერთი სახელმწიფოს მთავრობა არა გავს ჩვენი სახელ-მწიფოს მთავრობას. ჩვენს შორის პრინციპიალური განსხვავება არის და ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მათ ვერ მივეკე-დლებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებთან არ გვქონდეს ზოგიერთი საერთო ინტერესები, რომ ყველა ძაფები ჩვენ და მათ შორის გაჭრილია.

### რა ინტერესებია ეს?

პირველი არის ის, რომ ჩვენ ვდგევართ თავისუფლების და დემოკრატიზმის ნიადაგზე, და მაშასადამე, ჩვენ ამით უკავ-შირდებით დასავლეთ ევროპას. მეორე მხრით ჩვენ ვდგევართ იმ ნიადაგზე, რომ სოციალისტური რევოლუციის დაწყება არ შეიძლება არც საქართველოდან, არც რუსეთიდან. ეს მოწინავე სახელმწიფოებმა – ინგლისმა, ან საფრანგეთმა უნდა დაიწყოს. სანამ ეს არ მოხდა, ჩვენში უნდა იყოს განვითარებული ევროპის ფორმის საწარმოო ძალები და ამიტომ უუღებთ კარებს ევროპის კაპიტალს და ამ მხრითაც საერთო ინტერესები გვაქვს დასავ-ლეთან. თავის თავად ცხადია, რომ რუსეთში სოციალისტური, მენშევიკური მთავრობა იყო, ჩვენ მაშინ ნეიტრალურ პოზიციაზე არ ვიდგებოდით და ვიტყოდით, რომ მხარს უჭერთ მათო. მაგრამ ეს ასე არ არის. იქ, რუსეთში არის ორი ძალა, ერთი ბალშევიკუ-ბისა და მეორე რეაქციონერებისა. მესამე ძალა არ არის და ჩვენ ამ ძალებს შორის არჩევანი უნდა მოვახდინოთ, და ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთში რეაქციის, ვრანგელის, გამარჯვება არის რეაქცი-ის გამარჯვება არა მარტო ბალშევიკებზე, არამედ ჩვენზედაც. ვრანგელი მოსკოვში – ნიშნავს ვრანგელი თფილისში. ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ამხანაგებმა, უნდა იცოდნენ ყველამ და ამ პოზი-ციას არ უნდა გადავცდეთ.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთები ბევრნი არიან. შეიძლება ისი-ნი არ იყვნენ ჩვენ პარტიაში, მაგრამ სხვა პარტიიდან არიან, რო-მელნიც ვრანგელს ეარშიყებიან და ფიქრობენ აქედან რაიმე კაპ-იტალი შეიძინონ.

გვარდიამ, განსაკუთრებით ფრონტებზე უნდა მიაქციოს ამას განსაკუთრებული ყურადღება და არავითარი, ასე ვთქვათ, ვრანგელურ მიმართულებას ჩვენ ფრონტზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

(პ. ჯულელი: ამ მხრივ ჩვენ დასტრახული ვართ).

მაშასადამე, გამარჯვება ვრანგელისა არის იმავე დროს ჩვენი დამარცხება, მაგრამ შეუძლია მას გამარჯვება? შეიძლება ჩვენ უტობისტები ვართ, შეიძლება ისეთ რამეს ვაკეთებთ, რომ ხვალვე ის უნდა დაიქცეს. თუ კი შეიძლება ვრანგელის გამარჯვება რუსეთში, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი საქმე დაღუპულია.

მაგრამ მას ეს არ შეუძლიან, არ შეუძლიან იმიტომ, რომ აქ, ამ ბრძოლაში, რომელიც დღეს სწარმოებს რუსეთში, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კლასები, ეს კლასიური ბრძოლაა. მაშასადამე, მოსკოვის მთავრობას უნდა დაუპირდაპირდეს რომელიმე კლასი, ისეთი მაგარი, რომ ამ მთავრობის ჩამოგდება შეეძლოს. ვინ არის ეხლა ასეთი კლასი? არის თუ არა ვრანგელის გარშემო ასეთი კლასი? მე ვამბობ, რომ მის გარშემო ასეთი კლასი არ არსებობს. ძველი ფეოდალური კლასები ისე არიან დარღვეული, რომ არავითარ კლასს არ წარმოადგენენ. მას მამული და ძალა არა აქვს და მხოლოდ თითო-ოროლა პირი შეიძლება იყოს მათ იდეოლოგათ, მაგრამ როგორც სოციალური ძალა, ის არ არსებობდა. მაშასადამე ამ კლასს არ შეუძლია მისცეს ვრანგელს ის ძალა, რომელიც მისთვის არის საჭირო.

ძველი ბურუუზიაც დღეს რუსეთში სავსებით დანგრეულია. მას დაემართა ისეთივე საქმე, რაც დაემართა ფეოდალურ კლასს, ამათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ ვრანგელის გარშემო მოიკრიბონ თავი, იმიტომ რომ, ის რასაც ჰქვიან „რუსეთის ბურუუზია“ – ის სცხოვრობს სხვადასხვა უცხო ქვეყნებში, არ წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიურ ძალას. ამათგან არიან ასე ვთქვათ მოღვაწეები, ისინი რასაკვირველია არიან ვრანგელის გარშემო, მაგრამ ისინი ვერ გასწევენ თავის კლასის როლს.

მაშასადამე, ვრანგელის გარშემო თავს იყრის ძველი დამარცხებული კლასის მოღვაწენი, თითო-ოროლა ცნობილი პირები, მაგრამ მის გარშემო თავს არ იყრის არც ერთი კლასი ისეთი ძლიერი, რომ მან შესძლოს ისეთი საქმის გაკეთება, როგორიც

არის დამარცხება მოსკოვისა. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთად ერთ კლასზე, რომელიც უეჭველად წარმოადგენს დიდ ძალას. ეს არის გლეხობა. და თუ გლეხი მიემხრო ვრანგელს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ადვილად შეიძლება ვრანგელის გამარჯვება. მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ვინაიდან ვრანგელის გარშემო მთელი მისი ძალა არის შემდგარი ძველი დამარცხებული კლასების ხალხისგან, ძველი თავად-აზნაურობისაგან, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან გლეხობის ინტერესებს, თავისი თავად ცხადია ვრანგელს არ შეუძლიან მოათავსოს, შეათანხმოს ამ დამარცხებულ კლასის და გამარჯვებულ გლეხობის ინტერესები. ამიტომ ორში ერთი უნდა მოხდეს: ან უნდა იყოს გლეხის გენერალი – დამცველი, ან უნდა იყოს ის, რაც არის დღეს. მას არ შეუძლიან გლეხის გენერალი იყვეს იმიტომ, რომ გლეხები ადგანან უეჭველად რევოლუციონურ გზას, მაშინ, როდესაც ამაზე არ დგას და არც შეიძლება იდგეს არც ვრანგელი, არც მისი ამალა და მთავრობა. მართალია, ჩვენ ვიცით ისტორიაში მაგალითი, როდესაც გლეხებს ჰყავდათ თავისი გენერალი და ამ გენერალს იმპერატორის ტიტულიც მიანიჭეს. ეს იყო ნაპოლეონი, მაგრამ ნაპოლეონი იყო შვილი რევოლუციისა, ის არ იყო შვილი რეაქციისა, მას არავითარი კავშირი არ ქონია ძველ დამარცხებულ კლასთან, იმან შექმნა ახალი არისტოკრატიული წოდება, მაგრამ ისინი იყვნენ ახალი ხალხი, ისინი იყვნენ იგივე გლეხები და მეშჩანები, მხოლოდ მათ ჩინი მისცა მან, ზოგს დაარქვა მარშალი, და ზოგს მარკიზი, თავის თავად ცხადია არავითარი მსგავსება არ შეიძლება ნაპოლეონისა ვრანგელთან.

აი ეს, რასაკვირველია, არ ესმით ევროპის ზოგ სახელმწიფო მოღვაწეთ. შეიძლება ესმით ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ძველ ტრადიციულ ანტიბალშევიკურ პოლიტიკას ვერ ივიწყებდნენ. ეს რომ ასე ესმოდეს ინგლისს, ის მილიონ სტერლინგებს არ გადაყრიდა უნაყოფოდ. ამ საკითხზე ჩვენი აზრი სრულიად ნათელი არის. ჩვენ ვართ, მაშასადამე, წინააღმდეგი რუსეთის ბლოკადისა, ვართ წინააღმდეგი ამ შინაგანი სამოქალაქო ომისა და ვართ მომხრე იმისა, რომ რუსეთი ჩადგეს განვითარების ნორმალურ კალაპოტში და მაშინ შეიქმნება ბალშევიკების შინაგანი ევოლუცია და ბოლშევიზმი მაშინ მიიღებს თანდათან იშ სახეს, რაც უნდა აუცილებლად მიიღოს, თუ სურს იარსებოს. რუსეთმა ამ რევოლუციის საშუალებით უნდა აკეთოს ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ. თუ

არ უნდა არსებობა, მაშინ, თავისთავად ცხადია, მათ შერჩებათ ის მეთოდები, რაც არის ეხლა. როცა იქ არ იქნება ომი, როცა მიეცე-მა საშუალება რუსეთს თავისუფლად ივაჭროს ევროპაში, მაშინ ბალშევიზმის უკანასკნელი ზარი დარეკავს და მაშინ შეიძლება სოციალისტურ-დემოკრატიულ პოლიტიკის განმტკიცება.

მაშასადამე, ასეთი არის ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ამნაირად ჩვენი საგარეო მდგომარეობის წარმოდგენა და ამ ჭაობში ერთი მეორის ინტერესების შეხლა-შემოხლის დროს პოზიციის ნახვა, ამავე დროს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის წარმოება და ამაში არის ჩვენი ხსნა. თუ ჩვენ ამდენ ხანს გავძელით, ეს არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდა მახვილი ხმალი, არა ამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ გვქონდა სწორი პოლიტიკა. როცა ჩვენ საგარეო მდგომარეობას ვერ გავიგებთ სწორად და ჩვენ ამ შეხლა-შემოხლაში დავიჭრთ ისეთ ადგილს, რომელიც არ უნდა დავიჭიროთ, როგორც ეს ემართება ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს, — მაშინ თავისთავად ცხადია, ჩვენ ჩავარდებით უარეს მდგომარეობაში, ვინემ ის არის. ამიტომ ჩვენი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო არის, რომ მთელი ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი პარტია, — სოც.-დემოკრატიული და აგრეთვე ის ჯგუფები, ვინც ამ პარტიას მისდევენ, უეჭველად იდგნენ ერთ გარკვეულ საგარეო და საშინაო პოზიციაზე. ის საგარეო პოზიცია, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო თავში, არამედ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ეს ჩვენი საშინაო ტკივილები, რომელიც ჩვენ გვაქვს, დღეს, ეს ტკივილები უნდა განვურნოთ, ჩვენი საშუალებით და ჩვენივე იარაღებით. არავინ დღეს ჩვენ არ გვიშველის, ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სატკივარი, თავისი დავიდარაბა, არავის არ სცალიან ჩვენთვის, მარტო ჩვენ უნდა ვიყვეთ ჩვენ საგარეო და შინაურ პოზიციაზე ფხიზლად დამდგარი. ჩვენი ბედი არის ჩვენ ხელში და ამ საქმეში პირველი ადგილი უკავია ჩვენ სახელოვან გვარდიას.

(მხურვალე ტაში და ოვაციები).

ერთობა. — 1920. — 31 ოქტომბერი. — № 247/248. — გვ. 2, 3.  
საქართველო. — 1920. — ღვინობისთვის 30. — № 135. — გვ. 2.

# მთავრობის თავმჯდომარე ნ. შორდანიას სიჰილა

დამუშავებელი პრეზიდენტი

## 1-ლ დეკემბრის სხდომა

მოქალაქენო! წინა სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ თქვენ მოგახსენათ კომისიის საერთო მოსაზრება კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ესლა მე მსურს მოგახსენოთ ს. დ. პარტიის და ფრაქციის მოსაზრებანი და საერთო შეხედულება ამავე საკითხზე.

პირველად ყოვლისა ჩვენ უნდა დავსვათ ერთი კითხვა. რა არის კონსტიტუცია საზოგადოთ და მერე როგორი უნდა იყოს ის ჩვენში, ჩვენი პირობების მიხედვით? თქვენ იცით, რომ ჩვეულებრივი კონსტიტუცია არის ერთნაირი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგალში ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ, ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბჯენილი მთელი სახელმწიფოს წეს-წყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის, თუ რა უფლებანი აქვს მას ამ ხარატის მიხედვით და რა მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ. ეს, ასე ვთქვათ, ერთნაირი წესდებაა, წესდება ისეთი ხასიათის, როგორიცაა მაგალითად რომელიმე საზოგადოების წესდება. ამ წესდების თანახმად მუშაობს საზოგადოება, სავაჭრო იქნება ის, საქველმქმედო თუ სხვ. ასეთი წესდებაა ეს კონსტიტუცია თითოეულ სახელმწიფოსათვის. აი ასეთი წესდება, ძირითადი ნორმა, ასეთი პოლიტიკური წესდება არსებობს ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში და ეს სახელმწიფონი ამის მიხედვით თავიანთ საზღვრებში მუშაობენ. უნდა ვსოდვა, რომ არის ერთი გამონაკლისი, სადაც არის დიდი საკონსტიტუციო უფლებები, მაგრამ არ არის კონსტიტუცია, როგორც მთელი, ჩამოყალიბებული. ეს არის ინგლისი. ინგლისის პარლამენტი არის ერთად ერთი პარლამენტი, რომელსაც აქვს უზენაესი უფლებები. არც ერთ სხვა ქვეყნის პარლამენტს ასეთი უფლებები არა აქვს. ინგლისის პარლამენტს კი აქვს ეს შეუბოჭავი უფლებები. მას შეუძლია ყოველ დღე სცვალოს კონ-

სტიტუციონალური აქტები, გამოსცეს კანონები და არავითარი განსხვავება არ ჰპოვოს ძირითად და არა ძირითად კანონებს შორის. ყოველგვარ სხვა სახელმწიფოს, იქნება ის მონარქიული, თუ რესუბლიკანური, პარლამენტს აქვს შეზღუდული უფლებები. ის ძირითადი დებულებები, რომელიც არის შემუშავებული სამუდამოთ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა ჩვეულებრივი, პარლამენტარული გზით, არამედ ამისათვის მიღებულია არა ჩვეულებრივი გზა. არის მეორე განსხვავება. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი კონსტიტუცია და ერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია არ გავს მეორე სახელმწიფოს კონსტიტუციას. მართალია, ძირითადი დებულებები ერთნაირია, მაგრამ მათი ფორმები და ცხოვრებაში გატარება სხვა და სხვა ნაირია და ამიტომ ვამბობს, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს-მეთქი. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია არავითარ ახალ უფლებას არ ქმნის, ის მხოლოდ აღბეჭდავს იმას, რაც უკვე არის ცხოვრებაში, ე. ი. მისი ძირი, საძირკველი, რომელზედაც უნდა იქნას აგებული წერილობითი კონსტიტუცია, არის ამა თუ იმ ქვეყნის ფაქტიური კონსტიტუცია. რანაირია ამა თუ იმ საზოგადოებაში ფაქტიური ძალთა განწყობილება, ეს უნდა სწორედ კონსტიტუციაში იყოს აღბეჭდილი. ამნაირად ცხოვრებაც სინამდვილეა სავსებით, ერთიანად უნდა ეთანხმებოდეს ამ დაწერილ სინამდვილეს ე. ი. ამ ორ წყებას შორის უნდა იყოს სრული თანხმობა. თუ ეს ასე არ არის, თუ ფაქტიური კონსტიტუცია ერთია, დაწერილი კი – მეორე, აქ, რასაკვირველია, წერილობითი კონსტიტუცია იძულებული იქნება ადგილი დაუთმოს ფაქტიურს და ამ ორ წყებას შორის მოხდება სრული კოლიზია და ამ ბრძოლაში, ეჭვს გარეშეა გაიმარჯვებს ფაქტიური კონსტიტუცია. მხოლოდ იმ კონსტიტუციას შეუძლია არსებობა, რომელიც ხატავს ხალხის შინაგან ძალთა განწყობილებას. რასაკვირველია, კონსტიტუციის ისტორიაში ყოფილა და დღესაც არის ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არსებობენ არა შინაგან ძალთა განწყობილებით, არა საზოგადოებრივი კალიბრით, არამედ ხიშტით, იარაღის შიშით. ამის მაგალითს გვაძლევს ჩვენ საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია. რასაკვირველია, ბალშევიკების კონსტიტუცია დღეს არსებობს იარაღის ქვეშ, და თუ ეს ხიშტი მოიხსნა, მაშინ ის ერთ საათსაც ვერ დარჩება და დარღვეულ იქნება კონსტიტუცია, ე. ი. მოხდება მეორე რევოლუცია. კლასიკური მაგალითი კონსტიტუციების

ხშირი ცვლილებებისა არის საფრანგეთი. საფრანგეთში კონსტიტუცია ხშირ-ხშირად იმიტომ იცვლებოდა, რომ ის არ ხატავდა ფაქტიურ სინამდვილეს. იქ მრავალი კონსტიტუცია შეიცვალა და მხოლოდ 1871 წელს დამტკიცდა და საფუძველი ჩაეყარა მესამე რესპუბლიკას. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ იქ, საფრანგეთში, კონსტიტუცია ვერ აღბეჭდავდა ცხოვრების სინამდვილეს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს მეტად ძნელი და რთული კითხვაა. ეს კითხვა არ არის ისე ადვილი, როგორც საზოგადოებაში ბევრს წარმოუდგენია. შეიძლება მშვენიერი კონსტიტუცია დაიწეროს ქალალდზე, მაგრამ, როგორც შევა ცხოვრებაში მაშინვე გამოჩნდება, რომ ამ კონსტიტუციის და ცხოვრების შორის არაფერი საერთო არ არის და დაიწყება უფლებრივ ნიადაგზე ბრძოლა. კონსტიტუციი ისეთივე სახელმწიფოსათვის, როგორიც ტანისამოსია ადამიანისათვის. თუ ტანისამოსი ადამიანის ტანზე არ არის გამოჭრილი, თავის-თავად ცხადია, მისი მატარებელი იძულებული იქნება ის გაიხადოს და ახალი მკერვალი ეძიოს, ისეთი მკერვალი, რომელიც მის ტანზე გამოსჭრის ტანისამოსს. საფრანგეთი 70 წლის განმავლობაში ეძებდა ისეთ მკერვალს, რომელიც გამოჭრიდა მას შესაფერ კონსტიტუციას.

და დღეს, როდესაც ჩვენ ვიღებთ ჩვენი ქვეყნისათვის კონსტიტუციას, პირველად ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია, შინაგან ძალთა განწყობილება და შემდეგ ეს ძალთა განწყობილება აღვბეჭდოთ ჩვენს კონსტიტუციაში. მაშინ ვიკითხოთ, რანაირია ჩვენში ეს ძალთა განწყობილება? დავიწყოთ მაღლიდან, მწვერვალიდან. ჩვენში ამ უკანასკნელ 100 წლის განმავლობაში ბატონობდა რუსეთის ტახტი, მაგრამ ამ ტახტს არ ქონდა ჩვენს ხალხთან ორგანიული კავშირი, ე. ი. ის არ იყო ჩვენი ნაციონალური ტახტი და არ იყო გამოსული ჩვენი ხალხის ისტორიიდან, გულიდან. ამიტომ, როდესაც დაიმსხვრა ეს ტახტი, არ შეიძლებოდა ამ ტახტით შექმნილ მონარქიულ ტრადიციების დაბრუნებისათვის ეზრუნა ჩვენს ხალხს. ჩვენ გვქონდა ჩვენი ნაციონალური სამეფო ტახტი, მაგრამ ის ასი წლის წინათ დაირღვა. ამ ნაციონალურ ტახტს ხალხზე ისეთი გავლენა არ ქონია, რომ მას მოეთხოვა მისი აღდგენა. მაშასადამე ის მონარქიული ტრადიცია, ის ფსიქიკა, რომელიც იქმნება ყოველ სახელმწიფოში, ჩვენში არ არის. მაგ., აიღეთ თუ გინდ საბერძნეთი. იმ მეფეს, რომელითაც უკმაყოფილო იყო გუშინ საფრანგეთის ხალხი, იგივე ხალხი ეუზ-

ნება მოპრძანდი და იბატონეო. აი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ნაციონალური ტახტის ორგანიული კავშირი ხალხთან. შემდეგ უნდა ვსთქვა, რომ ის საზოგადოებრივი ნაწილის, ის წოდება, რომელიც აძლევს მონარქიას ერთგვარ საფუძველს და მასზე ის ეყრდნობა, აი ეს წოდება ჩვენში დღეს არის სავსებით დარღვეული და არ წარმოადგენს სოციალურ ძალას – ეს არის თავად აზნაურობა. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ჩვენში არც ერთ საზოგადოებრივ ნაწილში არავითარი საფუძველი არა აქვს მონარქიულ სულისკვეთებას და მაშასადამე მონარქიულ კონსტიტუციას.

შემდეგ მოდის ბურჟუაზია. თქვენ იცით, რომ ჩვენში მძლავრი ბურჟუაზია არ არის (შენგელაია: ჯერ არ მოსულა?). არ მოსულა ბ. ლეო, და როცა მოვა, არ ვიცი, თქვენ სად იქნებით. და მე ვამბობ, რომ ჩვენში არ არსებობს მძლავრი, შეძლებული ბურჟუაზია. მართალია, არიან ბურჟუაზიის იდეოლოგები, მაგრამ თითონ კლასი არ არსებობს, არ აქვს ამ კლასს ისეთი სოციალური ძალა, რომ თავისი ელფერი დაასვას სახელმწიფოს კონსტიტუციაზე. ჩვენი საზოგადოება შესდგება სამი კლასისაგან, რომელთაც აქვთ ჩვენში მნიშვნელობა. ერთი არის მრავალრიცხოვანი წვრილი გლეხობა. 90 პროცენტი ამ გლეხობისა იძულებულია თავის სარჩენად მიმართოს სხვის მიწას, ან სხვა რაიმე სამუშაოს გარდა მეურნეობისა (კედია: თქვენის წყალობით, ბ-ნო იმათ აქვთ საკუთარი მიწა). სამწუხაროდ, ბ. სპირიდონ, ჩვენში იმდენი მიწა არ აღმოჩნდა, რომ მიწების დარიგების შემდეგ გლეხებს საკმაო მიწა ჰქონდათ და მე მგონია, რომ ამდენი მიწა ვერ გაჩნდება. ასე რომ, იმ რეფორმამ, რაც ჩვენ მოვახდინეთ სრულიად ვერ შესცვალა ჩვენი კლასიური მდგომარეობა. მართალია ბ. სპირიდონი, ფიქრობს, რომ ჩვენშიაც გაჩნდებოდა სხვანაირი გლეხი, მსგავსად გერმანიისა, მაგრამ მათი იმდები გაცრუვდა (კედია: ეს ადრე უნდა გეტ-ვათ ბატონო!). მე ვიმეორებ, რომ საქართველოში საკმარისი მიწა არ იყო და მიწას ჩვენ ვერ შევქმნიდით.

შემდეგ ჩვენში არის ქალაქის მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზია; წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, მოხელეები, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელიც ცხოვრობს ქალაქში წვრილი შემოსავლით და ვერ გამხდარა ბურჟუაზიის წევრათ. ამის შემდეგ ჩვენში არის მრავალრიცხოვანი, ამასთანვე შეკავშირებული და შეგნებული მუშათა კლასი, რომელიც დიდი ხანია, რაც ჩვენს ცხოვრებას, პოლიტიკურ მოძრაობას უდგია სათავეში. აი ამ კლასმა დაასვა

თავისი გადამჭრელი ბეჭედი მთელ ჩვენ მოძრაობას, ამ კლასს მისდევს მოწინავე გლეხობა, მისდევს აგრეთვე დიდი ნაწილი ქა-ლაქის წვრილი ბურუჟაზისა.

აი ეს სამი კლასი არის შეკავშირებული მუშათა კლასის იდე-ოლოგიის და მისი დღევანდელი დროშის ქვეშ. აი ასეთია ნაწილები ჩვენი ფაქტიური კონსტიტუციისა. თუმცა ჩვენ წერილობით კონსტიტუცია დღევანდლამდე არ გვქონია, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს ორგანიზაცია და კანონი სავსებით დაყრდნობილია ამ 3 კლასის არსებობაზე და მათ ურთიერთობაზე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ამ სამ კლასს, რომელიც ყოველ ქვეყანაში და ყოველ დროს ყოფილა უაღრესად დემოკრატიული კლასი. როგორც დავინახეთ, ჩვენში არავითარი საფუძველი არა აქვს მონარქიას, აქედან ცხადია, რომ ჩვენში უნდა იყოს რესპუბლიკა, მაგრამ თუ ამ რესპუბლიკაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ კლასებს, თავისთავად ცხადია, ეს რეს-პუბლიკა უნდა იყოს დემოკრატიული. ამნაირად დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით ხატავს ჩვენი ცხოვრების ვითარებას და ეს რესპუბლიკა არის სწორედ ნამდვილი გამოჭრილი ტანისამოსი, რომელიც უნდა ეცვას ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს სახელმწიფოს. მე ვთქვი, რომ ამ დემოკრატიულ კლასების მეთაური არის მუშათა კლასი, ე. ი. დღეს ჩვენში ბოლოტიკური ბატონობა და პოლიტიკური გეგემონია უჭირავს მუშათა კლასს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კლასს შეუძლიან დაამყაროს ის, რაც მას მოეპრიანება და მოესურვება, ამ დღევანდელ მის ბატონობას აქვს ერთნაირი საზღვარი და ეს საზღვარი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. რა ნაირია ჩვენში ეს ეკონომიური მდგომარეობა თქვენ იცით, ჩვენში მსხვილი მრეწველობა სუსტია. მსოფლიო ბაზარი კი ეკუთვნის კაპიტალისტურ ბურუჟაზიას, ჩვენში არის წვრილი მეურნეობა, წვრილი ხელოსნება და წვრილი ვაჭრობა. ამას აქვს უაღრესად გადამჭრელი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. ასეთ ეკონომიურ საფუძველზე თავის თავად ცხადია, მუშათა კლასი ვერ განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს ევროპის დამოუკიდებლად. აი ამ მდგომარეობას არ მიხედეს ბოლშევიკებმა, ვერ გაიგეს, რომ რუსეთში დაახლოებით ისეთი ეკონომიური ვითარებაა, როგორიც ჩვენში. მათ თავისი პროგრამა ვერ შეუფარდეს ეკონომიურ მდგომარეობას და

აქედან დაიბადა ის, რომ, იმის მაგიერ, რომ იქ მართლა, როგორც მათ სურდათ განეხორციელებინათ საბოლოო მიზანი, მოგვცეს დანგრევა მთელი მრეწველობისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ ჩვენში არ შეიძლებოდეს სოციალიზმის განხორციელება მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცევა ინდუსტრიალურ ქვეყნად. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ევროპის დამოუკიდებლათ ჩვენ ვერ განვახორციელებთ სოციალიზმს და თუ მოვინდომეთ ეს, ის მოგვივა, რაც რუსეთს მოუვიდა. დავრჩებით გატეხილი გობის წინ. მაგრამ თუ კი ევროპის მდგომარეობა შეიცვალა, მისი სოციალური გარდაქმნა მოხდა, მაშინ ჩვენშიაც შესაძლებელი იქნება სოციალური გარდაქმნის მოხდენა, რადგანაც ჩვენ არ ვიქნებით ეკონომიურად განმარტოებული. მაშინ ჩვენ და ევროპას ერთად შეგვეძლება სიარული და ევროპიდან მოვიტან იმას, რაც ჩვენ დაგვაკლდება. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასის მოქმედების საზღვარი არის ეკონომიური მდგომარეობა. ამით მტკიცდება ის, რაც არა ერთხელ ითქვა მარქსის და სხვა მარქსისტების მიერ, რომ პოლიტიკური წყობილება არის აგებული ეკონომიურ წყობილებაზე. პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია; ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ შეეძლოს ამ საფუძველზე გავლენის მოხდენა არ შეეძლოს დააჩქაროს პროცესი. აქედან იბადება საჭიროება ისეთი პოლიტიკური წყობილებისა, ისეთი კონსტიტუციისა, რომელიც მუშათა კლასს მისცემს ნამდვილ იარაღს არსებულ ეკონომიურ საფუძვლის გარდასაქმნელად თავის სურვილისამებრ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციია უნდა ატარებდეს თან ამ კლასის პოლიტიკას და სოციალურ მისწრაფებას და უნდა უკაფავდეს ბრძოლის გზა-კვალს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიტიკური უფლება რჩება ცალიერ სიტყვათ, თუ მას არ ახლავს სოციალური უფლებები, თუ ამ უფლებას არ სცნობს ერის დიდი უმრავლესობა და არ ემხრობიან გლეხები. საქართველოს მუშათა ხალხი აგებს რა თავის კონსტიტუციას აი ამ პრინციპზე, პქმნის უაღრესად დემოკრატიულ პოლიტიკურ ნორმებს. ის ამ კონსტიტუციის საშუალებით მიდის თავის საბოლოო მიზნისაკენ, მაგრამ ის თავის ამ საბოლოო მიზნებს უკავშირებს ხალხის ფართო მასას და ეს ქმნის იმას, რომ ეს კლასი არ შორდება ფართო დემოკრატიულ მასებს ისე, როგორც მოშორდენ ბალშევიკები. მაშასადამე, საჭირო არ იქნება ის, რომ ამ კლასმა ძალით, იარაღით ხელში თავს მოახვიოს ფართო მასას თავისი მიზნები და

სურვილები. დემოკრატიულმა კონსტიტუციამ, როცა ის აწესებს თავის პოლიტიკურ ნორმებს, იქვე უნდა ჩაუყაროს საფუძველი სოციალურ ნორმებსაც. საზოგადო მეურნეობა, მისი თანდათან გაფართოება, აი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ამ ნორმების გეზი და სავალი გზა. ასეთ პირობებში პოლიტიკურ-სოციალური აღორძინება სწარმოებს ერთად განუყრელად და მის ერთად ერთ ასპარეზად აღიარებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი მთავარი გზა-კვალი და საშუალება არის საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუცია. აი ასეთი მიზანი უნდა დაისახოს ჩვენმა დემოკრატიულმა კონსტიტუციამ. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შეიძლება ეს მიზანი განხორციელებულ იქნას, ე. ი. როგორი უნდა იყოს ეს კონსტიტუცია თავისი ფორმებით, რომ მართლაც გააკეთოს ის, რაც ხელსაყრელია მოწინავე კლასი-სათვის და არა ის, რაც ხელსაყრელი იქნება ჩვენი მოწინააღმდეგეთათვის. შეიძლება კონსტიტუციას დაერქვას დემოკრატიული, მაგრამ არავითარი დემოკრატიზმი არ იყოს შიგ. მაგ. ამბობენ, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია არის დემოკრატიული კონსტიტუციაო, მაგრამ ეს არ არის მართალი.

ძირითადი კითხვა, პრობლემა ყველა კონსტიტუციისა ერთი და იგივე არის. ეს არის – რანაირად შეიძლება აწყობა ხელისუფლებისა ე. ი. რანაირად უნდა იმუშაონ სახელმწიფოს ორგანოებია ისე, რომ ეს ორგანოები ერთი მეორეს ხელს არ უშლიდენ, ერთი მეორეს ეხმარებოდნენ და საბოლოოდ ამ ორგანოების მუშაობა ჰქმიდეს ერთ მთლიან სახელმწიფოს; ე. ი. შრომის დანაწილება ამ ორგანოთა შორის და იმავე დროს – მათი შეერთება – ეს არის პრობლემა კონსტიტუციისა, ან კიდევ უფრო, რომ განმარტო, კითხვა კონსტიტუციისა მდგომარეობს შემდეგში – რანაირად შეიძლება მოქალაქის თავისუფლება მოთავსდეს საზოგადო წესი-ერებასთან და სახელმწიფოს მთლიანობასთან. თქვენ იცით, რომ, რაც უფრო ნაკლები არის თავისუფლება, მით უფრო ადვილია წესიერების დამყარება, ამისთანა მაგალითები ისტორიაში ბევრია, მაგრამ ახალი და ახლის მაგალითიც გვაქვს – ეს არის რუსეთი, იქ თავისუფლება თითქმის არ არის, წესიერება კი არის, შეიძლება ეს დროებითია, მაგრამ წესიერება მაინც არის. მაშასადამე მეტი თავისუფლება – ეს არის მოთხოვნილება, თვისება ყველა დემოკრატიისა და თუ ჩვენ გვინდა ჩვენში იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენ ამ რესპუბლიკაში თავისუფალნი უნდა ვიყვნეთ

მაგრამ, როდესაც აძლევთ თავისუფლებას არ უნდა მოხდეს ის, რომ ამ თავისუფლებამ დაარღვიოს შინაური წყობილება. მაშასა-დამე, როგორ უნდა მოვათავსოთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის დიდი თავისუფლება წესიერებასთან ან და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთლიანობასთან. უნდა ვსოქვათ, რომ ასეთი პრობლემა დემოკრატიულ სახელმწიფოებში გადაწყვეტილია. ეს არის – შევიცარია და შეერთებული შტატები, მაგრამ ნუ დაგვიწყდებათ, რომ ეს სახელმწიფოები ფედერატიული სახელმწიფოები არიან, ჩვენ კი ვქმნით არა ფედერატიულ, არამედ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა კი ჯერ-ჯერობით ქვეყანაზე არ არსებობს. ცდა კი იყო ასეთი სახელმწიფოს შექმნისათვის. საფრანგეთში რევოლუციის ხანაში კონვენციი შეეცადა შეექმნა დემოკრატიული უნიტარული რესპუბლიკა, მაგრამ ის კონსტიტუცია, რომელიც მან შეიმუშავა, ცხოვრებაში არ გატარებულა, ის დარჩა მხოლოდ ქალალდზე.

მაშასადამე, როგორც ვსოქვი, დემოკრატიული უნიტარული რესპუბლიკა არსად არ არსებობს და ჩვენ გვსურს სწორედ ასეთი რესპუბლიკის დაარსება. ამიტომ ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა ასე ადვილი არ არის. დემოკრატიულ უნიტარულ სახელმწიფოებში ეს პრობლემა გადაწყდა ისე, რომ პატარ-პატარა შტატებში, პატარ-პატარა კანტონებში პრობლემა თავისუფლების, წესიერების და მთლიანობისა თანდათან ვითარდებოდა, მაგრდებოდა და შემდეგ ეს შტატები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ; ამნაირად შეიქმნა შევიცარია და შეერთებული შტატები. ამგვარად იქ ეს მოხდა ძირითადთ, ქვეიდან. ჩვენ კი, რადგანაც უნიტარულ სახელმწიფოს ვქმნით, ამ პრობლემის გადაწყვეტა უნდა დავიწყოთ ცენტრიდან და აქ არის დიდი დაბრკოლება. ჩვენთვის ეს პრობლემა დღესაც არსებობს. ჩვენ კონსტიტუცია არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს ერთნაირი პრაქტიკა. ჩვენში პროვინციალური ორგანოები და მთავრობა მუშაობენ, მაგრამ ხშირად ერთმანეთს ხელს უშლიან. ეს არის ერთნაირი პარტიკულიარიზმი, რომელიც გამომდინარეობს დემოკრატიზმიდან. თუ მიეცით ხალხს თავისუფლება, თავისთავად ცხადია, ის თავისებურად მოინდომებს მის გამოყენებას და ამ ორგანოებში მოკალათებას. ამიტომ სახელმწიფო ისეთი უნდა იყოს, რომ ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობას ხელს არ უშლიდეს, მაგრამ იმავე დროს ერთ სახელმწიფოში არ ქმნიდეს მრავალ სახელმწიფოებს. დემოკრატიზმი

უეჭველად მოითხოვს იმას, რომ მართვა გამგეობაში იყოს შეტანილი დეცენტრალიზაცია და ეს დეცენტრალიზაცია პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიზმიდან, მაგრამ ეს არ უნდა არღვევდეს ცენტრის უფლებას. ეს არის დიდი პრობლემა, დიდი პოლიტიკური საკითხი და თუ ჩვენმა კონსტიტუციამ ეს გადაჭრა, ეს იქნება პირველი მაგალითი მსოფლიოში, რომ უნიტარული რესპუბლიკა დაარსდა თავისი შესაფერი დემოკრატიული კონსტიტუციით.

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა. არის ორი ტიპი რესპუბლიკისა, არის რესპუბლიკა პარლამენტარული და რესპუბლიკა დემოკრატიული. პირველად 1849 წ. საფრანგეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ტიერმა საფრანგეთის რესპუბლიკას უწოდა პარლამენტარული რესპუბლიკა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტიდან გაძევებულ იქნენ მონტანიარები ე.ი უკიდურესი პარტიები და დარჩენ მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლები. როგორია პარლამენტარული რესპუბლიკა ტიერის მიერ აღიარებული. ამის შესახებ კაუცი შემდეგს წერს:

„ბურჟუაზიას შეუძლია ბატონობა მხოლოდ პარლამენტარული მონარქიის დროს, როცა ამ მონარქიის მეთაური წარმოადგენს უბრალო დეკორაციას.“

ესე იგი ბურჟუაზიის მიუცილებელი მოთხოვნილება პარლამენტარული რეჟიმია, იქნება ის რესპუბლიკის ფორმა, როგორც საფრანგეთშია, თუ მონარქიის, როგორც ინგლისში – ეს სულ ერთია. კ. მარქსის სიტყვებით ბურჟუაზიას 1849 წელს ტიერის მეთაურობით ასე ესმოდა რესპუბლიკა: „ეს პარლამენტარული ფორმაა ბურჟუაზიის ბატონობის, რომელიც შეუზღუდველია (როგორც მონარქიაში) აღმასრულებელი ძალით და პალატის ვადის შესრულებამდე დათხოვნით“.

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანურ პარლამენტარული წყობილების დროს მთელი ძალა-უფლება, როგორ საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო არის მხოლოდ პარლამენტის ხელში. თვითმყრობელი მეფის მაგივრად არის თვითმყრობელი პარლამენტი, თავად-აზნაურობის მაგივრად – ბურჟუაზია. პრინციპი ერთნაირია – უსაზღვრო გაძლიერება ცენტრალური მთავრობის, მხოლოდ ეს ხდება სხვა და სხვა ფორმით და საშუალებით, როცა ბურჟუაზია ხელთ იგდებს ეკონომიურ ძლიერებას, მაშინ ის პოლიტიკურადაც ბატონობდა.

პარლამენტარული წყობილების ბატონობის დროს ბურჟუაზიის ხელშია კანონების გამოცემაც, მათი ასრულებაც (ადმინისტრაცია, პოლიცია, ჯარი და სხვა). არცერთი ამ ფუნქციას ის არ ანიჭებს არც ხალხს და არც სხვა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს.

პარლამენტარული რესპუბლიკა – ეს იგივე პარლამენტარული მონარქია უმონარქიოდ და პირიქით. პარლამენტარული მონარქია თავისი სტრუქტურის მიხედვით იგივე პარლამენტარული რესპუბლიკა უპრეზიტენდოთ. დამახასიათებელი თვისება რესპუბლიკისა, პრეზიდენტი კი არ არის, და არც საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ-პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა, ყოველნაირი ძალა-უფლების მის ხელში მოგროვებით. ამ რეჟიმის მეობებით ისინი სახელმწიფოს ფარგლებში არ ითმენენ და არ აძლევენ ნებას სხვა რომელიმე ძალა-უფლების დამკვიდრებას, თუ ის ცენტრზე არ არის დამოკიდებული და უკანასკნელი მას კონტროლს არ უწევს.

ამ კითხვაში დამახასიათებელია არა პრეზიდენტი, არა მონარქი, არამედ პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ის, რომ მთელი ძალა-უფლება თავმოყრილია ცენტრში.

ასეთია მოკლედ პარლამეტარული რესპუბლიკა და ასეთი რესპუბლიკი არსებობენ საფრანგეთში, ინგლისში და სხვა მრავალ მონარქიავე სახელმწიფოებში, თუმცა მონარქია არის, მაგრამ მას არ აქვა ძალა-უფლება, მთელი ძალა-უფლება არის გადატანილი პარლამენტის ხელში. რანაირია დემოკრატიული რესპუბლიკა ამის შესახებ მე ვწერდი:

პარლამენტარულ რესპუბლიკისაგან დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპიალურად განსხვავდება.

დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმართველობისა. აქ ძალა-უფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიების შორის. ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვა. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ისე, რომ დამახასიათებელი თვისება დემოკრატიულ რესპუბლიკისა ის არის რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ამისთ-

ვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხალხს თვითონ პქონდეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საკუთარი მართვა-გამგეობის ორგანოები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა ორგანომ შესძლო გაუქმება მოქალაქეთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მაშინ რესპუბლიკა იქნება არა დემოკრატიული, არამედ პარლამენტარული. კარლ მარქსის აზრით, მთავრობამ უნდა გაამარტივოს, შეამოკლოს სახელმწიფო მექანიზმი, რაც შეიძლება ნაკლებად იმართველოს, დაიჭიროს ნაკლებ რიცხვი მოხელეებისა, ნაკლები კავშირი დაიკავოს ბურუაზიულ საზოგადოებასთან, უნდა შეიქმნას ბურუუაზიისათვის და მათ საზოგადო აზრისათვის მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები (იდ. 93, 191). როცა ამ რიგად ვანანილებ ძალა-უფლებას პარლამენტსა და ხალხს შორის, და ვაძლევთ უკანასკნელთ გარანტიას ცენტრის ოპერის წინააღმდეგ, ამით ჩვენს საშუალებას უსპობთ ბურუუაზიას ჩაერიოს სახელმწიფოს საშუალებით ხალხის ყველა საქმეებში, იყოს ყოველგან მყოფი მთავრობის ორგანოების საშუალებით. ერთი სიტყვით, ვამცირებთ და ვზღდუდავთ ბურუუაზიის პოლიტიკურ დიკტატურას.

თუ მაგალითად, ცენტრი სცემს კანონებს, ხოლო ის სისრულეში მოყავს ხალხის, ანუ რომელიმე ორგანოს მიერ არჩეულ ცენტრის დამოუკიდებლათ, ცხადია, ბიუროქრატია უქმდება, მთავრობა რჩება უმოხელოთ ანუ თუ კანონი, რომელიც გამოცემულია მთავრობის მიერ, ხალხმა არ მიიღო, მაშინ პარლამენტს ეკარგება უმაღლესი საკანონმდებლო ძალა-უფლება, რომელსაც ზღუდავს ხალხი.

აქ, როგორც ხედავთ, დემოკრატიული რეჟიმის ან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი თვისება არის არა იმაში, ყავს თუ არა მას პრეზიდენტი, არამედ იმაში რომ ძალა-უფლება არის სახელმწიფოში დანანილებული ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ასეთი უფლება არის 3-ნაირი: კანონ-მდებლობა, ადმინისტრაცია ანუ მმართველობა და სასამართლო.

მაშასადამე დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის კანონმდებელი პარლამენტი და ხალხი. ხალხს აქვს უფლება სთქვას თავისი აზრი იმ კანონზე, რომელიც მიიღო პარლამენტმა ან მოიწონოს ან დაიწუნოს ის. ამას ეწოდება რეფერენდუმი.

აგრეთვე ხალხს აქვს უფლება თვით აღმრას კანონის გამოცემის საკითხი. შეიტანოს პარლამენტში პროექტი და პარლამენტი

იძულებულია ამაზე იქონიოს მსჯელობა, ან უარყოს, ან მიიღოს. მაშასადამე თუ ხალხს სურს კანონის გამოცემა და პარლამენტი უარყოფს, რასაკვირველია, მას აქვს უფლება რეფერენდუმის და სხვა გზის, რომ პარლამენტს დაატანოს ძალა, რომ ეს კანონი იქნეს გამოცემული. მაშასადამე მას აქვს უფლება კანონ-მდებლობისა. ეს კანონ-მდებლობა ნაწილდება ცენტრსა და პერიფერიებს შორის ე. ი. ხალხში.

ასეთია პრინციპი მართველობის. არის ცენტრი – მთავრობა და არის ორგანო ხალხისა, თემი, ერობა, ქალაქები.

და აი, ადმინისტრაცია, როცა ასრულებს ამა თუ იმ ბრძანებას, ის ემორჩილება არა მთავრობას, არამედ ხალხის ამ ორგანიზაციებს, მაშასადამე ეს მმართველობის განაწილება აქაც ხდება. ასევე ხდება სასამართლო სფეროში, ხალხი თავისი ორგანოს საშუალებით აირჩევს მოსამართლეებს, ზოგს ნიშნავს პარლამენტი. ასე, რომ სასამართლოს ფუნქცია არის დანაწილებული ცენტრს და ხალხს შორის.

აი ეს შეხედულება დაცულია კომისიის პროექტში. აქ არის ძირითადი კითხვები დემოკრატიზმისა გატარებული. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ შედეგი ამ ძირითადი პრინციპებისა, ეს შედეგი ვერ არის გატარებული ამ პროექტში, როგორც საჭიროა. და თუ ამ კონსტიტუციას ჩვენ ავაგებთ ისე, როგორც ამაში სწრია, ის ერთ თვეში ან თვითონ დაირღვევა, ან სახელმწიფო დაარღვევს.

რაშია აქ საქმე?

აქ არის რამდენიმე წინააღმდეგობა, რომელიც არ ეგუება იმ ძირითად დებულებებს დემოკრატიზმისა, რომელიც აქ არის და რომელზედაც მე მოგახსენებთ:

პირველი წინააღმდეგობა აქ არის დაცული წმინდა პარლამენტარული სისტემა. წმ. პარლამენტარიზმი არ ეგუება რეფერენდუმსა და ინიციატივას. რატომ? თქვენ იცით, რას ნიშნავს წმ. პარლამენტარიზმი: ეს ნიშნავს, რომ მთავრობა დგება და იშლება თანახმად იმ უმრავლესობის სურვილისა, რომელიც არის ამა თუ იმ პარლამენტში.

აქ შეიძლება, მაგალითად, პარლამენტს მოსწონდეს მთავრობის პოლიტიკის საერთო ხაზი, მაგრამ ამა თუ იმ საქმეში დაინახოს შეცდომა და როგორც იტყვიან, ფორმულაში უსაყველუროს მთავრობას და მთავრობა იძულებულია გადადგეს. იყო შემთხ-

ვევა ინგლისში კურიოზული მაგალითისა. ერთ მინისტრს დაუკავეს ერთი თუმანი და ამიტომ იგი გადადგა (ვეშაპელი: ჩვენში საწინააღმდეგო კურიოზებს აქვს ადგილი) ის, რაც ჩვენში არის, ჩვენი აზრით არის ღირსება და და არა ნაკლი. (ვეშაპელი: ჩვენი მინისტრი ერთი მილიარდისათვის არ გადადგება) არ გადადგება იმიტომ, რომ ბ-ნ ვეშაპელს არ მოსწონს. მაგრამ, თუ აქ დაადგენს უმრავლესობა, მინისტრი წავა.

მაგრამ ეს კერძო შემთხვევა – სამინისტროს გადადგომა, არ ეგუება პრინციპს დემოკრატიზმისას. რატომ?

აი რატომ: ჩვენ ვთქვით, რომ თვით ხალხს შეუძლია დაიწუნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. ვთქვათ მიღებულია კანონი, ხალხი მას რეფერენდუმის ძალით უარყოფს, მაშინ პარლამენტი უნდა წავიდეს წმ. პარლამენტარიზმის წესით. მაგრამ პარლამენტი რჩება იმიტომ, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული.

საერთო ხაზი ამ პარლამენტის პოლიტიკისა ხალხს მოსწონს, მაგრამ მას შეუძლია ესა თუ ის ნაბიჯი კანონმდებლობაში არ მოიწონოს. ამიტომ პარლამენტი არ არის ვალდებული სთქვს, მე არ მაქვს ხალხის ნდობა და წავიდეს.

მაშასადამე ჩვენ უნდა გავარჩიოთ სამი მხარე: 1) საერთო პოლიტიკური ხაზი, 2) კერძო პრაქტიკული კითხვები და 3) მთავრობის კრიზისი და აი ამაში, უნდა იყოს განსხვავება და როცა საერთო პოლიტიკური ხაზი მოწონებული არის, კერძო პრაქტიკულმა კითხვებმა ვერ უნდა გამოიწვიოს კრიზისები.

მაშასადამე ეს უნდა მოხდეს ის, რაც ხდება დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ე. ი. როცა პარლამენტი ადგენს, სამინისტრო ვალდებულია დამორჩილოს ისე, როგორც, როცა ხალხი ადგენს ეს კანონი არ ვარგაო, პარლამენტი ვალდებულია ეს აასრულოს.

მაშასადამე პრინციპი დამორჩილებისა არის პრინციპი კრიზისებისა, არამედ პრინციპი დემოკრატიზმისა. უამისოდ დემოკრატიული რეჟიმის არსებობა შეუძლებელია. (ვეშაპელი: მორჩილი მინისტრი სჯობია ყოველთვის) მგონია ის მინისტრი, რომელიც შეასრულებს დადგენილებას უკეთესია, ვიდრე ის, ვინც მას არ ასრულებს და ქმნის კრიზისებს, (ვეშაპელი: თუ არ შეუძლია?) თუ არ შეუძლია ან ავადაა, ეს სხვა საქმეა. მაგრამ, თუ ის არ არის თანახმა ამა თუ იმ დადგენილებისა, ის არ არის ვალდებული წავიდეს. ხშირად მთავრობა და მე თქვენი მორჩილი მონა არა ვართ თანახმა თქვენი დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ მას ვასრულებთ. (კედია: თუ

პარლამენტს უნდა თქვენი წასკლა?) მაშინ ამის შესახებ დადგენილება უნდა იყოს.

გაშასადამე კრიზისების მოწყობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპს. ეს ერთი წინააღმდეგობა. მეორე წინააღმდეგობა, რომელიც არის კონსტიტუციის პროექტში არის შემდეგი: აქ არის წამოყენებული პრინციპი პარლამენტარიზმისა, მაგრამ არის უარყოფილი პრეზიდენტი. ამაშია ულოლიკობა. პრეზიდენტი პარლამენტარიზმის ღვიძლი შვილია. პრეზიდენტი არის ისეთი პირი, რომელიც განსაკუთრებულ დროს არის სახელმწიფოს მეთაური. მთავრობა იცვლება, შეიძლება მთავრობებში მოხდეს კრიზისი, ეს 1-2 კვირა გაგრძელდეს, ხოლო სახელმწიფოს საზღვრებზე კი მტერი გამოჩნდეს. პასუხის მგებელი მთავრობა აღარ არის. მაგრამ აგერ არის კაცი, ის არის პასუხისმგებელი, უმაღლესი დარაჯი და მას მოეთხოვება მიიღოს ყოველწლიური ზომები, რომ სახელმწიფო იქნეს ხსნილი ამ საშიშროებისაგან.

მაგრამ თუ თქვენ პარლამენტარული კანონები გაქვთ, არის კრიზისები, აღარ გყავსთ მთავრობა, სახელმწიფო უპატრონოდაა – თქვენ იცით, ეს მოხდა ადერბაიჯანში, სადაც 20 დღე იყო მთავრობის კრიზისი და ამასობაში მოვიდნენ ბალშევიკები.

ასე რომ, პარლამენტარიზმიდან უეჭველად გამომდინარეობს პრეზიდენტის არსებობა, მაგრამ მე ვამბობ, რათა დემოკრატიზმიდან ეს არ გამომდინარეობს.

(გვაზავა: ამერიკა რომ არის დემოკრატიული და პრეზიდენტიც არის) დიახ, მაგრამ იქაურ პრეზიდენტს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ბევრ მონარქებს ევროპაში.

იქ სხვანაირ წესზე არის აგებული. ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია. თუ თქვენ გინდათ ჩვენ ქვეყანას ჩააცეპთ სხვანაირი ტანისამოსი, ეს ვერ მიუდგება. ეს ბატონო გიორგი, მთავარი საკითხია და ამიტომ ვამბობდით თავში, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენს ქვეყანას მივცეთ ასეთი კონსტიტუცია, რომელიც მას ეკადრება და არა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, რომელიც შეეფერება ჩვენ ფაქტიურ ძალთა განწყობილებას, იგი უნდა იყოს აგებული ამაზე და არა იმაზე, რაც არის ამერიკაში. რა არის დემოკრატიული რეჟიმი? ავიღოთ მაგალითისთვის შვეიცარიის დემოკრატიული წესწყობილება. იქ არ არის პრეზიდენტი, მაგრამ არის თავმჯდომარე. მინისტრები რიგრიგობით ასრულებენ

ამ მოვალეობას, მაგრამ პრეზიდენტი ცალკე გამოყოფილი არ არ-სებობს. იმავე დროს იქ არის ისეთი კონსტიტუცია, რომ სახელმ-წიფო ერთი ნუთითაც არ რჩება უპატრონოდ. მაშასადამე, იქ არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც მუდამ უყურებს, ასრულებს მთავრობის მოვალეობას და სახელმწიფო არ რჩება ისეთ მდგო-მარეობაში, როგორც ადერბაიჯანში. ე. ი. როცა არსებობს მთავ-რობა, მინისტრები, არის ერთი პირი, რომელიც ამ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ აქ უნდა იყოს არჩეული ერთი პირი, განსაზღვრული ვადით და ამ განსაზღვრულ ვადაში უნდა იყოს ის თავის პოსტზე. ჩვენში ასეთი ჩვეულება იყო: აქა-მდე პარლამენტი, ან დამტუძნებელი კრება ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს და ის ადგენდა კაბინეტს. თავის თავად ცხადია, რომ წმინდა შვეიცარული სისტემა ჩვენში არ გამოდგება. შვეიცა-რიაში არის მთავრობა საქმიანი ხალხისაგან შემდგარი, ასე ვსწ-ვათ, მთავრობა შემდგარი მოხელეებისაგან. ჩვენში კი უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა, იქ, შვეიცარიაში მთავრობა არ აწარ-მოებს საგარეო პოლიტიკას, რადგან იგი ნეიტრალური სახელმ-წიფო არის – საგარეო პოლიტიკა არა აქვს და ამიტომ შესაძლე-ბელია ასეთი საქმიანი, მოხელეების მთავრობა ჰყავდეთ. მაგრამ ჩვენში, საქართველოში რომელსაც ირგვლივ ისეთი მეზობლები ჰყავს, რომ საგარეო საკითხი და საგარეო პოლიტიკა მთავარ საკითხად არის გადაქცეული, უნდა იყოს პოლიტიკური მთავრო-ბა და და არ შეგვიძლიან ისეთი აწყობა მთავრობისა, როგორც შვეიცარიაში არის. ჩვენ ერთი შეგვიძლიან მივიღოთ იქიდან: ეს ის, რაც ჩვენს პრაქტიკაში არის განმტკიცებული აი, ის ერთი რამ, რასაც ჩვენში უკვე ერთნაირი მოქალაქეობრივი უფლება აქვს მო-ბოებული, მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვადით იქნას არჩეული. ამ ვადის განმავლობაში მთავრობის თავ-მჯდომარე რჩება თავის პოსტზე. შეიძლება მინისტრები შეიცვა-ლონ, ან ყველა წავიდენ, მაგრამ ერთი პირი, რომელსაც ექნება ფუნქცია პრეზიდენტისა, სახელმწიფო წარმომადგენლობისა თა-ვის ადგილზე უნდა იყოს. ყოველნაირ შემთხვევაში შეიძლება მო-დეს ასე, რომ ან სამხედრო მინისტრი ან სხვა რომელიმე მინისტრი არ არის, მაგრამ ეს ერთი პირი მაინც არის, უყურებს სახელმწი-ფოს და ამ პიროვნებაში ერთდება მთავრობის თავმჯდომარეობა და სახელმწიფო წარმომადგენლობა. მთავრობის თავმჯდომარე

იძულებული იქნება , რომ ყოველი დადგენილება პარლამენტისა მოიყვანოს სისრულეში: იქნება ეს დადგენილება პოლიტიკური ხასიათის, თუ შეეხება ამა თუ იმ მინისტრს, თუ კი დაადგენს პარლამენტი, რომ ამა თუ იმ მინისტრს არ ენდობა, მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული იქნება, რომ ის მინისტრი გამოსცვალოს. ასეთი შეერთება პარლამენტარიზმის და დემოკრატიზმის სისტემისა, ერთის მხრით ვადიანობისა და მეორეს მხრით უვადიანობისა, აგვაშორებს იმ ნაკლს, რომელიც ამ პროექტში არის თანდაყოლილი, ჩვენში არ იქნება პრეზიდენტი ცალკე პიროვნება, მაგრამ ჩვენში იქნება ისეთი პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას.

თავმჯდომარე. ვინაიდან თქვენი დრო გათავდა, მე წინადადებას ვაძლევ დამფუძნებელ კრებას კიდევ გავაგრძელოთ ლაპარაკის დრო. (ხმები: გთხოვთ) წინააღმდეგი არავინ პრძანდებით? არავინ. გთხოვთ განაგრძოთ.

უორდანია. აი, თუ ასეთნაირად ავაწყობთ ჩვენ ცენტრალურ მთავრობას, თუ ჩვენ მთავრობის თავმჯდომარეს დავაკისრებთ ფუნქციებს წარმომადგენლობისა, მაშინ ცხადია ყოველ კრიზისის დროს, მთავრობის გადადგომის ან მინისტრების შეცვლის დროს, ის უნდა იყოს დარაჯი მთელი სახელმწიფოსი, მას უნდა ჰქონდეს ერთნაირი უფლებებიც. მას უნდა ჰქონდეს უფლება, როცა მთავრობა არ არის, ან და შეფერხებულია გამოიყვანოს ჯარი, სანამ პარლამენტი შეიკრიბოდება და ეს შემდეგ დაუყონებლივ აცნობოს პარლამენტს. მაგალითად ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენია, სადაც ირგვლივ ისეთი მეზობლები გვყავს, რომ არ იცი საიდან ან და როდის რა მოგელის, მთავრობა უნდა იყოს ფხიზელი, დარაჯი და თუ ამ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც რჩება უცვლელი – არ ექნება ეს უფლება, ჩვენ ქვეყანას განადგურება არ ასცდება. ჩვენ არა ვართ შორს საზღვრებიდან და 2-3 საათის განმავლობაში შეიძლება უცხო ჯარი შემოვიდეს და ეს ჩვენი ქალაქი, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთი საქართველო დაიპყროს. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა, რომ ამ პიროვნებას მუდმივ დარაჯს სახელმწიფოში ჰქონდეს მეტი უფლება, ვიდრე ამ პროექტში არის აღნიშნული. ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ის აზრი არის გატარებული, რომ რაც შეიძლება მთავრობას ნაკლები უფლება ჰქონდეს, ეს, რასაკვირველია, ასე უნდა იყოს ფედერატიულ სახელმწიფოში, მაგრამ უნიტარულ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასე არ უნდა იყოს. თავის თავად ცხადია, რომ ამ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს

ისეთი უფლებები, რომ მან შესძლოს ხალხს წაართვას უფლება, მაგრამ, არც ისე უნდა იყოს დაუძლურებული თავის უფლებებით, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებმა დაარღვიოს სახელმწიფო. სწორედ ასეთი საშუალო ფორმულის გამონახვა კონსტიტუციის პრობლემა არის. აქ აუცილებლად საჭირო არის ერთ საგანზე ვიფიქროთ. ძირითადი პრობლემა კონსტიტუციისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრით თავისუფლება და წესიერება და მეორე მხრით მთლიანობა იქნეს დაცული. ამიტომ საჭირო არის ცენტრალური ძალა მმართველობისა აღჭურვილი იყოს ისეთი ძალა-უფლებით, რომ სახელმწიფოს და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს ზომები. სწორედ ამ მმართველობის ორგანიცაზის საკითხი, არის ძირითადი საკითხი კონსტიტუციისა. ჩვენში თუ ეს მმართველობის ორგანიზაცია ისე მოეწყო, რომ ხალხს შერჩეს უფლებები და ამავე დროს თუ არ იქნა დარღვეული სახელმწიფოს წესიერება, მაშინ მართლა შესანიშნავად იქნება გადაწყვეტილი კონსტიტუციის ეს საკითხი. თუ არა, მუდმივი კოლოზია და შეხლა-შემოხლა იქნება ცენტრალურ მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივ ორგანიზაციების და ხალხს შორის.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ ხალხს, დემოკრატიულ რესუბლიკაში, სადაც უაღრეს როლს თამაშობს შეკავშირებული მუშათა კლასი, ვერ დააკმაყოფილებს წმინდა პოლიტიკური ფუნქციები. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, გადაიქცეს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ამავე დროს სამეურნეო ორგანიზაციათ. აქ დემოკრატიულ სახელმწიფოს დემოკრატიული მთავრობა და მთელი მმართველობის ორგანოები უნდა სცდილობდენ, რომ სახელმწიფოში საზოგადოებრივი მეურნეობა იქნას აღორძინებული და ხალხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებული. მდიდარი კლასების მისწრაფება სწორედ რომ წინააღმდეგი არის. მისი მთავარი მისწრაფება არის, რომ სახელმწიფო იყოს მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაცია და არ აწარმოოს სამეურნეო საქმიანობა. თქვენ იცით, რომ ამერიკაში თუმცა დემოკრატიული სახელმწიფოა, მაგრამ მის ხელში დღეს რკინის გზებიც არ არის. ასე რომ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ამ აზრისა არიან, რომ სამეურნეო საეკონომიკო საქმე არის პიროვნების საქმე. პირიქით, სოციალისტური მიმდინარეობა და სოციალისტური აზროვნება იმაშია, რომ სახელმწიფო თანდათან გადაიქცევა სამეურნეო ორგანიზაციათ. ვინაიდან ჩვენში ქმნის კონსტიტუ-

ციას სოციალისტური ელემენტები, თავის თავად ცხადია, რომ ეს ძირითადი პრინციპები უნდა იყოს ჩაქსოვილი კონსტიტუციაში. ამ მხრით ჩვენნაირი რესპუბლიკა ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. არც ერთ რესპუბლიკას ქვეყანაზე არ აქვს ისეთი უზარ-მაზარი ქონება, როგორც ჩვენ: ტყეები, წყლები, მადნები, რკინის გზები, მიწები. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ფართო ასპარეზი, ეს სიმდიდრე უნდა დაამუშავოს სახელმწიფომ და გახადოს ერთნაირ წყაროდ ხალხის მატერიალურ სიმდიდრისა. ამნაირად პირველ რიგზე სახელმწიფომ უნდა დააყენოს ეკონომიური კითხვები, მატერიალურ კულტურის განვითარება და თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

აი ასეთია ძირითადი კითხვა დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციისა. მე აქ, რასაკვირველია, არ შეუდგები უფრო წვრილმან საკითხებს ან ცალკე თავებზე ლაპარაკს – ამაზე ალბათ ჩემი ამხანაგები ილაპარაკებენ. ამნაირად, ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიულ, უნიტარულ რესპუბლიკას, უფლებით განაწილებას ცენტრალურ დაწესებულებათა და ხალხის და მის ადგილობრივ ორგანოთა შორის, უზრუნველყოფს უპრეზიდენტობას, მაგრამ ამასთანავე სახელმწიფოს მთლიანობას, მთავრობის დამორჩილებას პარლამენტისადმი და კრიზისების აცილებას თავიდან, თავისუფლების და წესიერების ერთად შეთავსებას, სახელმწიფოს თანდათან სამეურნეო ორგანიზაციათ გადაქცევას და შიგ შრომის შვილთა პოლიტიკურად და ეკონომიურად გაბატონებას. ეს იქნება პირველი კონსტიტუცია აგებული სოციალისტურ-დემოკრატიულ საფუძველზე და მას დაუპირდაპირებთ ყველა არსებულ ბურჟუაზიულ და ბალშევიკურ კონსტიტუციას. ეს იქნება მესამე ტიპის კონსტიტუცია, მართლაც ხალხური და მასთან ერთად სოციალისტური (ტაში).

საქართველოს რესპუბლიკა. – 1920. – 4 XII; 5 XII – № 276. – № 277. – გვ. 2, 3.  
ერთობა. – 1920. – 4 XII. – № 277; № 279. – გვ. 1, 2.  
საქართველო. – 1920. – ქრისტეშობისთვის 4. – № 165. – გვ. 2

## გვარდიის დღე ტფილისში

12 დეკემბერი, სახალხო გვარდიის დღე ბრწყინვალედ ჩატარდა ტფილისში. წინა სუსხიანი ღამე შედარებით თვილმა დილამ შესცვალა, თითქოს ბუნებამაც კი იგრძნო ამ ისტორიული დღის სიძლიერე. 9 საათზე უკვე სავსე იყო მთავარი ქუჩები დღესასწაულში პასიურად მონაწილე ხალხით. 10 საათზე კი დაიწყო დენა სხვა და სხვა დარგისა და ორგანიზაციის მუშებმა. ვის არ ნახავდით აქ: რკინის გზის თუ სახელოსნოს მუშებს, დიდს, პატარას, ქალს, კაცს, დარიბს, მდიდარს. დღეს ყველა შეერთებული იყო. ყველა ერთსულოვნად იღებდა მონაწილეობას დღესასწაულში. ყველას აქ მოყარა თავი, მოდიოდნენ მწყობრად, წითელი დროშებით და სხვა და სხვა რევოლუციონური პლაკატებით: „სახალხო გვარდია ჩვენი მხსნელია“, „გაუმარჯოს ფრონტს“, „გაუმარჯოს ჩვენს მამაც ჯარს“ და სხვა. წესრიგი ყველგან ჩინებული; სახალხო გვარდია და ჯარი გმირულად გამოიყურებოდა, თვითეული მათგანი საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება იუნკრებმა მიიპყრეს; თვითეული მებრძოლის სახეზე ამოიკითხავდით: ნუ გეშინიათ საფრთხის, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, საქართველოს სიკვდილი არ უწერიაო. და მართლაც, გვარდიის დღესასწაულმა ერთხელ კიდევ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა ჯეროვანი პასუხი გავსცეთ ყველას, ვინც კი გაბედავს და ჩვენს მიწა-წყალზე მტრულად ფეხს შემოადგამს; ამის საბუთს გვაძლევს სახალხო გვარდიის და ჯარის გმირული სული, შეგნება თავის მძიმე მოვალეობისა და თავდადება თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოსადმი; 12 დეკემბერი – ეს ერთგვარი დემონსტრაცია იყო ჩვენი რევოლუციონურ სულის კვეთების და შეიარაღებულთა გმირული სულის ერთხელ კიდევ დასამტკიცებლათ. ამ ისტორიულ დღის 12 დეკემბრის სიდიადეს მტერსაც კი არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს.

## 6. უორდანიამ მოკლეთ დაახასიათა ის მდგომარეობა და პირობები, რომელიც იყო 3 წლის წინეთ ტფილისში, როცა მუშათა რაზმმა არსენალი ჩაიგდო ხელში, და სხვათა შორის სთქვა:

სამი წლის წინად ქ. ტფილისი ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეზე იდგა შეიარაღებული ძალა, ჯარის-კაცები, მეორე მხარეზე კი შეკავშირებული ტფილისის მუშათა კლასი. ეს შეიარაღებული ძალა უდრიდა 20 ათასზე მეტ ჯარის-კაცს. აი ამ ძალას, რომელიც გატაცებული იყო ბოლშევიზმით, უნდოდა ტფილისის დაპყრობა და თავის ჭკვაზე წაყვანა ქვეყნის ბედ-იღბლისა, მაგრამ ამ ძალის წინააღმდეგ გამოვიდა ტფილისის შეიარაღებული მუშათა კლასი და აი ამ ორ ძალას შორის მოხდა კონფლიქტი.

რა ძალა ყავდა მაშინ მუშათა კლას?

ძალიან მცირე: სულ 250 მუშა იყო შეიარაღებული. აი ეს 250 კაცი წავიდა არსენალისაკენ, რომელსაც 20 ათასი ჯარის კაცი იცავდა. მუშებმა მიუხედავად ასეთი მცირე ძალისა, არსენალი აიღეს (ტაში), გამოიტანეს იარაღი და შექმნეს ის მუშათა გვარდია, რომელიც დღეს დღესასწაულობს თავის არსებობის 3 წლის თავს.

როგორ მოხდა ის, რომ ასეთმა მცირე რიცხოვანმა მუშათა რაზმმა დაამარცხა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარი?

ეს მოხდა ასე: მუშათა კლასის მორალურმა ძალამ გასტეხა 20 ათასი ჯარისკაცი. მორალური ძალა, ცხადია, თუ მისკენ არის სიმართლე, გასტეხს ყოველგვარ ძალას.

აი ამის შემდეგ 3 წელი შესრულდა.

ის ჯარები ტფილისიდან თავის სახლში წავიდნენ. ახლა ისინი აქ არ არიან.

მას შემდეგ, ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ომები და სხვა და სხვა ფრონტები. და თქვენ იცით, რომ დიდი ნაწილი გვარდიისა დღესაც არ არის აქ, ფრონტებზე სდგანან და იცავენ მტრებისაგან ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას (ტაში).

ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ჩვენ შიგნიდან დავირღვევით. მაგრამ მათ იმედებს მუდამ გავაცრუებთ. საქართველოს დემოკრატია, ხალხი იქნება მთლიანი როგორც შიგნით, ისე გარეთ, ფრონტებზე და ყოველგვარ მტერზე გაიმარჯვებს (ტაში, ვაშა).

მაში, უსურვოთ ჯარსა და გვარდიას ისეთივე გამარჯვება, როგორც ისინი იმარჯვებდნენ მტრებზე ამ 3 წლის განმავლობაში (ტაში).

გაუმარჯოს სახალხო გვარდიის წინამძღოლს, მთავარ შტაბს (მხურვალე ტაში).

## დეპუტატის შეუვალობის საკითხი დამფუძნებელი კრება დეკემბრის 24 სხდომა

მთავრობის თავმჯდომარე პ-ნ ზორბეგიას სისხლი

### დამფუძნებელი კრება დეკემბრის 24 სხდომა

მოქალაქენო! სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ დღეს ჩემი სახელი აქ ძალიან ხშირად ისმოდა. მე უფრო მიამებოდა, რომ ჩემი სახელი ისმოდეს დიდი პოლიტიკურ საკითხების დროს (ზმები: „ასეც უნდა იყოს”, მერმე რათ მოხდა ეს? ვინ არის დამნაშავე?)

მაგრამ, როდესაც ასეთი დიდი კითხვები ისმება, – ჩემს სახელს არ იხსენიებენ და არა ითხოვენ ჩემ აზრებს, როდესაც წვრილმან კითხვებს არჩევთ, მაშინ თხოულობთ, რომ ჩემი აზრი ვსთქვა ამ ტრიბუნიდან. იმედია, შემდეგში ეს არ იქნება, ე. ი. დიდ კითხვებში უფრო ხშირად მომიხსენიებთ, ვიდრე პატარებში, მაგრამ, ვინაიდან ეს ესე არის, იძულებული ვარ ზოგიერთ პირებს პასუხი გავცე. აი ბ-მა შ. ნუცუბიძემ თქვა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ხშირად ერევა ბინების საკითხში. სამწუხაროდ ეს ასე არის და თუ ბ-ნი ნუცუბიძე მოახერხებს, რომ არ ჩავერიო, მისი მადლობელი ვიქნები.

(შ. ნუცუბიძე: ამისთვის არის სათანადო ორგანო).

– დიდი ხანია ვცდილობ ამ კითხვებში არ ჩავერიო, მაგრამ მდგომარეობა, რომელიც მე მიჭირამს, ამას მაიძულებს. კანონი ბინების შესახებ არის გამოცემული, გამოცემული დიდი ხანია, რევოლუციის დროს, და, თავის თავად ცხადია, უფრო დეკლარაცია არის, ვინემ კონკრეტიული კანონი, და ცხადია, რომ ხშირად ამ კანონით უკმაყოფილონი არიან მოქალაქენი. თუ მოქალაქე აღშფოთებულია და ფიქრობს, რომ მას დიდ უსამართლობას აყენებენ და არ აქვს იმედი, რომ ეს უსამართლობა გამოისწოროს, მას ერთი გზა დარჩენია, უნდა აჯანყდეს. დიახ, ეს ასეა, ბ-ნო ნუცუბიძე, და ამიტომ მე ვამბობ, რომ ჩვენ დემ. რესპუბლიკაში ყველა ასეთ პირს უნდა ჰქონდეს საშუალება ეძიოს ეს სამართლიანობა. (კედია: სასამართლოა ამისთვის).

დიახ, სასამართლო არის, მაგრამ როდესაც აშკარად არის დარღვეული რაიმე უფლება, მაშინ არსებობს სხვა ერთგვარი ინსტანცია.

(კედია: რომელი?). ყველა ლარიბ და შეწუხებულ კაცს არ შეუძლიან იაროს სასამართლოში (ვეშაპელი: ოქვენი ნახვა ადვილი არ არის).

თუ აშკარად დარღვევა მოხდა რაიმე უფლებისა, მაშინ ვერევი ან და მოხდა რაიმე განაჩენი სასამართლოსი იმაში არ ვერევი, მაგრამ როდესაც მოქალაქე აღშფოთებულია, ამბობს, რომ ჩემ ბინას იჭერენ, ყრიან ბარგს, გარედ მაგდებენ, სასამართლოში წავიდე? არა. ჩვენ გვაქვს უფლება შევაჩეროთ. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი კანონი სახელმწიფოსი. ასეთი არის საქმე და მე მგონია, რომ შემდეგშიაც იძულებული ვიქნები, რომ მოქალაქის საჩივრებს ანგარიში გაუწიოთ და ესა თუ ის დახმარება აღმოუჩინოთ. ეხლა აღნიშნულ კითხვაზე: ის ბინა, რომელიც დღეს აქ იყო საგანი კამათისა, მართლაც აღებული იყო ჩემ სახელზე. მე ვცხოვრობ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე, რომელსაც მე ვაწუხებ და სურვილი მქონდა სხვა ბინაზე გადასვლა, მაგრამ არ მინდოდა რომ ბინის შოვნა მომხდარიყო რეკვიზიციის წესით. აღმოჩენდა რომ განვის ქ. № 24 ზევითა სართულში ბინა ყოფილა დაკავებული ენციიაჯიანციის მიერ, რომელიც ერთი წელია, რაც აქ აღარ სცხოვრობდა, და აგრეთვე ისე რომ ამ ბინის გვერდით რამდენიმე ოთახი უჭირავს სახლის პატრონს. სახლის პატრონი თანახმა გახდა თვით გადასულიყო სხვა ბინაზე იმავ სახლში, ხოლო თავისი ბინა მოექირავებია ჩემთვის, მხოლოდ ქალაქმა ის ბინა შეაფასა 6,000 მანეთად თვეში და ვიფიქრე რომ ეს ბინა ძვირი დამიჯდებოდა ამდენი ქირა და თან 10 ბუხრის გახურება, რომელიც იმ ბინაში იყო, მე ვერ ავიტანთქო. ამიტომ უარი ვთქვი ამ ბინაზე, ხოლო ეს ბინა ჩვენ დავიტოვეთ ჩვენ სახელზე მისიების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი ბინები ჩვენ გვაქვს მაგალითად პეტრე დიდი ქუჩაზე მელიქოვის სახლში, რომელსაც ხან ვხმარობთ და ხან არა, აგრეთვე გვაქვს გრიბაედოვის ქუჩაზე, რომელშიც სცხოვრობს კარლ კაუცკი, მე იმ ბინას მთხოვდნენ ბევრი ამხანაგები, ზოგს არ აქვს ზოგს აქვს და ცუდია ან ვერ ეტევა, მაგრამ მე მათ ყველას უარი უთხარი. მათ შორის უარი უთხარი გიორგი ცინცაძეს და ვალერიან ჯულელს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მოგვივიდა ცნობა რომ ჩვენში მოდის გერმანეთის სრულუ-

ფლებიანი წარმომადგენელი და აი ამ ბინას ჩვენ მისთვის ვინახავდით, მაგრამ მას დააგვიანდა ჩამოსვლა და ბინა ისევ ცარიელი იყო: ამასობაში ჩამოვიდა ანგორის მთავრობის წარმომადგენელი. პოლკოვნიკი ქიაზიმ ბერი და დეკემბრის 10 თავდაცვის საბჭომ დაადგინა, ეს ბინა გადასცემოდა მას. თანაც შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო ავეჯეულობის შოვნა იმ ბინისათვის, ავეჯეულობა მართლაც ნაშოვნი იქნა და ავტომობილები ამ ავეჯეულობით დატვირთული მიადგა იმ ბინას, სადაც უნდა დასახლებულიყო ქიაზი ბერი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შიგ უკვე ჩასახლებულიყო დეპუტატი ნინიძე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნინიძემ არ იცოდა, რომ ეს ბინა დანიშნული იყო მისისათვის, თორემ, რომ სცოდნოდა ის არ შევიდოდა იქ. ვინაიდან ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ჩვენ გადავსწყვიტეთ, რადგან ბინა დიდი არის იმ ავეჯეულობით მოეწყოს მხოლოდ ოთხი ოთახი ქიაზიმ ბერისათვის და დანარჩენი 5 ოთახი, მზიანი ოთახი დროებით დაეთმოს კ. ნინიძეს და ალბათ ცოტა ხნის შემდეგ ის იმ ბინიდან გავა და დაბრუნდება ძველ ბინაზე. მაგრამ აი ამ ოთახების განაწილების და მოწყობის დროს მოხდა არა სასიამოვნო ინციდენტი! მილიციონერი ხელით შეეხო დეპუტატ ნინიძეს. ეს ჩვენ რასაკვირველია დაუშვებლად მივიჩნიეთ და ამიტომ ის მილიციონერი გადაყენებულია სამსახურიდან, და მიცემულია სამართალში.

თქვენ ხედავთ, რომ ეს ბინის საქმე აშენებული იყო ერთნაირ გაუგებრობაზე. ჩვენ არ მიგვიცია არავითარი ბრძანება ან მილიციონერის ან ვინმესათვის, რომ ნინიძე იმ ბინიდან გადაესახლებიათ.

ამიტომ აქ ლაპარაკი იმაზე, ვითომ ჩვენ მივაყენეთ შეურაცყოფა ნინიძეს და ამით უარვყავით ასე ვთქვათ დეპუტატობა, ეს მგონია, უსაფუძვლო არის. თუ აქ დაამტკიცებენ, რომ ჩვენ შევედით სხვის ბინაში და არა ნინიძე შევიდა გაუგებრობით, რასაკვირველია, ჩვენ ბინაში, რასაკვირველია მაშინ ჩვენ ვიქებით მტყუანი.

შემდეგ რომელ კანონის ძალით ქონდა მთავრობას აღებული ეს ბინა თავის ანგარიშზე? მე ვფიქრობ, რომ კანონი არ არსებობს, მაგრამ გეკითხებით თქვენ, არსებობს თუ არა კანონი, რომ ჩვენში არსებობს სამინისტრო, ამისთანა კანონი არ არსებობს, როცა ჩვენ გვექნება კონსტიტუცია, მასში იქნება გარკვეულად აღნიშნული ჩვენი უფლებანი (ხმა: ფაქტიური კონსტიტუცია). მოგახსენებთ, ფაქტიური კონსტიტუციის ძალით, მთავრო-

ბას ქონდა უფლება ბინის თავის სახელზე აღებისა, და თქვენი დებულება, რომ მთავრობას ასეთი უფლება არ უნდა ქონდეს, ესეც გაუგებრობის ნაყოფია...

ასეთია საქმის მთელი შინაარსი, რომლის შესახებ აქ იყო ერთ-ნაირი სჯა-ბაასი. ეხლა ამბობენ, რომ რაკი დეპუტატი შევიდა ბინაში, ჩვენ უფლება არ გვქონდა შევსულიყავით. მე მგონია ეს მართალი არ არის. თუ ჩვენ ამ გზას დავადექით, რომ თუ დეპუტატი შევიდა იქ ვეღარ შევა მთავრობა, არც ერთი მოქალაქე არ იქნება უზრუნველყოფილი ამ დაუპატიიუბელ სტუმრის მოსვლისაგან. უფლება დეპუტატისა არის უფლება კანონისა. ჩვენ გვგონია, რომ დეპუტატი არის მატარებელი უმაღლესი კანონიერებისა, იცავს კანონს. მაგრამ თუ დეპუტატმა ხშირად დაარღვია კანონი, მაშასადამე თუ ეს უკანონობა მოხდა, თავისთავად ცხადია (შენგელაია: ვინ უნდა გამოარკვიოს ეს?), დიახ, ეხლა კითხულობთ ვინ უნდა გამოარკვიოს. არის ორნაირი დარღვევა კანონისა, ერთი დარღვევა ისეთი, რომელიც უკვე მოხდა და, რასაკვირველია, როდესაც ამას გაიგებ ეს არის მერმინდელი აქტი.

ამ საქმეში ჩარევა შეუძლებელია, მაგრამ არის მეორე, კანონი ირღვევა, მაგრამ სავსებით არ არის დამთავრებული პროცესი. ბატონებომ, მე იურისტი არა ვარ, მაგრამ იმდენი მაინც ვიცი, როცა უკანონობა აქ ხდება, მაგრამ დასრულებული არ არის, თუნდაც ეს ხდებოდეს დეპუტატის მიერ, მთავრობას აქვს უფლება შეაჩეროს ეს უკანონობა აქტი.

თუ ეს აქტი დამთავრდა, მაშინ ეს უფლება არა გაქვს. ამ შემთხვევაში იყო ის, რომ ეს აქტი დამთავრებული არ იყო (ხმაურობა). კ. ნინიძე სავსებით არ იყო გადმოსული და ვთქვით, რომ ეს სრულიად გარკვეული არის. რომ არ ყოფილიყო გარკვეული, მაშინ ტფილისის ქალაქის თავს უფლება უნდა ჰქონდა აეღო ძველი ბინა, მაგრამ ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან ეს ბინა ეჭირა ნინიძეს. ამიტომ იყო, რომ ორი ბინა ეჭირა და, როდესაც ასე იყო, ჩვენ უფლება გვქონდა დაგვეჭირა ეს ბინა, მაგრამ სრულიად კანონიერის წესით, ისე რომ ნინიძეს უფლებები არ შეგველახა. ამიტომ ჩვენ არ მიგვიწერია, რომ უეჭველად დეპუტატი იქნეს გაძევებული, ბირიქით, უთხარით, რომ ოთხი მზიანი ოთახი იყოს მისთვის და იქ შეიტანოს ბარგი და დააწყოს. ამიტომ ვფიქრობ-დით, რომ მთავრობას არავითარი უკანონობ მოქმედება არ ჩაუდე-

ნია. აგენტებმა კი, მართალია ჩაიდინეს (შენგელაია: ძველი სიმღერა, რომელიც რუსეთის ბიუროკრატიისაგან გაგიგონიათ).

თქვენ, ბატონებო, სამწუხაროთ ძველს სიმღერას ვერ მოშორდით და კონსტიტუციის განხილვის დროსაც ლაპარაკობთ იმ სიმღერებზე, 30 წლის წინად ესერები რომ მღეროდნენ. უკეთესი იქნება, რომ ხანდისხან თქვენ ძველ სიმღერას მოშორდეთ... საქმე აქ არის, ფაქტები აქ არის და ვისაც უნდა, შეუძლიან ნახოს. მე არ უარვყოფ იმას რომ მოხდა შებდალვა დეპუტატის შეუვალობისა, მაგრამ არა მთავრობის მიერ, არამედ მის მიერ გაგზავნილ პირების მიერ რომელთაც ბრძანება არ შეასრულეს. ამ მხრივ ისინი ღირსნი არიან სასჯელისა და დაისჯებიან კიდეც. სამწუხაროდ ჩვენში მოხელეები ვერ შეეჩივნენ რომ შეასრულონ ის, რაც მათ უბრძანეს (დადიანი: შეასრულეს, უბრძანეთ და გამოყარეს).

არა ბატონო, ეს მართალი არ არის (დადიანი: რატომ არის დაჭერილი კომისარი?)

კომისარი დაჭერილი არის იმიტომ, რომ ის სააყალ-მაყალო ბინაზედ მივიდა და ქიაზიმ-ბეი მიიყვანა. ქიაზიმ ბეი მოვიდა საგარეო სამინისტროში და სთქვა, რა ამბავია რა ხდება ჩემ ბინაზეო.

(კედია: განა მარტო ოსმალეთშია ასეთი წესები, ჩვენშიაც არის).

არ ვიცი რა წესებია, მაგრამ როცა სადავო კითხვაა, აქ უცხო კაცი... ამიტომ ვამბობ აქ არის მეორე მომენტი. (კედია: თავის ინიციატივით გააკეთა ეს მილიციის უფროსმა).

მისი ინიციატივა იყო იმაში, რომ მან შეეხო ხელით დეპუტატს. (კედია: ვინ მიუგზავნა?)

ბ-ნო სპირიდონ მე მეგონა, რომ გვისმენდი (კედია: გისმენთ, ბ-ნო, გისმენთ).

ჩვენ უბრძანეთ, რომ პირველ ოთახებში შეიტანეთ ბარგი და დანარჩენ ოთახებში დარჩეს ნინიდე. ეს შეასრულეს, მაგრამ არა რიგიანად და ხელით შეეხნენ დეპუტატ ნინიდეს. ეს უკანონო იყო და იმისთვის ისინი ისჯებიან. შემდეგ სამწუხარო არის ის, რომ ასეთი შინაური ინციდენტი, რომელიც შეიძლება ხშირად მოგვიდეს (შენგელია: კარგი ნუგეშია) და შეიძლებოდა შინაურულად დამთავრებულიყო, აქ გამოიტანეს. სამწუხაროა იმიტომ, რომ ეს ინციდენტი შეერთებულია ერთნაირად საგარეო საქმესთან. ეს

გამოდის, რომ არც ერთ მისიისთვის ვერ მიგვიცია ბინა და რომ ამაზე აყალ-მაყალი არ მოხდეს, ამაზე ლაპარაკია დამფუძნებელ კრებაში, ამაზე თავს იტეხენ ფრაქციაში, რას იფიქრებენ ამაზე სხვა სახელმწიფოები? ეს ჩვენ სამარცხვინოთ მიგვაჩნია და ამიტომ არ გვინდოდა ამაზედ ლაპარაკი:

თუმცა ბ-მა ნუცუბიძემ გამოგვიწვია. „აბა თქვით და თქვით“, მაგრამ ჩვენ გაჩუმებული ვიყავით (დადიანი: თქვენ მისიებს აძლევთ ბინას უფასოთ).

ფასი შემოწმებულია 6 ათასი მანეთი თვეში, ჩვენ უნდა მივცეთ ამის პატრონს. (გობეჩია: ნინიძემ განაცხადა, რომ სცოდნოდა არ შევიდოდა ამ ბინაში). (ჯულელი სიცილით: გობეჩია დარწმუნებული არის).

აქ სალაპარაკო იყო ის, რომ შეეხნენ დეპუტატის პიროვნებას, სხვა სალაპარაკო არ იყო. მაგრამ ოპოზიციამ მოისურვა დღეს ამის გაღრმავება ისე, რომ გამოიწვია ეს ლაპარაკი. შემდეგ საყვედური უნდა უთხრა ნინიძეს, რომ მან ვერ დაიცვა თავის ახ-სნა-განმარტებაში ის, რაც უნდა დაეცვა. (კედია: შეთანხმება?).

დიახ, შეთანხმება. ამისი არ გვცხვენიან. დიახ, ეს შეთანხმება ჩვენ ბინაზე რომ ყოფილიყო, ამაზე საქმეც არ იქნებოდა, მაგრამ ეს ბინა უცხო წარმომადგენელისათვის იყო და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იყო ეს შეთანხმება და უნდა დაცული ყოფილიყო ბოლომდის. მაგრამ ეს არ იყო დაცული, და მან გამოიწვია ასეთი სხდომა, ასეთი საღამო. აქ ბევრი მაყურებელი არიან და ეს ჩვენ ცხოვრების მინუსათ და არა პლიუსათ ჩაითვლება. მთავრობა დამნაშავე არ არის იმაში, რომ ამ სხდომას ასეთი ელფერი მიეცა. შემდეგში მაინც მე უნდა ვთქვა, მეტი ვიფიქროთ სახელმწიფო ინტერესებზე, ვიდრე გულისწყრომაზე (ხმა: შემთხვევით სარგებლობაზე). დიახ, შემთხვევით სარგებლობაზე და პირად და ფრაქციულ თავმოყვარეობაზე (ესერების ფრაქციიდან ხმა: ამაზე ყველამ უნდა იფიქროს). (ს. დ. ფრაქ. ტაში).

საქართველო. — 1920. — ქრისტეშობისთვის 31. — № 176 — გვ. 2;  
№ 180. — გვ. 4;  
ერთობა. — 1921. — 6 იანვარი. — № 4. — გვ. 1—2.

## დამუშავებელ პრეზამი

მთავრობის თავმჯდომარის სიფრვა

სამშაბათი, იანვრის 18 სხდომა

უმთავრესი საკამათო საქმე იყო მომარაგების საქმე, მაგრამ მას შემდეგ რაც თვით მომარაგების მინისტრმა გააკეთა აქ მოხსენება, გამოირკვა, რომ აღარავის არაფერი აქვს სათქმელი ამ სამინისტროს წინააღმდეგ (დადიანი: რა იცით, ბატონო? სპ. კედია: გამოვალთ, ვიღაპარაკებთ).

შემდეგ აქ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ ხან ვამოკლებთ, ხან ვადიდებთ მინისტრების რიცხვს, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის პოლიტიკური საგანი, ეს არის დამოკიდებული პრაკტიკულ საჭიროებაზე. აი, ინგლისში წინად იყო 20 მინისტრი, ეხლა კი არის 14. საფრანგეთში ეხლა დაუარსებიათ ახალი სამინისტრო – პენსიებისა.

ჩვენ რომ დროზე არ დაგვეარსებია მომარაგების სამინისტრო, ჩვენ არ გვეყოლებოდა ჯარი და გვარდია და საზღვრები დაუცველი გვევენებოდა. აქ შალვა ნუცუბიძემ სთქვა, რომ ჩვენში არის ოლიგარხია, არისტოკრატია, კამარილია. მე მოგახსენებთ, რომ ეს არ არის მართალი, ოლიგარხია არის იქ სადაც ხალხს არ აქვს არავითარი ხმა და დემოკრატიზმი არ არის. ჩვენში კი ბატონობს ხალხი და სრული დემოკრატიზმია. ხალხმა ნდობით აღჭურვა ჩვენი პარტია და ამ პარტიაში ბატონობს არა 2–3 კაცი, არამედ თვით ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა დადგენილებებს ემორჩილება ყველა. (შ. ნუცუბიძე: ვინ აჭახრაკებს თქვენ ფრაქციაში საქმეს? ამაშია საქმე).

ბ. რცხილაძეს ემისიის განხილვის დროს უთქვამს ის სიტყვა, რომელიც ჩემის აზრით უნდა ეთქვა ჩემს განცხადების გამო გამართულ კამათის დროს, ამიტომ მე ამ სიტყვას შევეხები. ბ. რცხილაძეს უთქვამს, დღეს რომ ეკონომიური კრიზისი არის, ამაზე ბრალი მიუძღვის მთავრობასაო. ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ დღეს შექმნილ კრიზისში ბრალი მიუძღვის მთელ ჩვენ ხალხს

და მასთან ერთად რასაკვირველია მთავრობასაც, ვინაიდან დღეს ეკონომიურ პოლიტიკაში ჩაბმულია, როგორც მთავრობა, ისე მთელი ხალხი. ბ. რცხილაძე გვისაყვედურებს, რომ ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია რაც საომარ მდგომარეობიდან გამოვედით და არა ჩვეულებრივი ხარჯები არ გვაქვს, მაიც დავანგრიეთ ქვეყანა. ბ. რცხილაძემ უნდა იცოდეს, რომ საქართველო დღევანდლამდე საომარ მდგომარეობიდან არ გამოსულა და რომ ჩვენ მუდამ გვაქვს აუარებელი სამხედრო გასავალი. ხოლო ჩვენ რომ გვიხდება დიდი საომარი ხარჯების გაღება, ამაში არ არის დამნაშავე მთავრობა და მისი პოლიტიკა.

ჩვენ ხშირად გვიწუნებენ პოლიტიკას, მაგრამ სამაგიერო კარგი პოლიტიკა არავის არ წამოუყენებია.

(შენგელაია. ბევრჯერ გვითქვამს.) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის აგებული ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე და თუ უკანასკნელი შეიცვლება, შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი, გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ განვიცდით საქონლის ნაკლებობას, რის გამოც გვიხდება მისი საზღვარ გარეთიდან შემოტანა.

ვეშაპელი: შეშაც უცხოეთიდან მოგვაქვს?

6. უორდანია: თუ ბატონ ვეშაპელს ჰგონია, რომ შეშის საქმე მთავრობის საქმე არის, შემცდარი ბრძანდება.

ა. ასათიანი: ქალაქთა კავშირს შეშის დასამზადებლად რამდენი ავანსი მიეცით?

ნოე უორდანია: დღეს, მაშასადამე არის საქონლის ნაკლებობა და კონკურენცია არის არა ვაჭართა შორის, არამედ თვით მყიდველთა შორის.

ასეთ კრიზისის დროს შესაძლებელია სამნაირი გამოსავალი: ერთია – ბოლშევიკური, მეორეა ლიბერალური მემარჯვენეთა და მესამე ჩვენი. პირველი გამოსავალი გულისხმობს ნაციონალიზაციის წარმოებას. ჩვენ ამის გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ. იმიტომ რომ ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელი კრიზისის გადატანა შეიძლება იმ შემთხვევაში თუ მთელი ხალხი, ვისაც აქვს უნარი ეკონომიურ საქმიანობისა, ჩაებმევა ამ საქმეში. ჩვენ ვიცით შედეგი ბოლშევიკური პოლიტიკისა რუსეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში, ის რომ იქ შიმშილით იხოცება ხალხი ჩვენ ამისთანა პოლიტიკას ვერ მივიღებთ. ჩვენ არ ვართ მომხრე

აგრეთვე ნაციონალურ და ლიბერალურ პოლიტიკისა, რადგან ეს სპეცულიატიური პოლიტიკაა. ეხლა რომ მთელი ეკონომიური საქმე ჩაიგდოს კერძო მწარმოებლებმა და კერძო ვაჭრებმა, თავისთავად ცხადია არსებული ფასები საქონელზე ათჯერ მეტად გაიზრდება.

(გვაზავა: პირველ დღეებში).

მაშასადამე მე ვამბობ, რომ არსებულ მდგომარეობაში ჩვენ არ შეგვიძლიან ეკონომიური საქმიანობა დავანებოთ კერძო პირებს საკუთრად და მასში არ ჩავრიოთ სახელმწიფო, ერობები და ქალაქები. ეს ეკონომიური საქმიანობა მემარჯვენების ხელში რომ ყოფილიყო, რასაკვირველია იქნებოდა აჯანყებები, როგორც ხალხისა, ისე ჯარისა და აქამდის დანგრეული ვიქენებოდით.

ა. ასათიანი: ეს გულთმისნობა არის.

**6. ჟორდანია:** არა ეს გულთმისნობა არ არის. მე მოგახსენებთ ვისი პოლიტიკა სად მიდის.

შალვა ქარუმიძე: ლოგიკა არ გაქვთ პოლიტიკაში.

**6. ჟორდანია:** მე ვიცი ის, რომ თქვენი პოლიტიკა ანგრევს სახელმწიფოს, ჩვენი კი აშენებს.

შ. ქარუმიძე: თქვენ მზრუნველობის ქვეშ მყოფი კოოპერაცია რამდენ იგებს: აი, სპეცულიაცია სად არის.

**ნოე ჟორდანია:** კოოპერაციის მდგომარეობა მე არ ვიცი, რადგან ჩვენ მასთან პირდაპირი კავშირი არ გვაქვს. მაშასადამე, ჩვენთვის მიუღებელია როგორც ბოლშევიკური, ისე ლიბერალური პოლიტიკა. (გვაზავა: მენშევიკური?) დიახ, ჩვენ ვადგევართ მენშევიკურ, ანუ სოც.-დემ. პოლიტიკას.

შ. ქარუმიძე: საქართველო არც ბოლშევიკურია და არც მენ-შევიკური, ის არის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანა, თქვენ კი ქალქს შეაჭამეთ ყველაფერი.

**6. ჟორდანია:** არა ბატონო, პირიქით, სოფელმა შეჭამა ქალაქი. მართალია წინედ იყო გიპერტროფია ქალაქების, მაგრამ ეხლა მოხდა გიპერტროფია სოფლების. ჩვენი მიზანია ამნაირი ანორმალობა არ იყოს, რომ ყველას შორის ერთნაირად იყოს განაწილებული შრომა. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით დაფუძნებულია დღევანდელ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია არა მთავრობის, არამედ ობიექტურ პირობების მიერ. ჩვენ ვამბობთ, რომ

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სწორია, მასზედ არის აგებული, როგორც შინაური ისე საგარეო სიმტკიცე ჩვენი ქვეყნისა და იმე-დი გვაქვს, რომ დამფუძნებელი კრება ხელს კი არ შეგვიშლის ამ პოლიტიკის გატარებაში, არამედ ხელს შეგვინყობს. (ტაში ს.-დ. სკამებზე).

სხდომა იხურება ნაშ. 4 საათზე.

## პარტიული დისციპლინა

ნოე ზორბეგიას მოხსევება

სოც. დემ. პარტიის კონფერენციის 19 იანვრის სხდომაზე

ამსანაგებო! ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა მოხსენება გაგიკეთოთ პირველ კითხვაზე – პარტიული დისციპლინის შესახებ. როგორც ამხ. ჯიბლაძემ მოგახსენათ, ეს საკითხი დასმულია იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის დისციპლინა ცოტაოდენ შეირყა და თქვენ იცით, კედელი რომ რღვევას დაიწყებს, თუ დროზე არ მოვუარეთ, სულ დაინგრევა და ამიტომ ჩვენ ეხლავე ბოლო უნდა მოვულოთ ასეთ მოვლენას.

თითქმის 25 წელიწადია მას შემდეგ, რაც არსებობს ჩვენი პარტია, ჩვენი ორგანიზაცია; 25 წელიწადია, რაც ჩვენმა მუშა-თა კლასმა შექმნა საკუთარი ორგანიზაცია და იბრძვის ორგანი-ზაციის საშუალებით და ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა ის, რაც ხდება დღეს. ის დისციპლინა, პარტიული ტრადიცია, ერთ-ნაირი პარტიული სიმაგრე, რომლის შიგნით ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით და ერთმანეთისადმი ნდობა გვქონდა, – ყოველივე ეს ერთის მხრით შენგრეულია და ამგვარად, საფრთხეშია ის ძვე-ლი პარტიული ტრადიცია, რომელიც დღემდე ჩვენ გამარჯვებას გვანიჭებდა.

რა ნაირი იყო პარტიული დისციპლინა და ორგანიზაცია წინად, რა როლს თამაშობდენ კერძო ჯგუფები და პიროვნებები მაშინ და როგორ არის საქმე ახლა?

ჩვენი ორგანიზაცია და მისი ისტორია დიდი ხნიდან იწყება, ჩვენ ვიყავით რუსეთის ს. დ. პარტიის ნაწილი; იქაც იყო პარტია და აქაც; მაგრამ ჩვენი მუშაობა დიდათ განსხვავდებოდა იმის-აგან რაც იყო რუსეთში. პირველი კითხვა, რომელიც დაისვა ლონდონში პარტიულ ყრილობაზე, იყო ორგანიზაციული კითხვა და ამ ნიადაგზე მოხდა განხეთქილება. ერთი ნაწილი იმ აზრი-სა იყო, რომ პარტია უნდა შენდებოდეს ზევიდან, ხოლო მეორე, წინააღმდეგ, მოითხოვდა პარტიის ქვევიდან შენებას. დაიბადა ორი მიმართულება, გაჩნდა მენშევიკ – ბალშევიკობა, რუსეთ-

ში ეს ორი მიმართულება მხოლოდ თეორიულად განსხვავდებოდენ, პრაქტიკაში კი ორივე ერთნაირად – ზევიდან აშენებდენ პარტიას, მარტო ჩვენში შენდებოდა პარტია ქვევიდან. ამიტომ ბრძოლა რუსის ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის პირველად წვრილმანებს ეხებოდა, ჩვენი განსხვავება კი მათთან იმ თავითვე ძირითადი იყო. პირველად ჩვენ დავაყენეთ კითხვა. ნათლათ და ძირითანათ როგორ უნდა შენდებოდეს პარტია: ზევიდან თუ ქვევიდან – დიქტატორულად თუ დემოკრატიულად? და სწორედ აქ იყო ჩანასახი ჩვენი დღევანდული განსხვავებისა. შემდეგ გამოიკვა, რომ ბალშევიკების შეხედულებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა დემოკრატიასთან. არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ პოლიტიკურ საკითხშიაც. ამნაირად, სულ სხვადასხვა ნაირათ შენდებოდა ორგანიზაცია რუსეთში და ჩვენში. იქ შეიკრიბებოდნენ პროფესიონალური რევოლუციონერები და დანიშნავდენ კომიტეტი; აქ კი ორგანიზაციებს ადგენდენ თვით მუშები, ორგანიზაციები შემდეგ ირჩევდენ კომიტეტს. იქ ხელმძღვანელებს თითონ მოჰქონდათ ფული; აქ კი მთელი ბატონ–პატრონი თვით მუშათა ორგანიზაცია იყო – მუშები თვით იხდიდენ პარტიისათვის ფულს და თვით ზრუნავდენ პარტიის გაძლიერებაზე ასეთი მაგალითი არსად არ ყოფილა, გარდა საქართველოსა და ლატვიისა. ერთი სიტყვით, იქ, რუსეთში ორგანიზაციის ხაზეინი იყო ინტელიგენცია, აქ კი მუშები, შეერთებული მასა და მას ემსახურებოდა ინტელიგენცია.

მეორე თვისება ჩვენი ორგანიზაციებისა ის იყო, რომ პარტიული ორგანიზაცია ჩვენში მუდმივი იყო და ვერავითარი რეაქცია ვერავითარი შიში ვერ ანგრევდა მას. რა თქმა უნდა, ის სუსტდებოდა, კლებულობდა ან მატულობდა, მაგრამ მაინც მუდამ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, აქ თფილისში ამ ოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ჩვენი ორგანიზაციის არსებობა შერყეულიყო მაშინ, როდესაც რუსეთში ორგანიზაციის არსებობა გამონაკლისი იყო და უფრო ხშირად ის არ არსებობდა. იქ, როცა გმირებს დაიჭერდენ, – ორგანიზაციაც დაიშლებოდა, რადგანაც თვით მასა არ იყო მუშაობაში ჩაბმული. 1905 წელს, როცა რევოლუცია მოხდა, მოსკოვში არ არსებობდა პარტიული ორგანიზაცია, მაშასადამე, საქართველოს სოციალ – დემოკრატიული ორგანიზაციის თვისება იყო მუდმივობა და დემოკრატიული შენება.

ასეთ პირობებში რა როლი ეჭირა პიროვნებას? აქ პიროვნებას, რა გინდ ნიჭიერი და მომზადებული ყოფილიყო ის, ჰქონდა ხელქვეეთი როლი, ის პირდაპირი მორჩილი და აღმასრულებელი იყო ყოველივე იმისა, რასაც ორგანიზაცია დაადგენდა. აქ არა-სოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პიროვნებას თავის ირგვლივ შემოუკრიბა გუნდი და მიეცა მისთვის თავისი სახელი, როგორც ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი; იქ თვითეულ ლიდერს თავისი ჯგუფი ჰყავდა, თავისი ორგანიზაცია ჰქონდა – ლენინელები, მარტოველები, პლეხანოველები და სხვები. ამ ლიდერების ირგვლივ იყრიდენ თავს მუშები და ეს იყო მთელი ორგანიზაცია – პარტია. ასევე იყო ბაქოშიც, საცა ჩვენ ვხედავთ სტარიკოველებს, შჩენდრიკოველები და სხვა. ამ ნაირად, საქართველოს გარეშე ნამდვილი პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა. რით აიხსნება ეს განსხვავება?-იმით, რომ რუსის მასა განსხვავდება ჩვენი მასისგან; მას არ შეუძლია მოქმედება ისე, თუ რომელიმე ლიდერს, გამოჩენილ პიროვნებას არ მისდევს უკან. რა თქმა უნდა, პიროვნებას ჩვენშიაც დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ ისეთ პიროვნებას, რომელიც ყველაზე უკეთ ხატავდა მასის, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ სულის კვეთებას. მხოლოდ თუ პიროვნება ამ მასის, ორგანიზაციის სულის კვეთების წინააღმდეგ წავიდოდა, რა გინდ ნიჭიერი მძლავრი ყოფილიყო ის, გარიყული დარჩებოდა და ყოველივე გავლენას ან ძალას ჰკარგავდა. რასაკვირველია, აზრთა სხვა და სხვაობა, დავა ჩვენშიაც იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპარტიენტური ორგანიზაცია თავის განაჩენს გამოიტანდა, – დავაც მოისპობოდა. არ ყოფილა მაგალითი, რომ ცალკე გამოსულიყო რომელიმე პიროვნება და თავისი სექტის შენება მოენდომებია. ამით განვსხვავდებოდით ჩვენ რუსეთის პარტიისგან. მართალია, იყო ერთი მაგალითი ჩვენშიაც – დარჩიაშვილი. მაგრამ ის გავიდა პარტიიდან და უკანასკნელმა აღიარა მისი გასვლა. პარტიის გარეშე, რა თქმა უნდა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიაში პიროვნებას ან ჯგუფს ჰქონდეს თავისი ორგანო, რომელიმე ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლათ.

ამრიგათ ჩვენში პიროვნებას, ჯგუფს, არ ჰქონდა დამოუკიდებლათ მოქმედების უფლება. ის იყო პარტიაში და მის ფარგლებში მისი დადგენილებების თანახმათ მუშაობდა.

სამწუხაობიდ, ეს ჩვენი პარტიული ტრადიცია და დისციპლინა დღეს შერყეულია. პირველ ხანებში მე ამას დიდ ყურადღებას

არ ვაქცევდი სანამ არ დავინახე, რომ პატარა საქმეს შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს.

ყველა ქვეყნებში განხეთქილება პირველად პარლამენტის ფრაქციიდან დაწყებულა. ასე მოხდა საფრანგეთში, სადაც დიდხანს პარტია დაუძლურებული იყო, სანამ უორესმა არ შეძლო მისი შეკავშირება და შეერთება. სწორედ ფრაქციის წევრები როგორც ბრაუნი, მილიერანი და სხვები, არ ემორჩილებოდენ პარტიულ დისციპლინას, იკრებდენ თავის თავის ირგვლივ მიმდევრებს და ამ გზით შიგნიდან დაარღვიეს და დააუძლურეს პარტია. დეპუტატს ხშირად თავი მიაჩნია განსაკუთრებულ მადლით ცხებულათ და პარტიულ დისციპლინას მაინც და მაინც არ დაგიდევს. განხეთქილებაც ფრაქციიდან იწყება. ჩვენს ფრაქციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი აგდებულია, თითქოს ის უცხო ვიზმე იყოს და დეპუტატს შეეძლოს თავის ნებაზე და დამოუკიდებლად იმოქმედოს. ამან დაღუპა საფრანგეთის პარტია და დიდი ხნით დაასუსტა ის. იმ ფაქტმა, რომ დეპუტატები თავისი შეხედულებით მოქმედებენ და არ ემორჩილებიან პარტიის დადგენილებას, შექმნა იქ ერთ დროს უდისციპლინობა და აქედან იწყება პარტიის რღვევაც. ამ ნაირათ არჩეული პირები, რომელიც მასიურ ორგანიზაციას მოწყვეტილი არიან, ადვილათ ეთიშებიან პარტიულ დისციპლინას, რადგან ისინი აღარ განიცდიან მასის კონტროლს. თქვენ იცით, რომ „ახალი სხივის“ ნომრებში დეპუტატები გამოდიან ფრაქციის წინააღმდეგ, აბრალებენ მას სერვილიზმს და სხვა მრავალ ცოდვებს და ამ რიგათ ასუსტებენ მის ძლიერებას. ფრაქცია – ეს მონინავე მებრძოლი რაზმია და როცა აქ, შიგნით, ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ ილაშქრებს, – მაშინ ის, როგორც ბრძოლის ორგანიზაცია, აღარ არსებობს. იმ დროს, როცა ირგვლივ მტრები გვაჩვევია, თუ შიგნით არ გვექნა სიმაგრე და ურთიერთ შორის სიმტკიცე, ჩვენი შენობის დანგრევას ყველა შესძლებს.

უნდა ვსთქვათ, რომ წინადაც იყო ჩვენს პარტიაში ასეთი შემთხვევა, აირჩევდნენ კომიტეტს და შემდეგ აირჩევდნენ კომიტეტს და შემდეგ ამრჩევლები ამ კომიტეტს ოპოზიციაში უდგებოდენ, მაგრამ მაშინ ეს იყო დარცხვენილი საქმე და ერქვა ინტრიგა, რომელიც ორგანიზაციის გარეშე არ გადიოდა. დღეს კი ეს წესი საქვეყნოდ, აშკარად გამოიტანეს, პრინციპიად აღიარეს და კიდეც ტრაბახობენ ამით. ფრაქცია ირჩევს მთავრობას, ყველა

თანახმაა იმ პირის, რომელსაც მისი შედგენა ევალება, უცხადებს მას ნდობას და მეორე დღეს კი იმავე ფრაქციის ერთი ნაწილი გამოდის თავისივე არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება, რომ ერთ დღეს ნდობა გამოუცხადო მთავრობას და მეორე დღესვე მის წინააღმდეგ გაილაშქრო! ამას წინათ მე ვსთქვი ფრაქციაში, რომ ასეთ პირობებში არ შემიძლია მუშაობა, ვინაიდან არ ვიცი, ვისთან მაქვს საქმე – მოყვარესთან თუ მოწინააღმდეგესთან. მოწინააღმდეგესთან ადვილია ბრძოლა, ჩვენ მიჩვეული ვართ ამას, მაგრამ როცა ისევ შენივე ამხანაგები გიცხადებენ ბრძოლას, – ეს მეტად ძნელია. ფრაქცია ერთსულოვნად ადგენს, რომ ის მთავრობას მხარს უჭერს და მეორე დღეს მთავრობის წინააღმდეგ აშკარად გამოდის „სხივი“ და მას უნდობლობას უცხადებს ეს პოლიტიკური გარყვნილებაა, (ხმები: „მართალია“) არავითარი ნდობა არ შეიძლება გქონდეს ასეთ ხალხთან და ფრაქციას არაფერი სახეირო არ მოელის, თუ მას თავიდანვე არ ვუწამლეთ და იქ, ერთხელ და სამუდამოდ ინტრიგა არ მოვსპერთ.

ეს არის დისციპლინის აშკარა დარღვევა. შეიძლებოდა, წინედ გვეფიქრნა, რომ ეს წარმავალი მოვლენაა. დღეს ასე იქნება, – ხვალ გამოსწორდებაო, მაგრამ ამ დისციპლინის დარღვევაზ წარმოშვა უკვე დიდი აზრთა განსხვავება. ვინც წაიკითხა „ახალი სხივის“ ორი უკანასკნელი ნომერი, მან აშკარად უნდა სთქვას, რომ ამ ჯგუფს უკვე არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს პარტიასთან. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არღვევენ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაშენებდით და ვაშენებთ და ამ გვარად „სხივი“ დაგვშორდა ჩვენ არა მარტო დისციპლინის დარღვევით, არამედ თავისი იდეოლოგითაც და თავისი შეხედულებებით. ასე არ მოხდებოდა, რომ „სხივი“ რომელიმე ორგანიზაციის ორგანო ყოფილიყო. როდესაც ორგანიზაციასთან გაქვს კავშირი, მაშინ ძალაუნებურად ჰმორჩილებ მასის კანტროლს, ხოლო თუ შენ მოსწყდი ორგანიზაციას, გასწყვიტე მასასთან კავშირი, მაშინ სწორ გზას ვეღარ შერჩები ან აქეთ გადავარდები, ან იქეთ; შენს მოქმედებას აღარ აქვს არავითარი ჩარჩო და შენს საკუთარ მისწრაფებას და გულის ზრახვას მისდევ.

სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. „სხივს“ არა აქვს კავშირი არც ერთ ორგანიზაციასთან, ის არის კერძო ჯგუფის, კერძო პიროვნებების ორგანო. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი კრიტიკის, დისკუსიის, ან ორგანოს დაარსების, მაგრამ კრიტიკა უნდა სწარ-

მოებდეს ორგანიზაციის ჩარჩოებში და გაზეთი უნდა წარმოადგენდეს რომელიმე ორგანიზაციის ორგანოს. მე წერა თქვენზე ნაკლები არ ვიცი, მაგრამ არასოდეს ფალკე არ გამოვსულვარ. როგორ მოხდა, რომ ეს ორი – სამი კაცი ვერ დაეტია ჩვენთან, ცალკე გამოვიდენ და თავიანთი ეკლესიის შენება დაიწყეს? ეს გამოიწვია სწორედ იმ უჩარჩობამ, რომელზედაც მე წინეთ გითხარით; ეს გამოიწვია იმან, რომ ისინი მოწყდენ ორგანიზაციას.

აიღეთ მაგალითად, „ახალი სხივი“-ს მე-2 ნომერი, სადაც თვით სათაური გვიჩვენებს შინაარსსაც. მას ქვია: „მოხელეთა კორპორაცია, თუ სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია“, ე. ი. ვითომ ჩვენი პარტია მოხელეთა პარტიიდ გადაიქცაო. აქ ასეთი ამბებია: „სახელმწიფომ შთანთქა პარტია და მუშათა კლასი ვერ ხდავს პარტიულ ორგანოებში თავის ინტერესის დამცველ აპარატს. ეგ მოხელეების, „ჩინოვნიკების“ ორგანოებია, ამბობენ მუშები“...

„მუშათა კლასის მოწინავე რაზმი დიდი ხანია ამას გრძნობს და ოპოზიციული რაზმი არის განწყობილი. იგი ექებს მიზეზებს და უკვე ჩამოყალიბდა მისი აზრი, – იგი ხედავს, რომ პარტია ასცდა ძველ, ნაცად კლასობრივ გზას და გადაიქცა სახელმწიფოს; ან უკვე რომ ვსთევათ, აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატად და შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი პარტიის შინაგან საქმეთა მინისტრიცაა, ე. ი. ცეკას ფაქტიური თავმჯდომარე“...

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოფიციალური პარტია ასცდა ამას და მიექანება ბურუუზიული გზით, აკეთებს ყოველდღიურ „მეშჩანურ“ საქმეს, იქნებ დიდათ საჭიროს. მაგრამ არანამდვილ დემოკრატიულს და, მით უმეტეს, არა სოციალისტურს“.

ჩვენს პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება არ ემორჩილება საკანონმდებლო ორგანოს და აქედან იბადება მთავრობის სრული უპასუხისმგებლობა“.

„უსისტემობა, ბიუროკრატიზმი და მასთან კონტროლის სრული უქონლობა. კონტროლის აბუჩად აგდების აღმაშფოთებელი ფაქტები მოგვცა უკანასკნელმა დებატებმა დამფურებელი მომარაგების მინისტრის მოხსენების შესახებ“.

ეს იყო პრიციპები და ეხლა ვნახოთ საშვალებები, რომელიც ამ პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ: „მუშათა კლასი უკვე ეჭვის თვალით უყურებს იმ მეთოდებს, რომლითაც მთავ-

რობა და „გაჩინოვნიკებული“ ჩვენი პარტია სარგებლობს. ძველი პარტიული ამხანაგები, ნამდვილი მუშები, და არა „კაზიონი“ ხალხი, რომელნიც მხოლოდ სახელწოდებით არიან მუშები და არასოდეს არ შეუქმნიათ და ახლაც არ ქმნიან არავითარ ღირებულებას, – სწორედ მუშების საუკეთესო ნაწილი იზიარებს „ახალი სხივის“ პოზიციას„... „მათ არ მოსწონთ ბალშევიკური კომუნისტური გიპეტროფია, მაგრამ მუშათა კლასი ვერ ურიგდება ვერც მენშევიკურ იმპოტენციას. ისინი გამოსთქვამენ მტკიცე სურვილს დაუყონებლივ დაუბრუნდით პარტიულ მუშაობას, ნამდვილ კლასიურ პარტიის შექმნას, არსებულ მოხელეთა კორპორაციის სრულ გარდაქმნას და ჭეშმარიტი სოციალ დემოკრატიული პარტიის ალდგენას მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განვითარდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული აზრი. იქნება ამისთვის დაგვჭირდეს ახალი ფორმის გამონახვა, ერთგვარი გადამიჯვნა, მაგრამ თუ ამას საქმე მოითხოვს, თუ ეს აუცილებელი შეიქმნება, მაშინ სათანადო ნაბიჯიც უნდა იქნეს გადადგმული.“

ესე იგი გამოვეყოთ და დავაარსოთ ცალკე პარტია, აი რას ქადაგებს „სხივი!“ ეხლა ავიღოთ „ახალი სხივის“ უკანასკნელი ნომერი, სადაც მოთავსებულია ხოჭოლავას მოხსენება, რომელიც მას გაუკეთებია რკ. გზელთა ყრილობაზე. აქ სწერია: „შეგნებული კლასთა ბრძოლის ნაცვლად სრული ბასივობა, მოწინავე მუშების დარაზმვის ნაცვლად, კავშირებში მთავრობის ხალხის გამეფება“.

აქ, როგორც ხედავთ, დაგმობილია ჩვენი პარტიის დღევანდელი მუშაობა და ტაქტიკა. როგორც ხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოწოდებასთან, რომ ეს უვარგისი მუშაობა, ეს უვარგისი ორგანიზაცია და უვარგისი მთავრობა უკუვაგდოთ. აქ აშკარა მოწოდებაა დავუბრუნდეთ ძველ გზას. ესე იგი, ბრძოლა გამოვუცხადოთ მთავრობას და „გაჩინოვნიკებულ პარტიას“. ორში ერთი – ან პარტიულ მთავრობას უნდა ებრძოლო, ან ხელი უნდა აიღო ძალა უფლებაზე და სხვას დაუთმო იგი. რა თქმა უნდა, სხიველები ირჩევენ პირველ გზას, ესე იგი, ჩვენს პარტიულ მთავრობასთან ბრძოლას და ამისთვის უნდათ ახალი პარტიის დაარსება. აქ არის ერთნაირი ლოლიკა და პრინციპიც, გერმანიაში ამ აზრმა დაასუსტა პარტია; ამ აზრსავე ადგა დაგლახავებული რუსეთის მენშევიკური პარტია. ეს ლოლიკა წარმოსდგება მართველ ძალათ გადაქცევის შიშისაგან, მაგრამ ჩვენ დიდი ხანია

დავგმეთ ეს ლოღიკა, ხოლო ეხლა მისი პრაქტიკულად ცხოვრება-ში გასატარებლად გამოდის „ახალი სხივი“. ეს გაზეთი ამ მიზნით მოუწოდებს მუშებს „გამიჯვნისაკენ“, „ახალი ფორმის“ გამონახვისაკენ ე. ი. რასკოლისაკენ (№ 2). აქ მართლაც დიდი განსხვავება არსებობს ჩვენსა და მათ შორის და ამან მხოლოდ უკანასკნელ დროს იჩინა თავი.

დღემდე ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ მუშათა კლასს თვით ჩაეგდო ძალაუფლება ხელში. მან ეს შესძლო, ხელში ჩაეგდო მართველობა და მანვე უნდა აწარმოვოს სახელმწიფო აღმენებლობა. ეს არის ჩვენი ანბანი და ყოველი ამხანაგი, თითოეული ორგანიზაცია უნდა სცდილობდეს მთელი თავისი ძალლონით ხელი შეუწყონ ამ მუშაობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველგან, ყოველ დაწესებულებებში ჩვენი ამხანაგები იყვნენ. თუ იტყვით, რომ ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს მთავრობასთან, ეს სხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმე სხვას უნდა გადავცეთ ძალა – უფლება. და შემდეგ კი ვებრძოლოთ მას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება ძალა – უფლება. ეს არის თამაში, ეს არის პოლიტიკური გარყვნილება, ეს არის სწორეთ პოლიტიკური იმპოტენცია (ტაში).

პირველად „სხივში“ იბეჭდებოდა წერილები მხოლოდ ბოროტმოქმედებებზე. ასეთი წერილები „ერთობა“-შიაც იბეჭდებოდა. აქ პრინციპიალური განსხვავება, რა თქმა უნდა, არ იყო. იყო ერთად-ერთი აზრთა განსხვავება – შეუთავსებლობის შესახებ, მაგრამ წარსულ ყრილობამ ამის შესახებ სთქვა თავისი სიტყვა და ამის შემდეგ ეს საკითხი არ უნდა დასმულიყო. ასე იყო საქმე აქამდის, მაგრამ ეხლა კი სულ სხვას ვხედავთ. დღეს ჩვენ ვხედავთ აზრთა ნამდვილ სხვადასხვაობას და თუ მათი აზრი, რომელიც ზევით დაგახასიათეთ, გავრცელდა, თუ მან მიმდევრები მოიპოვა ჩვენს პარტიაში, დაინგრევა ჩვენი პარტია და ამასთან ერთად დაინგრევა ჩვენი სახელმწიფოც და როცა ჩვენს პარტიაში ფრაქციის წევრები ასეთ აზრებს ავრცელებენ და ქმნიან პრინციპიალურ განსხვავებას, – ცენტრალურ კომიტეტმა მოვალედ სცნო თავი ეს კონფერენცია მოეწვია, რომელმაც სათანადო მსჯავრი უნდა დასდოს ამ აზრებს და ამის მატარებელ ჯგუფს.

მთელი ეს განსხვავება, განხეთქილება და აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია, როგორც მოგახსენეთ იმ გარემოებამ, რომ „ახალი სხივი“ იყო არა რომელიმე ორგანიზაციის, არამედ ჯგუ-

ფის, პიროვნებათა ორგანო. ამ პიროვნებათ ზურგს უკან არა ყავს არც ერთი ორგანიზაცია; ისინი მოქმედებენ უკალაპოტოთ, უკანტროლოთ, უმასოთ, მიშვებული თავიანთ ფანტაზიაზე. ასეთ შემთხვევაში გენიოსიც რომ იყო, თუ არა გაქვს ჩარჩო, რომლის ფარგლებში შენ უნდა იმოქმედო, სწორ გზას აუცილებლივ გადასცდები, გაყვები თავის ოცნების ლოლიკას და არა მასის და პარტიის კარნახს.

აი, აქედან დაიბადა და მომზადდა ის პრინციპიალური განსხვავებაც, რომელიც დღეს ანსხვავებს „ახალი სხიველებს“ ჩვენგან. მაშასადამე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ დისციპლინა ყოფილა ძირი, დედა ჩვენი აზრის, მოღვაწეობის, მოქმედების და როდესაც მას გადასცდები, – ანარქიის უფასყრულში გადავარდები.

ბევრია ჩვენში ეკონომიურ გაჭირვების გამო უკმაყოფილო; შეიძლება, ამ ჯგუფის აგიტაციამ თვალი აუხვიოს მათ და გაიტაცოს, მაგრამ ასეთი ხალხი ვერ ითვალისწინებს იმას, რომ ეს გზა დაღუპავს ჩვენს პარტიას და ჩვენს სახელმწიფოსაც. ჩვენ ვერ მოვითმენთ პარტიის დაღუპვას და სახელმწიფოს განადგურებას და მე უნდა გითხრათ, რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები – პარტია დაიშლება და შემდეგ დაიშლება მთელი სახელმწიფოც; ასეთ მოქმედებას კი ჩვენ ვერ დაუშვებთ ჩვენი სახელმწიფოს წიაღში. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს აღდგენილ იყოს დისციპლინა; მან შეიმუშავა შესაფერისი თეზისები (კითხულობს თეზისებს). შინაარსი ამ თეზისების არის ის, რომ პარტიულ ორგანიზაციამ და მით უმეტეს მათ შორის, რომლებიც არჩეული გვყავს სხვადასხვა წარმომადგენლობით ორგანოებში, – სასტიკად იყოს დაცული პარტიული დისციპლინა, რომ არც ერთ პირს არ შეეძლოს გადაუდგეს პარტიას თუნდაც თავის შეკავებითაც კი.

ჩვენ დღეს უფრო გვჭირია პარტიული სიმაგრე ვინემ ოდესმე. ჩვენ დღეს ირგვლივ მტრები გვარტყია და ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩვენი პარტიის სიმტკიცე წარმოადგენს საფუძველს ჩვენი თავდაცვისას. ერთმანეთისადმი ნდობა, მტკიცე დისციპლინა, ერთობა და ამხანაგობა შეადგენს ჩვენი პარტიის შინაურ ძალას და ამ ძალაზეა დაყრდნობილი მთელი სახელმწიფოც. და თუ ეს ძალა შეირყა, თუ გამეფდა ჩვენს შორის ანარქია, მაშინ სამარცხვინოთ დავანგრევთ ყოველივე იმას, რაც დღემდე გვიშენებია. მთელი ჩვენი ძველი ძალა უნდა შევინარჩუნოთ, ძველი

ტრადიცია უნდა გავამაგროთ, ჩვენი ძველი დისციპლინა უნდა გავამტკიცოთ. ვისაც ეს არ მოსწონს, – შეუძლია მიბრძანდეს და ჩვენი პარტიის გარეშე, რაც უნდა ის ჩაიდინოს, ხოლო ჩვენ არავის მივცემთ ნებას ჩვენი სიმაგრე შიგნიდან დაანგრიოს და ამით დასცეს პარტიაც და ჩვენი რესპუბლიკაც. (ხანგრძლივი ტაში).

ერთობა. – 1921. – 23 იანვარი. – № 16. – გვ. 2.  
საქართველო. – 1921. – იანვრის 23. – № 16. – გვ. 3.

# საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია

ნო ზორბეგიას სიტყვა

20 იანვრის დილის სხდომა

ამხანაგებო! მე ახლა არ გამოვუდგები წვრილმანებს; ამას სრულიადაც არ მოითხოვს საქმის ინტერესები. ჩვენ უნდა გავ-იგოთ საქმის მდგომარეობა და შემდეგ ყველას შეეძლება თავისი მსჯავრის გამოტანა.

აქ სთქვეს, რომ ჩვენ ვდგევართ პროგრამის ნიადაგზე და ამაზე იქნება დამყარებული პარტიული მთლიანობაცო. მაგრამ პროგრამის ერთიანობა კიდევ არ ნიშნავს, რომ პარტიაც მთლიანი იქნება. შესაძლებელია პროგრამა ერთი იყოს, მაგრამ პრაქტიკა არ იყოს ერთი. ამის შესახებ ამბობდა ლიბკნებტი მთელ დიუქინ პროგრამას ერთი მართალი ფაქტი, ერთი მართალი ნაბიჯი სჯობია. ერთი პროგრამა გვქონდა ბალშევიცებსა და ჩვენ. აქ არსებობს კიდევ სოც – დემოკრატიული ჯგუფი (ზურაბოვის), რომელსაც პროგრამა საერთო აქვს. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ დასახელებულ ჯგუფთან თუ პარტიასთან არ გავერთიანებულ-ვართ. მაშასადამე, მარტო პროგრამას არ შეუძლია შეაერთოს პარტია; უნდა არსებობდეს ამასთანავე ერთი ტაქტიკა და ერთი ორგანიზაცია და აქ სწორეთ ამ მხრით არ არის ერთობა.

რაშია საქმე? – ეს ამხანაგები აჯანყებული ხალხია: ისინი არ ემორჩილებიან პარტიულ დადგენილებებს. შესაძლებელია, რომ ოპოზიცია მართალი იყოს ზოგ რამეში; მაგრამ მართალია მხოლოდ ის, რაც პარტიას ამართლებს და ცხოვრებას წინ სწევს, მიკეთებართ ახალ – ახალ გამარჯვებისკენ. არსებობს დამფუძნებელი კრების ფრაქცია; უმრავლესობის ნება სურვილით გამოაქვთ ესა თუ ის დადგენილება. უმცირესობა კი არ ემორჩილება უმრავლესობას და არ ასრულებს დადგენილებებს: ეს არ არის სიმართლე, ეს პარტიის დარღვევაა.

პარტიამ დაადგინა, რომ იწონებს მთავრობის პოლიტიკას. ესენი იწუნებენ და შემდეგ „სხივში“ საჯაროთ არღვევენ პარტი-

ის დადგენილებებს. მაშასადამე, მათვის არ არსებობს პარტია და როდესაც მათ არ მიუთითებენ ამ გარემობაზე, – ისინი ამბობენ, რომ ეს არის სერვილიზმი, აზრის შებორკვა, შევიწროება და სხვა. ასეთი შეხედულებით პარტიაში არსებობა არ შეიძლება.

საყვარელიძემ სთქვა, რომ არ არსებობს პასუხისმგებლობა. მთავრობა დააყენა პარტიამ თუ მთავრობის წევრები არ არიან შესაფერისი, – მაშინ თვით პარტია გადააყენებს მათ და მათ ალაგზე ახალ მთავრობას ჩააყენებს. მთავრობა მუდამ ანგარიშს უწევს ცენტრალურ კომიტეტს, ს-დემ. ფრაქციას, კონფერენციას, ყრილობას, და ამის შემდეგ ნუ თუ შეიძლება თქმა იმისა, რომ მთავრობა არ არის პასუხისმგებელი. ეს ნიშნავს პასუხისმგებლობის არცოდნას (მუხ. ხოჭოლავა ადგილიდან: „ეს სოფიზმი“!). ეს არ არის სოფიზმი, უმრავლესობა იწონებს მთავრობის ნაბიჯებს; უმცირესობა უნდა დაემორჩილოს უმრავლესობას. გავლენა თუ არა გაქვთ და ვერ გააფართოვებთ თქვენს შეხედულებებს, – ეს ასე იქნება ყოველთვის. უმცირესობას ყოველთვის შეუძლია იმუშაოს პარტიის ფარგლებში თავისი შეხედულებებისათვის გავლენის მოსაპოებლათ. მუხრ. ხოჭოლავა სულ არ ესწრება ცენტრალურ კომიტეტის სხდომებს (ხოჭოლავა: „საჭირო არა ვართ!“)... არ ვიცი, საჭირო ხართ თუ არა; მაგრამ შემდეგ ნუ ლაპარაკობთ, აზრს ავინწროებენო და სხვა. (მ. ხოჭოლავა: „პროგრამაზე!“ დაანებეთ თავი პროგრამას. რა იწერება „სხივში“ პროგრამაზე? არაფერი. რა თქვით აქ პროგრამაზე? მოიყვანეთ მხოლოდ ერთათ-ერთი მაგალითი კირილეს ინციდენტი. კირილეა პროგრამა? რომელ პროგრამაში გიწერიათ კირილეს ბინის კითხვა – პროგრამული კითხვაა.

მაგათი პროგრამა არის ერთად-ერთი – ზარბაზანის დაშენა მთავრობისათვის მაგრამ ასე ისინი ფრაქციაში უნდა მოქცეულიყვენ. იქ ნდობას უცხადებენ მთავრობას, ხოლო შემდეგ „სხივში“ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ასეთი ხალხის ნდობა პოლიტიკურათ შეუძლებელია! (ხმები: „მართალია!“) ეს არის მათვის თავისუფლება. თავისუფლება მათვის ის არის, რომ არ დაემორჩილონ დადგენილებას, ე. ი. მათ ჰსურთ თავისუფლება პარტიიდან. მაგრამ ჩვენ ასეთი თავისუფლება არ გვინდა. უნდა დაემორჩილოთ პარტიულ დადგენილებებს.

აქ ასე ამბობენ: ერთი მხრივ ჩვენ და მეორე მხრივ – „ერთობა“, ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა და სხვა. მაგრამ სად

ხართ თქვენ ამ შემთხვევაში? ცხადია თქვენ ვერ იქნებით პარტიის ინტერესების გამომხატველნი. თუ პარტიამ აიღო ხელში სახელმწიფოს აღმშენებლობა, თვითონეული წევრი მხარს უნდა უჭერდეს მას ამ მუშაობაში და ამაში გამოიხატება „კაზიონობა“; მაგრამ ეს სრულიადაც არ არის სამარცხვინო. დე, ვიყოთ „კაზიონი“ იმისათვის, რომ ჩვენს ხელშია სახელმწიფოს მთელი აბარატი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს და ჩვენი ხალხია ჩაყენებული სახელმწიფოს ორგანოებში. ამაში გამოიხატება ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა. მარქსის გადაკითხვა კაბინეტებში არ არი საკმაო; საჭიროა მარქსიზმის გამოყენება ცხოვრებაში (მუხრ. ხოჭოლავა: „ნუ დააჟინდით“!) მაგრამ მაშინ რად არ იცით, რომ ერთი ცარიელი პროგრამა ვერ პერიოდის მთლიან პარტიას?

მუხრან ხოჭოლავამ დღეს აქ ბევრი ილაპარაკა დიქტატურისა და ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ. და ეს მე მაგონებს 18 წელს, როდესაც იმავე საკითხებზე აქ გველაპარაკებოდენ ასეთივე კილოთი არშაკ ზურაბივი და სხვა მისი თანამოაზრენი. ჩვენ დღეს ვანხორციელებთ ჩვენი პროგრამის მინიმუმს, ვანხორციელებთ თანდათანობით და კიდევ განვახორციელებთ მას. შემდეგ გადავალთ პროგრამა მაქსიმუმზე. მუხრანი კი დღეს პატარავს მათ და ამბობს, რომ მაქსიმუმიდან უნდა დავიწყოთ. ერთია ნათელი: დღეს მათ აქ ეუბნებოდენ – სთვით, რა ხაზი გაქვთო, მაგრამ ასეთი ხაზი მათ არა აქვთ; მათ აქვთ მხოლოდ ერთი ხაზი, ისინი არღვევენ ჩვენს პარტიას და ხელს უშლიან ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას. ამის უფლებას ჩვენ არავის მივსცემთ!

მუხრან ხოჭოლავა მე მიკიუნებს, რომ წინად ყოველთვის შემაერთებელი ვიყავი და დღეს კი არა. მართალია, მაგრამ შეერთებაც არის და შეერთებაც; შეერთება წყლისა და ცეცხლისა შეუძლებელია. ამიტომ მე უნდა ვთქვა ის, რაც არის, ხოლო არის კი ის, რომ ზოგი ინდივიდუალისტები პარტიას გვინგრევენ. ამ აზრების მთქმელნი ან უნდა შემოგვირთდენ და უარყონ თავიანთი აზრები, ანდა უნდა დაარსონ თავიანთი პარტია.

აღდგენილი უნდა იქნეს დისციპლინა. მართალია, ცენტრ. კომიტეტმა სისუსტე გამოიჩინა; მაგრამ იგი ფიქრობდა, რომ ეს მოვლენა წარმავალი იქნებოდა, მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ მოვლენას ღრმად პქონდა გადგმული ძირი, – მაშინ მან მოიწვია პარტიული კონფერენცია და ეს უკანასკნელი იტყვის დღეს თავის სიტყვას.

თუ ჩვენ ბრძოლაში ერთად არ ვიქნებით, თუ ასეთი მდგო-  
მარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, – მაშინ დაინგრევა ჩვე-  
ნი პარტია და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასაც ლახვარი  
ჩაეცემა. ამიტომ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ უნდა  
მივიღოთ შესაფერი დადგენილება (კითხულობს რეზოლუციას,  
რომელიც უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, № 14).

ასეთია რეზიუმე ჩვენი შეხედულებისა. ვფიქრობთ, რომ ამით  
ჩვენ შევქმნით მთლიან პარტიას და ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერავ-  
ითარი მტერი ვერ გაგვიძლებს (ხანგრძლივი ტაში).

## 60 ჟორდანიას სიტყვა

თაროთებული დამუძღვებელი პრეზიდენტის 17 იანვრის სხდომაზე

მოქალაქენო! ჩემი განცხადების გამო აქ დიდი ხანია არის კამათი. ამ კამათს მე დიდის გულმოდებით ვუგდებდი ყურს თავიდანვე და უნდა ვსთქვა, რომ უმრავლესობა აქ გამოსულ ორატორებისა შეეხო უფრო წვრილმან საგნებს, ვინემ ისეთებს, რომელთაც ისინი უნდა შეხებოდენ („ხმა: ჯერ არ გათავებულა“). იმედი გვაქვს – აწი მაინც შეეხებიან. მთავარი საკამათო საგანი აქ იყო ჩვენი მომარაგების საქმე და მომარაგების სამინისტრო; მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ თვით მომარაგების მინისტრმა გააკეთა მოხსენება, – გამოირკვა, რომ თითქმის აღარავის არაფერი არ აქვს სადაც და საკამათო ამ სამინისტროს გარშემო (დადიანი: „რა იცით, ბატონო?“). ბატონ დადიანს უნდა გავახსენო, რომ სწორედ მისმა ამხანაგმა შალვა ნუცუბიძემ აქ ამ ჭრილუნიდან არა თუ კმაყოფილება, – გაკვირვებაც კი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ამდენი საქმე გაკეთებულა და ჩვენ ეს არ ვიცოდითო. (ზ. ნუცუბიძე: „არაფერი მაგის მსგავსი არ მითქამს. მე ვთქვი, რომ ამდენს არ მოველოდი მეთქი ამ მინისტრისაგან“). მე ვამბობ, რომ მომარაგების მინისტრის მოხსენების წინააღმდეგ არც ერთი ორატორი არ გამოსულა და არსებითად არაფერი არ უთქვამთ (სპ. კედია: „გამოვალთ, ვილაპარაკებთ“). თუ გამოხვალთ, – იმასაც ვნახავთ, რა ფასი ექნება თქვენს გამოსვლას. (ს. დადიანი: „ეს უკანასკნელი სიტყვა ხომ არ არის, თქვენს ფრაქციას კამათის მოსპობის წინადადება ხომ არ შეუტანია?“). აქ, მართალია, ზოგიერთი დეპუტატი შეეხო ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას; აქ, ასე ვთქვათ ცენტრი, მთელი ჩვენი მსჯელობისა, თავისთავად ცხადია, უნდა ყოფილიყო ეს ეკონომიკური პოლიტიკა; მაგრამ ამას გვერდი აუხვიეს და მხოლოდ ერთმა თუ ორმა ორატორმა ეს საკითხი დასვა და სწორედ მეც ამას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

აქ უნდა ვთქვა პირველად ყოვლისა ის, რომ ჩვენ ბატონმა შალვა ნუცუბიძემ თავის სიტყვაში საყვედური გვითხრა იმაზე, რომ ჩვენ მინისტრებათ ხან ერთს შევიყვანთ მთავრობაში, ხან

მეორეს, ხან ახალ სამინისტროს ვქმნით და ეს არის, ერთნაირი უსისტემობა. ამაზე უნდა ვთქვათ, რომ სამინისტროების შემოკლება, ხან მომატება არავითარ – არც პოლიტიკურ, არც პრინციპიალურ საგანს არ შეადგენს; ეს არის დამოკიდებული პრაქტიკულ საჭიროებაზე. (ვეშაპელი: „და ფინანსებზე, ხარჯებზე!“) ესეც შესაძლებელია. მე მოგახსენებთ მთავარ მიზეზებს; ეს არის დამოკიდებული უმთავრესად პრაქტიკულ საჭიროებაზე; თუ რომელიმე დარგი სახელმწიფო მართველობისა იღებს ისეთ სახეს, ისე დიდდება შინაარსით, რომ საჭიროა მას ჰყავდეს საკუთარი პატრონი... (შ. ნუცუბიძე: „სწორედ უნდა გავიგოთ, რატომ არის საჭირო!“). თქვენ იცით, ბატონებო, რომ ეს აქ კი არ ხდება მარტო, – ეს ხდება სხვაგანაც – ყველა ქვეყნებში. ინგლისში ეხლა არის 20 მინისტრი; იყო 15 მინისტრი, წინად-12 მინისტრი. საფრანგეთში სრულიად ახალი სამინისტრო არის შექმნილი, მაგალითად, პენსიების სამინისტრო. არასოდეს ყოფილა პენსიების მინისტრი; ეხლა კი არის. (შ. ნუცუბიძე: „იმათ იციან, რასაც შვრებიან!“) იმათ იციან და თქვენც უნდა იცოდეთ, ისინი ამას იმიტომ შვრებიან, რომ ამას მოითხოვს პრაქტიკული საჭიროება... (შ. ნუცუბიძე: „ეს უნდა მოხსენდეს დამფუძნებელ კრებას! ამას ვითხოვთ ჩვენ!“ თავმჯდომარე: „გთხოვთ – ნუ უშლით მთავრობის თავმჯდომარეს ლაპარაკას!“). თუ ჩვენ ვხედავთ, რომ პრაქტიკულათ ეს საჭიროა, – ჩვენ ამას ვშვრებით. ბატონებო, მოგახსენებთ ამ მხარეზე. აქ ერთხელ წამოვაყენეთ, რომ ჩვენთვის არის პრაქტიკულად საჭირო მომარაგების სამინისტრო და მომარაგების მინისტრი; სწორედ სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ წინააღმდეგნი და ჩვენ რომ მათთვის დაგვეჯერებინა და ასე არ გვექნა, – მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არ გვეყოლებოდა არც ჯარი, არც გვარდია და არც არავითარი საზღვრები გვექნება... (ხმაურობა.ზარი. ხმები: „მართალია!“ დადიანი: „ჩვენი წინადადება იყო მომარაგების სამინისტროს დაარსება!“) ამიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ სათავეში და ვიცით, როცა რა გვჭირია... აი, ეხლაც ასე იყო: ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი განათლების საქმე ისეთი შინაარსისა არის, ისე გადიდდა, რომ მისი მიწერა სხვა სამინისტროზე ყოვლად შეუძლებელია. ეს საქმე ჩვენში უფრო და უფრო ვითარდება და ჩვენ ვთქვით, რომ მას სჭირდება საკუთარი ხელმძღვანელი...

(შ. ნუცუბიძე: „მასწავლებლების რეზოლუცია ნახეთ, როგორ ვითარდება ეს საქმე ჩვენში!“ თავმჯდომარე: „გთხოვთ – ნუ უშლითორატორს“, უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებლების რეზოლუცია ვნახე და მე გავიგე, რომ მასწავლებლებს გაცილებით უფრო ნაკლები შეგნება ჰქონიათ სახელმწიფო საჭიროებისა და მისი ინტერესებისა, ვიდრე მუშებს... (ხმაურობა. ზარი. დადიანი: „გაიმეორეს თქვენი ნათქვამი, რომ მდგომარეობა კატასტროფიულია!). თუ მართალია, რომ ეს მოახდინა ბლოკმა და ამაში ერიენ ფედერალისტები, – მე თქვენ ამას ვერ მოგილოცავთ... (დადიანი: "სიცრუე მოუხსენებიათ!" შ. ნუცუბიძე: „თავმჯდომარეს სწორი ინფორმაცია არა აქვს!“ თავმჯდომარე: „ბ. ნოე, უკაცრავად, მე იძულებული ვიქნები, ბატონებო, სხდომა დავხურო, თუ არ მოუსმენთ მთავრობის თავმჯდომარეს და ხელს შეუშლიან მის სიტყვას. არ შეიძლება და არც გეკადრებათ. ბატონებო, უუმორჩილესად გთხოვთ ნუ უშლით ხელს თავმჯდომარეს, დაამთავრებინეთ სიტყვა. თქვენ ჩაწერილი ხართ და შეძლება გექნებათ ილაპარაკოთ... გთხოვთ დაწყნარდეთ!“).

უნდა ვთქვათ, რომ... (ხმაურობა, ზარი). ბატონებო, სოციალისტ – ფედერალისტები ძალიან სწუხან იქ და, მე მგონია, რაც უნდა იხმაურონ, ხელს ვერ შემიშლიან... (ხმაურობა ს.-ფ. სკამებზე. შ. ნუცუბიძე: „მთავრობის თავმჯდომარეს სწორი ინფორმაცია არა აქვს! თავმჯდომარე: „ბ-ნო შალვა, ნუ მაიძულებთ სხვა ზომებს მივმართო, გთხოვთ მოუსმინოთ ბ-ნ თავმჯდომარეს“. აქ ბ-მა ნუცუბიძემ სთქვა, – შალვამ, – აქ ორი ნუცუბიძეა, – სთქვა, რომ აქმთავრობა ქმნის რაღაც ერთგვარ არისტოკრატიას, ჩვენში არის ერთნაირი ოლიგარხია, რომელიც ბატონობს და მეთაურობსო. (შ. ნუცუბიძე: „კამარილია!“)... კამარილია, ოლიგარხია, არისტოკრატია ერთი და იგივეა. ეს ნუცუბიძემ უნდა იცოდეს. შ. ნუცუბიძემ არ იცის და უნდა იცოდეს, რას ნიშნავს არისტოკრატია, ოლიგარხია და კამარილია. და თუ ფიქრობს, რომ ასეთი რაიმე არის ეხლა აქ, ჩვენში, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა არის, დემოკრატიული წყობილება და თუ მას ჰგონია, რომ ეს აქ არის, ეს ნიშნავს იმას, რომ მას არ სცოდნია ამ ტერმინის შინაარსი და ეს სამწუხარო არის... (შ. ნუცუბიძე: „უბრალო სიტყვა არის!“). ეს იცის ყველამ, რომ არისტოკრატია, ოლიგარხია, მართალია, არ-სებობს და ბატონობს იქ, სადაც ხალხს არც ხმა აქვს, არც არჩევ-

ანი აქვს და ბატონობს თვითმპურობელობა. თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს განსხვავება ჭკუისა და გამოცდილებისა, ე.ი. არისტოკრატია ჭკუისა და გამოცდილების – ამაში შემცდარი ხართ... (სიცილი, ტაში) და თუ გინდათ, სთქვათ რომ აქ ზოგიერთ ჭკუიანი ხალხი არის და არ უნდა იყოსო, – სთქვით!... (შ. ნუცუბიძე: „თქვენი რამდენი კაცი ზის?“) მთავრობა სდგება ისე, როგორც საერთოდ ყველა პარლამენტში... (შ. ნუცუბიძე: „თქვენს წრეში რამდენი მინისტრია გაბატონებული?“) ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ აი, – აქ ჩვენი პარტია არის გაბატონებული და ცხადია, რომ ეს პარტია აყენებს მთავრობას. ეს ასეა ყველგან. ის პარტია, რომელიც გაბატონებული არის პარლამენტში, აყენებს მთავრობას; თუ არ მოგწონთ... (ს. კედია: „მაშინ იქნება ოლიგარხია!“). აი, სწორედ, დიალ, მაშინ იქნება ოლიგარხია, როდესაც უმცირესობა თავის აზრს მოახვევს უმრავლესობას... (შ. ნუცუბიძე: „ეს ვიცით, ბატონო!“). თუ იცით, არ უნდა სთქვათ ის, რაც არ იცით. ასე არის. ვიმეორებ, რომ მთავრობა დგება ჩვეულებრივი გზით და არავითარი არა-ჩვეულებრივი გზა, არა – პარლამენტარული გზა არ ყოფილა და არც არსებობს... (შ. ნუცუბიძე: „ოფიციალურად!“ ხმა: „ფორმალურად!“) არ ვიცი ოფიციალურად, თუ არა ოფიციალურად, ისე არის ოფიციალურად, როგორც არა ოფიციალურად. თუ თქვენ ამბობთ, რომ ორი-სამი კაცი აყენებს ვინმეს... (შ. ნუცუბიძე: „დიალ! დიალ! თქვენებმა იციან!“) ეს არ არის მართალი. ჩვენში არასოდეს ორი-სამი კაცი არ ბატონობდა; ბატონობდა და ახლაც ბატონობს თვით პარტია, პარტიული ორგანიზაციები. რასაც დაადგენს ორგანიზაცია, – ამას ასრულებს ორი, სამი და ასი კაცი. (ჯულელი: „მართალია!“) და თუ კი ორი სამი კაცი არ ასრულებს უკეთესად, თავის თავად ცხადია, ისე აასრულებს, თუ არის ნება და სურვილი პარტიისა (შ. ნუცუბიძე: „სიტყვით! სიტყვით!“ გ. რცხილაძე: ეს პარტიის საქმეა და არა დამფუძნებელ კრებისა!) დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა ჰყავს ერთ პარტიის; აქ არის ს.-დ. ფრაქცია, თავისთავად ცხადია, რომ ფრაქციიდან უნდა გამოდიოდეს ესა თუ ის სამინისტრო, ესა თუ ის მინისტრი... (შ. ნუცუბიძე: „აჭახრაკებს საქმეს ამ ფრაქციის საქმე ეს არის! რამიშვილი: „თქვენ ფრაქციაში ლაპარაკობს, არა?“) არ ვიცი მე, თქვენ ფრაქციაში საქმეებს ვინ აწყობს, მაგრამ ჩვენს ფრაქციაში აწყობს საქმეებს ის პირები, რომელთაც აქვთ პარტიის სრული ნდობა, აქვთ მეტი გამოცდილება... (ჯულელი: „მართალია ასეა,

ბატონებო, ესენი აწყობენ და ასე თქვენ ფრაქციაში და თვენს პარტიაში უკულმა ხდება, – მაშინ ეს დამილოცნია თქვენთვის. (ტაში.) (ნუცუბიძე ხმაურობს. თავმჯდომარე: ბატონო შალვა! გთხოვთ რამდენიმეჯერ – ნუ ხმაურობთ, გაგიცხადეთ, ნუ ილაპარაკებთქმ: თქვენ არ აასრულეთ; ეხლა შენიშვნას გაძლევთ. თუ კიდევ გაიმეორებთ – სამწუხაროდ, მე იძულებული ვიქნები მივმართო სხვა ზომებს. უმორჩილესად გთხოვთ დაწყინარდეთ!“).

ამის შემდეგ მე მინდა გადავიდე ცენტრალურ კითხვაზე, რომელიც აქ იყო დასმული; მაგრამ ბევრი ორატორი არ შეეხო. მე მინდა თქვენი ყურადღება ამაზე მივაქციო. აქ ერთ-ერთ ორატორს, – თუმცა მაშინ, როცა სხვა კითხვა ირჩეოდა – ემისიის გამო, – ეს იყო გ. რცხილაძე, – არ ვიყავი აქ, მაგრამ წავიკითხე „სახალხო საქმეში,“ – ემისიის შესახებ უთქვამს სიტყვა, რომელიც უნდა ეთქვა დღეს; ვინაიდან ეს სიტყვა თავის შინაარსით დღევანდელ დებატებს ეკუთვნის. იქ უადგილოთ არის დაწერილი... (ხმები: „მართალია!“). ამ სიტყვაში ყველაზე უფრო კონკრეტულად არის დასახული და დასმული კითხვა. აქ ბატონ რცხილაძეს ისე გამოჰყავს საქმე, რომ თუ ჩვენში დღეს არის ეკონომიური გაჭირვება, ეკონომიური კრიზისი, – ეს არის მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკის ბრალი... (გ. რცხილაძე: „არა მარტო; აგრეთვე მთავრობის!“)... სწორედ ამაზე ილაპარაკა, თუმცა კონკრეტიულად არც ერთი საგანი, არც ერთი ფაქტი პოლიტიკის რეალიზაციისა არ დაუსახელებია, რომელსაც შეეძლო ისეთ დიდი საკითხის გამოწვევა, როგორც არის ეკონომიური კრიზისი.

მაგრამ ჩვეულებრივი, ძველებური აზრი იმნიარი არი, რომ რაც მოხდა ცუდი რამ, – უეჭველად მთავრობის ბრალია. უნდა ვთქვათ, რომ ეს სრულიად არ არის მართალი. ჩვენში ეკონომიური კრიზისი არსებობს და ამის მიზეზი არ არის არც მთავრობა და არც მისი პოლიტიკა. პირიქით, ეს კრიზისი არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ესა თუ ის ეკონომიური პოლიტიკა. არ ვიცი როგორ შეიძლება ვინმებ წარმოიდგინოს, რომ ჩვენში, საქართველოში, ამ ეკონომიურ ცხოვრების საქმეებს აწარმოებდეს მარტო მთავრობა და ეს იყოს ერთად-ერთი ბატონ პატრონი ამ ეკონომიურ საქმიანობისა და ის ქმნიდეს რაიმე კრიზისს. ეს რომ რუსეთზე ითქვს, – სხვა არის; მაშინ მართალი იქნებოდა. ჩვენ რომ წარმოების და ვაჭრობის სრული ნაციონალიზაცია მოგვეხდინა, მოგვესპონ კერძო ინიციატივა და ჩვენ ვყოფილიყავით ერთად

ერთი მეურნე და მწარმოებელი. – მაშინ მართალი იქნებოდით, ბრალი დაგვედებოდა, რომ საქმე სულ ცუდათ მიდის... (ასათიანი: „ასეა ბოლოს და ბოლოს“). ასეა თქვენთვის იმიტომ, რომ თქვენი პროგრამის მომხრე არა ვართ. მთავრობის ეკონომიური საქმიანობა შეიძლება იყოს 5-6% დანარჩენი კი კერძო ინიციატივის ხელში არის. (აპ. კედია: „აკი სამოცი პროცენტიო!“ სამ. დადიანი: „ დელეგაციას რომ უთხარით 25% ქარხნებისა ჩვენ ხელშიაო?“). თუ თქვენ გგონიათ, რომ ეკონომიური საქმიანობა არის მარტო ქარხნები, – სცდებით. მაგრამ არა მარტო ქარხნები არის მეურნეობა, არამედ მთელი კომპლექსი ეკონომიურ მდგომარეობისა და საქმიანობისა. (ს. დადიანი: „ეს პასუხი არ არის!“). მე ვამბობ, რომ ჩვენში ეკონომიურ სფეროში მუშაობს ყოველი ადამიანი და მათ შორის ჩვენც ვართ, ე. ი. მთელი სახელმწიფო, და მათ შორის მთავრობაც. მაშასადამე, თუ რაიმე კრიზისი არის და საქმე ვერ მიდის ხეირიანად და დამნაშავეს ეძებთ, – დამნაშავე უნდა იყოს მთელი ჩვენი ეკონომიური მოქმედება, მთელი ხალხის მუშაობა ამ ნიადაგზე და მათ შორის მთავრობაც იქნება. მაგრამ საკითხის ასე დასმა სრულიად შეუძლებელია. ეს არის საკითხი კულტურულ პროგრესისა, ე. ი. რამდენად არის მომზადებული ჩვენი ხალხი კულტურულ მუშაობისათვის. არავის არ მოუვა ჭკუაში, რომ სთქვას: საქართველოს ხალხი დამნაშავე არის იმაში, რომ იძულებულია პური შემოიტანოს უცხოეთიდან. მე ვამბობ, რომ ჩვენი ეკონომიური კრიზისის მიზეზი არ არის მთავრობა; პირიქით. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ეგუება დღევანდელ მდგომარეობას, რომ ეს კრიზისი შეამსუბუქს და შეანელოს. ასეთია ჩემი დებულება და გთხოვთ დაარღვიოთ.

ბ. რცხილაძემ ჩვენ გვისაყვედურა, რომ თურმე ჩვენ დიდი ხანია ომიდგან გამოვედით, მაშასადამე, არავითარი არაჩვეულებრივი საქმეები და გასავალი არ გვქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც დავანგრიეთ ის, რაც გვქონდაო. ბ. რცხილაძე დიდი ხანია აქ არ ყოფილა, ახლად მოსული არის, მაგრამ მაინც ეცოდინება, რომ საქართველო დღემდე ომიდან არ გამოსულა. თუ გგონიათ, რომ საქართველო მსოფლიო ომში ერია, – ეს არ არის მართალი; იმ ომში საქართველო არ ყოფილა, ერიენ მარტო ქართველები. თუმცა იმ დღიდან, რაც საქართველოს რესპუბლიკა დაარსდა, მსოფლიო ომი მოისპონ; მაგრამ აქ მაინც მუდმივ საომარ მდგომარეობაში ვართ. თუ ამას მიიღებთ მხედველობაში, – მაშინ

დაინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს აუარებელი არაჩვეულებრივი სამხე-დრო გასავალი. თუ მიიღებთ შრომას და ჩვეულებრივ შემოსავალ – გასავალს შეადარებთ, – მაშინ ნახავთ, რომ არც იმდენად ცუ-დად არის ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, როგორც პგონიათ. თუ მიიღებთ სახეში არაჩვეულებრივ გასავალს, – მაშინ ცხადი იქნება, რომ აქ არაფერს შუაში არის არც მთავრობა და არც მისი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა. საომარმა გასავალმა გააღარიბა არამც თუ ახალი სახელმწიფოები, – არამედ ისე ძველი სახელმწიფოებიც კი, როგორიც არიან საფრანგეთი, გერმანია და სხ. ამას დიდი ფიქრი და ანალიზი არ უნდა, რომ კაცი გამოვიდეს და თქვას ის, რაც არის. შემდეგ ბ. რცხილაძეს უთქვამს, რომ აქ საქართველოში თითქოს ისე იყო მოწყობილი საქმეები, რომ ყვე-ლაფერი უწყობდა ხელს ჩვენს მთავრობას; მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც კრიტიკულ მდგომარეობაში არის საქმე. რომ ჩვენ მთავრობას არ უწყობდნენ ხელს, – ეს სჩანს მისივე სიტყვიდან. ეს ასე რომ არ იყოს, -ის არ იტყოდა იმას, რომ ჩვენ დაგვრჩა აუარე-ბელი სხვისი ქონება და ეს ჩვენ გავფლანგეთო. ეს მოწმობს იმას, რომ აქ არამც თუ ხელის შეწყობა არის, არამედ ლტოლვა იქნეთ, რომ რაიმე მიზეზი იშოვნონ და ჩვენსკენ გამოილაშქრონ. თქვენ იცით რა ლირდა ეს ქონება? – მილიონები თუ მილიარდები, – ეს არავინ არ იცის და არც რცხილაძემ იცის. (ასათიანი: „ბლომად კი ლირდა“). ეს ქონება რომ დარჩა, დანაწილდა სამად: ერთი ნაწ-ილი სომხეთმა წაიღო, მეორე ადერბაიჯანმა და ერთი ნაწილი თფილისში დარჩათ. მოგეხსენებათ, რომ ამ ტრიბუნიდან მე გავა-კეთე ანგარიში ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ექვსი თვის თავ-ზე. მაშინ აქ პარლამენტი იყო. მაშინ ვთქვი, რომ პირველი ექვსი თვის განმავლობაში რუს მოხელეებს და მათ დაწესებულებებს მივეცით 99 მილიონი, ე. ი. 100 მილიონი მანეთი და მაშინდელი ასი მილიონი ეხლა 100 მილიარდი არის. მაშინ ეს დავფარეთ იმ ნაშთებიდან, იმ საქონლიდან, რომელიც დაგვრჩა. ასე რომ, ტყუ-ილად იანგარიშა ბ. რცხილაძემ, რომ რაღაც შევინარჩუნეთ, გავ-ფლანგეთ, ვიმეტს წინაშე დამნაშავე ვართ ან ვალი გვაქვს. ვალ-ზე თუ წავა საქმე – ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მივეცით. (ტაში. ს. დადიანი: „ამაზე არ არის დავა!“ ვლ. მგელაძე „თუ ამაზე არ არის დავა, – აქ არ უნდა თქმული-ყო, – ამ ტრიბუნაზე“!) აქ იყო ბევრი ლაპარაკი ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე. ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკას გვინუნებენ, მაგრამ

ვერც ერთმა ორატორმა თავისი ეკონომიური პოლიტიკა ვერ წა-  
მოაყენა. (ლ. შენგელაია: „ეს არ არის ძნელი, ჩვენ ბევრჯერ გვით-  
ქვაშს!“). ძნელი არ არის, ხშირად ლაპარაკობს ბ. შენგელაია;  
მაგრამ არავითარი ეკონომიური პოლიტიკა არ წარმოუდგენია  
(ლ. შენგელაია: „ბიუჯეტის განხილვის დროს ბრძანდებოდით?“)  
თქვენი ორატორების სიტყვებს ვკითხულობ, მაგრამ წვრილმან  
კრიტიკის მეტი ვერაფერი დავინახე. (სპ. კედია: „თქვენი რა არის,  
იმათი რა იქნება!“)

რაშია საქმე? რანაირი ეკონომიური პოლიტიკა გვქონდა?  
ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა აგებული არის  
ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე არ შეიძლება უკუღმა იყოს.  
თუ შეიცვალა ეკონომიური მდგომარეობა, – თავის თავად ცხა-  
დია, რომ შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ჩვენი ეკონო-  
მიური მდგომარეობა უფრო იმაში გამოიხატება, რომ ჩვენში  
არის საქონლის ნაკლებობა და სიძვირე. რით აიხსნება საქონლის  
ნაკლებობა და სიძვირე? მე მგონია, ეს ყველამ იცის. ეს აიხსნე-  
ბა იმით, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ მზადდება ყოველივე ის,  
რაც ჩვენთვის საჭირო არის: უცხოეთიდან უნდა მოვიტანოთ.  
ეს მოტანა და ყიდვა გვიჯდება ძვირად და აქედან წარმოსდგე-  
ბა ერთნაირი ეკონომიური კრიზისი. (გრ. ვეშაპელი: „შეშაც უც-  
ხოეთიდან მოგაძვთ?“) ვეშაპელს ჰგონია, რომ ყველაფერ საქმეში  
მთავრობა არის დამნაშავე. შესაძლებელია, ამის შემდეგ თქვენ  
ხეირიანად ველარ დაიძინოთ, მაგრამ რომ იფიქროთ ის, თითქოს  
ეს მთავრობის ბრალია, – შემცდარი იქნებით. ჩვენ ავიღეთ ვალ-  
დებულება მარტო პურისა და ამაზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ. მე  
ვამბობ, რომ ჩვენში არის საქონლის ნაკლებობა და ვისაც შეუ-  
ძლიან იშოვნოს საქონელი, ის, თავისთავად ცხადია, იღებს იმაში  
აუარებელ ფასს, ვინაიდან ჩვენში არ არის კონკურენცია თვით  
ვაჭართა შორის, არამედ, კონკურენცია არსებობს თვით მყიდ-  
ველთა შორის. რასაკვირველია, ვისაც საქონელი აქვს, – ფასებ-  
საც ის აწესებეს, ეს მდგომარეობა იყო და არის არა მარტო ჩვენ-  
ში, არამედ რუსეთშიაც ერთის მხრივ და ევროპაში მეორეს მხრივ.  
მაგრამ ევროპაში ამ ბოლო დროს ეს მდგომარეობა შეიცვალა. იქ  
არამც თუ კრიზისი არ არის საქონლის, პირიქით, საქონლის დიდი  
რაოდენობა დაგროვდა; ჩვენში კი უკუღმა, (ასათიანი: „საქმე მა-  
გაშია, რომ უკუღმა“)... თუ უკუღმაა, – ეს არ არის ჩვენი ბრალი,  
არამედ თქვენი. თქვენს კლასს არ შეუძლია შექმნას ჩვენში ის,

რასაც ევროპაში ჰქმნის (დადიანი: „ძიძებად არ გამოდგებიან“). ასეთი მდგომარეობიდან შეიძლება იყოს გამოსავალი სხვადასხვანაირი: ერთი გამოსავალი არის ბალშევიკური (გვაზავა: „კარგი კი არის!“), მეორე არის ლიბერალური – ამათი (უჩვენებს ნ. დემ.), მესამე არის ჩვენი (გვაზავა: „შუაში დგეხართ!“). თქვენ იცით, რომ რუსეთი ჰყიქრობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას იმით, რომ ახდენდა ნაციონალიზაციას წარმოებისა და ვაჭრობისას. თუ თქვენ ხართ ამის მომხრე, – ეს სთქვით. ერთი წევრი დამფუ. კრებისა, აი სოც. ფედ. ფრაქციის, წერდა გაზეთში, რომ ერთად-ერთი გამოსავალი არის ნაციონალიზაცია ვაჭრობა მრეწველობისაო. ფრაქციას კი ეს არ განუცხადებია. თქვენ თუ ამის მომხრე ხართ, – ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის გადატანა შეიძლება, თუ მთელი ხალხი ჩაებმება ამ საქმეში, რომელსაც თქვენ ეპოტინებით შორიდან და ვერ ბედავთ. ჩვენ ვხედავთ რუსეთის, ადერბაიჯანის და სომხეთის მაგალითებს. იქ შიმშილით და სიცივით ხალხი იხოცება (დადიანი: „რამდენი ბანკია თფილისში? ისინი სპეცულიაციას ენევიან“). მე მოგახსენებთ არა სპეცულიაციაზე, – ეს არ არის პოლიტიკა, – მე მოგახსენებთ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე, – იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი. ამიტომ არსებობს მთავრობა, რომ იგი უნდა ებრძოდეს ამ სპეცულიაციას.

მეორე გზა არის ნაციონალ-დემოკრატების – ლიბერალური. თავისთავად ცხადია, ისინი იქნებიან წინააღმდეგნი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. ამათ აქვს ერთნაირი ხაზი; თქვენ კი ხართ ჩვენი წინააღმდეგი. მაგრამ არ ვიცით რა გინდათ, თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული ხაზი.

ჩვენ არ ვართ მომხრე ნაციონალ-ლიბერალური პოლიტიკის, ვინაიდან ეს იქნება პოლიტიკა წმინდა სპეცულიატიური. იმ დროს, როცა არის საქონლის ნაკლებობა და ასეთი სიძვირე, – ეს საქმე რომ სავსებით ხელში ჩავუგდოთ კერძო მწარმოებლებს და ვაჭრებს, – ცხადია, ფასები იქნება ერთი ათად მეტი. (გვაზავა: „მხოლოდ პირველ დღეებში!“). ინგლისში გაძირდა, მაგრამ არა ისე, როგორც აქ, იმიტომ, რომ ინგლისი თვით აწარმოებდა საქონლს (გვაზავა: „სახელმწიფოსაც შეუძლია სპეცულიაცია აწარმოოს“). თუ სახელმწიფო ისპეცულიანტებს, – ეს იქნება სახელმწიფოს სა-სარგებლოდ (გვაზავა: „თუ წააგო? კედია: რომ წააგო?“). თქვენ

მოისმინეთ ჩვენი მომარაგების მინისტრის, რომ ჩვენ არამც თუ არ ვენევით სპეცულიაციას, – არამედ, პირიქით, ვებრძვით მას. ჩვენ ვადებთ ჩვენს საკუთარ ფულს იმისთვის, რომ ფასები პურზე და სხვა სანოვაგეზე დავსწიოთ. (კედია: „ესეც კარგი პოლიტიკაა“!). აქედან ხედავთ, რომ სახელმწიფო ეპრძვის სპეცულიაციას. ამის შემდეგ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სახელმწიფო ენევა სპეცულიაციას? ეს არ არის სიმართლე. ისეთ მდგომარეობაში, როგორშიცა ჩვენა ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონომიური საქმიანობა დავანებოთ მარტო კერძო პიროვნებებს, რომ ამაში არ ჩაერიოს სახელმწიფო, ერობები და ქალაქები. თუ ჩვენი მდგომარეობა ასეთია და ჩვენ არ დავნგრეულვართ, – ეს იმიტომ, რომ ამ ეკონომიურ საქმიანობას აწარმოებენ როგორც სახელმწიფო, ისე ერობები და ქალაქები. ჩვენ რომ თქვენი აზრით გვევლო და გვეწარმოებია თქვენი ეკონომიური პოლიტიკა, – ჩვენ აქამდის ვიქენებოდით დანგრეული. ისეთი სიძვირე იქნებოდა, რომ ჩვენი ხალხი აჯანყდებოდა, აგრეთვე ჯარი და გვარდიაც. (ასათიანი: „ეს ხომ გულთმისნობაა“!). ეს არ არის გულთმისნობა. ჩვენ იმიტომ ვარსებობთ, რომ ვიცოდეთ, ვისი პოლიტიკა საით მიდის. (ქარუმიძე: „არ არის მაგ პოლიტიკაში ლოლიკა!“). მე ვიცი, რომ თქვენი პოლიტიკა სახელმწიფოს ანგრევს, ჩვენი კი აშენებს. (ქარუმიძე: „რამდენს იგებს თქვენს მზურნველობის ქვეშ მყოფი კოოპერატივი?“). უნდა მოგახსენოთ, რომ კოოპერატივის მდგომარეობა არ ვიცი, რადგან არ გვაქვს მასთან პირდაპირი კავშირი. (ქარუმიძე: „როგორ სპეცულიაციას ენევა კოოპერატივი იმ მჭამელ ხალხზე, რომელიც თქვენს მზრუნველობის ქვეშა? დადიანი: გამოირკვა ვინ ჭამა! ხმაურობა, თავმჯდომარის ზარი). მე ვამბობ, რომ ჩვენ, როგორც ლიბერალურს, ისე ბალშევიკურს პოლიტიკას ვებრძვით და არ მივიღებთ. (გვაზავა: „თქვენ მენშევიკურ პოლიტიკაზე დგეხართ“). დიალ, ჩვენ ვდგევართ მენშევიკურ სოციალდემოკრატიულ პოლიტიკაზე, გვაზავამ ეს უნდა იცოდეს. (ქარუმიძე: „საქართველო წვრილი მწარმოებლების ქვეყანაა, არც მენშევიკების, არც ბალშევიკების“!) აქ გვეუბნებიან, – საქართველო პურის ქვეყანაა და ამის შესაფერი პოლიტიკა უნდა იყოს (ქარუმიძე: „ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო წვრილ მწარმოებელთა ქვეყანაა. თქვენ კი ქალაქებს – მუქთა ხალხს შეაჭამეთ ყველაფერი“!). ის, რასაც ამბობს ბ. ქარუმიძე, – არ არის ასე. ქალაქმა კი არ შესჭამა სოფელი, – პირიქით სოფელმა შესჭამა ქალაქი. წინად იყო გიპერ-

ტროფია ქალაქის, ახლა კი მოხდა გიპერტროფია სოფლის. ჩვენ სოციალისტები ვართ და გვინდა, რომ შრომა იყოს განაწილებული ქალაქსა და სოფელს შორის და არ გვინდა ერთიმეორეს სჭამდეს. თქვენ კი გინდათ, რომ ეს ჩვენი მდგომარეობა გააზვიადოთ. (ქარუმიძე: „მოგახსენეთ, რაც გვინდა“!). მაშ აქ არ შეიძლება არც ლიბერალური, არც ბალშევიკური პოლიტიკა, არამედ მხოლოდ ჩვენი. თქვენ ამბობთ, რომ ეს არის პოლიტიკა კატასტროფიული (შენგელაია: „თქვენ თვითონ ბრძანეთ“!). თქვენი პოლიტიკა თუმცა არ ვიციოთ, მაგრამ ის, რასაც თქვენ ამბობთ კანტიკუნტად, ამტკიცებს, რომ თქვენ ერთი თვე გენებათ ხელში სახელმწიფო, – ის პირველ კვირასვე დაინგრევა. (რამიშვილი: „ორ დღეში დაინგრევა“). ამიტომ ვამბობთ: ვისაც ჰსურს შეებრძოლოს ჩვენს პოლიტიკას, – მან უნდა გვიჩვენოს უკეთესი პოლიტიკა. სანამ ამას არ გვიჩვენებთ, ცხადია თქვენ არაფერი სათქმელი არა გაქვსთ. მე ვამბობ რომ ჩვენი პოლიტიკის ნაყოფია, რომ ჩვენ დავაარსეთ მომარაგების სამინისტრო. უნდა ვთქვა, რომ ერთად -ერთი ბურჯი ჩვენი სახელმწიფოსი არის ეს ორი უწყება – სამხედრო და მომარაგების უწყებანი.

რომ ჩვენ თავის დროზე არ დაგვეწყო მომარაგება, ცხადია, ჩვენ დღეს არ ვიქნებოდით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ვართ. ჩვენი სახელმწიფო გამოდის, როგორც დიდი ვაჭარი, ე. ი. ის ყიდულობს და აწვდის ხალხს, ჯარს და გვარდიას აწვდის ამ ნაყიდ საქონელს ძალიან იაფად და ამით ბაზარზე სცემს ფასებს დანარჩენ საქონელზე (გვაზავა: „რომ წააგოს“?).

მე მოგახსენებთ, ჩვენ რომ ერთი გირვანქა პურს ვაძლევთ მუშა მოსამსახურეს, – ამაზე ჩვენ ვაგებთ ხან 35 მანეთს, ხან 56 მანეთს, ხან მეტს; მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ცოტაოდენი ფული წავაგოთ და სამაგიეროთ მოვიგოთ დიდი რამ – სახელმწიფოს არსებობა. (ხმა: „ვაჭრობაში წაგება“?). მოგახსენებთ, რომ ვაჭრობა აღებმიცემობის სფეროში კერძო ვაჭრებმა ბევრი წააგეს, მაგრამ სახელმწიფოს არ წაუგია. მოგახსენებთ, აი თამბაქოს საქმეს. ამ საქმეში მთავრობას ერთი კაპეიკიც არ უზარალია, მაშინ როდე-საც ყველა ვაჭრებმა ამ საქმეში დიდი ფული წააგეს.

მაშასადამე, ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს ვაჭრობას. უნდა შევურიგდეთ იმ დებულებას, რომ სახელმწიფო, ერობები და ქა-აქები უნდა ჩაერიონ ეკონომიკურ საქმიანობაში.

თქვენ ლაპარაკობთ, რომ ჩვენ ვავინროებთ კერძო ინიცია-

ტივას. ეს არ არის მართალი; ჩვენ გამოვდივართ, მხოლოდ როგორც კონკურენტები და არავითარ ზღუდეებს არავისოთვის არ ვქმნით ხელოვნურად. (ასათიანი: „რათ აუკრძალეთ ერობებს წარმოების დაწყება“?). აი, რატომ: ერობები იწყებენ საქმეს, მათ არ აქვთ ამისათვის თანხები, ისინი მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან – ფული მოგვეცითო. როდესაც საქმე უკვე დაწყებულია, – ჩვენ ვეღარ ვეუბნებით უარს. ამიტომ ჩვენ ვთქვით ასე, ჩვენ წინასწარ გაგვაცანით გეგმა თქვენ მიერ განზრახული საქმისა და თუ ნებას მოგვცემთ საქმის დაწყებისას, – მაშინ ჩვენ ვალდებული ვიქნებით დაგეხმაროთ; ისე

კი ჩვენს ნებადაურთველად უფლება არავის ექნება მოგვთხოვოს დახმარება. აი გერმანიაში, მაგ. ფინანსთა მინისტრის ვირტის ნებადაურთველად არც მთავრობას, არც ერობას და ქალაქს არ შეუძლია გაიღოს ერთი კაპეიკი.

ჩვენს მთავრობას, უეჭველია, აქვს განზრახვა მოახდინოს ცენტრალიზაცია საზოგადო ფულების ხარჯვისა, (ხმა: „ერაძეს ვკითხოთ, როგორ დაიცავს ის ამას? ვეშაპელი: „ერაძეს ავტონომია აქვს მინიჭებული“). ერაძემ ამის შესახებ უკვე სთქვა აქ, თქვენ მას მიეცით განსაზღვრული თანხა. მისი დაწესებულება არის ერთნაირი სავაჭრო დაწესებულება და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ამ უწყებამ იმოქმედოს წინასწარ დამტკიცებული შტატებით, ის უკვე აღარ იქნება სავაჭრო დაწესებულება. დამთურნებელმა კრებამ უთხრა მას: აი, შენ გაქვს თავნი და ივაჭრეო. ამ პირმა ივაჭრა ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ მოვიდა აქ თქვენთან და ანგარიში მოგცათ.

ამნაირად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით არის დაფუძნებული დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს ეკონომიური მდგომარეობა, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიქმნია. ამის შექმნა არც შეეძლო მთავრობას. ის შექმნა ობიექტიურმა პირობებმა. ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩვენ იძულებული ვართ აუარებელი საქონელი მოვიტანოთ უცხოეთიდან. მაშასა-დამე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში – შიგნით არ არის ნაყოფიერი შრომა, არ არის აღორძინებული წარმოება, მეორე მიზეზია ის, რომ ჩვენ ვართ მუდამ საომარ მდგომარეობაში. მაშასადამე, მუდამ ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი სამხედრო გასავალი. მართალია, ჩვენ არ გვაქვს ომი ყოველთვის, აი, მაგალითად, ეხლა ომი

არ გვაქვს. მაგრამ თქვენ იცით, რომ ბევრი ხალხი გვყავს გამოყვანილი და ისინი სდგანან ფრონტზე. სხვათა შორის, შეიძლება აქ ითქვას, რომ იმით, რომ ჩვენ დროზე მოვახდინეთ გასულ წელს მობილიზაცია, ამით ომი მოვიგეთ უომოდ, (ტაში. კედია: 1918 წელშიც რომ ასე მოვქცეულიყავით, კარგი იქნებოდა).

სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება ამ ჯარის ფრონტზე დგომა. ბ. შენგელაიმ წამოიძახა, რომ თუ ჩვენ გვაქვს ფრონტები, – ეს თქვენი გლახა პოლიტიკის ბრალი არისო. არა ბატონი შენგელაია, აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. აქ არის 2 პრინციპი – ბალშევიკური და დემოკრატიული და ამ ორ პრინციპს შორის არის დავა და ჩნდება ფრონტი. თქვენ თუ გინდათ რომ ეს ფრონტი არ იყოს, – თქვენ ჩვენთან ერთად უნდა დაიცვათ ჩვენი სახელმწიფო.

დღეს მაშასადამე, თუ ჩვენ ფრონტი გვაქვს, ეს გლახა პოლიტიკის ბრალი კი არ არის, არამედ ეს კარგი პოლიტიკის ბრალია. ჩვენ რომ ვაწარმოებდეთ ისეთ პოლიტიკას, როგორსაც აწარმოებენ ადერბეიჯანში და სომხეთში, – თავის თავად ცხადია, დღეს ჩვენ აქ არ ვიქნებოდით და არავითარი სახელმწიფოებრივობა არ იქნებოდა აქ. ამიტომ უნდა ვთქვა, დაბოლოს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ამ ჩვენი პოლიტიკის გატარებაში ხელი კი არ უნდა შეგვიშალოს, – პირიქით ხელი უნდა შეგვიწყოს. ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, არის ერთნაირი ბოძი, ერთნაირი საფუძველი, რომელზედაც არის აგებული არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, არამედ – საგარეო სიმტკიცეც და თუ ეს ბოძი წაფორხილდა, – თავისათავად ცხადია, – მაშინ მოიშლება არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, – ერთიანად მოიშლება ჩვენი საგარეო სიმტკიცეც და მაშინ დაიშლება ჩვენი სახელმწიფოც. (ტაში).

ერთობა. – 1921. – 27 იანვარი. – № 19; № 20. – გვ. 2.  
საქართველოს რესპუბლიკა. – 1921. – 27, 28 იანვარი. – № 19; № 20. – გვ. 2.

# საბჭოთა სომხეთის თავდასხმა საქართველოზე

თებერვლის 15-ის სხდომა

სხდომას დაესწრენ, თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი, პრესისა და თვითმმართველობათა წარმომადგენელი. დარბაზი სავსეა სტუმრებითა და მსმენლებით.

რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარებ-ნი ნ. უორდანია.

## 6. ზორდანიას სიტყვა

(ხანგრძლივი ტაში)

მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულად თავს დაგვესხა, მან კვლავ ააფრიალა სისხლის და ომის დროშა და ჩუმად, მუხანათურათ, შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში. შემოიჭრა იმავე გზით, იმავე საშუალებით, იმავე წესით, როგორადაც მან ჩაიდინა ეს ამ ორი წლის ნინად. ამ თვის თორმეტს, ღამით, მისი მოწინავე რაზმები თავს დაესხნენ ჩვენ სადარაჯო პოსტებს, აიყოლიეს ზოგი გაბრიყებული სოფელი და ამნაირად ხელთ იგდეს ერთი ნაწილი ბორჩალოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრებისა, სომხეთის ხელმძღვანელი წრეები იცვლიან ფერს, როგორც ეს დასჭირდებათ, მარა ამით ოდნავადაც არ იცვლიან სულსა და გულს, ოდნავადაც არ უახლოვდებიან ადამიანურ საერთაშორისო ჩვეულებას. ისინი დღესაც ვერ ინელებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, დღესაც არ სცნობენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ცდილობენ, ყოველივე ძალის დაამხონ და შემუსრონ იგი. ეს მათ ვერ შესძლეს თვრამეტში; შემდეგ ცენტრი თავის მუშაობისა გადაიტანეს ევროპაში და იქ ამ ორი წლის განმავლობაში უფრო ებრძოდენ საქართველოს, ვიდრე იცავდენ სომხეთს. იქაც ვერ მიაღწიეს მიზანს. და აი ახლა ხელახლა სცადეს აქ და შეიარაღებული ძალით ჩვენს ნინააღმდეგ

გამოილაშქრეს. განა ეხლა კი მიაღწევენ მიზანს? არა, არასოდეს! ისინი ეხლაც ისე სასტიკად დამარცხდებიან, ისე ლაჩირულად გაიქცევიან, როგორც დამარცხდნენ და გაიქცნენ პირველად (მხურვალე ტაში. ხმები: უარესად).

რის და ვისი იმედით იწყებენ ომს ეს გაქცევას დაჩვეული ხალხი? რის და ვისი იმედით აბრიყვებენ სომხეთის გლეხ კაცობას ეს ყვითელი თუ წითელი ვაჟბატონები?

ამათ არასოდეს არ ქონებიათ თავისი იმედი, ისინი მუდამ გარეშე ძალას ეძებდენ მეზობლის წინააღმდეგ. პირველი ომი რომ მათ დაიწყეს, დენიკინის იმედით, მაგრამ დენიკინმა დააგვიანა და როცა მან სოჭაზე გამოილაშქრა, – სომხეთი დიდი ხნით დამარცხებული იყო, საქმეში ჩამოერივნენ ახლად მოსული ინგლისელნი, გაგვაჩერებიეს გამარჯვებული ჯარი და შეგვიქმნეს ნეიტრალური ზონა.

ეს დენიკინის მოტრფიალენი ეხლა უცებ დაცემული მთავრობის ლოცვა-კურთხევით, გადიქცნენ საბჭოთა მთავრობის მოტრფიალეთ. და ეხლა ამ იმედით მოდიან ჩვენსკენ და ლამობენ, შეასრულონ ის, რაც დენიკინის შავმა ლაშქარმა მათ წინეთ ვერ შეუსრულათ. როგორც ხედავთ, სომხეთის ბატონ პატრონები ყოველნაირ ძალას ემხრობიან, ოღონდ ეს ჩვენ წინააღმდეგ კი გამოადგეთ. კუზიანს სამარე გაასწორებსო, მათი გამასწორებელი დღეიდან ჩვენი ხმალია.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკური სომხეთი მოდის დაშნაკურ სომხეთის გზაზე და აწარმოებს პირწმინდათ მის პოლიტიკას. ჩვენ არასოდეს არ დაგვიჯერია სომხეთის ახალი დროშა იღნავადაც მაინც შესცვლიდა მის ძეველ დროშას, არასოდეს არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ სომხეთის ბოლშევიკური მთავრობა მართლა დაადგებოდა საერთაშორისო სოლიდარობას და თანხმობის გზას. ის დღიდან თავისი არსებობისა ეძებს საბაბს განხეთქილებისა და ომიანობისას. განა არ შეიძლებოდა საზაო კითხვების მეზობლურად, მშვიდობიანად მოგვარება? დიალაც რომ შეიძლებოდა. მაგრამ ეს, მიუხედავათ დაპირებისა, ტყვიაზე გადასცვალეს.

რა იყო ჩვენს შორის სადაო? სადაო საგანი იყო სწორეთ გარეშე ძალის მიერ შექმნილი ნეიტრალური ზონა, ბორჩალოს სომხეთის ნაწილი. ჩვენ ეს ორი წელიწადი ვცდილობთ ამ ზონის მოსპობას და ნამდვილ საზღვრის დადებას. ამ საგანზე გვქონდა

ხანგრძლივი მოლაპარაკება სომხეთის ძველ მთავრობასთან, რომლის თანხმობით ჩვენ ეს ზონა დროებით დავიკავეთ. ბოლშევიკურ მთავრობას ჩვენ შვიდ და 10 დეკემბერს მივმართეთ ნოტით ამ სადაო კითხვის მოლაპარაკებით გასათავებლად. იმავე თვის 29-ს მისგან მივიღეთ თანხმობის პასუხი, ხოლო იანვარში თვით ნოტის ავტორი, საგარეო საქმეთა კომისარი ბეგზადიანი ჩამოვიდა ტფილისში და მასთან საბოლოოდ შევთანხმდით. უნდა შეყრილიყვნენ ორივე ქვეყნის დელეგაციები ტფილისში. ჩვენ ველოდით მათ დელეგატებს, სამაგიეროთ კი მივიღეთ... თავდასხმა. სწორედ ასე მოხდა თვრამეტშიაც, ალბათ გახსოვთ, იქ ერევანში ჩვენი ელჩი დაარწმუნეს, თბილისში ვგზავნით დელეგატებს საზღვრის კითხვის მოლაპარაკებით გადასაჭრელათო. ხოლო ნამდვილად კი იმავე დროს თავდასხმა მოახდინეს. იგივე მუხანათობა, ორპირობა, გაუტანლობა ბატონობს ერევანში დღესაც.

მაგრამ ერთი უპირატესობა უეჭველია ჰქონდა ძველ მთავრობას. მან შემდეგ თავდასხმისა ოფიციალურადაც ომი გამოგვიცხადა. ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას აჩვენოს, რომ აქ ომი კი არა, ადგილობრივი გლეხთა აჯანყებაა.

მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითი პოლკები, არტილერია და ტყვიისმფრქვეველები? უპატრონოებია? ვინ მოიყვანა სომებ-რუსების რეგულიარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? განა შეიძლება ქურდულად ომის წარმოება? ჯარების დამალვა? არა, ჩვენ საქმე გვაქვს სომხეთის მთავრობასთან და არა მათ მიერ გაბრიყებულ გლეხებთან. შინაგანი ბოლშევიკური შეთქმულება და გარედან თავდასხმა, აი, რა მოხდა ბორჩალოში. ამ გეგმის განხორციელება მათ ვერ შესძლეს დეკემბერში თბილისში, საქართველოს მასშტაბით. და აი, აქ დამარცხებულნი მას ანხორციელებდენ წეიტრალ ზონაში და მით აჩალებდენ სისხლის ღვრას ორ მეზობელ ხალხთა შორის. მათ სურთ საქართველოს დაპყრობა ბორჩალოდან. ტყუილი იმედია, საქართველოს დემოკრატია აჩვენებს ამ ვაჟბატონებს თავის ვაჟკაცობას, თავის დადებას და გამარჯვებას. მომხდურნი ისევ უკან გაიქცევიან როგორთაც არა ერთხელ გაქცეულან წინათაც. და აი ამაში დარწმუნებული ერევნებები ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენელისა: რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა,

რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ნიადაგზე. ერევანს დარჩა ერთად ერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ქართველი ბოლშევიკები, თავის ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი (ხმები: მოღალატენი! ზიზღი მათ).

ბატონებო, ძველი საქართველო დაასუსტა სწორედ ასეთ მოღალატეობამ, ქართველთა საქართველოდან გაქცევამ და სპარსეთის ან სხვა უცხო ჯარებით უკან დაბრუნებამ. დღევანდელი ქართველი ბოლშევიკები, ბაქოში მოკალათებული ზურაბ წერეთლები იმეორებენ აი ამ ფეოდალების მუხანათობას, მაგრამ ერთი განსხვავებაა: დღევანდელ შეერთებულ და შეკავშირებულ დემოკრატიულ საქართველოს თავის უღირს შვილთა არ ეშინია, ის თავის თავს, თავის არსებობას და მთლიანობას ბოლომდის მამაცურად დაიცავს და მომხდურთ და მოღალატეთ სამაგიეროს მიაგებებს (ტაში).

მოქალაქენო, მთავრობამ მიიღო ყველა ზომა ქვეყნის დასაცავად. მან გამოაცხადა დამატებითი მობილიზაცია, შემოიღო სამხედრო წესები, შეაკავა მოწოდილი მტერი, ხელთ იგდო სტრატეგიული პოზიციები, ჩვენი გვარდია და ჯარი მტკიცედ სდგას თავის პისტე და ვაჟკაცურად ასრულებს თავის მოვალეობას, შეაჩერა თვითმართველობათა არჩევნები და შეეცადა ერის მთელი ენერგიის თავდაცვის გარშემო დაგროვებას. შეუწყოთ ხელი ფრონტს, გადავდოთ ყველაფერი ფრონტისათვის. დროებით ჩავაგოთ ქარქაშში პარტიული ხმალი და ვაჩვენოთ მტერს ჩვენი ერთობა და სიმტკიცე. დამფუძნებელი კრება, ეს გული და ტვინი საქართველოსა და მის მიერ დაყენებული მთავრობა წაუძღვება ხალხს წინ გამარჯვებისაკენ (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

საქართველო. – 1921. – თებერვლის 17. – № 37. – გვ. 2  
საქართველოს რესპუბლიკა. – 1921. – 16 თებერვალი. – № 36. – გვ. 2



ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ



## საქართველოს ს. დ. მ. მთავრობა

13 ივნისს ნაძალადევის მუშათა კლუბში გაიხსნა პარტიული ყრილობა. ყრილობაზე ჯერ-ჯერობით გამოცხადდა 125 დელეგატი. ყრილობას დიდალი არადელეგატი პარტიის წევრები დაესწრო. ყრილობა ცენტრალური კომიტეტის სახელით გახსნა ამხ. 6. ჟორდანიამ, რომლის გამოსვლას ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა. მან ყრილობას შემდეგი სიტყვით მიმართა: ამხანაგებო! საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობას ცენტრალური კომიტეტის სახელით გახსნილად ვაცხადებ (მუშების გუნდი მღერის ინტერნაციონალს, რასაც ყრილობა ტაშით ფარავს).

ამხანაგებო! ჩვენი უკანასკნელი ყრილობა მოხდა შარშან, 1918 წელს, ნოემბრის თვეში. მას შემდეგ, როგორც ხედავთ, განვლო გვარიანმა დიდმა დრომ. ჩვენი წესდების ძალით ყრილობა უნდა მოწვეულიყო უფრო ადრე, მაგრამ თუ ამ ყრილობის მოწვევა დაგვიანდა, ამის მიზეზი არის არა ცენტრალური კომიტეტი, არა პარტიული ორგანიზაციები, არა პარტია, არამედ სრულებით ამათ გარეშე მდებარე ობიექტური პირობები. თქვენ იცით, რომ ამ ხნის განმავლობაში პარტიას უხდებოდა მეტად მძიმე და ინტენსიური მუშაობა პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

თქვენ იცით, რომ მთელი პარტია, ყველა ჩვენი ორგანიზაციები იყვნენ ჩაფლულნი ამ სახელმწიფოებრივ მუშაობაში, და თუ დღეს არსებობს რესპუბლიკა იმ სახით, როგორითაც ახლა არის და თუ ამდენ ხანს არ დავინგერით, ამას უნდა ვუმადლო-დეთ ჩვენი პარტიის თავგამოდებით მუშაობას. მართალია, არც დღეს ვართ დალხინებული სრულიად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დღეს უფრო მშვიდობიანად შეგვიძლია ვიმუშაოთ, ვიდრე ერთი კვირის, ერთი თვის წინეთ. ზავი, რომელიც ჩვენ დავდევით რუსეთთან ამ ერთი თვის წინეთ და ის ზავი, რომელიც წუხელის დავდევით ადერბაიჯანთან, მოგვცემს საშუალებას, რომ ცოტა ხნით მაინც სული მოვიბრუნოთ და გულდამშვიდებით ვიმუშაოთ (ტაში). პარტიამ ამ ხნის განმავლობაში განვლო ბევრნაირი ბრძოლის ეტაპები. 1919 წელს მას შემდეგ, რაც ეს ყრილობა მოხდა და თქვენ დაიშალეთ, აქ ჩვენ უპირველეს ყოვლისა,

მოგვიხდა ბრძოლა თვით პარტიის არსებობისათვის. ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე ამხანაგი, მოწინააღმდეგე ჩვენი დამოუკიდებლობისა, ამხედრდნენ მაშინვე საქართველოს სოც.-დემ. მუშა-თა პარტიის დაარსების წინააღმდეგ და ამ ნიადაგზე მოგვიხდა ჩვენ დიდი შეტაკება. ჩვენ ამავე დროს შიშში ვიყავით, რომ თფილისის ორგანიზაციებში არ მომხდარიყო რასკოლი. მაგრამ მართალმა პრინციპმა და სწორმა გზამ თავისი გაიტანა და ჩვენი მოწინააღმდეგენი სასტიკად დამარცხდე.

ამნაირად, ბრძოლა ჩვენი პარტიის არსებობისათვის სრული-ად ჩვენი პარტიის სასარგებლოდ გათავდა. და მას შემდეგ, როცა ყოველნაირი ორგანიზაციები, კომისიები, – (ეს იყო თფილისში) მას შემდეგ, რაც აქაური რაიონები დაფენ ამ ახლად დაარსებულ პარტიულ ნიადაგზე, მას შემდეგ შეგვეძლო უფრო თამ-ამათ და თავისუფლად გვემუშავა პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. არასოდეს არც ერთ პარტიას, მით უმეტეს სოც. პარტიას, არ რგებია ისეთი როლი, როგორიც ერგო ჩვენ სოც.-დემოკრატიას.

მას ერგო როლი არა თუ მარტო დაენგრია ძველი წეს-წყობილება, ამასთანავე ერგო როლი აეშენებინა ახალი სახელმწიფო ახალ ფარგლებში და მის შიგნით გაეტარებინა თავისი პროგრამული და ტაქტიკური შეხედულებები.

და ყველა ის რეზოლუციები, რომელიც ჩვენ აქ გამოვიტანეთ პირველ ყრილობაზე, სწორედ ეხებოდა ამ ჩვენ პროგრამულ და ტაქტიკურ კითხვებს. და პარტიამ აიღო თავის თავზე, რომ ეს მუშაობა ყოფილყო სახელმწიფოში სწორედ თანახმად ამ პოზიციისა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა პარტიამ აი ეს მუშაობა შეასრულა დღემდის პირნათლად. ამის მიზეზი ორი გარემოება იყო. ერთი ის, რომ გვქონდა ნათელი და აშკარა წარმოდგენა იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვენ ცხოვრებაში ტრიალებდენ და დღესაც ტრიალებენ. თქვენ მიერ მიღებული რეზოლუციები ხატავდენ ნამდვილ ტენდენციას ჩვენი ცხოვრებისას და ჩვენი აზრით სავსებით ეგუებოდნენ იმას, რაც ხდებოდა ჩვენში და რაც აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. მეორე მიზეზი იმისა, რომ შევძელით ასეთი მუშაობა გვენარმოებინა, არის ის, რომ ჩვენი პარტია იყო და არის მთლიანი პარტია. არ არის ჩვენში განხეთქილება, არ არის ბრძოლა წრეებს და ჯგუფებს შორის და აი, მე ვამბობ, რომ ამ ერთად დგომამ, ერთი გზით სიარულმა მოგვცა ჩვენ ეს დიადი ძალა,

რომელიც გამოვიყენეთ ჩვენ ამ დიდ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მუშაობისთვის. ამიტომ ვუსურვებ მე ამ ყრილობასაც, რომ ეს ძველი ჩვენი ნაცალი გზა არ დაეგმოს და ამანაც ისეთივე სწორი და ნათელი რეზოლუციები გამოიტანოს, როგორიც გამოიტანა პირველმა ყრილობამ და ერთი გზით, ისეთივე მთლიანი აზრით გამსჭვალული გამოვიდეთ აქედან, როგორც პირველ ყრილობიდან გამოვედით.

გაუმარჯოს საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიას!  
გაუმარჯოს ინტერნაციონალს! (ტაში).

#### 14 ივნისი, საღამოს სხდომა

იხსნება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ ამხნაგები: ტუსკია, კლიმიაშვილი, თევზაია, მალანია, ხუროძე, კოპლატაძე, აიოლლო, მენალარიშვილი, ირემაშვილი, ნ.რამიშვილი. მსჯელობის მთავარ საგნათ გახდა ეკონომიური საკითხი სოციალურ აღმშენებლობის შესახებ.

ამხ. კლიმიაშვილი. ორატორი აღნიშნავს, რომ მოხსენება ყოველმხრივ დასაბუთებულია: მაგრამ იგი მაინც ვერ იზიარებს მოხსენების პრინციპიალურ მხარეს სოციალურ აღმშენებლობის შესახებ. იგი ამბობს, რომ არც ევროპაში, არც ჩვენში სოციალურ რევოლუციის პროცესი ჯერ არ დაწყებულა. მისი აზრით, ის მოვლენა, რომ თავი იჩინა წარმოების საზოგადოებრივმა ფორმებმა, არ ნიშნავს ამ პროცესის დაწყებას, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცდილობთ დროებით, როგორც მოგვხდება, ისე მოვაგვაროთ განადგურებული წარმოება. ამითვე აიხსნება ფინანსიურ კაპიტალის როლის დაქვეითება. საქართველოს სოც. დემოკრატიის მუშაობა მხოლოდ დემოკრატიული მუშაობაა. ორატორი შემდეგნაირათ ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები: აგრარულ საკითხში ჩვენ იძულებული შევიქენით გლეხურ ფსიქოლოგიისათვის დაგვეთმო და უარვყავით მუნიციპალური სისტემა. ჩვენ ვაკეთებთ რადიკალურ დემოკრატიის საქმეს, ხოლო არაფერს სოციალისტურს. თუ ჩვენ რაიმე საზოგადოებრივ წესსა ვქმნით, – ვქმნით იმიტომ, რომ ანგარიშს ვუწევთ მომენტის მოთხოვნილებებს და არ შეგვიძლია ვთქვათ: აი, დღეს დადგა ეკონომიური შესაძლებლობა სოციალიზმისთვის. ამ მუშაობის დაწყება არ

შეიძლება ევროპის იმედით. ასეთი იმედი ჩვენ ვიცით, დამარცხდა რუსეთში. ჩვენი მთავარი ყურადღება ეკონომიკას უნდა მივაქციოთ: ეს კი არ უწყობს ხელს სოციალისტურ აღმშენებლობის დაწყებას. ჩვენ უნდა აშვარათ განვაცხადოთ, რომ დროებით ხალხური, დემოკრატიული პარტია ვართ.

ამხ. ბ. თევზაია ორატორი ეკამათება ამხ. კლიმიაშვილს და სხვათა შორის ამბობს: საქართველოს სოციალ-დემოკრატია ჩაუდგა სათავეში სახელმწიფოს და აკეთებს რა დემოკრატიის, ხალხის საქმეს, აკეთებს თავის საკუთარ, მუშურ საქმესაც. ჩვენში ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო სათავეში ჩადგომოდა სახელმწიფოებრივ მუშაობას, იყო მუშათა კლასი, სხვა კლასები სუსტნი იყვნენ. მუშათა კლასს არ შეუძლია დღეს სხვაგვარი პოლიტიკა აწარმოოს, თუ არა საკუთარი პოლიტიკა, რომელიც ამასთანავე მთელი დემოკრატიის პოლიტიკაა. დასავლეთ ევროპაშიც იმ ნიადაგზე სდგანან, რომ დღეს დროა შეუდგნენ სოციალისტურ აღმშენებლობას. ჩვენი მთავრობაც ვერ ჩამორჩებოდა ამ პროცესს და სოც.-დემ. პარტიაც აქ აკეთებს მუშურ და დემოკრატიულ საქმეს.

ამხ. აიოლლო მოხდენილ სიტყვაში ეკამათება ამხ. კლიმიაშვილს და იცავს მომხსენებლის დებულებებს.

ამხ. ს. მენალარიშვილი და ი. ირემაშვილი აღნიშნავენ, რომ მთავრობა კიდევ უფრო ადრე უნდა შემდგარიყო სოციალისტურ აღმშენებლობის ნიადაგზეო.

ამხ. 6. რამიშვილი ეხება ამხ. კლიმიაშვილის მოსაზრებებს და ამბობს: საჭიროა გავითვალისწინოთ, მართლა ვახდენ ჩვენ ჩვენი შეხედულებათა რევიზიას, თუ ვაგრძელებთ ძველ ნაცად გზას. 1892 წელს ენგელსი სწერდა: საერთაშორისო ომს მომავალში უსათუოდ სოციალური რევოლუცია მოყვებაო. ჩვენი პარტიის კონფერენციამ 1914 წელს გამოიტანა დადგენილება, რომ ამ ომს უსათუოდ მოყვება უდიდესი კატაკლიზმების ხანაო. მაშასადამე, ის, რაც დღეს მომხსენებელმა წამოაყენა თავის მოხსენებაში, -არავითარ ახალს არ შეიცავს. ასევე მსჯელობდა კაუცკიც: ეს არის ჩვენი ძველი პრინციპი, მაგრამ შეიძლება ეს გვაახლოვებდეს კომუნისტებთან? ასეთი შეხედულება შემცდარია: ბალშევიკები ბრძანებენ, რომ მათ ეხლავე სოციალიზმი განახორციელეს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იქ სოციალიზმის მგზავსიც კი არაფერია. ისინი ანანილებენ, რაც მოეპოებათ. ეს არის პირველყოფილი კო-

მუნიზმი და არა სოციალიზმი. ამხ. კლიმიაშვილი მხედველობიდან უშვებს მარქსიზმის ანბანს, როდესაც ხალხურ პოლიტიკაზე ამბობს: არ არსებობს პოლიტიკა, გარდა კლასიურ პოლიტიკისა. ჩვენი პოლიტიკაც სწორეთ კლასიური, მუშური პოლიტიკაა და სრულებითაც არ გამომდინარეობს ბურჟუაზიის ინტერესებიდან.

ამით სრულდება კამათი და სიტყვა მომხსენებელს ეძლევა.

ამხ. ნ. უორდანია: რადგანაც კამათი უმთავრეს ნაწილათ ეკონომიურ საკითხმა გამოიწვია, მომხსენებელიც მთავარ ყურადღებას ამ მხარეს აქცევს და იცავს თავის მოხსენების მთავარ დებულებას. იგი ამბობს: მიწის ერთი ნაწილი (ტყეები) ჩვენ სახელმწიფოს კუთვნილებად გამოვაცხადეთ. ჩვენს ხელში გადმოვიდა აგრეთვე კულტურული მამულები, ხოლო წვრილი მამულები გლეხებისათვის უნდა გადაგვეცა. ეწინააღმდეგება ეს სოციალისტურ პოლიტიკას თუ არა? რასაკვირველია, არა. არც მარქსია და არც სხვა რომელიმე თეორეტიკოსს არას დროს არ უთქვამთ, რომ ჩვენ მოვსპობთ წვრილ საკუთრებასო. სოციალიზაცია პირველათ ნიშნავს სხვილ წარმოების განსაზოგადოებრიობას. ხელუხლებელი რჩება წვრილი წარმოება, რომელიც შემდეგ თვით შეუერთდება საერთო წესს. ასევე შვრებიან დღეს დასავლეთ ევროპაში. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით, მაშინ ჩვენი იზოლიაცია მოხდებოდა ისე, როგორც ეს ბოლშევიკებს მოუვიდათ რუსეთში. სოციალისტური რევოლუცია არ არის ერთი კვირის ან თვის საქმე. ჩვენ ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით ევროპის ობიექტურ პირობებს, ვუწევთ დღესაც და უნდა ვეცადოთ არც ჩამოვრჩეთ მას, რასაკვირველია. თუ იქ, ევროპაში რეაქცია გაპატონდება, რეაქციის სუსტი ჩვენც მოგვხვდება, მაგრამ დღეს მთავრობაში ჩვენ მიტომ ვართ, რომ ვაშენოთ სახელმწიფო ისე, როგორც ჩვენს ჭკუასა და პროგრამას შეეფერება.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ყრილობამ, მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, იწონებს სავსებით მთავრობის საერთო პოლიტიკას, როგორც საშინაო და საგარეო, ისე ეკონომიურ სფეროში და გადადის მორიგ საკითხებზე.“

რეზულიუციას ხმა მისცა 93 კაცმა, წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი შეიკავა ერთმა.

მდივანი გრ. ურატაძე აქვეყნებს ცეკას სახელზე კარაკლისი-ან მოსულ შემდეგ დეპეშას: „სომხეთის სოც.-დემოკ. პარტია მხ-

ურვალე სალამს უძღვნის თქვენი პარტიის ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერ შედეგებს, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა, ჩვენი ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებისა და ამიერ-კავკასიის დემოკრატიაში მეცნიერულ სოციალიზმის პრინციპების ჩანერგვისაკენ“.

ძმური სალმით ცეკა: ბახშინი, იშხანიანი დავით, ანანუნი ლევან, სარქისიანი აშოტ.

ერთობა. – 1920. – 15 ივნისი. – №132. – გვ. 2.  
ერთობა. – 1920. – 17 ივნისი. – № 134. – გვ. 2.

## საქართველოს ს. დ. მ. მეორე ყრილობა

### 6. ზორდანია

#### 16 ივნისის საღამოს სხდომა

(მოგვყავს მისი მოხსენების მოკლე შინაარსი)

ჩვენ ვარჩევთ ორგვარ რესპუბლიკას: პარლამენტარულს და დემოკრატიულს. უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ასეთი სახელი დაარქვა. არ კმარა ის, რომ საქართველოს დაარქვა დემოკრატიული რესპუბლიკა. დამფუძნებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი არის აგებული პარლამენტარიზმზე და არა დემოკრატიზმზე. პარლამენტარული რესპუბლიკა არის გამოგონილი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის მიერ. პირველათ მას ასეთი სახელი ტიერმა უწოდა საფრანგეთში 1849 წელს. პარლამენტარული რესპუბლიკის დახასიათება იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალა-უფლება პარლამენტშია მოყრილი, -როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო. ამ პარლამენტში არის გაბატონებული ერთი რომელიმე პარტია ან ჯგუფი. იქ ხდება ბრძოლა, შეტაკება. შედეგი ამ ბრძოლისა ის არის, რომ კაბინეტი ხშირად იცვლება. იქ არის მარტო პასუხისმგებლობა, დამორჩილება კი არ არის. ამიტომ როცა რომელიმე მინისტრი მიდის, ის ცდილობს ინტრიგების საშუალებით ისევ დაუბრუნდეს თავის ალაგს. ასეთი ნამინისტრალი ადგენს ჯგუფებს, პარტიას და აწარმოებს ბრძოლას. მომხსენებელს კი აზრის დასამტკიცებლათ, რომ პარლამენტარიზმის დროს მორჩილება არ არის, მოყავს ინგლისის ცხოვრებიდან მაგალითი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ერთი სამინისტრო 10 მანეთის გული-სათვის გადამდგარა. ასეთი მდგომარეობა მიუღებელია, -ამბობს მომხსენებელი, -მთავრობა არ უნდა იქნას გადაგდებული ინტრიგის საშუალებით. ამ პარლამენტარიზმა ევროპაში უკვე მოჭამა თავისი დრო. ამის წინააღმდეგი ვარ მეც, ე. ი. მე ვარ პარლამენტარული რესპუბლიკის წინააღმდეგი.

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა? დემოკრატიული რესპუბლიკა იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალა-უფლება არ არის პარლამენტის ხელში თავმოყრილი, -ის დაყოფილია პარლამენტისა და ხალხს შორის. ხალხს აქვს უფლება რეფერენდუმით ჩაერიცხოს პარლამენტის საქმეებში, მას აქვს ინიციატივის უფლება, საბოლოო სიტყვა დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მაინც ხალხს ეკუთვნის-ხალხს შეუძლია კანონი უარყოს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებულია მორჩილების პრინციპი. შესაძლებელია პარლამენტმა ისეთი რამ დაადგინოს, რაც მთავრობას ან რომელიმე მინისტრს არ უნდა, მაგრამ ისინი (მთავრობა და მინისტრები ცალ-ცალკე) ვალდებული არიან დაემორჩილონ პარლამენტის დადგენილებას და ის შეასრულონ. აი თქვენს წინაშე არის ორი ფორმა რესპუბლიკისა: პარლამენტარული და დემოკრატიული. თუ გინდათ პარლამენტარული, კონსტიტუციიდან ამოშალეთ რეფერენდუმი და ინიციატივის უფლება, თუ არადა, ლოდიკა მოითხოვს, რომ შეემნათ ისეთი მთავრობა, რომელიც მოკლებულია მუდმივ შუა რყევას და ცვალებადობას. როგორც პარლამენტი არ უნდა გადადგეს, როცა ხალხი მის კანონს უარყოფს, რეფერენდუმით ისე არც მინისტრი უნდა გადადგეს, როცა მის წინადადებას არ ლებულობს პარლამენტი. აქ უნდა ბატონობდეს დამორჩილების პრინციპი, ე. ი. პარლამენტი ემორჩილება ხალხის ვოტუმს, ხოლო სამინისტრო-პარლამენტის ვოტუმს. უნდა იყოს პრინციპი დამორჩილებისა-ეს არის უაღრესად დემოკრატიული. ამ პრინციპს ჩვენ დღესაც ვატარებთ. რამოდენიმე შემთხვევა იყო, რომ მთავრობის მიერ მიღებული კანონ-პროექტი პარლამენტმა უკან დააბრუნა ანდა სრულებით უარყო, მაგრამ ამას ჩვენში კრიზისი არ გამოუწვევია, -ჩვენ ვაწარმოებდით დამორჩილების პოლიტიკას. ამრიგათ, თუ გინდათ პარლამენტარული რესპუბლიკა, ერთ საათში შევასწორებთ კონსტიტუციის პროექტს, ხოლო თუ გინდათ დემოკრატიული რესპუბლიკა, მაშინ უნდა მიიღოთ ცენტრალური კომიტეტის მიერ შესწორებანი. შეგიძლიათ სიტყვები შესცვალოთ იმ შესწორებებში, მაგრამ აზრი, შინაარსი კი აუცილებლათ უნდა მიიღოთ. თუ ეს არ იქნა მტკიცე და ურყევი, მაშინ ის ვერ შესძლებს ცხოვრებაში გაატაროს ის სოციალური აღმშენებლობა, რომელიც თქვენ მე გუშინნინ მოგახსენეთ და რომელიც თქვენ მიერ ერთხმათ იყო დადასტურებული. ამრიგათ, მთავრობის თავმჯდომარე პასუხს აგებს საერთო პოლი-

ტიკისათვის; ის პასუხს ვერ აგებს ყველა იმაზე, რაც თვითეულ უწყებაში მოხდება,-ამაში პასუხს აგებს მინისტრი. მთავრობის პოლიტიკა ურყევია, რადგანაც თავმჯდომარე ერთი წლით არის არჩეული,-მინისტრის წასვლა ამ პოლიტიკას ვერ შესცვლის. თუ თქვენ მიიღებთ პარლამენტარიზმის პრინციპს, მაშინ თქვენ უნდა მიიღოთ ცალკე პრეზიდენტის არსებობა. ამას მოითხოვს ლოლიკა. მაგრამ ვინც წინააღმდეგია პრეზიდენტის ცალკე არსებობისა (და ეს აქ არავის დაუცავს), მან აუცილებლათ უნდა გაიზიაროს ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შესწორებანი (ტაში).

## 17 ივნისის დილის სხდომა

კონტრ.-მომხსენებლათ გამოდის აკ. ჩხენკელი. მოგვყავს მისი სიტყვებიდან უმთავრესი აზრები:

ამხ. ნ. უორდანიამ სთქვა, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ბურჟუაზიულია, ვინაიდან ის ემყარება პარლამენტარიზმის პრინციპზე, ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი კი დემოკრატიულია. რადგანაც ის ემყარება დამორჩილების პრინციპზე მე კი ვამტკიცებ, რომ ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი უაღრესად პარლამენტარულია. უაღრესი დემოკრატიზმი კი გულისხმობს იმას, რომ ხალხი მუდმივათ უშუალოთ განავებს თავის საქმეებს. პარლამენტარიზმის დროს ღერძი მართვა-გამგეობისა არის პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელია მთავრობა და არა უშუალოთ ხალხი; და არც შეიძლება ხალხი უშუალოთ მართავდეს და გამგებლობდეს. რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება ერთგვარი რეზერვია ხალხისა, რომელიც იშვიათად სარგებლობს ამ უფლებით. შემდეგ მომხსენებელი ეხება პასუხისმგებლობის და დამორჩილების საკითხს,

ანალიზს უკეთებს, თუ რისთვის იცვლება ევროპაში ხშირათ კაბინეტი და ამბობს: მინისტრები ხშირად იცვლებიან არა იმიტომ, იქ ინტრიგაა გამეფებული, საზოგადოთ ინტრიგა კაბინეტის ცვლილების დროს არსად არ თამაშობს უმთავრეს როლს, იმიტომ რომ იქ აბსოლუტური უმრავლესობა არა ყავს არც ერთ პარტიას, ჯგუფს, ჩვენში თუ არ მოხდა მინისტრების გაცვლა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი პარტია უმრავლესობას წარმოადგენდა და აქ შეუძლებელი იყო კრიზისები. რაც შეეხება პასუხისმგებლობას,

იმას გულისხმობს, როგორც ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ისე დემოკრატიული რესპუბლიკაც. პასუხისმგებლობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში გულისხმობს უფლებასაც და მოვალეობასაც. მაშინ, როდესაც დამორჩილების პრინციპი გულისხმობს მხოლოდ მოვალეობას და არა უფლებას. ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი ემყარება არა მარტო დამორჩილებაზე, არამედ პასუხისმგებლობაზეც, ამ „ბურჟუაზიულ“ პრინციპზე. ამ შესწორებაში

არის მორჩილებაზე ლაპარაკი, მაგრამ იქვე სწერია, რომ თუ პარლამენტსა და მთავრობას შორის აღმოჩნდა პრინციპული განსხვავება, მაშინ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს არ დაემორჩილოს და წავიდეს. სად არის აქ დამორჩილება? თუ წასვლა შეუძლია, მაშინ დამორჩილებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე პროექტი, როგორც ცეკას შესწორებანი, ისე საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხასიათდება კომპრომისებით, ორივე უსისტემობაზეა დამყარებული. მე კი ვარ სისტემის მომხრე. ერთი რომელიმე სისტემა აუცილებლად უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს კონსტიტუციას. კომისიაში იყო ორი სისტემა: შვეიცარიის უპრეზიდენტო და საფრანგეთის პრეზიდენტიანი. მომხსენებელი ორივე სისტემას ანალიზს უკეთებს და ასკვინს, რომ ორივე სისტემას აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. შვეიცარიის სისტემას ახასიათებს მოხელეთა მთავრობა, საფრანგეთის სისტემა კი შეიცავს პოლიტიკურ მთავრობას. ჩვენ უპირატესობა უნდა მივსცეთ საფრანგეთის სისტემას, ვინაიდან ჩვენ გვეჭირვება უაღრესად პოლიტიკური მთავრობა. ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს, როგორც უფლებას, ისე მოვალეობასაც. მე ვიცავ ცენტრალური კომიტეტის შესწორებებს. მხოლოდ მოვითხოვ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებები სასტიკად იქნას განსაზღვრული. შესწორებიდან ამოშლილ უნდა იქნას მუხლი, სადაც ლაპარაკია ბრძანების გამოცემაზე. მას შეუძლია გამოსცეს ბრძანება, როგორც რესპუბლიკის თავმჯდომარეს, მაგრამ ამ მხრივ მისი კომპენტენცია განსაზღვრული უნდა იქნას. ამხ. ჩენეკველი ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის თავმჯდომარე, იგივე პრეზიდენტია. დასასრულ მომხსენებელი აყენებს შემდეგ ძირითად დებულებებს:

სახელმძღვანელო დებულებანი აღმასრულებელ ხელისუფლების შესახებ

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის თავმჯდომარე რესპუბლიკისა. თავმჯდომარე უპორტფელოა.

მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით.

მთავრობის თავმჯდომარე მოახსენებს პარლამენტს ცნობად მინისტრთა სიას, ერთი მათგანი დასახელებული უნდა იყოს, როგორც მისი მოადგილე.

რესპუბლიკის თავმჯდომარეს ევალება:

ა) წარმომადგენლობა რესპუბლიკისა.

ბ) კანონების გამოქვეყნება.

გ) უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა და დათხოვნა.

დ) რესპუბლიკის თავდაცვის ძალთა მეთაურობა.

მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის და მიხედვით მოახდინოს კიდევ შეცვლა ცალკე მინისტრის ან გარდაქმნა მთელი კაბინეტის. ყველა ეს ცვლილება მოხსენდება პარლამენტს ცნობად.

თვითეული მინისტრი დამოუკიდებლათ და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძლვება მისთვის მინდობილ საქმეს. ის უნდა გადადგეს, თუ პარლამენტმა თავის გადაჭრილ დადგენილებით უნდობლობა გამოუწხადა მას.

პარლამენტს უფლება აქვს კონსტიტუციის დარღვევისათვის სამართალში მისცეს როგორც მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარე, ისე თვითეული მინისტრი.

ვ. ნინიძე აღნიშნავს, რომ ყრილობა ერთ რამეში შეთანხმდა:

ჩვენ ყველანი უარვყოფთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებულ პარლამენტარულ რეჟიმს, მე ვამტკიცებ, რომ მთავრობა უნდა იყოს პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე ორატორი ახალი საბუთებით იცავს კომისიის პროექტს.

გ. გიორგაძე იცავს კონსტიტუციის კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს და ამბობს: კომისიის კანონპროექტს აქ დამცველი არ აღმოაჩნდა, ეს იმას ამტკიცებს, რომ კომისიის პროექტი ისეთი რამ არის, რასაც დამცველიც არ ესაჭიროება; აქ განაცხადეს, რომ პარლამენტს არ აქვს თავისი პოლიტიკა, პოლიტიკას აწარმოებს მხოლოდ მთავრობაო. ეს აზრი არ არის შართალი. პოლიტიკას ქმნის თვითონ პარლამენტი და პარლამენტის პოლი-

ტიკას ცხოვრებაში ატარებს მთავრობა. მე ვსთქვი, რომ მთავრობა ფრაქციას ფაქტის წინაშე აყენებდა მეთქი. მე ვამბობდი ამას როგორც ფრაქციის მომხსენებელი და არა პარლამენტის. ჩეენ-კელმა კი ეს ორი ცნება ერთი მეორეში აურია. მე აქ დამწამეს, თითქოს ოპოზიციის აზრები გამომეთქვას ჩემს მოხსენებაში და არა ფრაქციის. მე ვაცხადებ აქ ყველას გასაგებათ და ვითხოვ, ეს ჩემი განცხადება სისწორით იქნას აღნიშნული, როგორც სტენოგრაფიულ ოქმებში, ისე გაზეთში. ჩემი განცხადება შემდეგია: მე მოხსენება გავაკეთე ფრაქციის დავალებით, ბიუროს დავალებაში მე ჩემი მოხსენების ძირითადი დებულებები ბიუროს გაუზიარე და მისი დასტურით მოგახსენეთ თქვენ. ის განცხადება კი, რომ მე თითქოს ოპოზიციის მომხსენებელი ვყოფილიყვე და ოპოზიციის აზრები გამომეთქვა, სრული სიცრუეა. მე აშკარათ ვაცხადებ, რომ მე არ ვყოფილვარ ოპოზიციის წარმომადგენელი, არამედ მე ვიყავი ფრაქციის, როგორც ასეთის წარმომადგენელი.

ორატორი აღნიშნავს, რომ მას პირადობა, პირადული ინტერესები კი არ ავალებენ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციაში ყოფნას, არამედ მისი შეხედულებები, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი საქმის ინტერესით. დასასრულ ორატორი ანალიზს უკეთებს ცენტრალურ კომიტეტის შესწორებებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ შესწორებათა მიღება დაუშვებლათ მიაჩნია. ის მოითხოვს კომისიის მიერ მიღებულ პროექტის დადასტურებას, ორატორი ყოვლად დაუშვებლად სთვლის, რომ როდესაც მთავრობა გადადგება მიტომ, რომ მისი პოლიტიკა არ ეთანხმება პარლამენტის მთავრობას, მთავრობის თავჯდომარე, ამ პოლიტიკის მწარმოებელი დარჩეს თავის ადგილზე. ეს იურიდიულად დაუშვებელია და ფაქტიურად განუხორციელებელი.

კომისიის პროექტი იცავს დამორჩილების პრინციპს. როდესაც მინისტრს გადაჭრილ უნდობლობას უცხადებს პარლამენტი, ის მაშინ მიდის და არა ყოველ შემთხვევაში, როგორც ამას წმინდა პარლამეტარიზმი მოითხოვს. მთავრობა და მისი წევრები ასრულებენ პარლამენტის დადგენილებას. ხალხს ეკუთვნის რეფერენდუმი და ინიციატივა. ადერბეიჯანი ამ სისტემით კი არ იყო სუსტი, არამედ მით, რომ მთავრობამ ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო ხალხი. მთავრობის თავმჯდომარემ მოგახსენათ, რომ ბალშევიკების მთავრობა ძლიერიაო; მეც მოგახსენეთ, ჩვენ გვინ-

და ძლიერი მთავრობა, მაგრამ არა ხიშტებზე დამყარებული, არა უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, არამედ დამყარებული ხალხის წდობაზე. მხარს უჭერს კომისიის პროექტს-პრეზიდენტობის სისტემას.

შემდეგ ლაპარაკობენ ვ. თევზაია და რ. არსენიძე, რომელიც მოხდენილ სიტყვებში იცავენ ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ შესწორებებს და სასტიკათ ილაშქრებენ პარლამენტარული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის სისტემას მრავალი მაგალითებით იცავს პ. საყვარელიძე, რომელიც ეკამათება ამხ. უორდანიას მიერ წამოყენებულ პრინციპებს და სხვათა შორის ამბობს: ამხ. უორდანიას გონია, რომ დამორჩილების პრინციპი თუ იქნა, ეს დემოკრატიულია, პასუხისმგებლობის პრინციპი კი ბურუჟუაზიულია, სრული იურიდიული გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. ორატორი აღნიშნავს, რომ შვეიცარიაში, სადაც მოხელეებს ხალხი პირდაპირ ირჩევს (ამას კი უაღრეს დემოკრატიზმათ სახავენ) სოციალისტური დემოკრატია წინააღმდეგია ამ არჩევნების, ამ ოფიციალური სისტემის. შემდეგ ორატორი ეხება პასუხისმგებლობის პრინციპს და ასე აყენებს კითხვას: როგორ შეიძლება მთავრობის თავმჯდომარე იყოს იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი? პასუხისმგებელი მთავრობა ხომ უნდა გადადგეს, როცა მას უნდობლობას გამოუცხადებენ და ამ მთავრობასთან ერთად მისი თავმჯდომარეც გადადგება. მაშინ ხომ დარჩება ცარიელი ადგილი? ხომ დარჩება რესპუბლიკა უმთავრობოთ, როგორც ეს ადერბაიჯანში იყო ხშირათ. მართალია, ადერბაიჯანში ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ჩვენში კი ეს არ შეიძლება ასე იყოს. თავისთავად იბადება კითხვა პრეზიდენტის არსებობის შესახებ. დღევანდელ პირობებში, როცა ირგვლივ ველური მტრები გვახვევია, არ შეიძლება უპრეზიდენტოთ ჩვენმა რესპუბლიკამ ხეირიანათ იარსებოს. აუცილებლათ უნდა შემოღებულ იქნას პრეზიდენტი. არც ამერიკის სისტემა, არც შვეიცარიის და არც საფრანგეთის ჩვენთვის არ არის მისაღები. ჩვენ გვინდა პასუხის მგებელი პრეზიდენტი, მას უნდა მიენიჭოს უფლება შეზღუდული.

უორდანიამ მომხსენებლის საბოლოო სიტყვაში ხაზი გაუსვა პრეზიდენტის სისტემის მიუღებლობას, მან სთქვა: პარლამენტარიზმი ხასიათდება ხშირი ცვლილებებით მინისტრებისა, ინტრიგებით, მთავრობის რყევით. ქანაობით, ხოლო პრეზიდენტი

ეს პარლამენტარიზმის კორეკტივითა, პარლამენტარული სისტემა უპრეზიდენტოთ ულოდიკობაა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ პარლამენტარული სისტემის და ეს ჩვენ დავასაბუთეთ დემოკრატიული რესპუბლიკის მიღებით. ჩვენ თავიდან ავიცილებთ იმ რყევას და ცვლილებას მთავრობისა, რომელზედაც მე მოგახსენეთ და არც ქვეყანა დარჩება უპატრონოდ, როგორც ეს საყვარელიძეს გონია, რადგანაც მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარე ვადით იქნება არჩეული. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ საკითხს, თუ ვინ ქმნის პოლიტიკას, და ამტკიცებს, რომ პოლიტიკას ქმნის პარტია, პარლამენტი და მთავრობა ვალდებულია ეს პოლიტიკა განახორციელოს. მომხსენებელი წინააღმდეგია იმისა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ზედიზედ იქნას არჩეული. მთავრობა ამბობს ის, უნდა იყოს მტკიცე თავისთავათ და არა იმიტომ, რომ პოპულიარული პირებია. ევროპაში ხშირათ ისეთ კაცს ჩააბარებენ პორტფელს, რომელსაც არავინ არ იცნობდა ცენტრში და რომელიც სადმე პროვინციაში მოღვაწეობდა. საჭიროა ჩვენშიაც მოისპოს დღევანდელი ადათი და ერთი პირი არ იყოს ზედიზედ არჩეული მთავრობის თავმჯდომარეთ.

ყველა დებულებები გადაეცა საგანგებოთ არჩეულ კომისიას, რომელმაც უნდა წარუდგინოს ყრილობას რეზოლუცია ამ საკითხის შესახებ.

განცხადებები



## დაგვუძნებელი პრეზა

მთავრობის თავმჯდომარის პ. ნ. ზორბეგიას განცხადება

### ახალი სამინისტროები

#### ქრისტეშობისთვის 30-ის საღამოს სხდომა

პ. პ. ამას წინად ამ ტრიბუნიდან თქვენ გამოგეცხადათ, რომ დაარსდა ახალი სამინისტრო. ესაა დღემდე ცალ-ცალკე არსებულ მომარაგების სამმართველოსა და შრომის სამინისტროს შეერთებული ერთი უწყება. ამას ჩვენ მოუმატეთ ორი ახალი სამინისტრო: იუსტიციისა და სამხედრო.

### სახელმწიფო და ვაჭრობა – მრავალობა

მომარაგების სამმართველოსა და შრომის სამინისტროს შეერთების შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

ყველას კარგად მოგეხსენებათ ის ეკონომიური კრიზისი, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს. კერძო პირები ვერ ახერხებენ და არც შეუძლიათ ამ მდგომარეობის ჩაყენება ნორმალურ კალაპოტში. ამიტომ მთავრობა იძულებული შეიქნა თვითონ ჩარეცლიყო აღებ-მიცემობის საქმეში და ვაჭრობა-მრეწველობას გაძლიერდა როგორც კერძო ვაჭარი. თანამედროვე მწვავე პირობები ვისმე პირადი სურვილით არ არის გამოწვეული, არამედ იმ ობიექტური პირობებით რომლის გავლენაშიც ყველა ვიმყოფებით. საქმე ისაა, რომ არა თუ ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოებში, არამედ დიდ სახელმწიფოებშიც ჩამოვარდა ეკონომიური კრიზისი. ეკონომიური კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ჩვენში და სხვაგანაც მეტი იხარჯება, ვიდრე კეთდება. მიზეზი ასეთი მდგომარეობისა უკანასკნელი მსოფლიო ომია. ომმა ისე გაანადგურა ყველაფერი, რომ ახალი საზოგადოებები ველარ ახერხებენ ძველი ეკონომიურ პირობების აღდგენას. ვინაიდან საქონელი მუშავდება ნაკლები ვინერ ეს საჭირო არის, კერძო პირები იძულებული არიან ასწიონ ფასი. ცხადია, ის საქონელი რომელიც ასეთს პირობებში კერძო

პირიდან გამოდის სპეცულიაციის საგანი იქნება – და არც შეიძლება სხვანაირად იქნეს. კონკურენციის კანონის ძალით კერძო პირი იძულებულია სპეცულიაცია გასწიოს.

ასეთს ობიექტურ მდგომარეობაში რომ დავსტოვოთ ხალხი, ის სპეცულიაციის მსხვერპლი გახდება. ამ საქმეში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და ანგენილ-დანენილ ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს. ამ გზას დაადგა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკა, არამედ ისეთი სახელმწიფოები, რომელიც მუდამ ვაჭრობა -მრენც ველობის თავისუფლებას ჰქადაგებდენ.

აი, ბატონებო, ამ გარემოებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როდესაც მომარაგების სამმართველო შრომის სამინისტროს შევუერთეთ. იყო სხვა მოსაზრებაც. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. მშრომელი კლასი, უმთავრესად მომხმარებელი კლასია და სახელმწიფომაც პირველად ის უნდა იყოლიოს მხედველობაში. ის, რასაც იყიდის სახელმწიფო, ის უნდა დაურიგდეს მშრომელ კლასს და ამას იზამს შრომის სამინისტრო.

### იუსტიციისა და სამხედრო სამინისტრო

ეხლა უნდა განვაცხადო, რომ მთავრობამ თავის წრეში შემოიყვანა ორი ახალი სამინისტრო.

იმ დროს, როდესაც ეს კაბინეტი სდგებოდა, ორი სამინისტრო ერთს პირს ჩავაბარეთ. ეს იყო შინაგანი და სამხედრო სამინისტრო. უნდა ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი მოვალეობა ჩინებულად შეასრულა. მის შემწეობით დღეს ჩვენ გვყავს ძლიერი მხედრობა. მისივე ენერგიული მეცადინეობით მჭიდრო კავშირი დამყარდა რეგულიარულ ჯარსა და გვარდიას შორის.

სამხედრო სამინისტროს შესახებ ჩვენ ვიმსჯელეთ და ამ თანამდებობაზე მოვიწვიეთ გრ. ლორთქიფანიძე (ხმა. სამხედრო განათლებით არის?).

უნდა მოგახსენოთ, სამხედრო მინისტრისათვის არ არის საჭირო რომ ის უთუოდ მხედარი იყოს.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, მისი მდგომარეობა სენატის დაარსების შემდეგ უფრო გამარტივდა. საქმე ისაა, რომ

ის რაც ძველ რუსეთში მოქმედებდა, ის კანონები დღეს ჩვენშიდაც მოქმედებენ, რაც ჩვენს მდგომარეობას სრულიად არ შეეფერება. ამ სფეროში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენ მოვიწვიეთ ენ-ერგიული მუშაკი რ. არსენიძე.

### მომავლის პერსპექტივები

როდესაც ჩვენ ეს დადგენილება გამოგვქონდა, მხედველობა-ში გვქონდა მომავლის პერსპექტივები. ჩვენ გვინდა ყველა თავის პოსტზე იდგეს. შეიძლება ამ ახლო ხანებში ჩრდილოეთიდან საფრთხე მოგვაწვეს. თუ დენიკინი დამარცხდა, ბოლშევიკები ჩვენსკენ გამოემართებიან. ამიტომ ჩვენ დღესვე უნდა შევქმნათ მაგარი ფრონტი. მთავრობა ფიქრობს გააძლიეროს მართვა-გამგეობა, გვარდია, შინაური წესრიგი და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, როდესაც ეს გაკეთდება მაშინ ყოველგვარი საფრთხე აგვცილდება.

საქართველო. — 1920. — იანვრის 1. — №1. — გვ. 1.  
ერთობა. — 1920. — 1 იანვარი — №1. — გვ. 2

ნოე ზორდანიას განცხადება – „დაიპარგა  
ანდრეიკას დატოვებული ქაღლი“



ერთობა. — 1920. — 28 იანვარი. № 20. — გვ. 1.

## პაპინეობის პრიზისის გარშემო

### მთავრობა მიღის მთალი შემადგენლობით

ოთხშაბათს, ნოემბრის 11-ს, შესდგა დამფუძნებელი კრების სოც.-დემ. ფრაქ. საგანგებო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა მთავრობის თავმჯდომარის, ბ-ნ ნოე უორდანიას განცხადება. ბ-მა ნოე უორდანიამ განაცხადა, რომ მისი მთავრობის მთელი შემადგენლობით უნდა გადასდგეს.

ბ-ნ უორდანიას განცხადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ს. დ. ფრაქციაში, და იგი მიღებულ იქმნა.

ახალი კაბინეტის შედეგენა ისევ ბ-ნ ნოე უორდანიას მიანდვეს.

### „სარჩომენდაციო კომისია“

სოციალ-დემოკრატიულ წრეებში დიდი თათბირია გამართული ახალი კაბინეტის ორგანიზაციის გარშემო.

საზოგადოებრივ წრეებში უკვე ასახელებენ მომავალ სამინისტრო პირებს. მაგრამ იმ ცნობებით, რომლებიც ჩვენ გვაქვს, მენ-შევიკების ხელმძღვანელები ჯერ ჯერობით ვერ შეთანხმებულან ახალი კაბინეტის შემადგენლობის შესახებ.

სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ არჩეულია განსაკუთრებული კომისია, და სარევოლუციო ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ – „სარეკომენდაციო კომისია“, რომელსაც დაევალა ბ-ნ ნოე უორდანიას დაეხმარონ მთავრობის ორგანიზაციის საქმეში.

ამ კომისიაში, სხვათა შორის, შედიან ვალიკო ჯულელი და სილიბისტრო ჯიბლაძეც („ერთობის“ „განი“, ალბათ შეცდომით თუ გამორჩა ფრაქციას!). უსურვებთ ამ „სარეკომენდაციო კომისიას“, დაკისრებული მძიმე საქმე კეთილად დაასრულოს (საქართველო).

სასოფლო გაზეთი. – 1920. – გიორგობისთვის 15-ს. – № 22. – გვ. 1, 2.

## დაგუარისებელი პრეზა

მთავრობის თავმჯდომარის 6. ზორბეგის განცხადება

### 3 დეკემბრის სხდომა

მოქალაქენო, მე მაქვს პატარა განცხადება იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შევიტანეთ ჩვენს მთავრობაში. ეს ცვლილება უბირველესად ყოვლისა ეხება იმას, რომ ჩვენ დავაარსეთ განათლების სამინისტრო, როგორც ცალკე სამინისტრო. ახლამდე, როგორც იცით, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროები შეერთებული იყო. ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ განათლების სამინისტროს მივცეთ უფრო ფართო ხასიათი, ვიდრე იყო აქამდე. აქ იქნება, როგორც განათლების, ხელოვნების, ისე კულტურის, რელიგიის საქმე. და ჩვენ გვინდა ამ სამინისტროს დაუკავშიროთ ყველა კულტურული და განმანათლებელი სექციები.

დანარჩენი სამინისტროები რჩებიან ისე, როგორც იყო. განათლების მინისტრად მე მოვიწვიე გრ. ლორთქიფანიძე, სამხედრო მინისტრად – პარმენ ჭიჭინაძე, მხოლოდ ნაცვლად 6. ხომერიკისა, რომელმაც დასტოვა თავის სამინისტრო, მოვიწვიე დავით ონიაშვილი.

გარდა ამისა მე დავინახე საჭიროდ შემექნა ერთი მუდმივი თანამდებობა. მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც იცით, არ ყავდა არც ამხანაგი და არც მუდმივი მოადგილე. მართალია, მთავრობის თავმჯდომარეს ყავდა მოადგილე, მაგრამ ეს მოადგილე მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას მხოლოდ მაშინ ასრულებდა, როცა მთავრობის თავმჯდომარე ტფილისში არ იმყოფებოდა.

ამ ბოლო დროს მთავრობის თავმჯდომარის საქმეები მეტად გაიზარდა და უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ საქმეებს ვერ ვასწრებ; რომ ეს რთული საქმეები მოგვარდეს, აუცილებლათ საჭიროა მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდეს მუდმივი მოადგილე, რომელიც ეწევა მუდმივ მუშაობას მთავრობის თავმჯდომარესთან ერ-

თად. აი ასეთი თანამდებობის დაწესება აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია. ეს გააუმჯობესებს და გააკეთებს ჩვენს საქმეებს. ასეთ პირად მე დავასახელე გრ. ლორთქიფანიძე. ე.ი. განათლების მინისტრი იქნება ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილე. აი ეს არის ჩემი განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკა. – 1920. – 7 დეკემბერი. – № 278. გვ. 1.  
ერთობა. – 1920. – 8 დეკემბერი. – № 280. გვ. 2.

## საქართველო და გერმანია

საქართველოში დანიშნულმა გერმანიის მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მ. რაუშერმა მთავრობის თავმჯდომარეს გადასცა რწმუნებულობის ბარათი და შემდეგი განუცხადა:

ბატონო თავმჯდომარე, მაქვს პატივი გადმოგცეთ, თქვენი აღმატებულებავ, გერმანიის სახელმწიფოს თავმჯდომარის წერილის დედანი, რომელიც ამონმებს ჩემს საქართველოში ელჩიად დანიშვნას. ამის გამო მე წებას ვაძლევ ჩემ თავს გადმოგცეთ თქვენ გერმანიის სახელმწიფოს მესვეურის და გერმანიის ერის მხურვალე სურვილები ქართველ რაინდულ ერის კეთილდღეობის და ნაყოფიერ თანამშრომლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის აღორძინებისთანავე მასთან მეგობრულად დაკავშირებულ ერებთან მშვიდობიანობის და წინსვლის გზაზედ. მე მონდობილი მაქვს ვემსახურო ამ მაღალ მიზნის მიღწევას და ამისათვის მე არ დავზოგავ მთელ ჩემ საცდელს. მხოლოდ ზიარ ურთიერთ თანაგრძნობაზედ და ნდობაზედ დამყარებულ მუშაობას შეუძლიან განამტკიცოს და დააკავშიროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დამოკიდებულება საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკათა შორის და გახდეს მაგალითი იმის, რომ ურთიერთადმი დახმარება მომავალში უნდა შეიქმნეს ერთად ერთი ჭეშმარიტი საფუძველად ყველა ცალკე ეროვნებათა და მთელ კაცობრიობის ოჯახის კეთილდღეობისათვის. მე ბედნიერი ვიქები, თუ თქვენი აღმატებულება კეთილ ინებებს და აღმომიჩენს დახმარებას ჩემს კეთილშობილ დავალების განსახორციელებლად.

### მთავრობის თავმჯდომარის პასუხი

გერმანიის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელის განცხადებაზე მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა:

ბატონო ელჩი, მე დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით და ნასიამოვნები თქვენი სიტყვებით. თქვენი ნალაპარაკევი ჩვენ სავსებით გვჯერა და იმედია ჩვენსასაც ასევე გულწრფელად ერ-

წმუნებით. ქართველ ხალხს კარგი მეხსიერება აქვს – მან არ იცის გავლილი ამბების დავიწყება: მეგობრობას ის დიდად აფასებს და იმათთან, ვინც ასეთი მეგობრობა მას გაჭირვების დროს დაუმტკიცა, მუდამ ექნება კულტურული კავშირი და კეთილგანნ ყობილება. ეს მესამე წელია ჩვენ ვიბრძვით ჩვენი სახელმწიფოებრივ არსებობისათვის და ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის. იმედი მაქს თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ამ ჩვენ მუშაობაში და გაგვიადვილებთ დასავლეთის დემოკრატიასთან დაახლოვებას და გერმანიის რესპუბლიკის და პატარა საქართველოს რესპუბლიკის შორის კეთილგანნ ყობილების და ერთი მეორის გაგების განმტკიცებას. ამასთანავე მადლობას მოგახსენებთ იმ მორალურ დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა მთავრობამ ჩვენ გაგვიწია ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალად ცნობით და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიანი წევრად აღიარებით. ჩვენ ჩვენი მხრით მზად ვართ თქვენ აქ მუშაობა გაგიადვილოთ და თქვენი აქ ყოფნა ჩვენ ორივესათვის ნაყოფიერი გავხადოთ.

(ს. დ. ს.).

საქართველო. – 1921. – იანვრის 12. – № 7. – გვ. 2.  
საქართველოს რესპუბლიკა. – 1921. – 12 იანვარი. – № 7. – გვ. 2.

## მთავრობის თავმჯდომარის განცხადება

კვირას, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს სასახლეში მოლოცვას უცხოელ წარმომადგენელთაგან – საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის გამო (შესავალი სამხრეთ კარებიდან).

### A N N O N C E

Dimanche, le 6 février, à midi, le Président du Gouvernement recevra au Palais les félicitations des représentants étrangers à l'occasion de la reconnaissance de juré de la République de Géorgie (entrée du sud).

მიმართვები, მოწოდებები,  
დეპეშები



## **მთავრობის მიმართვა საქართველოს ყველა ქალაქის, ეროვნებისა და თემების**

საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას თავს დაატყდა დიდი უბედურება. 20 ამ თვეს მიწის ძვრამ ერთიანად დაანგრია ქალაქი გორი და მის ახლო მდებარე სოფლები და რკინის გზის სადგურები. ათასი და ათიათასობით ხალხი დარჩა ქუჩაზე უბინაოთ, უმწეოთ, ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი. მრავალნი სახლების ნანგრევებმა იმსხვერპლა. ნივთიერი ზარალი აურიცხველია. მოგინოდებთ თქვენ, მხარში ამოუდგეთ მთავრობას ამ დიდ უბედურების გადატანაში. მიიღეთ ზომები მთელმა ხალხმა დახმაროს ქართლის უძველეს ქ. გორს და დაქცეულ სოფლებს აღდგეს ფერფლიდან, რომ არ წარიშალოს ის საქართველოს მკერდიდან. მთავრობის დახმარება წვეთია გაჭირვების ზღვაში. საჭიროა მთელი ხალხის დახმარება, მთელი ერის ამოძრავება და უმწეო მოძმეთათვის წვლილის გაღება. დაუყოვნებლივ აცნობეთ ეს ხალხს და შეუდექით „გორის ფონდის“ შეგროვებას, გორი უნდა აღსდგეს და კვლავ ქართლის გული გახდეს.

**მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია**

## მინის ქვრის შედეგი გორში

### მთავრობის მიმართვა

საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას თავს დაატყდა დიდი უბედურება. ამ თვის 20-ს მიწის ძვრამ ერთიანად დაანგრია ქ. გორი და მის ახლო მდებარე სოფლები და რკინის გზის სადგურები. ათასობით და ათიათასობით ხალხი ქუჩაში დარჩა უბინაოდ და უმწეოდ შიშველნი და მშიერ მწყურვალნი. მრავალნი სახლების ნანგრევებმა იმსხვერპლა. ნივთიერი ზარალი აურიცხველია. მოგინოდებთ თქვენ, მხარში ამოვუდგეთ მთავრობას ამ დიდი უბედურების გადატანაში. მიიღეთ ზომები, რომ მთელმა ხალხმა დახმარება გაუწიოს ქართლის უძველეს ქალაქს – გორს და დანგრეულ სოფლებს ფერფლიდან აღდგენისათვის, რომ ისინი არ წარიშალონ საქართველოს მკერდიდან. მთავრობის დახმარება წვეთია გაჭირვების ზღვაში. საჭიროა მთელი ხალხის დახმარება, მთელი ერის ამოძრავება და წვლილის გაღება უმწეო მოძმეთათვის. დაუყონებლად აცნობეთ ეს ხალხს და შეუდექით „გორის ფონდის“ შეგროვებას. გორი უნდა აღსდგეს და კვლავ ქართლის გულათ გახდეს.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია

საქართველო. – 1920. – თებერვლის 22. – № 40. – გვ. 2.  
საქართველოს რესპუბლიკა. – 1920. – 22 თებერვალი. – № 42. – გვ. 1, 2.

## მთავრობის თავმჯდომარის

### მოცემება

**საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს,  
გვარდიის შტაბებს და აფხაზეთის კომისარიატს**

ჩრდილოეთის საფრთხე საქართველოს ჭიშკარს მოადგა. ბაქოში უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკების ჯარი და იქ საბჭოთა მართველობა გამოაცხადა. აზერბეიჯანმა კარი გაულო მათ, რაც მოწმობს მოსკოვისა და არზოუმის წინასწარ შეთანხმებას. საქართველოს დემოკრატია და მისი ამდენი ხნის შემოქმედებითი მუშაობა განსაცდელშია.

ჩვენს ქვეყანას მოედის ისეთივე განადგურება და სისხლიდან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუსრულებელ ომებით სისხლიდან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ჩვენს მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვანება და მომხდურთა წინაშე მედგრად დარაზმვა.

მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იხსნას ის დარბევისაგან და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას, ფეხზე დააყენოთ მთელი ძალა, შემოკრბეთ მთავრობის და დამფუძნებელ კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შიგნით სასტიკი წესრიგი, შეაბეროთ ერთგულთ მხერიბა და ენერგია, სამაგიერო მიუძღვნათ ორგულთ და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოსრებისაგან.

მთავრობამ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა თავდაცვის საბჭო, აირჩია სარდალი, ჩააყენა აღმოსავლეთ საქართველო სამხედრო წესებში, მიიღო ყველა წინასწარი ზომები.

დევ, თითოეული თანამდებობის პირი იდგეს თავის პოსტზე და პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

**მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. უორდანია.**

1920 წ. აპრილის 28.

დედანთან სწორია. — საქ. მწარ. თ. გველესიანი

სასოფლო გაზეთი. — 1920. — მაისის 2. — № 9. — გვ. 2.

ერთობა. — 1920. — 29 აპრილი. — № 95. — გვ. 2.

საქართველოს რესპუბლიკა. — 1920. — 29 აპრილი. — № 94. — გვ. 2.

## მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება

(საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის საოლქო  
შტაბებს, ბათომის საგანგებო რწმუნებულს, აფხაზეთის  
კომისარიატს, საქართველოს ყველა მოქალაქეთ).

მოხდა უსაზიშლრესი მუხანათური თავდასხმი: გაბოროტებულ  
სომხეთს მიემხრო ადერბეიჯანი და იქ მდგომ ბალშევიკურ ჯარებმა  
შემოგვიტია აღმოსავლეთით. იცოდეთ, რომ მათი გამარჯვება ნიშ-  
ნაგს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგარის სამუ-  
დამოთ დალუპვას და ჩვენი ბალშევიკთა მშიერი ბრძოების უსაშინე-  
ლეს ტირანიაში ჩავარდნას.

დადგა უამი ჩვენი ყოფნა-არყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ  
არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის  
დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება.

საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოს-  
ევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკია. აიღოთ ხმალი ხელში, აამუშავეთ  
ქალი და კაცი, შექმნით ახალ-ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით  
სასტიკი წესიერება, ალაგმეთ მოლალატენი და ორგულნი. იცოდეთ,  
რომ გამარჯვებული ბალშევიკები გაგდარცვავენ და გაგულეტენ.  
მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხეობა და თავის დადება.

